ვლადიმერ ნორაკიძე

ხასიათის ფსიქოლოგია
და
ხელოვნება

ხელოვნება
1962

რედაქტორი ვლ. ზამბახიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი ადამიანის ხასიათის პრობლემას ეხება. ცნობილია, რომ ამ პრობლემით თანაბრად დაინტერესებულია როგორც ფსიქოლოგია, ისე ხელოვნება. ხელოვნება ამ მხრივ მიმართულია ადამიანის, როგორც სოციალური ინდივიდის, ზოგადადამიანური და განმასხვავებელი თვისებების არსის შემეცნებისაკენ. მხატვრულ შემოქმედებაში პერსონაჟების ხასიათის ტიპების მთელი სისრულით მოცემა რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს. ხელოვნებისა და მწერლობის დიდმა წარმომადგენლებმა მართლაც შექმნეს ხასიათის მრავალი განსხვავებული ტიპები. ხელოვნების მიერ შექმნილ ხასიათის ბრწყინვალე გალერეაში ასახულია ადამიანის მრავალფეროვანი სულიერი სამყარო. ივივე ინტერესი ამოძრავებდა უძველეს დროიდან ფსიქოლოგიის იმ სფეროს, რომლის საგანსაც ადამიანის ხასიათის ბუნების შესწავლა შეადგენდა, რაც XIX საუკუნეში მეცნიერული ფსიქოლოგიის ერთი დარგის — ქარაქტეროლოგიის სახით ჩამოყალიბდა. ქარაქტეროლოგიამ უამრავი დაკვირვებები და ექსპერიმენტული მასალა დააგროვა ადამიანის ხასიათის ბუნების, ხასიათის ტიპების შესასწავლად. ქარაქტეროლოგიაში ადამიანის ხასიათის ტიპების დადგენის მრავალი საინტერესო, საგულისხმო ცდაა მოცემული, რის ცოდნას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვანისა და მწერლისათვის, რომელთა შემოქმედებითი ძიების საგანს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი ხასიათის არსის საიდუმლოების წვდომა შეადგენს. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ მხატვრული შემოქმედების საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოებისათვის გაგვეზიარებინა ქარაქტეროლოგიის სფეროში მრავალი წლის მუშაობის შედეგად დაგროვილი ჩვენი მონა-

ცემები. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ ესმოდათ ხასიათის ტიპი მკვლევარებს, ხასიათის ტიპოლოგიის რა ცდები არსებობს, ისტორიულად რა კავშირია ფსიქოლოგიურ ტიპოლოგიასა და ხელოვნებაში მოცემულ ადამიანის ხასიათის ტიპებს შორის. დასასრულ, შევეცადეთ უმთავრესად კლასიკურ ხელოვნებაში მოცემულ ტიპებთან მიმართებაში დაგვეხასიათებინა ადამიანთა ძირითადი ფსიქოლოგიური ტიპები, რაც ჩვენი მრავალი წლის ექსპერიმენტული დაკვირვებისა და ამ საკითხზე არსებული მეცნიერული ცოდნის განზოგადების შედეგს წარმოადგენს (ცალკეული ფსიქოლოგიური ტიპები დახასიათებული გვაქვს, როგორც ხელოვნებაში მოცემული ტიპების განზოგადებული პროტოტიპები).

ჩვენ ვეცადეთ შრომაში ძირითადად ყურადღება გაგვემახვილებინა ფსიქოლოგიურ ტიპებზე, უფრო სრულად მოგვეცა ხასიათის ტიპოლოგია, გვეჩვენებინა მისი მიმართება ხელოვნებაში დადგენილ ტიპებთან. ამ განზრახვას ამართლებს ის გარემოება, რომ ხელოვნებაში მოცემული ხასიათის ტიპების ესთეტიკური და კრიტიკული ანალიზის საკითხებზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მაშინ როდესაც ქარაქტეროლოგიურ ტიპებსა და ხელოვნებისათვის მათი ღირებულების შესახებ არა თუ ქართულ ენაზე, არამედ საერთოდაც სისტემატური გამოკვლევები ნაკლებად მოიპოვება.

წიგნის მთელი შინაარსი ეხება მხოლოდ ერთ საკითხს — ხასიათის ფსიქოლოგიური ტიპებისა და ხელოვნებაში, მწერლობაში მოცემულ ხასიათის ტიპების ურთიერთმიმართების პრობლემას.

უეჭველია, რომ წინამდებარე წიგნი, როგორც აღნიშნული თვალსაზრისით ხასიათის პრობლემის გაშუქების პირველი ცდა, უნაკლო არ იქნება. ავტორი მადლობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას.

1. ხელოვნება და ფსიქოლოგია, როგორც ხასიათის ტიპის ასახვის ორი გზა

მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის მეტოქეობა. უძველეს დროიდანვე არსებობდა სინამდვილის შემეცნების ორი გზა,— ფილოსოფიის (მეცნიერების) და ხელოვნების. მათ შორის ხშირად წარმოებდა მეტოქეობაც. თავიდანვე როგორც ხელოვნებას, ისე ფილოსოფიას სამყაროს არაის ასახვის პრეტენზია ჰქონდა. ხშირად მასების თვალში უპირატესობა ენიჭებოდათ პოეტებს, რომელნიც მითოლოგიაზე დამყარებით პასუხობდნენ ყველა საკითხს, რაც ეხებოდა ღმერთების ბუნებასა და ადამიანთა ურთიერთობას. ჰომეროსის შემოქმედება უმაღლესი ესთეტიკური ტკბობისა და სიბრძნის ამოუწურავი წყარო იყო ერთდროულად.

ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ სამყაროს წვდომის ერთადერთი გზა ფილოსოფიური აზროვნებაა: ფილოსოფოსი ლოგიკური აზროვნებით ან ფილოსოფიური ჭვრეტის მეშვეობით წვდება სამყაროს აზრს, მის ლოგოსს. ცნობილია ჰერაკლიტეს პოლემიკა ჰესიოდესთან: „მას, მრავალის (საგნებისა და ადამიანების) მოძღვარს ჰესიოდეს სთვლიან ძლიერ ბევრის მცოდნედ, მას — რომელიც ვერ მიწვდა, რომ დღე და ღამე ერთია"[1] (არსებული ერთდროულად ნათელია და ბნელიც). ფილოსოფოსი ქსენოფონტე საყვედურს გამოსთქვამდა, რომ პოეტები ამახინჯებენ სინამდვილეს, ღმერთებს მიაწერენ შეუფერებელ თვისებებს; რომ „ჰომეროსმა და ჰესიოდემ ყველაფერი, რაც ადამიანებს გააჩნიათ უსინდისო და სამარცხვინო: — ქურდობა, მრუშობა, ურთიერთის მოტყუება — ღმერთებს

[1] Маковельский, Доскратики, ч. I. Казань, 1914 г., гз. 157.

მიაწერეს... თითქოს კრონოსმა, რომლის დროს, მათი აზრით, სუფევდა ბედნიერი ცხოვრება, დაასაჭურისა საკუთარი შვილები, ხოლო მისმა შვილმა ზევსმა, წაართვა რა მამას ძალაუფლება, გადაჩეხა იგი ქვესკნელში".[1] პლატონი სიბრძნის წყაროდ სთვლიდა ფილოსოფიას და არა ხელოვნებას. მისი აზრით, სამყაროს საიდუმლოების, მისი არსის წვდომა შეუძლია მხოლოდ დიდი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სიბრძნით აღჭურვილ ფილოსოფოსს. არისტოტელემ სცადა ფილოსოფიისა და ხელოვნების შერიგება და ამით ხელოვნების უჯლებების აღდგენა სინამდვილის შემეცნებაში; არისტოტელეს მიხედვით, ჭეშმარიტების შემეცნება—ზოგადის წვდომაა; ფილოსოფია ზოგადს წვდება ცნებებით, ხელოვნება—შემოქმედებითი ფანტაზიით, მეცნიერებისაგან განსხვავებით ხელოვნების დანიშნულებას შეადგენს სინამდვილის მხატვრული ასახვის გზით ესთეტიკური ტკბობა. მრავალფეროვანი სინამდვილის შემეცნებაში ხელოვნების როლი თანაფასოვანია ფილოსოფიისა. მართლაც, ანტიკური ხანის პოეტები ითვლებოდნენ მათი თანამედროვე მეცნიერების, ცხოვრების სიხამდვილის, ხალხური სიბრძნის ღრმა მცოდნედ. მათი ქმნილებები აღბეჭდილი იყო მაღალი ერუდიციით.

ხელოვნების, როგორც სიბრძნის წყაროს, დევიზი სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა რენესანსმა. დიდმა რუსთაველმა პოეზია სიბრძნის ერთ-ერთ დარგად აღიარა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი"[2]. რუსთაველმა პოეზიას მიანიჭა უმაღლესი ჭეშმარიტების, უმაღლესი „გასაგონის" (შემეცნების ობიექტის) წვდომის შესაძლებლობა; ხელოვნებას შეუძლია ცხოვრების აზრის შემეცნებასა, ცხოვრების სიბრძნის წვდომასთან ერთად უმაღლესი ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება. რუსთაველმა კიდევაც თავის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში" უჩვენა, რომ დიდი ხელოვნება იქმნება სინამდვილის ღრმა ანალიზის, მისი შემეცნების, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, საერთოდ, მეცნიერების დიდი ცოდნის საფუძველზე. პოეტი თავის ერის აწმყოსა და მომავლის ბრძენი მესაიდუმლეა; პოეზია ერთდროულად, როგორც ესთეტიკური ტკბობისა, ისე სამყაროს სწორი შემეცნების საშუალებაა, რომ ყოფიერების, როგორც მთლია-

---

1 იქვე, გვ. 111.
2 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი 12.

ნობის, მხატვრული შემეცნებისათვის აუცილებელია დიდი ფილოსოფიური განსწავლულობაც.

დასავლეთის რენესანსის დიდი წარმომადგენლები დიდხანს იღვწოდნენ თეოლოგიის მიერ დამცირებული ხელოვნების პრესტიჟი აღედგინათ, ისინი ცდილობდნენ ხელოვნებისა და მწერლობის დიდი შემეცნებითი ღირებულება თეორიულადაც დაემტკიცებინათ, ისწრაფოდნენ საზოგადოების პატივისცემა არა მხოლოდ ზნეობრივი სისპეტაკით მოეპოვებინათ, არამედ თავისი ინტელექტუალური ღირსებებითაც. „მხატვრობა მუსიკალური მელოდიაა, რომლის გაგება შეუძლია მხოლოდ გონებას", — ამბობდა მიქელ-ანჯელო. საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად პოეტსა და მხატვარს უნდა შეეძინათ ცოდნა როგორც ზოგადი ფილოსოფიური კულტურის, ისე საკუთარი ხელოვნების ტექნიკური პრობლემის დარგში. საკუთარი პრესტიჟის ამაღლების მიზნით ხელოვანი ცდილობდა მეცნიერის სახელის მოპოებას, ცდილობდა გამხდარიყო ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალუძს დიდი სიძნელეების გადალახვა[1]. ბოკაჩიოს აზრით, ჭეშმარიტი პოეტი კარგად უნდა ფლობდეს გრამატიკას, რიტორიკას, ხელოვნების ყველა გავრცელებული დარგების ძირითად პრინციპებს: მას უნდა ჰქონდეს გამომეტყველი ენა, მდიდარი ლექსიკა, არქეოლოგიის, ისტორიისა და გეოგრაფიის დიდი ცოდნა. საერთოდ, იტალიის ადრეული პერიოდის ხელოვნების მოღვაწეებს ხელოვნებაში შემოქმედებითი მუშაობის წინასწარ აუცილებელ პირობად მიაჩნდათ სოლიდური მეცნიერული ერუდიცია; ხელოვნების დიდი ნაწარმოების შესაქმნელად არ კმარა მხოლოდ ზეშთაგონება, არამედ აუცილებელია ხელოვნების ხერხების დაუფლება, დიდი დახელოვნება და მეცნიერებაში თავდადებული მუშაობა[2].

ბოკაჩიო უარყოფდა ბრალდებას, თითქოს პოეტები მხოლოდ ფილოსოფოსების მიმბაძველები არიან, და აცხადებდა, რომ პოეტები უნდა მივაკუთვნოთ ფილოსოფთა რიგს, „განა იმ უგუნურებმა, რომლებიც ამცირებენ პოეზიას, არ იციან, რომ ვირგილიუსი იყო ფილოსოფოსი,[3] პოეტი, რომელმაც ამოსწურა ფილოსოფიის წმინდა ელიქსირი?" ლეონარდო და ვინჩი აცხადებს:

---

[1] Гильберт, Кун, история эстетики. 1960. გვ. 188.
[2] იქვე, გვ. 191.
[3] იქვე, გვ. 192.

— მხატვრობა, ფილოსოფიაა. მხატვრობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ფორმებსა და მოძრაობების შესახებ ღრმა აზროვნების ნიადაგზე. მის თემას შეადგენს მოძრაობის მრავალფეროვნება, ფორმების გამოსახულება, ბუნების მოვლენების—ზღვის, ველების, ცხოველების, მცენარეების, ყვავილების ნამდვილი არსი... პოეზიას საქმე აქვს მორალურ ფილოსოფიასთან, მხატვრობას ბუნების ფილოსოფიასთან.[1] დიურერის აზრით, მხატვრისათვის იმდენად აუცილებელია დიდი ცოდნა, რომ მის განათლებაზე ზრუნვა ნაადრევი ასაკიდან უნდა იწყებოდეს[2].

რენესანსის პოეზიისა და ხელოვნების მესვეურნი, რომელნიც თავიანთი ქმნილებების სრულყოფაში ქვეყნის შემოქმედს ეჯიბრებოდნენ, ჯერ კიდევ სავსებით არ იყვნენ განთავისუფლებული თეოლოგიის გავლენისაგან; პატივისცემა თეოლოგიისა და მისწრაფება მეცნიერული ცოდნისაკენ, მოვლენათა შინაგანი ბუნების წვდომისაკენ, მათში ხშირად ურთიერთთან იყო შერწყმული. მიუხედავად ამისა, მათ თავის უკვდავ ქმნილებებში ნათლად უჩვენეს, რომ დიდი ხელოვნება ემყარება კაცობრიობის კულტურის მიღწევას, წარმოადგენს მის მხატვრულ უკუფენას. სრულყოფილი ხელოვნების ნაწარმოების შექმნა შეუძლია მხოლოდ ისეთ ხელოვანს, რომელიც დიდ ნიჭთან ერთად დაჯილდოებულია დიდი შრომის უნარით, სამყაროს საიდუმლოების, მოვლენათა არსის შემეცნების უშრეტი მისწრაფებებით.

ანტიკურსა და შემდგომ რენესანსის ფილოსოფიასა და ხელოვნებაში დამკვიდრებული აზრი მხატვრული შემოქმედებისათვის მეცნიერული ცოდნის, ცხოვრების სინამდვილის შესწავლის, ინტელექტუალური აქტივობის მნიშვნელობის შესახებ ძირითადში არასოდეს არ ყოფილა უკუგდებული. ხელოვნების ისეთი მიმართულებებიც კი, რომელნიც უარყოფენ ხელოვნების შემეცნებით ღირებულებას, ხელოვნებას წმინდა ესთეტიკური ტკბობის ფუნქციას მიაწერენ, მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ინტუიციის, უშუალო წვდომის შედეგად მიაჩნიათ, ვერ ახერხებენ სერიოზულად იმის მტკიცებას, რომ ხელოვანს რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა შეეძლოს როგორც ცხოვრების სინამდვილის, ისე ადამიანის სულიერი სამყაროს

---

[1] Леонардо да Винчи. Избр произв., т. II, გვ. 57—64.
[2] Дюрер А., Дневники, т. II, გვ. 10—11.

ღრმად ცოდნის, თავისი განცდების გამოსახვის ხერხების სრული დაუფლების გარეშე. არავის შეუძლია უარყოს, რომ ხელოვანი თავის შემოქმედებაში სწყვეტს პრობლემას, თუგინდ წმინდა ესთეტიკურს. ნაწარმოებია ‘ძეძძხა, რომელიც მოწოდებულია პრობლემის გადასაწყვეტად. შეუძლია მხოლოდ შემოქმედს, შეიარაღებულს სინამდვილის ღრმა ანალიზის უნარით, ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი გრძნობების, ხასიათის ყოველმხრივი ცოდნით, რაც მიიღწევა საკუთარი გრძნებისა და ფანტაზიის მოქმედებით და აგრეთვე ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ არსებული მეცნიერული ცოდნის ‘ეეოოკოედებითი ათვისებით. ჰეგელის თქმით, „ხელოვანმა გარე სამყაროს ღრმა ცოდნას უნდა დაუკავშიროს ადამიანის შინაგანი ცხოვრების, სულიერი ვნებებისა და ყველა მიზნების, რომელთა მიღწევისათვის ისწრაფვის ადამიანის გული, ახლო ცოდნა და გაგება... უგუნურებაა ვიფიქროთ, რომ ისეთი პოემები, როგორიც ჰომეროსისაა, პოეტის მიერ შექმნილია ძილში. მოფიქრების დახარისხების, გარჩევის გარეშე ხელოვანს არ შეუძლია იმ მასალის ათვისება, რომელიც უნდა გააფორმოს, და სისულელეა ვიფიქროთ, რომ ნამდვილმა ხელოვანმა თითქოს არ იცის, რას აკეთებს“[1].

ხელოვნებისა და მეცნიერების აუცილებელი კავშირი, ამავე დროს მეტოქეობა მათ შორის ნათლად ჩანს ადამიანის ხასიათის ტიპის არსის შესწავლისას. ამ გარემოებამ განსაკუთრებით თავი იჩინა XIX—XX საუკუნეებში, როდესაც, ერთის მხრით, მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ თავის ერთ-ერთ ამოცანად ადამიანის ხასიათის მეცნიერული შესწავლა დაისახა და, მეორე მხრით, ხელოვნებაში, მწერლობაში განმტკიცდა რეალიზმი. სწორედ რეალისტური მწერლობა და ხელოვნება მიჩნეულ იქნა პროგრესული კაცობრიობის ყველაზე მოწინავე მიმართულებად. დიდმა მწერლებმა, რომანისტებმა, დრამატურგებმა, სახვითი ხელოვნების დიდმა წარმომადგენლებმა თავისი დიდი მხატვრული ტილოები ააგეს ხასიათის გამოკვეთის, ხასიათების ბრძოლის, ხასიათთა კონფლიქტების საფუძველზე; ხელოვნების ამ დიდ წარმომადგენელთა ქმნილებებში მოქმედი პერსონაჟების საქციელს ხშირად განსაზღვრავს ხასიათის ლოგიკა. ბალზაკის, ზოლას, დოსტოევსკის, ტოლსტოის, იბსენის, ვაჟას, ილიას, გორკის, შოლოხოვის შემოქმედებაში, დიდი მოქან-

---

1 Гегель, соч. т. XII, зд. 289—290.

დაკეების და მხატვრების ქმნილებებში (როდენი, დელაკრუა), ახლად შექმნილი ხელოვნების დარგში — კინოხელოვნებაში ადამიანის ხასიათის ბუნების დიდი ცოდნაა წარმოდგენილი. ხელოვნების თეორიაშიც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშნად, მისი სრულყოფის მაჩვენებლად ხასიათის ტიპების მთელი სისრულით გამოქანდაკება, ხასიათებს შორის კონფლიქტების მაღალ მხატვრულ ფორმაში ჩვენება წარმოადგენს.

ამავე დროს ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა ახალი დარგი ქარაქტეროლოგია, რომლის მიზანს შეადგენს ხასიათის არსის შესწავლა, ხასიათის მეცნიერული ტიპოლოგია. ქარაქტეროლოგიის დიდი წარმომადგენლები — პოლანი, ფულიე, რიბო, კლაგესი, იუნგი, კრეჩმერი, შპრანგერი, ლაზურსკი, ოლპორტი და მრავალი სხვა იღვწიან მეცნიერული მეთოდებით ადამიანის ხასიათის ზოგადი კანონზომირებისა და ტიპოლოგიის დასადგენად.

ადამიანის ხასიათს შეიმეცნებს ხელოვნებაც და მეცნიერებაც. ორივე იკვლევს ერთ და იმავე მოვლენას, მხოლოდ განსხვავებული გზებით, მეთოდებით, თავისებური მიდგომით. რადგან ქარაქტეროლოგია და ხელოვნება ერთმანეთს ხვდება ადამიანის ხასიათის ბუნების შემეცნების საკითხში, ამიტომ მათ მაქსიმალურად უნდა გაუწიონ ანგარიში ორივე გზით მიღებულ შედეგებს. ჩვენ ამ გარემოებას იმისთვის ვუსვამთ ხაზს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნებისა და მწერლობის ბევრი წარმომადგენელი შეგნებულად ზოგიერთი საბჭოთა ხელოვნების მსახური კი უთქმელად იმ აზრისაა, რომ ხელოვანს მეცნიერების დახმარების გარეშეც შეუძლია ზემოდან მომადლებული შთაგონებით წვდეს, განჭვრიტოს ადამიანის შინაგანი ბუნება, მისი სულიერი სამყაროს საიდუმლოება. ხელოვნების ზოგიერთი მსახური ამჟამადაც ადამიანის ბუნების შემეცნებაში მაღლა აყენებს ხელოვნებას და სრულიად უგულვებელყოფს ფსიქოლოგიის დიდ მიღწევებს. ზოგიერთების აზრით, ამბობს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი გორდონ ოლპორტი, — ფსიქოლოგია ნაკლები სრულყოფილობითა და სიღრმით მხოლოდ იმეორებს იმას, რასაც ფილოსოფია და პოეზია ყოველთვის უკეთ იტყოდა. ერთხელ ლორდ დუნსაუმ შენიშნა: „ფსიქოლოგები, ისე როგორც გზის შემკეთებელი მუშები, მხოლოდ ორი დიუმით ჩადიან მიწაში, მაშინ როდესაც პოეტები ამას აკეთებენ, როგორც

მემაღაროელნი, რომელნიც მთელი მილით მიდიან წაიღის სიღრმეში"[1]. ზოგს კიდევ, პირიქით, ხელოვნებაში დიდი მიღწევები არ წარმოუდგენია მეცნიერების დახმარების გარეშე. მაგ., ცნობილი გერმანელი თეატრმცოდნე ბ. ბრეხტი ამბობს: „როდესაც მე მივუთითებდი, რომ თანამედროვე მეცნიერებას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ხელოვნებას, განსაკუთრებით თეატრს, რომ მე არ შემიძლია შემოქმედება ზოგიერთი მეცნიერების გარეშე, ზოგიერთებში ეს ჩემი აზრი იწვევდა შეეპვებას ჩემს მხატვრულ ნიჭში. ისინი მიეჩვივნენ პოეტებში დაინახონ საოცარი, ზებუნებრივი უნარის მქონე არსებანი, რომელნიც ჭეშმარიტად ღვთაებრივი განჭვრეტით შეიმეცნებენ მოვლენას, რომლისთვისაც სხვებს დასჭირდებოდათ დიდი მონდომება და ჯაფა. მე უნდა გამოვტყდე, რომ ალმაცერად ვუყურებ იმ ადამიანებს, რომელნიც არ დგანან თანამედროვე მეცნიერული ცოდნის სიმაღლეზე... დიდი და რთული ხასიათის მსოფლიო მოვლენების გაგება არ შეუძლიათ იმათ. რომელნიც მსოფლიოს შემეცნებისათვის არ იყენებენ აუცილებელ დამხმარე საშუალებებს. ვთქვათ, საჭიროა გამოვხატოთ დიდი ვნებები და მოვლენები, რომელნიც გავლენას ახდენენ ხალხთა ბედზე. ასეთ ვნებებად ჩვენს დროში თვლიან ძალაუფლებისადმი სწრაფვას. ვთქვათ. პოეტს, რომელმაც იგრძნო ეს მისწრაფება, სურს ასახოს ადამიანი. რომელიც ისწრაფვის ძალაუფლებისაკენ. როგორ უნდა აიხსნას ის ურთულესი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ჩვენს დროში შესაძლებელია ძალაუფლების მოპოვება? თუ მისი გმირი პოლიტიკოსია, როგორ ხორციელდება პოლიტიკა? თუ იგი კომერსანტია. როგორ ხორციელდება კომერცია?.. ასეთი ცოდნის მოპოვება შეუძლებელია უსაქმო ხეტიალით და ფართოდ გაღებული თვალების მეშვეობით მსოფლიოს ჭვრეტით... დრამატურგისათვის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ფსიქოლოგია. ფიქრობენ, რომ თუ არა ყოველ ჩვეულებრივ ადამიანს, ყოველ შემთხვევაში პოეტს. ყოველგვარი სპეციალური შესწავლის გარეშე, შეუძლია წვდეს იმ მიზეზებს, რაც აღძრავს ადამიანს ჩაიდინოს მკვლელობა. პოეტს საკუთარი თავის შემეცნების ნიადაგზე შეუძლია მოგვცეს მკვლელის სულიერი სურათი. მთელი რიგი მიზეზებისა გამო არ შემიძლია

---

1 G. W. Allport, Becoming. Basic Considerations for Psychology of Personality, 1955 გვ. 3.

აღვივსო საკითხის ასე მარტივად გადაჭრის ტკბილი იმედით. მე ვერ ვახერხებ ჩემს თავში აღმოვაჩინო ყველა გამომწვევი მიზეზი, რომელნიც სიგაზეთო ანგარიშებისა და მეცნიერული გამოკვლევებით შეიძლება დავადგინოთ ადამიანებში. ისე, როგორც მოსამართლეს მსჯავრის გამოტანის დროს, მე არ შემიძლია დამატებითი კვლევის გარეშე წარმოვიდგინო მდგომარეობის ამომწურავი სურათი. თანამედროვე ფსიქოლოგია... მომცემს მე საშუალებას სულ სხვაგვარად გავიგო მოცემული შემთხვევა, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ სოციოლოგიას, აგრეთვე არ დავივიწყებთ პოლიტეკონომიას და ისტორიას. შეუძლიათ მითხრან, რომ ეს ხომ მეტად რთულია. მე იძულებული ვარ ვთქვა: რა თქმა უნდა, ეს ძლიერ რთულია... ხელოვნების ნაწარმოები, რამდენ მეცნიერულ ცოდნასაც არ უნდა შეიცავდეს, იგი მთლიანად გარდაქმნილ უნდა იქნეს ხელოვნებად"[1].

ბრეხტის მოსაზრება მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის შესახებ მთლიანად შეიძლება გავავრცელოთ ქარაქტეროლოგიისა და ხელოვნების, მწერლობის ურთიერთობაზე ხასიათის ბუნების შემეცნების საკითხში. როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერების მიზანია ადამიანის ხასიათის ბუნების, მისი არსის წვდომა, ამ არსის გათვალისწინების ნიადაგზე ხასიათის ტიპების გამოსახვა. მაგრამ ხასიათის არსი ხელოვნებაში სახის მეოხებით არის მოცემული. ზოგადი ინდივიდუალურ სახეში, პერსონაჟშია გამოსახული, მაშინ როდესაც მეცნიერებაში იგი ლოგიკურ ცნებას წარმოადგენს. ხასიათის ტიპოლოგია ესთეტიკაში ტიპიზაციის ცნობილი პრინციპის ნიადაგზე წარმოებს, რომელშიც წამყვანია მხატვრული ფანტაზია, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიაში იგი ხასიათის არსებითი ნიშნების გამოყოფის, განზოგადების. ზოგადი და არსებითი ნიშნების სინთეზირების გზითაა მიღებული. მეცნიერებაში ხასიათის ტიპი ადამიანთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებულობის შესახებ მეცნიერულ ცოდნას (ცნებას) გამოხატავს, ხელოვნებაში კი მხატვრულ სახეს (ტიპს). რომელიც უთუოდ ასახავს სინამდვილეს, აქვს დიდი შემეცნებითი ღირებულებაც. მაგრამ იგი არაა დადგენილი იმავე გზებითა და მიდგომით, როგორც ეს მეცნიერებაში ხდება. ხელოვნებას თავისი სპეციფიკური დანიშნულება აქვს, მისი

[1] Б. Брехт, О театре. 1960, გვ. 126—129.

სამყარო ესთეტიკურია, ამიტომაც ადამიანის არსების ლოგიკური ცნებებით გამოხატვა ხელოვნებისათვის შეუფერებელი და მომაკვდინებელი იქნებოდა.

ხასიათის ცნება. ხასიათის ცნების გაგებაში ფსიქოლოგიასა და ხელოვნებას შორის პრინციპული სხვაობა არაა, როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერების თვალთახედვით ხასიათის ცნებაში თავიდანვე იგულისხმებოდა მთლიანად ადამიანის თავისებურება, ამ მთლიანის რაგვარობა. სიტყვა ხასიათი ბერძნული წარმოშობისაა (Χαρακτήρ)და ნიშნავს გამოკვეთას, ანაბეჭდს, პიროვნების მიმართ კი გამოკვეთილ თავისებურებას. ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამ მნიშვნელობით იხმარა ეს სიტყვა ფილოსოფოსმა თეოფრასტემ. ხასიათის შესახებ ჩვენამდე მოღწეული პირველი წიგნის ავტორმა[1]. ჭარბი სულიერი ნიშნები: მშიშარობა, მლიქვნელობა, სიძუნწე და სხვა ამგვარი ოცდაათი ნიშანი თეოფრასტეს მიერ მიჩნეულია ხასიათის ძირითად თვისებად, პიროვნების თავისებურების გამომხატველად. ამ თვისებების ასპექტში განხილულია მთლიანი ადამიანის საქციელი. ხასიათის შესახებ მოძღვრების — ქარაქტეროლოგიის ყურადღების ცენტრში უძველეს დროიდან დღემდე დგას მთლიანი ადამიანის თავისებურების, ამ მთლიანის რაგვარობისა და ამის მიხედვით ადამიანის სოციალური ქცევის განსხვავებულობათა დადგენის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ხელოვნებაში, ისე ფსიქოლოგიაში არაა სრული შეთანხმება ხასიათის ცნების განსაზღვრებაში, მაინც ყველასთვის უდავოდაა მიჩნეული, რომ ხასიათის ცნებაში იგულისხმება არა ყველაფერი, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის, მაგალითად, ფსიქიკური პროცესები — აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, ფანტაზია, გრძნობა ან ისეთი თვისებები, როგორიცაა უნარები, ინტერესები, ტემპერამენტი და სხვა, გარკვეულ ფარგლებში ყველა ეს სულიერი პროცესები და თვისებები შეიძლება მონაწილეობდნენ ხასიათში, მაგრამ ხასიათი იმით გამოირჩევა სხვა თვისებებისაგან, რომ იგი გამოხატავს პიროვნების იმ თავისებურებას, რომელიც გამოკვეთილ დაღს ასვამს პიროვნების საქციელს, მის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით სხვა ადამიანებთან. ყველა მკვლევარი, რომელიც კი ხასიათის საკითხს ეხება, იმ გარემოებაზე მიუთი-

---

[1] Теофраст, Характеристики, 1898 г.

თებს, რომ ხასიათი ასახავს პიროვნების შინაგან წყობას, სტრუქტურას, რომელიც ინდივიდის, როგორც სოციალური არსების, განსხვავებელ თვისებათა ერთიანობას წარმოადგენს. ამ შინაგან წყობაში, მრავალი ავტორის აზრით, წამყვანი როლი ნებელობას ეკუთვნის. ხასიათის ნიშნებიდან სრულიად გარკვევით მომდინარეობს პიროვნებისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური საქციელი. ადამიანის ხასიათის ცოდნა ნიშნავს მისი იმ არსებითი თვისებების ცოდნას, რომლისგან გარკვეული ლოგიკით და შინაგანი თანმიმდევრობით ვლინდება მისი საქციელი, — საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, ობიექტურ ღირებულებებთან მისი დამოკიდებულება. თუ იცი ადამიანის ხასიათი, მაშინ იცი, როგორ მოიქცევა იგი ცხოვრების სხვადასხვა პირობებში.

ადამიანის ტიპოლოგიის პრინციპები ხელოვნებასა და ფსიქოლოგიაში. როგორც ხელოვნება, მწერლობა, ისე ფსიქოლოგია ცდილობს ადამიანის ხასიათის ბუნების, ხასიათის მიხედვით ადამიანთა შორის განსხვავებულობის დადგენას. ხელოვნება ამას აღწევს ტიპიზაციის მეთოდით.

ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით ტიპიზაციის რთული და სადავო საკითხის ყოველმხრივ განხილვას, რაც არისტოტელეს დროიდან დღემდე აწუხებს ესთეტიკას. ამ საკითხს აქ ვეხებით იმდენად, რამდენადაც ფსიქოლოგიასა და ხელოვნებაში ადამიანის ხასიათი ყოველთვის ტიპის სახითაა მოცემული. ჭეშმარიტ ხელოვნებას, ასევე ქარაქტეროლოგიას აინტერესებს არა ცალკეული ადამიანის ხასიათი, არამედ მისი ზოგადი ბუნების გათვალისწინებით ხასიათის ტიპების დადგენა.

ხასიათს, როგორც პიროვნების თვისებას, თავისი ზოგადი ნიშნები აქვს, ე. ი. ისეთი ნიშნები, რომელნიც ყველა ადამიანის ხასიათისთვისაა ნიშნეული. მაგალითად, ყოველი ხასიათი გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულების თავსებურებას თავისთავთან და სხვა ადამიანებთან (სიამაყე, პატივმოყვარეობა, თავმდაბლობა, მეგობრობა, სიყვარული და სხვ.), რომ ხასიათის ნიშნად იგულისხმება ნებელობის სიმტკიცე, თავისთავის დაუფლების, იმპულსების შეკავების უნარი და სხვა. ამავე დროს ხასიათი გამოხატავს ინდივიდუალურ განსხვავებულობასაც. ხასიათის ცნებაში იგულისხმება, რომ ხასიათის მიხედვით ადამიანები ურთიერთისაგან განსხვავებულია. მაგალითად,

ერთი ადამიანი მტკიცე ხასიათისაა, შეუძლია თავისთავის დაუფლება და საკუთარი მიზნებისათვის მთელი ენერგიის მობილიზაცია, ძაშინ როდესაც მეორე ადამიანი ხასიათის მიხედვით სუსტია, მას ადვილად ეუფლება მოთხოვნილების იმპულსები, არ შესწევს ძალა იბძოლოს ნებელობის მიზნებისათვის. ამრიგად, ერთში ჭარბობს ნებელობის სიმტკიცე, მეორეში სისუსტე. ნებელობის სიმტკიცისა და სისუსტის ნიშნების გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ ხასიათის ორი ტიპი — მტკიცე და სუსტი ხასიათის ადამიანები. ამ შემთხვევაში ტიპი მიღებულია ხასიათის ჭარბი ნიშნების მიხედვით ადამიანების დაჯგუფების შედეგად. ფსიქოლოგიაში მიღებულია ტიპის ცნების შემდეგი განსაზღვრება: ტიპი არის პიროვნების ჭარბი თვისება, რითაც ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ისე რომ ეს ადამიანები ამ თვისებით სავსებით არ იყვნენ ურთიერთისაგან გამოთიშული. მაგალითად, ყოველ ადამიანს აქვს წარმოდგენა, ამით იგი ჰგავს სხვა ადამიანს. მაგრამ ერთისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს (ჭარბად ჰქონდეს განვითარებული) მხედველობითი წარმოდგენები, მეორესთვის კი სმენითი წარმოდგენები. მაგალითად, ცნობილია, რომ ლევიტანს შეეძლო ნათლად წარმოედგინა ზამთარში ზაფხულის პეიზაჟები, ხოლო ზაფხულში ზამთრისა. ბეთ-ჰოვენი დაყრუების შემდეგაც ნათლად წარმოიდგენდა მუსიკალურ ტონებს: ამის შემდეგ დასწერა მან მეცხრე სიმფონია. ადამიანი, რომელშიც ჭარბობს მხედველობითი წარმოდგენა, მიეკუთვნება მხედველობითი წარმოდგენის ტიპს, ხოლო რომელშიც სმენითი წარმოდგენებია მოჭარბებული, სმენითი წარმოდგენის ტიპს. იგივე შეიძლება ითქვას ხასიათის ტიპის შესახებ. ნებელობის სისუსტე და სიმტკიცე განაპირობებს სუსტი და მტკიცე ხასიათის ტიპების არსებობას, ე. ი. ადამიანთა ისეთი ჯგუფების არსებობას, რომელთა ძირითადი ნიშანია ხასიათის სიმტკიცე თუ სისუსტე.

ტიპი ყოველთვის გამოხატავს ადამიანის დახასიათებას ჭარბი, სწორედ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ფსიქოლოგიაში ცნობილი ტიპოლოგიური სისტემები ემყარება ხასიათის ერთი ან რამდენიმე ნიშნის სიჭარბის პრინციპს. მაგალითად, გამოჰყოფენ გრძნობის, ნებელობის, გონების ადამიანის ტიპებს ან კიდევ ჰარმონიულ და კონფლიქტურ ადამიანებს. ხელოვნებაში ერთი ჭარბი სულიერი ნიშნის (სიძუნწე, იქვი, პატივმოყვარეობა და სხვ.) წინ

წამოწევის საფუძველზე დახატულია მთლიანად ადამიანის ხასიათი, ადამიანის საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, მთელ სამყაროსთან დამოკიდებულების ყველა მხარე. ხასიათის ტიპის დადგენა როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში ნიშნავს უთუოდ ჭარბი ნიშნების მიხედვით ადამიანთა დაჯგუფებას. მაგალითად, მოლიერმა, რასინმა, ნაწილობრივ შექსპირმა ხასიათის ერთი ნიშნის აქცენტირების ნიადაგზე გადაგვიშალეს ადამიანის სულის მთელი სიღრმე; ჰომეროსმა, სოფოკლემ, რუსთაველმა, ტოლსტოიმ, ბალზაკმა, დელაკრუამ ადამიანის ხასიათის მრავალი ნიშნის ერთდროული გათვალისწინებით გამოკვეთეს ადამიანის მთლიანი, ჰარმონიული და კონფლიქტური ტიპები; ჰარმონიულში ჭარბობს ცალკეულ პიროვნულ თვისებებს შორის წონასწორობა, კონფლიქტურში კი უწონასწორობა. მეცნიერებაში თეოფრასტე, ლაბრუიერი, რიბო, ფულიე, პოლანი ცდილობენ ცალკეული ჭარბი ნიშნებით (მლიქვნელობა, სიძუნწე, აფექტების, ნებელობის, გონების სიჭარბე) ხასიათის ტიპების დადგენას. კლაგესი, შტერნი, ლაზურსკი და სხვები ხასიათის ტიპოლოგიაში ემყარებოდნენ წამყვანი მთლიანობით სახის ნიშნების (ინსტიქტი, დისპოზიცია, მიდრეკილება) ერთიანობის პრინციპს, მაგრამ ყველგან ტიპოლოგიის საფუძველი მაინც ჭარბი, დამახასიათებელი ნიშნებია.

ტიპოლოგიის ეს პრინციპი განსხვავდება ლოგიკური კლასიფიკაციის პრინციპებისაგან, ე. ი. ურთიერთის გამომრიცხველი ზოგადი და არსებითი ნიშნებით მოვლენების გარკვეულ კლასებად დაჯგუფებისაგან. მაგალითად, ზოოლოგიაში ცხოველების ყველა ნიშნის ანალიზისა და შედარების გზით აგნებენ ისეთ ნიშნებს, რომლებიც აქვს ცხოველთა ერთ ჯგუფს (მაგალითად, ხერხემალი) და სრულებით არ გააჩნია მეორე ჯგუფს. ამ შემთხვევაში ხერხემლიანობა ისეთი ზოგადი და არსებითი ნიშანია, რომლის გათვილისწინებით შეიძლება გამოიყოს ცხოველთა მთელი კლასი ხერხემლიანები. ხერხემლიანობა, როგორც არსებითი და ზოგადი ნიშანი, დამახასიათებელია მხოლოდ ხერხემლიან ცხოველებისათვის, ამ ნიშნით იგი აბსოლუტურად გამოყოფილია და განსხვავდება ცხოველების მეორე კლასისაგან — უხერხემლოებისაგან. ტიპოლოგია არ წარმოებს ურთიერთის გამომრიცხველი ნიშნების საფუძველზე.

ყოველ ადამიანში, როგორც შესაძლებლობა, მოცემულია ყვე-

ლა ადამიანური ნიშანი. ამ მხრივ ადამიანი წარმოადგენს მიკროკოსმოსს. შტერნის თქმით, ყოველ ადამიანში ჩანასახში მაინც მოიპოვება ცხოველის, ბავშვის, ხელოვანის, ფსიქოპატის, ბოროტმოქმედის, რომანტიკოსის ნიშანი... ამრიგად, შეიძლება ითქვას, ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ტიპის ყოველი წარმომადგენელი საწინააღმდეგო, დისპარატული ტიპის თვისებებს ამა თუ იმ სახით შეიცავს. შეუძლებელია ხასიათის ისეთი თვისებების დადასტურება, რომლებიც მეტ-ნაკლებად არ მოიპოვებოდეს ყოველ ნორმალურ ადამიანში. თვით სოციალურად სავსებით დადებითი ხასიათის ნიშნების მქონე ადამიანშიც შეიძლება ვიპოვოთ შურის, მტრობის, ქედმაღლობის, მლიქვნელობისა და სხვა ამგვარი ნიშნები მცირე დოზით მაინც, რაც რა თქმა უნდა, დაძლეულია მტკიცე ნებელობით, მაღალი ზნეობრივი თვისებებით; პირიქითაც ყოველ კონფლიქტურ და ეთიკურად უარყოფით პიროვნებაშიც შეიძლება ვნახოთ გაუშლელი სახით ყველა დადებითი ადამიანური ნიშანი. ხასიათის ისეთ ნიშანიც, როგორიცაა, ნებელობის სიმტკიცე, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ ნიშნით მტკიცე ხასიათის ადამიანი სავსებით გამოცალკევებულია სუსტი ხასიათის ადამიანებისაგან. ნებლობის სიმტკიცე შედარებითი ცნებაა, არსებობს მეტ-ნაკლებად ძლიერი ნებელობა ;თვით სუსტი ნებელობა ნაკლებად ძლიერი ნებელობაა. გარდა ამისა, ყოველი სუსტი ხასიათის ნორმალური ადამიანის ცხოვრებაში მოიძებნება ისეთი მომენტი, როდესაც მისი ნებელობის მოქმედება სიმტკიცის ნიშნითაა აღბეჭდილი. ძველი რომაული ბრძნული გამონათქვამი: „ყოველი ადამიანური ჩემთვის უცხო არაა“ სრულ ფსიქოლოგიურ სიმართლეს შეიცავს. საგულისხმოა, რომ ადამიანის ბუნების ამგვარი გაგება ფართო პერსპექტივებს გვიშლის ხასიათის აღზრდისა და გარდაქმნის მიმართულებით: მიუხედავად ყველა ადამიანური თვისების შესაძლებლობის სახით მოცემულობისა, ადამიანი, რომელიც აღჭურვილია თავისი იმპულსების შეკავების, ობიექტივაციისა და რეგულაციის უნარით, როგორც სოციალური ინდივიდი, თავისი საქციელის გამო პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე.

რადგან ფსიქიკის, კერძოდ, ხასიათის ყველა ნიშანი, ჩანასახის ან განვითარებული სახით, ყველა ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, სწორედ ამიტომ ინდივიდუალური განსხვავებულობის მიხედ

ვით ადამიანთა დაჯგუფება, ტიპოლოგია ხელოვნებასა და ფსიქოლოგიაში შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჭარბი და არა ურთიერთგამომრიცხველი ნიშნების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ხელოვნების მიერ დადგენილი ხასიათის ტიპი მხატვრული სახეა, ფსიქოლოგიაში დადგენილი ტიპი კი ცნება. მხატვრული სახის შემუშავების. „ტიპიზაციის“ და ხასათის ფსიქოლოგიური ტიპის, „ცნების“ დადგენის გზაც განსხვავებულია. მიღებული შედეგიც (მხატვრული ტიპი-პერსონაჟი და ტიპი-ცნება) ადამიანზე განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს. ცნება-ტიპს მხოლოდ ინტელექტუალური შემეცნებითი ღირებულება აქვს, მხატვრულ პერსონაჟში კი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება ერთიანობაშია მოცემული, სადაც წამყვანია ესთეტიკური მომენტი.

ტიპიზაციის პრობლემა ხელოვნებაში. ხასიათის ტიპიზაციის ძირითად ნიშნებს ჯერ კიდევ არისტოტელემ გაუსვა ხაზი. არისტოტელე აღნიშნავს, რომ „ისტორიკოსი და პოეტი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად აქვს მხედველობაში ზოგადი, ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული. ზოგადი, რომელიც პოეზიას თავის გმირებისათვის სახელების მიცემის დროსაც კი მხედველობაში აქვს, ის არის, რომ წარმოადგინო, თუ რომელ კაცს როგორი სიტყვა ან ქცევა შეეფერება ალბათობისა ან აუცილებლობის კანონის მიხედვით“[1]. არისტოტელესათვის მხატვრული სახე (ტიპი) არის ზოგადი ხასიათის. მაგრამ, აბსტრაქტული ცნებისაგან განსხვავებით, კერძოს და ზოგადის ერთიანობაა, იგი არის რეალური საგნების რეალური სახე, ინდივიდუალურ საგნების მიბაძვით შექმნილი ერთი სახე, რომელშიც წარმოდგენილია მრავალი საგანი; ინდივიდუალურში ასახულია, „გახსნილია“ ზოგადი.

არისტოტელეს მიერ მოცემული ტიპიზაციის გაგება ბევრჯერ ყოფილა დისკუსიის საგანი, რასაც აქ არ შევეხებით. უმთავრესად დავის საგანი იყო ტიპისა და ცნების ურთიერთობის საკითხი. ზოგი-

---

[1] არისტოტელე, პოეტიკა, გვ. 20—21, 1944 წ., პროფ. ს. დანელიას თარგმანი.

ერთის აზრით, ტიპიზაცია მხოლოდ განზოგადების, ე. ი. ცნების შემუშავების პროცესია, ტიპი არსებითად იგივე ცნებაა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ტიპი-ცნება თვალსაჩინო ილუსტრაციის სახით, კონკრეტულ სახეშია განხორციელებული. სხვების აზრით, ტიპისათვის არის დამახასიათებელი ტიპიური ნიშნების სინთეზი. ტიპში არაგრძნობადი, ზოგადი შინაარსი, გრძნობადის, თვალსაჩინოს მეშვეობითაა გამოქანდაკებული. ტიპიზაციის პროცესი ემორჩილება შემოქმედებითი ფანტაზიის და არა ცნების შემუშავების კანონებს. ორივე შეხედულებას წარსულში ჰყავდა თავისი დიდი წარმომადგენელი. საბჭოთა ესთეტიკაშიც ეს პრობლემა არაერთხელ ყოფილა დისკუსიის საგანი. ჩვენი აზრით, უფრო სწორია მეორე შეხედულება. ამ უკანასკნელში ნათლად ჩანს ხელოვნების შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქციის ერთიანობა[1].

ამ შეხედულების მიხედვით რომელიმე მხატვრული ტიპის. მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძის ტიპის შექმნის პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გარკვეული იდეური მიმართულება ამოძრავებდა, გააჩნდა სრულიად გარკვეული შეფასებითი დამოკიდებულება ბატონყმური წყობილებისადმი. ლუარსაბის, როგორც ხასიათის ტიპის შექმნისათვის, პირველ რიგში, მიმართავდა მებატონეების ყოფაცხოვრების, მათი საქციელის დამახასიათებელი სულიერი თვისებების შესწავლას. მებატონეების ყოველმხრივი შესწავლის, დიდი ინტელექტუალური მუშაობის შედეგად მწერალი წვდა მებატონის სოციალურსა და ფსიქოლოგიურ არსს, მისი ხასიათის ბუნებას. დაკვირვების შედეგად იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მებატონის თავისთავთან და სხვა ადამიანთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს დაბალი მოთხოვნილებები. ასეთი ადამიანის სულიერ სამყაროდან, როგორც სარკიდან იხედება უვიცობა, გონებრივი სიღატაკე, წოდებრივი ინტერესებით შეზღუდულობა, ცრუმორწმუნეობა, სხვა ადამიანის ექსპლოატაცია, უსაქმურობა, ჩიზარმაცე, კვების, ტკბილი ცხოვრების იმპულსი: მებატონის სოციალური არსი დაბალი მოთხოვნილებითაა განსაზღვრული. აქედან მომდინარეობს მისი ხასიათის მრავალი უარყოფითი ნიშანი.

---

[1] ტიპიზიციის შესახებ ზემოთ აღნიშნულ სწორ შეხედულებას ჩვენში წარმატებით ანვითარებს ნ. ჭავჭავაძე თავის საინტერესო წიგნში „ესთეტიკის საკითხები", 1958 და ი. გ. მასეევი (Вопросы философии, № 6, 1954).

მაგრამ მებატონის ხასიათის არსის წვდომა, მისი ლოგიკური განსაზღვრება, ე. ი. ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის ცნებებით მებატონის დახასიათება ჯერ კიდევ შორსაა იმისაგან, რაც ილიამ თავის დიდებულ მხატვრულ ქმნილებაში „კაცია-ადამიანში?!“ ლუარსაბის ტიპის სახით მოგვცა. მებატონის სოციალური და ქარაქტეროლოგიური არსის წვდომა მხოლოდ პირველი საფეხურია ჰეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის; შემდგომ საფეხურს წარმოადგენს შესაფერისი მხატვრული პერსონაჟის შერჩევა, ამ პერსონაჟის ისეთი თვისებებით აღჭურვა, რომლებიც შეეფერება მებატონეთა არსს, ე. ი. მებატონის ამსახველი პერსონაჟის ისეთი ნიშნებით დახატვა, რაც მებატონის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს. რადგან სინამდვილეში არ არსებობს ისეთი კონკრეტული ადამიანი — მებატონე, რომელიც მთელი სისრულით შეიცავდეს მებატონის ბუნებისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას, წარმოადგენდეს მებატონის სრულ პროტოტიპს, ამიტომ მწერალი თავის ფანტაზიით ქმნის ისეთ პერსონაჟს, რომელშიც კონცენტრირებულია მებატონისათვის დამახასიათებელი ყველა ჭარბი ნიშანი. ეს პერსონაჟია ლუარსაბ თათქარიძე, სინამდვილის მხატვრული შემეცნებისა და მისი გარდაქმნის ნიადაგზე, ე. ი. ფანტაზიით შექმნილი მხატვრული სახე. ლუარსაბში მებატონეთა შინაგანი ბუნება მთელი სისრულითაა ასახული. მის ხასიათში კონდენსირებულად წარმოდგენილია მებატონის სოციალური არსი და ვიტალური, ცხოველური იმპულსებიდან შეუზღუდავად მომდინარე მცონარეობა, გაუმაძღრობა, გასტრიული იმპულსების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული სიამოვნებაში განცხრომა. სწორედ ამ ტიპიზაციის პროცესშია ჩართული ხელოვანის შემოქმედებითი ფანტაზია. რაც უფრო კონკრეტული, ხელსახები იქნება მხატვრული ტიპი, რაც უფრო „გახსნილად“ იქნება ასახული ამ თვალსაჩინო ხატში სინამდვილის შინაგანი ბუნება და მასში ჩაქსოვილი დიდი იდეური შინაარსი, მით უფრო მაღალი მხატვრული ღირსებისაა ხასიათის ტიპი. მხატვრული პერსონაჟის შექმნა ემორჩილება შემოქმედების ფანტაზიის კანონებს, რაც კარგად ცნობილია ფსიქოლოგიაში. ხასიათის ტიპის შექმნისას ხელოვანი მიმართავს სინამდვილის ცალკეული ნიშნების კომბინაციას, შერწყმას. მაგალითად, ლევ ტოლსტოი წერდა, რომ ნატაშას ხატის შექმნისათვის მან აიღო ზო-

გი თვისება საკუთარი ცოლისაგან, ზოგი კი ცოლისდა ტანიასაგან, „გადანაყა“ ეს თვისებები და მიიღო ნატაშას სახე. გოეთე ამბობს, — „ჩემ ლოტტეში (ვერტერში) მე შევაერთე ნაცნობი ქალიშვილების ნიშნები, თუმცა პროტოტიპი ზოგად ხაზებში გადავწერე უკეთესი და ჩემთვის ყველაზე საყვარელიდან“.

მხატვრული პერსონაჟის შექმნის პროცესი გარდა იმისა, რომ ემორჩილება შემოქმედებითი ფანტაზიის კანონებს, არის შემოქმედის, როგორც გარკვეული იდეოლოგიის, მრწამსის, შეხედულების მატარებელი ადამიანის შემოქმედების ნაყოფი. ხელოვანი მხატვრულ ნაწარმოებს, ამ ნაწარმოების პერსონაჟების ხასიათებს ქმნის გარკვეული მიზნით, ამჟღავნებს გარკვეულ სუბიექტურ დამოკიდებულებას, სიმპატიასა და ანტიპატიას ამ პერსონაჟებისადმი. იგი წვდება რა სოციალური მოვლენების, მათი შინაგანი წინააღმდეგობის არსს, ასახავს საზოგადოებრივი ძალების ტიპიურ ხასიათებს საკუთარი პიროვნების პრიზმაში გავლით. უთუოდ სწორია შეხედულება, რომლის მიხედვით ყოველი მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობას. მხატვრულ ნაწარმოებს ატყვია არა მხოლოდ ეპოქის დაღი, არამედ ხელოვანის ინდივიდუალობის, კერძოდ, მისი პიროვნების არსად ქცეული მსოფლმხედველობის დაღი. ეს მისი არსი ჩაქსოვილია მისი ნაწარმოებების პერსონაჟებში, იგი თავს იჩენს ამ პერსონაჟებისადმი მწერლის შეფასებითს დამოკიდებულებაში. დობროლუბოვის თქმით, „ნიჭიერი მხატვრის ნაწარმოებებში, რაოდენ მრავალფეროვანი არ უნდა იყოს ის, ყოველთვის შეიძლება შემჩნევა იმ საერთოსი, რომელიც ახასიათებს ყველა მათგანს და განასხვავებს სხვა მწერლის ნაწარმოებებისაგან. ხელოვნების ტექნიკურ ენაზე მიღებულია ამას ვუწოდოთ მსოფლმხედველობა. მაგრამ ტყუილად ვიცოდვილებდით ეს მსოფლმხედველობა ლოგიკურად გაგვემართა, გამოგვეთქვა განყენებულ ფორმულებში... საკუთარი შეხედულება სამყაროზე რომელიც გასაღებია მისი ტალანტის დასახასიათებლად, უნდა ვეძიოთ მის მიერ შექმნილ ცოცხალ სახეებში“[1].

ყოველ დიდ შემოქმედს აქვს თავისი ესთეტიკური იდეალი. ამ იდეალით განათებულია საზოგადოებაში კონფლიქტები კეთილსა და ბოროტ ხასიათებს შორის. ეს იდეალი შემოქმედის შინაგანი სამყა-

[1] Добролюбов. Собр. сочин. в трёх том., т. 2, гз. 175.

როა, მისი უმაღლესი მისწრაფება, რომელიც ამოძრავებს მისი შემოქმედების უნარს და ექსოვება მის ქმნილებებს. შინაგან მამოძრავებელ ძალას, რომელსაც ხელოვანი შთაბერავს თავის ქმნილებას, ხასიათებს ჰეგელი უწოდებს „პათოსს“: ჩვენ შეგვიძლია ანტიკური ავტორების მსგავსად აღვნიშნოთ სიტყვა Πάθος -ით საყოველთაო ძალები, რომლებიც ცხოვრობენ ადამიანის მკერდში, ამოძრავებენ სულს მის სიღრმეში... ისინი წარმოადგენენ მხოლოდ იმის ზოგად შინაარსს, რომელიც იძულებელ ყოფს ყოველ ადამიანს მოქმედებისაკენ... პათოსის ქვეშ უნდა გვესმოდეს არსებითი გონიერი შინაარსი, რომელიც თან ახლავს ადამიანებს, ავსებს და ეღენთავს მთელ სულს... პათოსი წარმოადგენს ხელოვნების ნამდვილ ცენტრს, ნამდვილ სამეფოს... რადგან პათოსი ეხება იმ სიმს, რომელიც გამოძახილს პოულობს ყოველი ადამიანის გულში“[1].

ჰეგელის მიხედვით, ასეთ სულიერ შინაარსს ხელოვნებაში წარმოადგენს ხასიათი, რომელსაც ასახავს დიდი პათოსის მქონე ხელოვანი.

ჰეგელი ხასიათის შესახებ. ესთეტიკაში არც ისე ბევრია ისეთი შრომები, რომელნიც სპეციალურად ეხებიან ხასიათის პრობლემას და განიხილავენ მხატვრულ ტიპს. როგორც ხასიათის ტიპს; როგორც აღვნიშნეთ, ყველა ავტორი ხელოვნებაში მოცემული ადამიანის ხასიათის ტიპის ქვეშ გულისხმობს გარკვეული ხასიათის მატარებელ კონკრეტულ ინდივიდს, რომელშიაც ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები ერთიანობაშია მოცემული, რომლის საქციელი — თავისთავთან, საზოგადოებასთან, სამყაროსთან დამოკიდებულება იშლება შინაგანი ბუნების მიხედვით; ამ შინაგან ბუნებაში, პიროვნების არსში იგულისხმება ხასიათი, პიროვნების ყველაზე არსებითი, დამახასიათებელი თვისებების ერთიანობა, რომლითაც აღბეჭდილია ადამიანის საზოგადოებრივი საქციელი. ყველა ავტორთა შორის, ესთეტიკის თვალსაზრისით, ხასიათის პრობლემის გაშუქებაში უპირატესობა აქვს ფილოსოფოს ჰეგელს, რომელმაც საკითხის ღრმა ცოდნით განიხილა ხასიათის პრობლემა და უჩვენა ხასიათის ტიპის ადგილი და მნიშვნელობა მხატვრულ შემოქმედებაში. თუ ჰეგელის შეხედულებას ხასიათის შესახებ ჩამოვაცლით იდეალისტურ სამოსელს და დავტოვებთ მძლავრ რაციონალურ მარცვალს, რო-

[1] Гегель, Эстетика, соч. том XII, зз. 336—337.

მელიც ნათლად ჩანს მის ესთეტიკურ კონცეფციაში, რასაც თავის დროზე აღტაცებაში მოჰყავდა ფრ. ენგელსი[1], ტიპიური ხასიათების სრულყოფა შემდეგი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ:

ა. ხასიათი განხილულ უნდა იქნეს, როგორც მთლიანი ინდივიდუალობა, მთელი შინაგანი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. ყოველი ადამიანი თავის თავში ატარებს, როგორც თავის პათოსს, არა ერთ თვისებას, არამედ ადამიანის სული დიადია და უსაზღვრო. ყოველი ადამიანი ატარებს თავისთავში მრავალ მამოძრავებელ ძალას — თვისებას („ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი თავის სულში ატარებს მრავალ ღმერთს და იგი თავის გულში ითავსებს ყველა იმ ძალებს, რომლებიც განბნეულად არსებობენ ღმერთების წრეში: მთელი ოლიმპი თავმოყრილია მის მკერდში. ამ აზრით თქვა ერთმა ძველმა ფილოსოფოსმა: „ო, ადამიანო, საკუთარი ვნებებიდან შენ შექმენი ღმერთები"). ხასიათი უნდა გამომჟღავნდეს მთელი თავისი სიმდიდრით. სწორედ ისაა ხასიათში საინტერესო, რომ მასში თავს იჩენს დიდი მრავალსახეობა. ამავე დროს ამ სავსეობაში იგი რჩება მთლიანი, თავისთავში დასრულებული. თუ ხასიათი თავს იჩენს არა როგორც მრავალ ძალთა ერთიანობა, არამედ როგორც ერთი ვნება, ადამიანი ხდება ერთი ვნების სათამაშო; ასეთი ხასიათი სუსტია, ძალას მოკლებული. ჰომეროსთან ყოველი გმირი შეიცავს ხასიათის მრავალ თვისებასა და ნიშანს. აქილევსი არის ყველაზე ახალგაზრდა და გმირი, მაგრამ მის ჭაბუკურ სულს არ აკლია ყველა დანარჩენი ადამიანური თვისება. ჰომეროსი ეადაგვიშლის აქილევსის ხასიათის ნიშნების მრავალფეროვნებას, აყენებს რა მას მრავალ განსხვავებულ მდგომარეობაში. ჰომეროსის სხვა გმირებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ სამყაროს; ყოველი გმირი წარმოადგენს საკუთარ ცოცხალ ადამიანს და არა ალეგორიულ აბსტრაქციას ხასიათის რომელიმე ნიშნისა. როგორ ცივ, ღარიბ, თუმცა ძლიერ ადამიანებად გამოიყურებიან მათთან შედარებით ზიგფრიდი, გაგენი და ფოლკერი („სიმღერა ნიბელუნგებზე" გმირები). მხოლოდ მრავალმხრივი ხასიათი იწვევს ცხოველ ინტერესს. ამავე დროს ხასიათის ამ სახეობამ თავი უნდა იჩინოს ერთ სუბიექტში შერწყმულად და არა როგორც დაფანტულობა, ზერელობა, როგორც მრავალსახოვანი აგზნებადობა. როგორც ამას ვხვდებით ბავშვებში, რომელნიც ყველაფერს ტაცებენ

[1] Маркс и Энгельс об искусстве, გვ. 211. 1937 г.

ხელს, მოკლე ხნით ინტერესდებიან და თამაშობენ ამ საგნებით, მაგრამ მოკლებულნი არიან ხასიათს. პირიქით, ხასიათი უნდა შეუერთდეს ადამიანის სულის ყველა მხარეს; ამ ერთობლიობაში ყოველთვის უნდა ჩანდეს ხასიათის ნიშნები — ინტერესები, მიზნები, თვისებები — თავისთავში კონცენტრირებულად, როგორც მყარი სუბიექტურობა. ჰეგელის აზრით, ასეთი მთლიანი ხასიათის ასახვისათვის უფრო ხელსაყრელია ეპიკური, ვიდრე დრამატული და ლირიკული პოეზია.

ბ. ხასიათის მთლიანობა თავს უნდა იჩენდეს, როგორც გარკვეული ინდივიდუალური თავისებურება. სიტუაციებსა და კოლიზიებში გაშლილი მოქმედება გულისხმობს მოთხოვნას, რათა ხასიათის კონკრეტული სახე იყოს შეზღუდული და გარკვეული. ხასიათის თავისებურება, მისი გარკვეულობა ნათლად მჟღავნდება, როცა ხასიათში როგორც არსებითი თვისება ჭარბობს ერთი რომელიმე პათოსი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მიზნებს, გადაწყვეტილებებს, საქციელს. მაგრამ თუ ხასიათის მრავალმხრივობის შეზღუდვა იქამდე აღწევს, რომ ადამიანი იქცევა მხოლოდ ერთი პათოსის აბსტრაქტულ ფორმად. მაგ., სიყვარულის, თავმოყვარეობისა და სხვ. მაშინ ხასიათს ეკარგება ყოველგვარი სიცხოველე და სახე. რადგან მასში წინ წამოწეულია მხოლოდ ერთი მხარე, იგი ღარიბად და ცივად გამოიყურება. ამიტომ თუმცა ხასიათში ერთი რომელიმე მთავარი მხარე უნდა იყოს გაბატონებული, მაგრამ ასეთი გარკვეულობის ფარგლებში მთლიანად უნდა შენახულ იქნას მისი სიცხოველე და სავსეობა, ისე რომ პიროვნებას შეეძლოს თავისთავის ყოველმხრივად გამომჟღავნება, ამყოფოს თავისთავი მრავალფეროვან სიტუაციებში და მრავალმხრივად გამოავლინოს თავისი შინაგანი სამყაროს მთელი სიმდიდრე. ასეთი სიცხოველით ხასიათდება სოფოკლეს ტრაგიკული სახეები, მიუხედავად მათი მარტივი პათოსისა. ჰეგელის აზრით, სკულპტურულ ხელოვნებასაც შეუძლია გამოხატოს ხასიათის მრავალმხრივობა, თუმცა ქანდაკება თავის ჩუმ მდუმარებაში გამოხატავს თავისთავში დახშულ მძლავრ ნეიტრალობას, მაგრამ ეს აუღელვებელი ერთიანობა არ რჩება აბსტრაქტულ გარკვეულობაში. ჩვენ მასში ვხედავთ მშვიდ სიღრმეს, რომელიც შეიცავს უნარს, განახორციელოს თავისთავში ყველა ძალა. ხასიათის შინაგანი მრავალფეროვნების გამოხატვაში მეტი მოეთხო-

ვება მხატვრობას, მუსიკასა და პოეზიას. ყველა დროის ჭეშმარიტი ხელოვანნი იძლეოდნენ თავიანთ ქმნილებებში შინაგან მრავალფეროვნებას. მაგალითად, შექსპირის ტრაგედიაში „რომეო და ჯულიეტა“ რომეოს ძირითადი პათოსია სიყვარული, მაგრამ ჩვენ მას ვხედავთ მრავალ განსხვავებულ დამოკიდებულებებში მშობლებთან, საკუთარ პაჟთან; ჩვენ ვხედავთ, რომ იგი თავის თავმოყვარეობის დასაცავად ედავება ტიბალტს და იწვევს მას ორთაბრძოლაში, იგი სათნოებით და ნდობით ეპყრობა ბერს და სამარის პირად მდგომიც გაბამს საუბარს მეაფთიაქესთან, რომლისაგანაც იგი ყიდულობს შომაკვდინებელ შხამს; ყველა მდგომარეობაში იგი რჩება ღირსეულ, კეთილშობილურ, ღრმა გრძნობის ადამიანად. ზუსტად ამგვარადვე ჯულიეტა მრავალმხრივ დამოკიდებულებაში იმყოფება მამასთან, დედასთან, ძიძასთან, გრაფ პარისთან, მოძღვართან; მაგრამ იგი ერთნაირად ღრმად ჩაძირულია როგორც თავისთავში, ისე ყველა ამ სიტუაციაში; მთელი მისი ხასიათი გამსჭვალულია მხოლოდ ერთი გრძნობით, მხოლოდ სიყვარულის ვნებით, რომელიც ღრმა და ფართოა, როგორც უსასრულო ზღვა, ასე რომ ჯულიეტას შეუძლია სრული უფლებით თქვას — მე რაც უფრო მეტს გავცემ, მით უფრო მეტი მრჩება; ის, რასაც იგი გასცემს და რაც მას რჩება, ერთნაირად უსაზღვროა. ამიტომ მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა გამოხატოს მხოლოდ ერთი პათოსი, მაგრამ ამ გარემოებამ ხელი არ უნდა შეუშალოს პიროვნების ხასიათის სხვა თვისებების გამოვლენას. ხასიათის მრავალფეროვანი ნიშნების გამოჟღაენება ერთი რომელიმე ნიშნის სიჭარბის ფარგლებში შეიძლება მოგვეჩვენოს არათანმიმდევრულად — ამბობს ჰეგელი. მაგალითად, აქილევსი, რომელიც მრავალი კეთილშობილური თვისების მატარებელია, შეუბრალებლად, მკაცრად ათრევს ჰექტორის გვამს ტროას კედლების გარშემო. ასეთ შეუსაბამობას ვხედავთ ჩვენ შექსპირთანაც. მისი მასხარები თითქმის ყოველთვის გონებამახვილობით და გენიალური იუმორით არიან აღვსილნი. მაგრამ თუ ხასიათის ბუნებას გონების თვალით დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ასეთი არათანმიმდევრობა არის სწორედ თანამიმდევრობა და შეთანხმებულობა, რადგანაც ადამიანი განსხვავდება იმით, რომ იგი თავისთავში ატარებს არა მხოლოდ წინააღმდეგობას მრავლიანო-

ბაში, არამედ კიდევაც სძლევს ამ წინააღმდეგობას და რჩება თავისთავის თანატოლი.

გ. ამრიგად, ხასიათის მრავალმხრივობა, ნიშნების მრავალიანობა მოცემული უნდა იყოს როგორც სრულიად გარკვეული მთლიანობა. ყველა ნიშანი შეკრული უნდა იყოს შინაგანი ერთიანი ცენტრით. ასეთი გამაერთიანებელი ცენტრის გარეშე მრავალფეროვანი შინაგანი ცხოვრება ატარებს ურთიერთთან დაუკავშირებელ, უაზრო გამოვლინებათა სახეს. ასეთი შინაგანი, წამყვანი, ცენტრალური პათოსით გამსჭვალული მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრება — უსასრულო და ღვთაებრივი, რომელსაც ინდივიდუალობა თავისთავში ატარებს, არის ჭეშმარიტი ხელოვნების იდეალი, წარმოადგენს იდეალური ხასიათის გამოხატვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული პრინციპის ნიადაგზე ჰეგელი არჩევს მთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებებს. მისი აზრით, კორნელის „სიდში" კოლიზია სიყვარულსა და პატივმოყვარეობას შორის ბრწყინვალედ არის გატარებული. უეჭვოა, რომ ასეთი ორი განსხვავებული პათოსი უთუოდ გამოიწვევს კონფლიქტს. მაგრამ თუ ხელოვანი სხვადასხვა მისწრაფებების პათოსს წარმოგვიდგენს როგორც ერთსა და იმავე ხასიათში მიმდინარე შინაგან ბრძოლას, ეს იძლევა ბრწყინვალე რიტორიკისა და ეფექტური მონოლოგების საბაბს. მაგრამ ერთსა და იმავე ადამიანში ასეთი გაორება, რაც გამოიხატება აბსტრაქტული პატივმოყვარეობისადმი მორჩილებიდან აბსტრაქტულ სიყვარულისადმი მორჩილებაში გადასვლით, პირიქით, ეწინააღმდეგება ხასიათის ჯანმრთელ სიმტკიცესა და მთლიანობას.

ხასიათის სიმტკიცე თავს უნდა იჩენდეს დამოუკიდებელ მოქმედებაში. ხელოვნების ნაწარმოების მთავარი გმირი არ უნდა დაემორჩილოს სხვის გავლენას. ნამდვილი ხასიათი მოქმედებს საკუთარი ინიციატივით და არ დაუშვებს, რომ სხვა ფიქრობდეს მის მაგივრად. თუ იგი მოქმედებს დამოუკიდებლად, მაშინ იგი მზად იქნება პასუხი აგოს თავისი მოღვაწეობისათვის. ამის შემდეგ ჰეგელი იხილავს მისი თანამედროვე გერმანელი ავტორების ნაწარმოებებში გამოხატულ მერყევი, ცალკეული თვისებების შემკვრელ ცენტრს მოკლებულ ხასიათის სახეებს. მისი აზრით, შინაგანი სისუსტით, მერყეობით ხასიათდება სენტიმენტალური მიმართულების ნაწარმოებთა გმირები. ამის საგულისხმო მაგალითად მას მოჰყავს გოეთეს ვერ-

ტერი, რომელიც წარმოადგენს ავადმყოფ ხასიათს, არ შეუძლია სიყვარულის კაპრიზის დაძლევა და მასზე მაღლა დგომა. მიუხედავად ამისა, ვერტერს მიმზიდველად ხდის მისი დიდი ვნება, გრძნობების სიმშვენიერე, ბუნების ინტიმური განცდა, გრძნობებია სიფაქიზე და სულიერი სირბილე. ჰეგელი უარყოფით შეფასებას აძლევს ყველა იმ ნაწარმოებების გმირების ხასიათებს, რომელნიც გამოირჩევიან მერყეობით, კაპრიზულობით, იმპულსურობით, ექსცენტრულობით, უცნაურობით, ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციით, რომელთაც არ შეუძლიათ წინააღმდეგობის დაძლევა და დაბრკოლების წინაშე იჩენენ სულმოკლეობას. მას სასურველად არ მიაჩნია ასეთი ხასიათების გამოხატვა ხელოვნებაში, რადგან სულიერი უცნაურობანი, უხასიათობა არასოდეს არ იზიდავს ადამიანს; მისი აზრით, საკუთარი პერსონის ირგვლივ მუდმივი ტრიალი ინტერესთა გამოფიტვის მაჩვენებელია. მიმზიდველი და მშვენიერია ნამდვილი ხასიათი, რომელიც გულისხმობს მძლავრ რეალურ მისწრაფებებს და მისწრაფებათა დაუფლებასაც. შინაგან სუბსტანციურ სიმტკიცეს მოკლებულია ის ხასიათებიც, რომელნიც მისტიკურ სამყაროს უკავშირებენ თავის სულიერ ცხოვრებას, თავისთავში პოულობენ საოცარ, მშვენიერ, უმაღლეს ძალას, რომლითაც ისინი თითქოს ერთვიან საიდუმლოებით მოცულ სამყაროს, თითქოს ამ გრძნობადის მიღმა სამყაროს ჰქონდეს ძალა განაგოს და მართოს ადამიანის შინაგანი ცხოვრება, თითქოს ამ გამოუცნობ მსოფლიო ძალებში იმარხებოდეს საშინელი ჭეშმარიტება, რომლის წვდომა გონებით შეუძლებელია. ჰეგელი უარყოფითად აფასებს ყოველგვარ მისტიკას ხელოვნებაში, კერძოდ, ხასიათის ტიპის ასახვაში. მისი აზრით, ხელოვნებიდან უნდა განიდევნოს ყოველგვარი ბნელი ძალები, რადგან აქ ყოველივე ნათელია, გამჭვირვალე. სინამდვილის მიღმა ძალებისადმი რწმენა მხოლოდ აქეზებს სულით ავადმყოფობას, ამ ძალების შემოყვანით პოეზია ხდება ბუნდოვანი და ცარიელი. ჭეშმარიტი იდეალური ხასიათი არ შეიცავს არაფერს მიღმა სამყაროდან, არაფერს მოჩვენებითს, არამედ იგი გამსჭვალულია რეალური მისწრაფებებითა და ინტერესებით.

ამრიგად, ჰეგელი მოითხოვს, რომ ხელოვნებამ ასახოს მტკიცე ხასიათის ადამიანები. ასეთი ხასიათის ძირითადი ნიშანია გარკვეულობის მქონე არსებითი მნიშვნელობის მატარებელი პათოსი, რომ-

ლითაც გამსჭვალულია ადამიანის მდიდარი და სავსე სულიერი სამყარო; ამავე დროს ხელოვნებამ უნდა გამოხატოს არა მხოლოდ ეს ერთი პათოსი, არამედ პათოსით აღსავსე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მთელი სულიერი სამყარო[1].

ჰეგელის მიერ მოწოდებული პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ხელოვანი ხასიათის ტიპის ასახვის დროს, მნიშვნელოვანია და დავას არ უნდა იწვევდეს. დიდი ხელოვნება მაშინაც კი, როდესაც ხასიათის ასახვაში ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ერთ ჭარბ ნიშანზე (სიძუნწე, პატივმოყვარეობა, სიყვარულის ვნება და სხვ.), ამ ნიშნის ფონზე გადაგიშლის ადამიანის ხასიათის მთელ სიმდიდრეს; დავას არ იწვევს ის დებულება, რომ ხასიათის მრავალმხრივად გამოხატვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ხელოვანი წვდება ხასიათის ყველა ნიშნის გამაერთიანებელ ცენტრს, ძირითად პათოსს, პიროვნების შინაგან ბუნებას, რომლის გაშლას და გამოვლენას ეს ნიშნები წარმოადგენენ. ასეთი ცენტრის, შინაგანი წარმმართველი ძალის მქონე ხასიათში კონფლიქტები, შინაგანი ბრძოლა, სულიერი მღელვარება, მძლავრ კოლიზიებში ტრაგიკული სულისკვეთება გასაგებია და მართალი; უდავოა ისიც, რომ ხელოვნებაში სიმშვენიერის მაღალ გრძნობას აღძრავს მრავალმხრივი, მძლავრი მისწრაფებებით ამოქმედებული, ამავე დროს თავისთავს დაუფლებული ძლიერი ხასიათი. მაგრამ შეუძლებელია დავეთანხმოთ ჰეგელს, რომ თითქოს ხელოვნების საგანს არ უნდა წარმოადგენდეს კონფლიქტური, დისჰარმონიული ხასიათები. რეალისტი ხელოვანი, რომელიც ისწრაფვის ასახოს ხასიათის ტიპი მისთვის დამახასიათებელ გარემოში, ვერ გაექცევა სინამდვილეს. თუ არსებობენ დაშლილი, გაფხვიერებული, შინაგან წარმმართველ ძალას მოკლებული ხასიათები, ე. ი. ისეთები, რომელნიც დაბრკოლებების, დიდი კოლიზიების პირობებში კარგავენ წონასწორობას, ხდებიან სულმოკლენი, იქცევიან დაბალი იმპულსების ტყვედ, ხელოვანი ვალდებულია დაგვიხატოს ასეთი ტიპები. მაგრამ, როგორც ამას ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა, ხასიათის უწონასწორობაში უნდა იქნეს აღმოჩენილი შინაგანი ლოგიკა, ის ძირითადი არსი, რომელიც განაგებს ამ უწონასწორობას. არისტოტელეს თქმით: „იმ შემთხვევაშიც, რომ ის კაცი, რომელიც ასახვის საგანს

[1] Гегель, Эстетика, соч. т. XII გვ. 240—248.

წარმოადგენს, იყოს უსწორმასწორო და ხასიათიც მას ასეთი ჰქონდეს, იგი მაინც სწორად უნდა იყოს უსწორმასწორო... ხასიათში, ისე როგორც მოქმედებათა შემადგენლობაში, საჭიროა ყოველთვის ვეძიოთ ან აუცილებელი, ან შესაძლებელი"[1]. ამის საუკეთესო მაგალითია დოსტოევსკის გმირები, რომელთა შინაგანი სულიერი ტრაგედია, მერყეობა, მძლავრი კონფლიქტები გასაგებია და მართალი. აქ დიდი სიმართლით მიგნებულია შინაგანი წარმმართველი ძალა, ქცევის ძირითადი მოტივი, რომელიც განაპირობებს შინაგან ჭიდილსა და გარემოსთან კონფლიქტს.

ხელოვნებას მოეპოვება უამრავი საშუალებები ხასიათის ტიპის ასახვისათვის. მწერლობისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი თავის სპეციფიკის მიხედვით იყენებს ამ ხერხებს გარკვეული ესთეტიკური იდეალის ხორცშესხმისათვის, იდეალისა, რომელიც ხასიათის ტიპშიც შეიძლება იქნეს ჩაქსოვილი. ხასიათის ტიპის გამოკვეთა, ზოგადი იდეის კერძოში, ინდივიდუალურში ხელშესახებად და სრულყოფილად მოცემა დამოკიდებულია ხელოვანის ნიჭზე, საკუთრივ ხელოვნების ღრმა ცოდნაზე, სინამდვილის ანალიზისა და განზოგადების უნარზე, საერთოდ, მხატვრის ნიჭსა და კულტურაზე. ხელოვნებაში ხასიათის გამოკვეთის გზებზე აქ ვერ შევჩერდებით. ეს დიდი პრობლემაა და სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს.

ხასიათის შესწავლის პრინციპები ფსიქოლოგიაში. ახლა გავარჩიოთ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადგენილი ხასიათის შესწავლის პრინციპები. როგორც აღვნიშნეთ, ორთავეს — ხელოვნებასა და მეცნიერებას — აინტერესებს ხასიათის ბუნება, ე. ი. აინტერესებს არა მხოლოდ ადამიანის დამოკიდებულების თავისებურება სხვა ადამიანებსა და სამყაროსთან, რაც შეიძლება თავს იჩენდეს ხასიათის ცალკე ნიშნების სახით, არამედ პიროვნების „ცენტრი" (ჰეგელის მიხედვით „პათოსი"), რომლითაც განმსჭვალულია ადამიანი და განსაზღვრულია მისი საქციელი, ყველა მისი თვისების გამომჟღავნება სოციალურ ურთიერთობაში. ხელოვნება, განსაკუთრებით ისეთ ნაწარმოებებში, სადაც სიუჟეტის განვითარებას ხასიათის ლოგიკა, ხასიათებს შორის კონფლიქტები განსაზღვრავს (მაგალითად, შექსპირთან), ხასიათის ტიპებს ასახავს ერთი ჭარბი სულიერი

---

[1] არისტოტელე, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანი, 1944 წ., გვ. 31.

თვისების ან თვისებათა კომპლექსის წინ წამოწევის პრინციპის მიხედვით. მაგრამ ამ თვისების პრიზმაში გავლით იშლება ადამიანის მთელი შინაგანი სამყარო, მისი მამოძრავებელი ძალები, მისი საქციელის მოტივები. ამ მოტივებით მოქმედი ადამიანის ტიპი წარმოადგენს მხატვრულ სახეს, რომელშიც კონცენტრირებულია ადამიანთა მთელი ჯგუფისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნიშნები. ხელოვნებაში ხასიათის ტიპის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საერთო, ზოგად, განმეორებად ნიშნებს, არამედ ტიპიურს, რომელშიც მჟღავნდება ადამიანის შინაგანი ბუნება.

ფსიქოლოგიური მეცნიერებაც ისწრაფვის დაადგინოს ადამიანის ტიპი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიური ტიპი ცნების სახითაა წარმოდგენილი. ისე, როგორც ხელოვნება, ფსიქოლოგიაც ცდილობს მიაგნოს ხასიათის არსს, იმ შინაგან მამოძრავებელ ძალას, რომელიც განაპირობებს ხასიათის ცალკეული ნიშნების გამოვლენას, პიროვნების მამოძრავებელი ძალების გათვალისწინებით ცდილობს ადამიანის ტიპების დადგენას. მაგალითად, ზოგი მკვლევარის მიხედვით, ხასიათის თავისებურებას განსაზღვრავს პიროვნების მამოძრავებელი ძირითადი სულიერი ძალები: ნებელობა, გრძნობა ან მათი ურთიერთობა; ზოგის აზრით კი, პიროვნების ძირითად მიდრეკილებებსა და ნებელობის სიმტკიცეს შორის არსებული მიმართება, ან კიდევ პიროვნების სიღრმეში განმტკიცებული მისწრაფება ზედროული ღირებულებისადმი და ა. შ.

ფსიქოლოგიაში ადამიანის ტიპების დადგენა წარმოებს ცნების შემუშავების ძირითადი კანონების მიხედვით. მკვლევარი მრავალი ადამიანის თვისებების ანალიზის, ცალკეული ნიშნების აბსტრაქციის, მათი ურთიერთშედარების გზით აგნებს ადამიანთა ცალკეული ჯგუფისათვის დამახასიათებელ ზოგადსა და არსებით ნიშნებს; მრავალისათვის დამახასიათებელი ზოგადი, საერთო და განმეორებადი ნიშნების გამოყოფის საფუძველზე იგი ახერხებს არსებითის წვდომას და ამის მიხედვით ხასიათების დაჯგუფებას. განზოგადება მოვლენათა რიგიდან ზოგადის გამოყოფის პროდუქტია. თუ ასეთი განზოგადება ასახავს აუცილებელს, ე. ი. მოვლენათა შორის არსებულ განმეორებად აუცილებელ კავშირებს (კანონს), მაშინ ზოგადი არსებითია. მაგალითად, თუ მრავალი ადამიანის შესწავლის ნიადაგზე დადასტურდება, რომ ამ ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის

ზოგადი ნიშანია ნებელობის სიმტკიცე, ხოლო გონიერება და გრძნობა დაქვემდებარებულია მიზნისათვის შეუდრეკელი ბრძოლის პრინციპს, თუ ნებელობის სიმტკიცე, თავისთავის დაუფლება, დასახული მიზნისაკენ ნებელობის ენერგიის შეუდრეკელი წარმართვა წარმოადგენს ყველა ასეთი ადამიანის არსებას, ახასიათებს ყველას, მეორდება ყველაში, მაშინ ნებელობის სიმტკიცე ზოგადი და არსებითი ნიშანია. ეს ნიშანი წარმოადგენს მტკიცე ნებელობის ტიპის ადამიანის გამოყოფის პრინციპს. ამავე პრინციპით შეიძლება გამოვყოთ გრძნობისა და გონების ტიპის ადამიანებიც და შეიძლება მივიღოთ ადამიანთა ხასიათების სამი ტიპი — გონების, ნებელობისა და გრძნობის ადამიანები; ერთის ხასიათში წამყვანია ინტელექტის აქტივობა, მეორეში — ნებელობისა, მესამეში კი—გრძნობის. გრძნობის ადამიანის ტიპის ქვეშ თავს იყრის ყველა ისეთი ადამიანი, რომლის არსებითი ნიშანია საქციელში გრძნობის სიჭარბე, ხოლო ნებელობის ადამიანთა ტიპში მოექცევა ყველა, რომელთა არსებითი ნიშანია ნებელობის აქტივობის სიჭარბე და ა. შ. ასეთი პრინციპითაა დადგენილი ხასიათის ტიპოლოგიის ყველა სისტემა. მაგალითად, შპრანგერის მიხედვით, ადამიანთა ის ჯგუფი, რომლის არსებითი ნიშანია ეკონომიური ღირებულებისადმი მისწრაფება, ეკონომიურ ადამიანთა ტიპს მიეკუთვნება; თუ ადამიანის არსებითი ნიშანია ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, იგი ძალაუფლების ტიპს მიეკუთვნება.

მეცნიერება ამოცანად ისახავს ხასიათის ტიპის ზოგადი ცნების დადგენას. ცნება მოვლენის შესახებ ცოდნას, მოვლენის არსის, კანონზომიერების ასახვას წარმოადგენს. ამიტომ იგი არათვალსაჩინოა და არ გამოიხატება გრძნობადი ფორმით. მაგალითად, ადამიანის ცნებაში იგულისხმება იარაღის მკეთებლობა, შრომა და მეტყველება; ამ სამი ნიშნის ერთ იდეურ ობიექტში (ადამიანი) სინთეზის შედეგად ყალიბდება ცნება „ადამიანი". თუმცა ადამიანის ცნება, რომელიც რამდენიმე ზოგადი და არსებითი ნიშნის სინთეზს წარმოადგენს, კონკრეტულ გრძნობად ფორმულაში არ გამოისახება, მაგრამ იგი ადამიანის ბუნების შესახებ ღრმა ცოდნას გვაძლევს. თუ ვიცით ადამიანის ცნება, რომელიც დადგენილია მეცნიერების მიერ, ვიცით ადამიანის ბუნების მნიშვნელოვანი მხარე. ცნება სინამდვილის ღრმა ასახვის შედეგადაა მიღებული. მეცნიერებაში ცნობილია, რომ, რაც უფრო ზოგადია, აბსტრაქტუ-

ლია ცნება, მით უფრო ღრმად ასახავს იგი სინამდვილეს. „უკვე ყოველი მარტივი განზოგადება, ცნების პირველი და უმარტივესი შემუშავება, მსჯელობა, დასკვნა და სხვ. ნიშნავს ადამიანის მიერ სამყაროს უფრო და უფრო ღრმა ობიექტური კავშირების შემეცნებას"[1]. ამიტომ მეცნიერებაში ცნების სახით დადგენილი ხასიათის ტიპი ღრმად ასახავს სინამდვილეს, ადამიანის ხასიათის არსებას, ხასიათის შინაგან ბუნებას.

ფსიქოლოგიური მეცნიერების მიზანია ხასიათის ბუნება შეისწავლოს მაქსიმალური ობიექტურობით. ხასიათის შემეცნების პროცესში უნდა გამოირიცხოს მკვლევარის ყოველგვარი სუბიექტური მომენტი. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგი-მკვლევარი კვლევის პროცესში ემყარება გარკვეულ მეთოდოლოგიას, მაგალითად, იდეალისტურს ან მატერიალისტურს, აქვს გარკვეული ფსიქოლოგიური კონცეფცია. მაგრამ რა მეთოდოლოგიას და ფსიქოლოგიურ კონცეფციასაც არ უნდა იზიარებდეს იგი, ძირითადში მკვლევარის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, კანონზომიერებისადმი ობიექტურია. მეცნიერმა უნდა შეიმეცნოს ის, რაც არის; სწორი მეთოდოლოგიური და ფსიქოლოგიური მიმართულება უნდა დაეხმაროს მას ჭეშმარიტების ასახვაში. საბჭოთა ფსიქოლოგი, რომელიც იზიარებს დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიას და ამის ნიადაგზე აგებს ფსიქოლოგიურ კვლევაძიებას, უთუოდ სწორად ასახავს ხასიათის არსს, ვიდრე იდეალისტურ მეთოდოლოგიაზე აგებული ფსიქოლოგია. მეცნიერი მკვლევარის ტენდენციურობა შეიძლება გამოიხატოს დადგენილი კანონზომიერების ინტერპრეტაციაში, მაგრამ მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონი ყველა მიმართულებისა და მსოფლმხედველობის ფსიქოლოგებისათვის ერთნაირად სავალდებულოა; მაგალითად, აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, ჩვევის, საერთოდ, პიროვნების სხვა მხარეების ექსპერიმენტულად შესწავლის შედეგად დადგენილი კანონები დავას არ იწვევს არც ერთი მიმართულების ფსიქოლოგიაში. აქ იგივე მდგომარეობაა, როგორც ყველა ზუსტ მეცნიერებაში, კერძოდ, ბუნებისმეტყველებაში. ფიზიკის კანონები უდავოდაა მიჩნეული სხვადასხვა მეთოდოლოგიის ნიადაგზე მდგომი მკვლევართათვის. ჭეშმარიტი მოწინავე

---

[1] Ленин, Философские тетради, 1934, გვ. 175.

მეთოდოლოგია ეხმარება მკვლევარს ფაქტების, კანონების სწორ გაგებაში, ადამიანის საკეთილდღეოდ მათს გამოყენებაში, სამყაროს მთლიანობაში მოპოვებული ფაქტებისათვის ადგილის მიჩენაში, ე. ი. კანონის ფილოსოფიურ-ეთიკური ასპექტით გაშუქებაში. მკვლევარს არ ეპატიება სინამდვილისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, მისი გარდაქმნა, გაზვიადება ან დამცირება. იგი ფაქტების ანალიზის, შედარების, ზოგადის, არსებითის ძიების გზით ცდილობს წვდეს კანონს, აუცილებელსა და მარადიულს. მეცნიერებაში ფანტაზია ლოგიკური აზროვნების დამხმარეა. იგი იძლევა იმპულსს ჰიპოთეზების აგებაში, დადგენილი ფაქტების ახლებურად გაგებაში, მაგრამ სინამდვილის ასახვაში, კანონის წვდომაში წამყვანია ყოველთვის აზროვნების აქტივობა.

„ობიექტურობა" განასხვავებს მეცნიერს ხელოვანისაგან. მეცნიერმა უნდა დასძლიოს სუბიექტური, აფექტური დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ეცადოს სინამდვილეს, ფაქტებს თავს არ მოახვიოს წინასწარ შემუშავებული შეხედულება, კვლევის შედეგად აღმოჩენილი სინამდვილის, ფაქტების ინტერპრეტაციის შემთხვევაში მხედველობაში მიიღოს ყველა არსებული თეორია, რომელთაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ მათ ახსნაში და ამის შემდეგ უჩვენოს თავისი კონცეფციის უპირატესობა. ერთი სიტყვით, ხასიათის ტიპის დადგენის გზა ლოგიკური აზროვნების გზაა, მაშინ როდესაც ხელოვნებაში სასიათის ტიპის გამოყოფა ხელოვნებაში ცნობილ ტიპიზაციის პროცესს ემორჩილება, რომელშიც წამყვანი როლი მხატვრულ ფანტაზიას აქვს, ლოგიკური აზროვნება კი დამხმარე როლს ასრულებს.

როგორც აღნიშნული იყო, ხელოვნებაში მხატვრული პერსონაჟის შექმნა, საერთოდ, სინამდვილის მხატვრული ასახვა გაპირობებულია ამ სინამდვილისადმი ხელოვანის დამოკიდებულებით. ხელოვნების ნაწარმოები აღბეჭდილია შემოქმედის პიროვნების დაღით, იგი მისი შემოქმედებაა. რაც უფრო მძლავრადაა გადატეხილი ასახული სინამდვილე ხელოვანის ღრმა განცდების პრიზმაში, მით უფრო მიმზიდველი და დიდია მისი ნამოქმედარი. მეცნიერებაში კი, პირიქით, რაც უფრო დაძლეულია სუბიექტური მომენტი, რაც უფრო დამორჩილებულია მეცნიერებისათვის აუცილებელი ფანტაზია ლოგიკურ აზროვნებას, მით უფრო დიდი შეიძლება

იყოს მეცნიერის მიღწევები. მხატვრულ ნაწარმოებში მხატვრული ტიპის შექმნა — სინამდვილის ასახვაა, რომელიც წარმოებს ხელოვანის მღელვარე განცდებისა და ეთიკური კონცეფციის ფონზე. იგი ყოველთვის მატარებელია შემოქმედის იდეური შინაარსისა; ამ შინაარსის გარეშე მხატვრული ტიპი უფერულია, არამხატვრული; .იგი ყოველთვის გამოხატავს შემოქმედის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, სამყაროსადმი მის ეთიკურ კრედოს. ვაჟა ამბობს: „პოეზიისათვის სათაკილო არ არის ერის საჭიროებას ემსახუროს და ამისთვის შექმნას ტიპები, რეალური თუ იდეალური". თვით უკიდურესად ნატურალისტურ მხატვრულ ნაწარმოებშიც კი მოცემულია უარყოფითი ან დადებითი ხასიათის ტიპი, დასახულია იდეალი, ე. ი. ის, რაც უნდა იყოს, და ის, რაც არ უნდა იყოს. ამ მხრივ ყოველი მხატვრული ნაწარმოები მეტ-ნაკლებად ტენდენციურია. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადგენილი ტიპი-ცნება სინამდვილის მიუდგომელი ასახვა უნდა იყოს, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ცოდნის ყველა დარგმა, რომელსაც ადამიანთან აქვს საქმე, კერძოდ, ხელოვნებამაც. მეცნიერებაში დადგენილი ხასიათის ტიპი არ გამოხატავს მეცნიერის იდეალს, მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, საზოგადოებისადმი, ამდენად იგი თავისუფალია ტენდენციურობისაგან.

რაც არსებითად განასხვავებს ხასიათის ასახვაში ქარაქტეროლოგიას ხელოვნებისაგან, არის ის, რომ ქარაქტეროლოგი ისწრაფვის წვდეს ხასიათის იმ ზოგად კანონზომიერებას, რომელიც დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის განურჩევლად ეროვნებისა, პროფესიისა, კლასისა. ხელოვნებაც ისწრაფვის ზოგადადამიანურის წვდომას, მაგრამ ხელოვნებასა და ფსიქოლოგიაში ზოგადადამიანურის გაგება და მისი ასახვის გზა განსხვავებულია. ცნობილია, რომ რაც უფრო მეტად დააღწევს თავს ხელოვანი თავის პერსონაჟის ხასიათის უბრალო პორტრეტულობას, თავის განზოგადებაში ამაღლდება, გასცილდება ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის ფარგლებს, დაგვიხატავს ისეთ ტიპს, რომელიც მატარებელი იქნება ზოგადადამიანური თვისებებისა და მისწრაფებებისა, მით უფრო, ასეთი ტიპი ზოგადადამიანურ ტიპს მიეკუთვნება. მაგალითად, ასეთებია პრომეთეოსი, ტარიელი, დონ-კიხოტი, ფაუსტი, ჰამ-

ლეტი, მინდია და სხვ. ხელოვნებაში ზოგადადამიანური ტიპები მოცემულია უმთავრესად როგორც მხატვრული ჰიპერბოლა; აქ წინ წამოწეულია, აქცენტირებულია ადამიანის ხასიათის რომელიმე თვისება, ,რომელიც მეტნაკლებად შეიძლება ყველა ადამიანს ახასიათებდეს. მაგალითად, დონ ჟუანის ეროტიზმი, ძუნწი რაინდისა და სხვათა მხატვრული განზოგადებით მოცემული სიძუნწე, ობლომოვის აპათიურობა, ჰამლეტის ნებისყოფის სისუსტე, მერყეობა, დონ-ჟიხოტის ხასიათში შეუდრეკელი სწრაფვა მაღალი, წმინდა იდეალისადმი და სხვა. ზოგადადამიანური პერსონაჟის ხასიათი შემოქმედის მხატვრული იდეალის დაღითაა აღბეჭდილი.

ფსიქოლოგია სწავლობს რეალური, კონკრეტული ადამიანის ხასიათს, ეძებს მასში ისეთ ფსიქოლოგიურ „მექანიზმს", რომელიც განაპირობებს ხასიათის ცალკეული ნიშნების გამოვლენას. როგორც აღნიშნული იყო, ყველა მიმართულების ფსიქოლოგი ხასიათში გულისხმობს ადამიანის დამოკიდებულების თავისებურებას თავისთავთან (სიამაყე, თავმომწონეობა, პატივმოყვარეობა, თავმდაბლობა, მორცხვობა და სხვ.). სხვა ადამიანისადმი (სიმპატია, სიყვარული, სიძულვილი, მტრობა, უნდობლობა, იეზვი და სხვ.), მთლიანად სამყაროს განსხვავებულ ღირებულებებისადმი (ოჯახი, კოლექტივი, კლასი, ერი, კაცობრიობა). დავას არ იწვევს, რომ ხასიათის ნიშნები ზემოთ აღნიშნულ დამოკიდებულებებში იჩენს თავს და ქცევაში, მოქმედებაში ვლინდება. ხასიათის ნიშნები კი უამრავია. მაგრამ ხასიათის ნიშნების ეს მრავალფეროვანება, რაც შესაძლებლობის სახით მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანშია მოცემული, უსისტემოდ, ქაოტურად არ მეღავნდება ქცევაში, არამედ მოწესრიგებულია, სისტემაშია მოყვანილი. ადამიანში არსებობს ისეთი ცენტრალური ძალა, რომელიც განაპირობებს ხასიათის აღნიშნული ნიშნების დამოკიდებულებებში გაშლას. ამ ძრავის, მაგალითად, ჰეგელის ტერმინი რომ ვიხმაროთ, პიროვნების „ცენტრის" ირგვლივ თავმოყრილია ადამიანის ყველა ჭარბი ნიშანი. ამ „ცენტრის" თავისებურებით აღბეჭდილია ადამიანის საქციელი. ხასიათის ცოდნა ნიშნავს იმ შინაგანი ძრავის, მექანიზმის ცოდნას, რომლისგან მომდინარეობს და რომლითაც განსაზღვრულია ადამიანის საზოგადოებრივი საქციელი. როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების ქმნილებებში ეს ძრავი („პათოსი") არის პიროვნების ჭარბი სულიერი თვი-

სება — სიყვარული, მეგობრობა, პატივმოყვარეობა, სიძუნწე, განდიდებისადმი მისწრაფება, სულიერი კეთილობა, შური, მტრობა, სიძულვილი ან უფრო მთლიანობითი ხასიათის თვისებები — რომელიმე მაღალი ან დაბალი იდეისადმი შეუდრეკელი სწრაფვა, ნებელობის სიმტკიცე, სისუსტე, მერყეობა და სხვ. რაც უფრო დიდი მხატვრული ძალით ახერხებს ხელოვანი ამ ნიშნებით მთლიანი ადამიანის სულიერი სამყაროს გადმოშლას, იმ სოციალური და კოსმიური ძალების წვდომას, რომლებიც განაპირობებენ ამ ნიშნების წარმოშობასა და განვითარებას, ამ ნიშნების განზოგადებულ დახატვას, მით უფრო მეტი მხატვრული ღირსებისაა ნაწარმოები. სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი პათოსი ამოძრავებდა ადამიანებს. თვით ისეთი ზოგადადამიანური დადებითი თვისებები, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, გმირობა სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული შინაარსის შემცველი იყო. მაგალითად, ილიადას გმირების ხორციელი სიყვარული, ფეოდალური ეპოქის რაინდული, კურტიაზული სიყვარული; რენესანსის ხანაში რუსთაველის, დანტეს, პეტრარკას მიერ დახატული ამაღლებული, უმაღლეს სისრულეს ზიარებული ღვთაებრივი სიყვარული, ბალზაკის, გოლსუორსის გმირების ანგარების ჭუჭყით, მესაკუთრული რუტინით შეფერილი სიყვარული. როგორც განცდის, ისე სქესთა ურთიერთობის მიხედვით იმდენად განსხვავებულია, რომ მათ ერთ ცნებაში მოქცევა თითქმის შეუძლებელიცაა. მსოფლიო ხელოვნება, კერძოდ ბურჟუაზიული მწერლობა ისწრაფვის საზოგადოებრივი კლასების, წოდებებისა და სხვა სოციალური ჯგუფების, ადამიანთა სხვადასხვა პროფესიების ძირითადი ხასიათისეული ნიშნების მრავალი განმასხვავებელი ხასიათების მხატვრულ ასახვას.

ფსიქოლოგიაც ცდილობს მიაგნოს ადამიანის იმ ცენტრალურ მოდუსს, რომელიც ყველა ადამიანისთვისაა ნიშნეული, რომლითაც შეიძლება აღბეჭდილი იყოს ყველა ადამიანის ხასიათისეული ქცევა. იგი ცდილობს ხასიათის იმ კანონზომიერების შემეცნებას, რომელსაც ემორჩილება ყველა ადამიანის ხასიათის თავისებურად გამოვლენა, ცდილობს ადამიანის ხასიათის იმ კანონების დადგენას, რომელიც უშუალოდ წარმოებასთანაა დაკავშირებული. თეოფრასტედან დაწყებული დღემდე ყოველი ქარაქტეროლოგიური მოძღვრება, რომელსაც მეცნიერული ღირებულება აქვს, ცდილობს პი-

როვნების განცდებისა და ქცევის ზოგადი მექანიზმების დადგენას და ამ უკანასკნელის გათვალისწინების ნიადაგზე ხასიათის ნიშნების აღწერას. თითქმის ყველა ავტორი მხედველობაში იღებს ხასიათის ორ ფენას: ხასიათის ნიშნებს (черты) და მათ განმსაზღვრელ მექანიზმებს. ხასიათის ნიშნების განმსაზღვრელ მექანიზმად სხვადასხვა მკვლევარის მიერ წამოყენებულია სხვადასხვა ცნება. ეს ცნებებია: წარმოდგენათა ასოციაციის, ნებელობის ენერგიის, სენტიმენტის, ინსტინქტის, განდევნილი განცდათა კომპლექსის, მიდრეკილების, ტემპერამენტის, ინტრავერსიისა და ექსტრავერსიის, გრძნობის, მეტაფიზიკური პერსონის, ობიექტური ღირებულებებისა და სხვა ანალოგიური ცნებები. ავტორები ცდილობენ ამ ცნებებით ასახონ პიროვნების ის მექანიზმები, მამოძრავებელი იმპულსები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანის დამოკიდებულებას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან და, საერთოდ, გარესამყაროსთან.

ქარაქტეროლოგიის ძირითადი ამოცანის გასარკვევად გავარჩიოთ ფსიქოლოგიაში საკმაოდ ცნობილი კონცეფცია იუნგისა. იუნგის მიხედვით, ყველა პიროვნებაში ჩანერგილია ურთიერთის საწინააღმდეგო ორი ტენდენცია, ინტროვერსიის — საკუთარი „მეს“ ინტერესების უპირატესობის აღიარების, საკუთარი პიროვნების ინტერესების გარესამყაროს ინტერესებზე მაღლა დაყენების და მისი საწინააღმდეგო ექსტრავერსიის, გარესამყაროს ინტერესებისათვის თავის პიროვნების ინტერესებთან შედარებით უპირატესობის მინიჭების ტენდენცია. ზოგ ადამიანში ჭარბობს ექსტრავერსია, ზოგში კი ინტროვერსია. აი, ეს ორი საწინააღმდეგო უნართა აქტივობა განსაზღვრავს ადამიანის ხასიათის ნიშნების გამოვლენას. ყველა ადამიანი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ექსტრავერტულ (ექსტრავერსიის სიჭარბე) და ინტროვერტულ (ინტროვერსიის სიჭარბე) ადამიანებად. ექსტრავერტული ადამიანის დამოკიდებულება საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან, მისი მორალი, მისი განცდები თავისებურია, ვიდრე ინტროვერტული პიროვნებისა. ექსტრავერტულ პიროვნებას საკუთარი შინაგანი ბუნება, ექსტრავერსია უბიძგებს იყოს საზოგადოებრივი, პატივისცემით მოეკიდოს საზოგადოებრივ ღირებულებებს, პირადულზე მაღლა დააყენოს საზოგა-

დოებრივი. იგი მთელი არსებით მიმართულია გარე სამყაროსაკენ, ცოცხლობს, ხარობს და წუხს სხვა ადამიანებთან ერთად, მთლიანად ჩართულია მღელვარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთ ადამიანს მისწრაფება აქვს იყოს ზნეობრივი და სოციალური, ე. ი. სათანადო პირობებში ადვილად შეუძლია მაღალზნეობრივი ხასიათისეული ნიშნების შეძენა. რაც შეეხება ინტროვერტულ პიროვნებას, მისი ხასიათის ყველა ნიშანი, მისი დამოკიდებულებების სფერო ინტროვერსიის დაღითაა აღბეჭდილი.

იუნგის აზრით, ინტროვერსია და ექსტრავერსია პიროვნების არსია. სპეციალური მეთოდებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა შეადგენს პიროვნების ხასიათის „გულს" — ექსტრავერსია თუ ინტროვერსია. თუ დადგენილი იქნება პიროვნების არსი, მაშინ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ხასიათის რა ნიშნებს გამოავლენს ადამიანი მრავალ განსხვავებულ სიტუაციაში, როგორი იქნება იგი სხვადასხვა პირობებში თავისთავთან, სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროს ღირებულებებთან დამოკიდებულებებში. თუ იუნგის მიერ დადგენილი ტიპები რეალურია, თუ მართლაც ინტროვერსია და ექსტრავერსია განსაზღვრავენ ადამიანის ხასიათის ნიშნების აღმოცენებას, მაშინ ეს ტიპოლოგია უნივერსალური მნიშვნელობის ყოფილა. უეჭვოა, რომ სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში როგორც ინტრო, ისე ექსტრავერსია თავისებურად მეღავდნება. მაგ., ექსტროვერტული ადამიანი მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებებში თავისებურად ავლენს თავს. იგი სხვადასხვა ეპოქაში მთელი რიგი განსხვავებული თვისებებით ხასიათდება. მაგალითად, ტიპიური ექსტრავერტი — მონათმფლობელის დაინტერესება გარე სამყაროს მოვლენებით, მისი სოციალობა, სწვისი ჭირვარამის გაზიარება განსაზღვრულია მონათმფლობელური საზოგადოების ყოფიერებით; მისი სოციალობა, სიკეთისადმი მისწრაფება არაა მიმართული მონების მძიმე ტვირთის შემსუბუქებისაკენ: ფეოდალი ექსტრავერტი არ იბრძვის ყმების გათავისუფლებისათვის, კაპიტალისტი კიდევ მუშების ექსპლოატაციის წინააღმდეგ; მათი სიკეთე, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესი საკუთარი წოდებრივი და კლასობრივი ინტერესითაა განსაზღვრული და საკუთარი კლასისა და წოდების საკეთილდღეოდაა მიმართუ-

ლი. სოციალისტურ საზოგადოებაში ექსტრავერტულ პიროვნების, ინტროვერტთან შედარებით, უფრო ემარჯვება მაღალი ჰუმანური იდეებისათვის ბრძოლა, მთელი საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება, მათი ჰარმონიული შეწყობა, კოლექტივიზმის გრძნობისა და ხასიათის სხვა კომუნიკატური ნიშნების გამოვლენა. საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლასთან ერთად იცვლება ხასიათის ნიშნების შინაარსი. მაგრამ ინტროვერსია და ექსტრავერსია, როგორც ხასიათის არსება, რომელიც ხასიათის სტრუქტურას განაპირობებს, უცვლელია, იგი ზოგადადამიანურია, ამდენად ორივე ეს ნიშანი უნივერსალურია და კანონის ხასიათის მატარებელია. ასეთივე პრეტენზია აქვს ყველა ცნობილ ქარაქტეროლოგიურ სისტემებს. ყველა ცდილობს მიაგნოს ხასიათის უნივერსალურსა და ზოგად კანონებს.

როგორც ვნახეთ, ფსიქოლოგიაში ხასიათის მკვლევართა ძირითად მიზანს შეადგენს ხასიათის არსის, ხასიათის ცალკეული ნიშნების წარმოშობის მიზეზების წვდომა. მაგრამ ერთი მოვლენის არსი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. შეუძლებელია ერთ მოვლენას მრავალი განსხვავებული არსი გააჩნდეს. ხასიათის კვლევის შედეგები კი გვიჩვენებს, რომ ხასიათის არსის გაგებაში შეთანხმება არაა მიღწეული. მაგალითად, ერთისათვის ხასიათის საფუძველია ტემპერამენტი, მეორესთვის—ნებელობა, ზოგისათვის კი — ინტროვერსია და ექსტრავერსია და სხვ. ფსიქოლოგიაში მწვავედ დაისვა საკითხი განსხვავებული ტიპოლოგიების შერიგების, საერთო შემარიგებელი ხაზის დაღგენის შესახებ. როგორც ამას შემდეგში დავინახავთ, მკვლევართა მიერ ხასიათის არსად მიჩნეული თვისება არის ხასიათის ერთი ასპექტი, მისი ერთი სეგმენტი, რომელიც ვერ ამოსწურავს ხასიათის მრავალფეროვან ბუნებას. მკვლევარების მიერ მითითებული ხასიათის ნიშნების განმსაზღვრელი თვისებები უთუოდ მნიშვნელოვანია ხასიათის გაგებისათვის. ისინი უთუოდ შედიან ხასიათში როგორც უმნიშვნელოვანესი კომპონენტები; მაგალითად, ხასიათში მონაწილეობს გრძნობა, გონება, ნებელობა, ინტროვერსია და ექსტრავერსია, მოთხოვნილებები, ინსტინქტები, საზოგადოებრივი ღირებულებისადმი მისწრაფებები და სხვა, მაგრამ თითოეული მათგანი ხასიათის ბუნების ერთი მნიშვნელოვანი მხარეა და არავითარ შემთხვევაში არ ამოსწურავს მის არსს. მიუ-

ხედავად ხასიათის ბუნების შესახებ განსხვავებულ თვალსაზრისებისა და კვლევა-ძიების შედეგების უკმარობისა, ფსიქოლოგიურ მეცნიერებას სერიოზული ნაბიჯი აქვს გადაგმული ხასიათის შესწავლის მიმართულებით. ხასიათის მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტის შესწავლაში მიღებული შედეგები იმდენად ღირებულია, რომ მათი ცოდნა აუცილებელია ყველა იმ დარგისათვის, სადაც წამყვანია ადამიანის ბუნების შემეცნება.

უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა მკვლევართა მიერ დადგენილი ხასიათის ტიპები და ამ ტიპების განმსაზღვრელი მექანიზმები ერთმანეთის მონათესავენი არიან. სტრუქტურის მიხედვით ერთმანეთს უახლოვდებიან. მაგალითად, სხვადასხვა ავტორების მიერ დადგენილი ტიპები — ინტეგრირებული და დეზინტეგრირებული, ექსტრავერტული და ინტროვერტული, ციკლოიდური და შიზოიდური, ჰარმონიული და კონფლიქტური ტიპები, რაც ყველაზე მეტად გავრცელებულია თანამედროვე ქარაქტეროლოგიაში, ერთმანეთს ენათესავებიან. ასე, მაგალითად, ინტროვერტული, დეზინტეგრირებული, შიზოიდური და კონფლიქტური ტიპების საერთო ნიშანია შინაგანი დისჰარმონია, ასოციალური ქცევისაკენ მიდრეკილება, გარემოსაგან გამოთიშვა, პირად განცდებში ჩაღრმავება, შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები, მელანქოლია, მაშინ როდესაც ინტეგრირებული, ექსტრავერტული, ციკლოიდური და ჰარმონიული ტიპების არსს შეადგენს შინაგანი მთლიანობა, სოციალობა, გულღიაობა, გარე სამყაროს მოვლენებში აქტიური ჩართვა.

თანამედროვე ქარაქტეროლოგიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მიუთითებს, რომ „შეუძლებელია რამდენიმე, პირველი შეხედვით განსხვავებული, ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგია ხანგრძლივად არსებობდეს ერთმანეთის გვერდით. მიზნის მიხედვით მხოლოდ ერთი მეცნიერება შეიძლება არსებობდეს სულიერი სტრუქტურის ტიპურ ჩამოყალიბებათა და სულიერი სინამდვილის გაშლისა და განაწილების ფორმათა შესახებ"[1]. მართლაც, ყველა განსხვავებული ტიპოლოგიის ანალიზი ადასტურებს, რომ ტიპოლოგიის მრავალფეროვანი ცდები არსებითად ერთსა და იმავე შინაარსს შეიცავენ ან კიდევ თავის პოზიციებიდან ერთი და იმავე

---

1 Undeutsch. gestaltericbenstipologie und Integrationstipologie Arch. f. d. g. Psychol. 1940. 105- 3-4.

მიმართულებით იხედებიან. თანამედროვე ფსიქოლოგები, ნაცელად ახალი ტიპოლოგიის აგებისა, უკვე არსებული თვალსაზრისების ურთიერთთან შედარებისა და ამ ნიადაგზე მათი ურთიერთთან დაახლოების გზაზე დგებიან. თუ წინათ ეს ავტორები უფრო ხშირად თავისი მოძღვრების სხვა ცნობილ მოძღვრებისადმი დაპირისპირებით ან იმ განსხვავებათა ხაზგასმით იყვნენ დაინტერესებულნი, რაც მათ შორის არსებობდა, დღეს ისინი, პირიქით, უფრო იმას ეძებენ, რაც საერთოა მათ შორის. თითოეული ავტორი იმის მტკიცებას ცდილობს, რომ ყველაფერი, რაც მეორე ავტორის ტიპოლოგიაშია ნათქვამი, უკვე მის ტიპოლოგიაში მოიპოვება, მაგრამ უფრო სრულად და დასაბუთებულად. ამ მოძრაობის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი ქარაქტეროლოგია არ დარჩენილა. საერთო დასკვნა, რომელიც ამ გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, შემდეგია: ძირითადად ყველა მოძღვრება ადამიანთა შორის ერთსა და იმავე ტიპოლოგიურ განსხვავებას ადასტურებს. თითოეული მათგანი თავისი სპეციფიკური თვალსაზრისით უდგება დადასტურებულ ტიპებს და შესატყვისად ახასიათებს მათ. საბოლოოდ, ტიპოლოგიის ეს ცდები უფრო ავსებენ, ვიდრე გამორიცხავენ ურთიერთს[1].

ხელოვანისა და ფსიქოლოგის იდეური თანამშრომლობის აუცილებლობა. ფსიქოლოგიას მეცნიერული კვლევის გზით მოპოვებული აქვს მდიდარი ცოდნა ადამიანის ხასიათის ბუნებისა და მისი ტიპების შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნებაში, მწერლობაში იმარჯვებს ის ნაწარმოები, რომელიც შეიცავს ფსიქოლოგიურ სიმართლეს, რომლის გმირები სრული ფსიქოლოგიური სიმართლით მოქმედებენ. ფსიქოლოგიურ სიმართლის ცნებაში იგულისხმება ნაწარმოების გმირის განცდების, ხასიათის, მთელი მისი ფსიქოლოგიური სამყაროს შესატყვისობა ნაწარმოების იდეურ შინაარსთან და აგრეთვე იმ სიტუაციებთან, კოლიზიებთან, რომელშიც იშლება პერსონაჟის მოღვაწეობა. ცხოვრებაში ყოველ ადამიანს აქვს ხასიათი და ტემპერამენტი, უხასიათო და უტემპერამენტო ადამიანი არ არსებობს. ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ადამიანის ტიპი შეუძლებელია მოკლებული იყოს ხა-

---

[1] დ. უზნაძე. გერმანული ტიპოლოგიური ფსიქოლოგია, 1943 წ. (ხელნაწერი).

სიათსა და ტემპერამენტს. ამიტომ მხატვრული ნაწარმოები, რომლის გმირებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი ხასიათი და ტემპერამენტი, მდარე ხარისხისაა, ადამიანის ბუნების უცოდინარობაზეა აგებული. რა თქმა უნდა დასაშვებია, რომ ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებას განსაზღვრავდეს არა ხასიათები, არამედ იდეები, როგორც ეს ხშირია მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებებში (მაგალითად, ოიდიპოს მეფე, ვეფხისტყაოსანი, ღვთაებრივი კომედია, ფაუსტი), ე. ი. გმირების მოქმედებას განსაზღრავდეს არა ხასიათის ლოგიკა, არამედ იდეის ლოგიკა. მაგრამ იდეის მატარებელი ადამიანები ხასიათით და ტემპერამენტით აღჭურვილი ადამიანებია, იდეის განვითარება პერსონაჟების შინაგან ბუნებასთან ერთიანობაში უნდა იქნეს მოცემული. მაგრამ ასეთი მთლიანი, სრულყოფილი ტიპების დახატვა შეუძლია მხოლოდ ისეთ ხელოვანს, რომელიც დაჯილდოებულია ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე საღი დაკვირვების უნარით, აგრეთვე კარგად იცნობს ფსიქოლოგიური მეცნიერების მინაღწევარს, შეიარაღებულია ადამიანის ბუნების, კერძოდ, მისი ტემპერამენტისა და ხასიათის ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნით.

როგორც აღვნიშნეთ, ხასიათის მხატვრული ტიპი და ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი ტიპი არ ემთხვევა ერთმანეთს, ამისდა მიუხედავად მათ შორის განუყრელი კავშირია. ფსიქოლოგიური ტიპი, შეიძლება ითქვას, არის განზოგადებული პროტოტიპი ხასიათის იმ ტიპისა, რომელიც ტიპიზაციის გზით ხელოვანმა უნდა დაგვიხატოს. მაგალითად, თუ ხელოვანს სურს შექმნას გარკვეული იდეური შინაარსის შემცველი მთლიანი, ჰარმონიული ადამიანის სახე, ეს უკანასკნელი მაშინ იქნება ფსიქოლოგიურად მართალი, თუ იგი ეთანხმება ჰარმონიული ადამიანის იმ გაგებას, რაც უკვე საკმაოდ დადგენილია ფსიქოლოგიაში, რომლის ხასიათის ნიშნებისა და ამ ნიშნების განმსაზღვრელი მექანიზმების შესახებ ექსპერიმენტულად დასაბუთებული ცოდნა მოეპოვება ქარაქტეროლოგიას; ასევე შეიძლება ითქვას კონფლიქტური და მერყეევი, ვარიაბილური ტიპების შესახებ.

ხელოვანს შეუძლია თავის პერსონაჟს საფუძვლად დაუდვას კონკრეტული ადამიანის პროტოტიპი, ე. ი. სამაგალითოდ მიიღოს მისი ნაცნობი, ახლობელი ადამიანი; ეს პროტოტიპი თავისი ფან-

ტაზიით შეავსოს, გაამდიდროს, განაზოგადოს ტიპური ნიშნებით, ან, პირიქით, ასეთი კონკრეტული პროტოტიპის გარეშეც ტიპიზაციის მეშვეობით შექმნას რეალური ან იდეალური სინამდვილის ამსახველი ტიპები. მაგრამ ხელოვნებაში. მწერლობაში შექმნილი ზოგადი ტიპი ყოველთვის კონკრეტულ, ინდივიდუალურ სახეში განსახიერებული ადამიანია. ეს ადამიანი ტემპერამენტის და ხასიათის რომელიმე ტიპს მიეკუთვნება; იგი ან სანგვინიკია, ან ფლეგმატიკი, ან ქოლერიკი, ან კიდევ მელანქოლიკი; მისი ხასიათი კი ან ჰარმონიულია, ან კონფლიქტური ან ვარიაბილური. ან მათი ქვეტიპი. ხელოვანს ევალება თავისი მხატვრული იდეის, ესთეტიკური და ეთიკური კრედოს შესაბამისად გამოაქანდაკოს პერსონაჟის ხასიათი, ისე რომ არ დაარღვიოს ხასიათისა და ტემპერამენტის ფსიქოლოგიური ბუნება.

ანტიკურსა და რენესანსის ხანაში ხელოვნებისა და პოეზიის გენიოსები დიდი სიღრმით ფლობდნენ ფილოსოფიას, მეცნიერებას, კერძოდ ფილოსოფიასა და ხალხურ სიბრძნეში დაგროვილ ცოდნას ადამიანის ბუნების შესახებ. ასეთი ცოდნის უკმარობის შემთხვევაში თვითონ ისინი საღი დაკვირვების ნიადაგზე წვდებოდნენ ადამიანის არსს და ამდიდრებდნენ ადამიანის შესახებ ცოდნას ხასიათის უკვდავი ტიპების შექმნით. დღეს მეცნიერების მკვეთრი დიფერენციაციისა და გრანდიოზული მიღწევების ხანაში. როდესაც თითქმის შეუძლებელია ერთი მეცნიერების მიღწევების მთელი სისრულით დაუფლება და, მით უმეტეს, მოსაზღვრე დარგში წარმატებით შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვანს, მწერალს საშუალება ეძლევა თავის ძალების ეკონომიისა და მხატვრული ფანტაზიის მეცნიერული ცოდნით გამდიდრების მიზნით მიმართოს ფსიქოლოგიას, კერძოდ, ქარაქტეროლოგიას, რომლის მიღწევები დაეხმარება მას ადამიანის ხასიათების ფსიქოლოგიური სიმართლით მხატვრულ ასახვაში. რაც შეეხება ხასიათის საკუთრივ ფსიქოლოგიას, მას თავისი პრობლემების გადაწყვეტაში ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდა და უწევს ხელოვნება და მწერლობა, განსაკუთრებით ეს ითქმის ხასიათის ცალკეული ნიშნების ბუნების, მისი სოციალური არსის, ხასიათის ჩამოყალიბების პრობლემების გაგების შესახებ.

ხასიათის ფსიქოლოგიის წინაშე მრავალი პრობლემა დგას.

მათ შორის ყველაზე არსებითია: 1. ხასიათის სტრუქტურის, ე. ი. ხასიათის აგებულების, მისი შემადგენელი ნაწილების, ნიშნების ურთიერთობის საკითხი, 2. ამ სტრუქტურის განმსაზღვრელი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების, 3. ტიპოლოგიის და 4. ხასიათის ცვლილების, განვითარების, ჩამოყალიბების პრობლემა. ეს პრობლემები განსხვავებული კონცეფციის ნიადაგზე მრავალ ცნობილ ფსიქოლოგს აქვს დამუშავებული. ზოგი მკვლევარი ხასიათის ბუნების გასაგებად უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურის საკითხს, ზოგი ტიპოლოგიას, ზოგი ფაქტორების პრობლემას და ა. შ. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ხასიათის ჩამოყალიბების პრობლემა შედარებით სუსტადაა გაშუქებული. ამ წიგნში განხილულია მხოლოდ ხასიათის ტიპოლოგიის პრობლემა[1]. ჩვენ ვეცდებით კრიტიკულად განვიხილოთ ხასიათის ტიპოლოგიის შესახებ უძველეს დროიდან დღემდე არსებული ყველა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური კონცეფცია, ვუჩვენოთ მათი ღირებულება და ნაკლიც და, დასასრულ, უფრო ვრცლად შევჩერდეთ ხასიათის ტიპოლოგიის ამ კონცეფციაზე, რომელიც, დიდი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის განწყობის თეორიის ნიადაგზე, მრავალი წლის კვლევითი მუშაობის შედეგად, ჩვენს მიერაა დადგენილი.

---

[1] ხასიათის ცვლილების, ჩამოყალიბების პრობლემა განხილული გვაქვს წიგნში: „ხასიათის ცვლილების დინამიკა ნორმალურსა და პათოლოგიურ შემთხვევებში", საქ. მეც. აკად. გამოც. 1961 წ.

II. ხასიათის ტიპოლოგიის პრობლემა ფსიქოლოგიაში

1. ხასიათის ტიპოლოგიის პრინციპები ანტიკურ ხანაში და მისი გავლენები

პირველი საწყისები. პიროვნების ხასიათის შესახებ მოძღვრებას — ქარაქტეროლოგიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ შეხედულებები ადამიანის ხასიათის ბუნების შესახებ იცვლებოდა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებასთან ერთად; ამიტომ ხასიათის ცნების მთელი სიღრმით გარკვევისათვის უფრო ხელსაყრელია ხასიათის შესახებ მოძღვრება განვიხილოთ ისტორიულ ასპექტში, მისი წარმოშობისა და განვითარების თვალსაზრისით.

ძველთაგანვე ხასიათი აღნიშნავდა ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი ინდივიდის, გამოკვეთილ თავისებურებას, რაც ეძღვნება სხვა ადამიანთან ურთიერთობაში. ჩვენი შორეული წინაპრები, რომლებმაც შრომითი ურთიერთობის ნიადაგზე შექმნეს საზოგადოებრივი ცხოვრება, იძულებული იყვნენ თავიანთი საქმიანობის დროს ყურადღება გაემახვილებიათ ადამიანის ფიზიკურ და სულიერ თავისებურებებზე. ისინი საღი გონებით წვდებოდნენ თუ რა თავისებურების მატარებელია ადამიანი: ძლიერია თუ სუსტი, მხდალია თუ უშიშარი, ბრძენია თუ სულელი, კეთილია თუ ბოროტი, ძუნწია თუ ხელგაშლილი და სხვ. საზოგადოებისათვის ადამიანის თვისებების ცოდნის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, კულტურის დაბალ საფეხურზედაც აუცილებელი გახდა ხასიათის თვისებების შესახებ არსებული გამოცდილების ერთგვარი განზოგადება, რაც მკვეთრად აისახა ხალხურ ანდაზებში, ზღაპრებში, მითოლოგიაში და შემდეგ ძველ რელიგიურ წიგნებში.

ყველაზე გამოკვეთილი ფორმით ადამიანის დახასიათებანი მოცემულია ბიბლიასა და თალმუდში. მაგალითად, თალმუდში ნაჩვენებია ადამიანთა ოთხი განსხვავებული ტიპის არსებობა: ა) ადამიანი, რომელიც ადვილად ღიზიანდება, ბრაზდება და ადვილადვე მშვიდდება. ასეთი პიროვნება თავის ნაკლს ადვილად ფარავს კარგი თვისებებით; ბ) ადამიანი, რომლის გაბრაზება და დამშვიდებაც ძნელია. ასეთი საწინააღმდეგო თვისებით იგი წონასწორობას იცავს; გ) ადამიანი, რომლის წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია, დამშვიდება კი ადვილი; დ) ადამიანი, რომელიც ადვილად კარგავს წონასწორობას, ძნელად კი მშვიდდება, არ ურიგდება მოპირდაპირეს. ასეთი ადამიანი ბოროტია, ავის მქმნელი[1].

ჰომეროსი, ესქილე, ევრიპიდე, სოფოკლე. საღი გონების მეშვეობით ადამიანის ხასიათის ბუნების ღრმა ცოდნა ნათლადაა ასახული ძველ ბერძნულ მწერლობაში, განსაკუთრებით „ილიადა"-სა და „ოდისეა"-ში, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიებში. სანამ ბერძენი მეცნიერები და ფილოსოფოსები—ჰიპოკრატე, პლატონი, არისტოტელე და თეოფრასტე შექმნიდენ პირველ მეცნიერულ თეორიებს ადამიანის ხასიათის შესახებ, ბერძენი პოეტები ღრმად ჩაწვდნენ ადამიანის სულის არსს, ადამიანთა შორის განსხვავებულობას და შექმნეს ხასიათების უკვდავი პორტრეტები; მათ შეძლეს თავიანთ ქმნილებებში ადამიანის ხასიათის შესახებ მაშინდელი კაცობრიობის ემპირიული ცოდნის პოეტური განზოგადება და „მარადიული" მნიშვნელობის პერსონაჟების დახატვა.

ჰომეროსის „ოდისეაში" ნათქვამია: „ადამიანები განსხვავებულნი არიან: ერთს უყვარს ერთი, სხვებს სულ სხვა[2]. (ეს ციტატა მოჰყავს კარლ მარქსს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის ადრეულ სტადიაზე შრომის განაწილებას მიდრეკილებებისა და ტალანტების განვითარებისათვის)[3].

ჰომეროსის პოემებში მოცემულია ინდივიდუალური ხასიათების მთელი გალერეა. ჰომეროსის გმირები მკვეთრად განსხვავებულ ხასიათებს წარმოადგენენ; ისინი თავისი საკუთარი მოქმედე-

---

1 A. A. Roback. The psychology of character, 1931. გვ. 448.
2 Гомер, Одиссея, кн. 14 გვ. 228.
3 К. Маркс, Капитал, т. 1, 1937, გვ 403.

ბით, თავის საგმირო საქმეებით ამეღავნებენ თავის სახეს; ისინი თვითონ, საკუთარი საქმით იძლევიან მასალას თავის დახასიათებისათვის... ვაჟკაცი გმირების საერთო თვისებაა სიმამაცე, გონიერება და გრძნობელობა. მაგრამ ყველა მათგანს აქვს სხვებისაგან განსხვავებული რაიმე თვისება[1]. ცბიერი აგამემნონი. პირდაპირი და გამბედავი აიაქსი, რბილი და გაუბედავი მენელაე, ფიცხი დიომედი, ცხოვრების დიდი გამოცდილებით ბრძნად ქცეული ნესტორი. ღრმა და მტკივნეული გრძნობებით აღსავსე, თავშეუკავებელი აქილევსი, ლამაზი და თავქარიანი პარისი. მშობლიური ქალაქის უდრეკი დამცველი და ნაზი მეოჯახე ჰექტორი, კეთილი მოხუცი პრიამი, — „ილიადას" ეს გმირები წარმოადგენენ გამოკვეთილ ინდივიდუალურ სახეებს. ასევე შეიძლება ითქვას „ოდისეას" გმირებზედაც[2]. ჰეგელის თქმით, ჰომეროსი თავის პოემებში გმირებს აყენებს მრავალ განსხვავებულ მდგომარეობაში და ახერხებს მათი მრავალმხრივი შინაგანი ბუნების გაშლას. ჰომეროსის ყოველი პერსონაჟი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამყაროს; თითოეული მათგანი არის ცოცხალი ადამიანი, მრავალფეროვანი თვისებებით და არა ალეგორიული აბსტრაქცია რომელიმე ხასიათის თვისებისა. აქილევსის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის ადამიანია. მრავალმხრივობა ადამიანის ბუნებისა მთელი სიმდიდრითაა გაშლილი ამ ერთ ადამიანში[3].

ჰომეროსის გმირების ინდივიდუალური თვისებები, რაც ზოგადადამიანურ სიმაღლემდეა აყვანილი, მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობით არიან განსაზღვრული. სწორედ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებაში მოქმედი ადამიანების ღრმა ცოდნის ნიადაგზე შესძლო ჰომეროსმა რეალური, სრულყოფილი ხასიათების შექმნა. ენგელსის აზრით, ჰომეროსის მიერ ასახულ საზოგადოებაში „არ არსებობდა ხალხისაგან გამოყოფილი საზოგადოებრივი ძალაუფლება". ამ ეპოქაში პიროვნება და საზოგადოება არაა ურთიერთთან დაპირისპირებული, ინდივიდისა და საზოგადოების მორალი ერთიანობაშია მოცემული; სწო-

---

1 ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ძველი ბერძნული ეპოსი. 1943, გვ. 39.
2 Троицкий, История античной литературы. 1951, გვ. 58.
3 Гегель, Сочинения, т. XII, 1938, გვ. 241—242.

რედ ეს ანიჭებს ჰომეროსის პერსონაჟებს მთლიანობას და გამოკვეთილ ინდივიდუალობას[1].

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის ტრაგიკოსების ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ნაწარმოებების გმირები გამოკვეთილი ხასიათების მატარებლები არიან. ესქილეს პერსონაჟები, რომელნიც დიდი მორალური და კოსმიური ძალების წარმომადგენლებია (მაგალითად, პრომეთეოსი), თუმცა ფსიქოლოგიურად მარტივი ბუნებისანი არიან. მაგრამ ხასიათდებიან უზარმაზარი სულიერი სიმძლავრითა და შეუდრეკელობით.

სოფოკლემ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ადამიანის დახასიათების ხელოვნება. არისტოტელეს მოწმობით, მას ჰქონდა ხასიათის მოცემის გარკვეული პრინციპი. არისტოტელე ამბობს: „სოფოკლემ სთქვა, რომ იგი წარმოადგენს საგნებს, როგორც უნდა იყვნენ ისინი, ხოლო ევრიპიდე — ისე, როგორიც არიან"[2]. სოფოკლე იძლევა ადამიანის იდეას, გვიხატავს ადამიანის არსებით ნიშნებს, რომლებიც განსაზღვრავენ მისი დადებითი და უარყოფითი მიზნების შინაარსს. ოიდიპოსის, ანტიგონეს, ელექტრას, ფილოქტეტის მონუმენტური სახეები მსოფლიო დრამატული ხელოვნების უკვდავი ქმნილებებია.

ევრიპიდე, რომელიც ადამიანებს გვისურათებს „ისე, როგორიც არიან", თავის დიდი პათოსით აღსავსე ტრაგედიებში გვაძლევს ხშირად პათოლოგიურ, შეუკავებელი ვნებების ადამიანებს, აგრეთვე ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო დონის პერსონაჟებსაც. ევრიპიდეს სცენაზე გამოჰყავს მეფეები მათხოვრის ძონძებში, დასახიჩრებული გმირები, მიხრწნილი მოხუცები. „მე ყველას ვაძლევ სიტყვას — ქალებს, მოსამსახურეებს, ქალიშვილებს, ბატონებს, მოხუც ქალებსაც კი", — ამბობს ევრიპიდე არისტოფანეს კომედიაში „ბაყაყები", სადაც იგი ერთ-ერთ გმირადაა გამოყვანილი.

ადამიანის ბუნების, ადამიანთა შორის განსხვავებულობის ღრმა ცოდნა თავს იჩენს ანტიკურ ეპოსში, დრამაში, მუსიკაში, სკულპტურაში, მხატვრობაში. ადამიანის ხასიათის შესახებ მო-

---

[1] Энгельс Ф., Происхождение семьи, частной собственности и государства. Соч., XVI, 1937, გვ. 84.

[2] არისტოტელე, პოეტიკა. პროფ. ს. დანელიას თარგმანი, 1944, გვ. 56.

ძღვრება წარმოიშვა, როგორც მაშინდელი ხელოვნების პრაქ-ტიკის თეორიული გააზრებისა და განზოგადებია ცდა.

სამი მიმართულება. თავიდანვე ანტიკურ აზროვნებაში ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნების, კერძოდ, მისი ტიპოლოგიური თავისებურების შემეცნება სამი მიმართულებით წარიმართა — ხელოვნების, მედიცინისა და ფილოსოფიის. როგორც აღვნიშნეთ, დიდმა ბერძენმა ხელოვნებმა შეძლეს ადამიანის ბუნების შესახებ არსებული ხალხური სიბრძნის, მაშინდელი ფილოსოფიური აზროვნების, მეცნიერების მხატვრული ათვისება, მათი თანამედროვე სოციალური ურთიერთობის მხატვრული ასახვა და ხასიათის ტიპების შედეგრების შექმნა.

ჰიპოკრატე. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ იმდროინდელი ნატურფილოსოფიის, კერძოდ, ფილოსოფოსი ემპედოკლეს მოძღვრების ნიადაგზე საფუძველი ჩაუყარა ტემპერამენტის ტიპოლოგიას. ჰიპოკრატეს მიხედვით, ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს ოთხი ნივთიერების — სისხლის (სანგუის), ლორწოს (ფლეგმა), ყვითელი ნაღველის (ქოლე) და შავი ნაღველის (მელანქოლე) შერევის შედეგს. რომელიმე ერთი ნივთიერების სიჭარბე ორგანიზმში განაპირობებს განცდების მიხედვით ადამიანთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებულობას[1]. შემდეგში რომაელი გალენის მიერ ჰიპოკრატეს მოძღვრების მოდიფიკაციის ნიადაგზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ტემპერამენტის ოთხი ტიპი. ტემპერამენტის ეს ტიპოლოგია იმდენად ჭეშმარიტი აღმოჩნდა, რომ გაუძლო საუკუნეებს. ადამიანის სხეულში რომელიმე სითხის სიჭარბის მიხედვით ჰიპოკრატეს და გალენის მიერ დადგენილი ტემპერამენტის ოთხი ტიპი — სანგვინიკური, ფლეგმატიკური, ქოლერიკული და მელანქოლიკური ტემპერამენტები. როგორც ადამიანის ემოციურ-აფექტური ცხოვრების გამოხატულება, დღესაც უფლებამოსილია მეცნიერებაში. ამ ავტორების მიერ მოცემული ფსიქოლოგიური დახასიათება ტემპერამენტისა დღესაც ძალაშია, თუმცა ტემპერამენტების ფსიქოლოგიური ნიშნების ფიზიოლოგიური საფუძვლების გაგება შემდგომ საუკუნეებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, კერ-

---

[1] Гиппократ. О древней медицине. Избр. книги, 1936, зз. 161

ძოდ ფიზიოლოგიის განვითარებასთან ერთად, იცვლება და უფრო ზუსტი ხდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტემპერამენტის შესახებ მოძღვრება თავიდანვე მოწოდებული იყო ადამიანის ემოციურ-აფექტური სფეროს გასაგებად. ბერძენმა ფილოსოფოსებმა პლატონმა და, განსაკუთრებით არისტოტელემ, ტემპერამენტი განასხვავეს ადამიანის ხასიათისაგან. მათთვის ტემპერამენტი გამოხატავდა ადამიანის ვნებების, გრძნობების თავისებურებას, მათ დინამიკას, მაშინ როდესაც ხასიათი ნიშნავდა ადამიანის ქცევას, მის სოციალურ დამოკიდებულებებს. ტემპერამენტის, როგორც ადამიანის ემოციურ-აფექტური ცხოვრების თავისებურების გაგებას, იშვიათი გამონაკლისით, იზიარებს არისტოტელეს დროიდან დღემდე თითქმის ყველა მკვლევარი. ძირითადში ყველა შეთანხმებულია იმაში, რომ ტემპერამენტი არის ემოციური სფეროს საფუძველი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტემპერამენტის ტიპებთან დაკავშირებით მეცნიერულ ასპექტში პირველად დაისვა საკითხი ადამიანთა შორის ქცევის განსხვავებულობის შესახებ. ჯერ ერთი, აღწერილ იქნა ემოციურ-აფექტურ სფეროს მიხედვით ადამიანთა განსხვავებულობის ფაქტი; ამასთანავე ნაცადი იყო ამ განსხვავებულობის ახსნა იმდროინდელი საბუნებისმეტყველო ცოდნის საფუძველზე. სანგვინიკური ადამიანი იმიტომაა ოპტიმისტურად განწყობილი, მოძრავი, ცოცხალი გრძნობების მქონე, რომ მის ორგანიზმში ჭარბობს კოსმიური ჰაერის გამოხატულება — სისხლი. ფლეგმატიკურ ადამიანში ჭარბობს დედამიწის სინოტივის გამოხატულება — ლორწო, ამიტომაც ასეთი ადამიანის ემოციური სფერო უფრო ზანტია, მოუქნელი, ძნელად აგზნებადი. მაგრამ ძლიერი და წონასწორი. კოსმოსური ცეცხლის გამოხატულება — ყვითელი ნაღველის სიჭარბე წარმოშობს ფეთქად, მღელვარე, ძლიერ ემოციების ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანს, ხოლო შავი მიწის გამოხატულება — შავი ნაღველის სიჭარბე განაპირობებს ადვილად აგზნებად, ცვალებადი განწყობილების, მაღალი მგრძნობელობისადმი და ფსიქიკურ აშლილობისაკენ მიდრეკილების მქონე მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანის არსებობას. როგორც ვხედავთ, აქ, ადამიანის ბუნების შესწავლაში, აღწერის გვერდით შემოიჭრა ახსნის პრინციპი.

საუკუნეების მანძილზე მრავალმა ფიზიოლოგმა და ფსიქოლოგმა იკვლია ტემპერამენტის ბუნება, მისი არსებითი ნიშნები და ამ ნიშნების განმსაზღვრელი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამით მხოლოდ გამდიდრდა და დასრულდა ჰიპოკრატესა და გალენის მიერ დადგენილი ტიპების შინაარსი. საბოლოოდ, თანამედროვე ფსიქოლოგიაში ამ ტიპებს შემდეგი ნიშნებით ახასიათებენ:

სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის დამახასიათებელია ემოციების ძლიერი აღგზნებადობა, სანგვინიკის ემოცია სწრაფად აღმოცენდება, მიმდინარეობს ინტენსიურად, ამავე დროს ხასიათდება მერყეობით, სწრაფი წარმავლობით. მასში ერთი განწყობილება სწრაფად ცვლის მეორეს, იგი ადვილად ახერხებს ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადანაცვლებას. ასეთი ადამიანი სწრაფია, მოძრავი, სიცოცხლით სავსე; მისი გრძნობები უშუალოდ და შეუკავებლად აისახება გამოსახულებით მოძრაობებში. სანგვინიკს მიდრეკილება აქვს დადებითი (სასიამოვნო) სახის გრძნობებისაკენ. მასში უფრო ადვილად აღმოცენდება ოპტიმისტური სახის ემოციები: იგი ყოველთვის კარგს მოელის ცხოვრებიდან, ვიდრე ცუდს. უდარდელია, უფრო ხშირად იმედებით აღსავსეა. ადამიანთა ურთიერთობაში უფრო დადებით მხარეებს ამჩნევს, ვიდრე ცუდს. ამრიგად, სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანის არსებითი ნიშნებია: ემოციების ადვილი აღგზნებადობა, ინტენსიური ემოციების ნაკლები ხანიერება, ფსიქიკური ტემპის სისწრაფე, ადვილი გადანაცვლება და ოპტიმისტური ემოციებისადმი მიდრეკილება.

ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის ემოციურ-იმპულსური ქცევაც ადვილად აღგზნებადია, — მაგრამ მისი ემოცია ძლიერია და შედარებით მყარი; პიროვნება მთლიანად ჩაძირულია, შეპყრობილია სწრაფად აღმოცენებული ემოციით, გაძნელებულია ახალი სიტუაციის შესაფერის მოქმედებაში გადასვლა, გადანაცვლება; პიროვნება დიდხანს იმყოფება ემოციის ტყვეობაში. ამავე დროს დამახასიათებელია უწონასწორობაც, მძლავრი ემოციებისაგან ერთბაშად, ნახტომისებურად განტვირთვა, ახალ ემოციებზე გადართვა. ამიტომ ქოლერიკი გუნება-განწყობილების მერყეობითაც ხასიათდება. ქოლერიკის ჭარბი შთაბეჭდილებიანობა ხშირად

შეზღუდულია მისი პიროვნების დამპყრობი რომელიმე ენებით. ეს ენება ღრმა და ხანგრძლივია, ასეთივე ენებიდან თავის დაღწევა მას უჭირს. მაგრამ თუ ეს აუცილებელია, ქოლერიკი მას ახერხებს ერთბაშად და გადაჭრით. ასეთი ტემპერამენტის ადამიანს უფრო უსიამოვნო ემოციებისადმი აქვს მიდრეკილება. იგი უფრო ხშირად გაღიზიანებულია. უკმაყოფილოა და გაჯავრებული. მისი ენერგიული მოქმედება მიმდინარეობს უსიამოვნო ემოციების თანხლებით. ქოლერიკის ყოველი ემოცია მკვეთრად აისახება მის მოძრაობებში — მიმიკასა და პანტომიმიკაში; მისი მოძრაობები სწრაფია, ენერგიული, მეტყველება მგზნებარე. ამრიგად, ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნებია: ადვილად აღგზნებადი ძლიერი ემოციები, ემოციათა ძლიერი მერყეობა, ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეზე მკვეთრი და ერთბაშად გადანაცვლება, უსიამოვნო ემოციებისადმი მიდრეკილება, მოძრავი, მეტყველი, ეამოსახულებითი მოძრაობები.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანის ემოცია ძნელად აღგზნებადია, მხოლოდ ძლიერი და პროვნებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე გამღიზიანებელი იწვევს მასში ემოციის აღმოცენებას. ერთხელ გაჩენილი ემოცია, რომელიც შეიძლება ძლიერიც იყოს, ნელია. ასეთი ადამიანი მშვიდია, წონასწორი. აღმოცენებული ემოცია მყარია, მოქმედებაში იგი ხშირად შეუდრეკელია, ენერგიული, თანამიმდევარი: უჭირს ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა. მისი გამოსახულებითი მოძრაობები ღარიბია. მას უფრო მიდრეკილება აქვს დადებითი და მშვიდი ემოციური განწყობილებისაკენ. ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ძირითადი ნიშნებია: ემოციების ნელი და ძნელი აღმოცენება, ფსიქიკისა და მოძრაობის ნელი ტემპი, ჭარბი შინაგანი წონასწორობა, გადანაცვლების სიძნელე. სასიამოვნო გრძნობებისაკენ მიდრეკილება.

მელანქოლიური ტემპერამენტის ადამიანის ემოცია ხასიათდება ნელი, მაგრამ მძლავრი და მყარი ემოციური აღგზნებადობით. ერთხელ აღმოცენებული ემოცია მთლიანად იპყრობს პიროვნებას. მას უჭირს მისგან განთავისუფლება, გუნება-განწყობილების შეცვლა. მისი ძლიერი ემოციები სუსტად მეღავნდება გამოსახულებით მოძრაობებში, იგი უფრო თავისთავში ჩაკეტილია, უჭირს თავისი

მძიმე განცდების სხვისთვის გაზიარება, მიდრეკილება აქვს უსიამოვნო ემოციებისადმი, ხშირად იპყრობს უიმედობა, ცხოვრებაში უფრო ცუდ მხარეებს ამჩნევს, ვიდრე კარგს.

პლატონი. მესამე მიმართულება ფილოსოფიური ხასიათისაა. ანტიკური ფილოსოფოსები თავის ეთიკურ — ესთეტიკურ კონცეფციებთან კავშირში ყურადღებას აქცევდნენ ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავებულობის ფაქტს და ამ განსხვავებულობის მნიშვნელობას საზოგადოების კეთილმოწყობისათვის. ფილოსოფოს პლატონის (427—347 წელი ჩვ. წ.) მიხედვით, მშვენიერება არსებობს იდეათა სამყაროში. იგი ზეგრძნობადი ხასიათისაა. მისი წვდომა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიის საშუალებით. უმაღლესი ჭეშმარიტების, სიკეთის წვდომა შეუძლია მაღალი გონების ფილოსოფოსს და არა ხელოვანს, პოეტს. ფილოსოფიის საგანს შეადგენს საგნების წვდომა მის ზოგადობაში. ჭეშმარიტია არა ცალკეული კეთილი საქციელი, კერძო შემთხვევები, ლამაზი ადამიანები და მშვენიერი ნაწარმოებები. არამედ თვითონ სიკეთე, მშვენიერება, ჭეშმარიტება, როგორც იდეა. ფილოსოფია წვდება გვაროვნულს, ზოგადს, საგანთა იდეას — ცნებას[1].

მისი აზრით, კულტურის უმაღლესი ფორმა არის ფილოსოფია და არა ხელოვნება. იდეალურ სახელმწიფოში მთელი მმართველობის საჭე უნდა ეჭიროს ფილოსოფოსს. მოქალაქის იდეალად უნდა იქნეს აღიარებული ფილოსოფიურად განსწავლული ბრძენი ადამიანი. ადამიანი ფილოსოფოსი არკვევს სიკეთის სხვადასხვა სახეებიდან უმაღლეს სიკეთეს, ჭეშმარიტ ღირებულებებს. სახელმწიფოს მმართველი ფილოსოფოსი წარმართავს ხელოსნობის სხვადასხვა დარგებს, სხვადასხვა სპეციალობებს საზოგადოებისათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით, ადამიანებს მიუჩენს მოქმედების შესაფერის დარგებს, სწორად აფასებს მატერიალურ ღირებულებებს (ტანსაცმელი. ბინა), სხეულის სიკეთეს — ჯანმრთელობას, სილამაზეს, სულიერ სიკეთეს — სიბრძნეს, თავშეკავებას, სამართლიანობას. მისი აზრით, ჭეშმარიტი მშვენიერება — ფილოსოფიური სიბრძნეა, სამართლიანობით გამსჭვალული კეთილი ცხოვრებაა. ასეთი

[1] Гегель, Эстетика, т. XII, 1938, გვ. 23.

სანიმუშო და მისაბაძი ცხოვრება შეუძლია მხოლოდ ნამდვილ ფილოსოფოსს.[1]

ამრიგად, ფილოსოფოსს — სახელმწიფოს მმართველს პლატონი უპირისპირებს ჩვეულებრივი პროფესიის ადამიანებს (სამხედროებს, მიწათმოქმედებს, ექიმებს, ფეიქრებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, აგრეთვე პოეტებსაც). ფილოსოფოსი ყველა ამ პროფესიებზე მაღლა დგას, იგი აღჭურვილია ყველა ცოდნით, რომელიც საჭიროა იდეალური სახელმწიფოს მართვისათვის. მას მინიჭებული აქვს როგორც პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი უნარი, ისე დიდი სიბრძნეც. პლატონი თავის იდეალურ სახელმწიფოში პოეტებისათვის (ჰომეროსი, ჰესიოდე, დრამატურგები) ადგილს ვერ პოულობს. პოეტების შემოქმედება მას მიაჩნია მირაჟად, როგორც მეცნიერების, ისე ეთიკური თვალსაზრისით უსარგებლოდ. მოქანდაკე, პოეტი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც არ გააჩნია სიბრძნე, მშვენიერება და კეთილშობილება. პოეტი — დაკნინებული ცივილიზაციის ადამიანების ვნებებს ატკბობს. მხოლოდ ფოლოსოფოსს შეუძლია აამაღლოს ადამიანი უმაღლეს მშვენიერებამდე — სიკეთემდე. თვითონ ფილოსოფია არის უდიდესი ხელოვნება (უდიდესი მუსიკალური ხელოვნება). მუსიკა. რომელსაც სოკრატე ქმნის თავისი ცხოვრებით და სიტყვებით, მაღლა დგას ჰომეროსის პოემებზე[2]. პლატონი ხშირად ხელოვნების ფუნქციას ფილოსოფიას აკისრებს.

პლატონის მიხედვით, ამქვეყნიურ ყოველ საგანს, მოვლენას იდეათა სამყაროში თავისი შესატყვისი იდეა მოეპოვება. ეს იდეა ზოგადია, რეალურია, ჭეშმარიტი და მარადიული. ამ იდეის ჩრდილებს წარმოადგენენ ამქვეყნიერი გრძნობადი საგნები. მხოლოდ ფილოსოფიის სიბრძნე ახერხებს წვდეს და გაარჩიოს მარადიული, ჭეშმარიტი, იდეათა მთლიანობა. დანარჩენი პროფესიის ადამიანებს საქმე აქვთ იდეის ჩრდილებთან; ისინი ქმნიან საგნებს, მაგალითად, სკამებს, გემებს, ტანსაცმელს, მისდევენ სამხედრო საქმეს, პოლიტიკას, სცემენ კანონებს, — ყველაფერი ეს არის ნამდვილი იდეების ასლები. ადამიანების მესამე რიგს მიეკუთვნებიან პოეტები და მხატვრები, რომელნიც წაბაძვის ნიადაგზე ქმნიან ამ საგნების ხა-

---

[1] Платон. Политика, соч., ч. VI, გვ. 146—147.
[2] Гильберт, Кун, История эстетики, 1960, გვ. 60.

ტებს. რომელნიც შექმნილია მეორე რიგის ადამიანების მიერ, ხელოვანი ბაძავს იდეათა ჩრდილის ჩრდილებს, ამიტომ მათ მიერ შექმნილი სახეები უფრო დაშორებულია ნამდვილ ჭეშმარიტებას – იდეათა სამყაროს, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანის ნამოქმედარი. პოეტს, მხატვარს საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, იგი წერს ისეთ რამეზე, რომელიც მან არ იცის, უმღერის ომს, სამხედრო საქმე კი არ იცის, უმღერის ისეთ საგნებს, რომელთა გაკეთება მან არ იცის. მაშასადამე, რასაც ხელოვნება ქმნის, არის ლანდის ლანდი, რადგან ის საგანი და მოვლენა, რომელსაც ხელოვნება ქმნის, თვითონ არის იდეის ჩრდილი, მისი მიბაძვა, ნიღაბი. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ხელოვანი თავის ნაწარმოებს ქმნის არა საღი გონების მდგომარეობაში, არამედ მაშინ, როდესაც იგი შეპყრობილია „მუზით". პოეტი შემოქმედების დროს წარმოადგენს არა ნებისყოფითა და აზროვნებით აღჭურვილ არსებას, არამედ ზეშთაგონების ჭურჭელს. იგი ქმნის იმას, რასაც მას უკარნახებს მუზა, იგი შემოქმედების დროს პათოლოგიურ მდგომარეობაშია, ქმნის არა გონებით, არამედ ფანტაზიით; ფანტაზიას კი შეუძლია მიჰბაძოს ყველაფერს, მისი მოქმედება ულოგიკოა. ამიტომ იდეათა სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა მას არ გააჩნია[1]. ამის გამო ხელოვნების ნაწარმოები აღსავსეა სიცრუით, მოტყუებით; იგი მიგვითითებს რაღაც ლანდებზე და არა რეალურ ჭეშმარიტებაზე. მხატვრების, პოეტების მიერ შექმნილი სახეები, პერსონაჟები (ჰომეროსის ჩათვლით) არა ნამდვილია, ნიღბის ნიღაბია. მიუხედავად ხელოვნების ასეთი შეფასებისა, პლატონი არ უარყოფს ხელოვნების მნიშვნელობას. მისი აზრით, თუმცა ხელოვნება შორს დგას ჭეშმარიტებისაგან, მაგრამ იგი მოქმედებს ადამიანის ემოციებზე, ხიბლავს და იპყრობს ადამიანებს თავისი სახეებით. ამიტომ სათანადო კრიტიკული შერჩევით ხელოვნების ნაწარმოებნი, განსაკუთრებით მუსიკა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალგაზრდობის აღზრდისათვის[2].

ადამიანის ხასიათის ტიპების მდიდარი გალერეა, რომელიც შექმნა ანტიკური ხელოვნების გენიამ, პლატონის მიხედვით, შემეც-

---

1 Античные мыслители об искусстве. Учение о вдохновении. Нон. 1937, გვ. 73—83.
2 იქვე Законы, გვ. 106—126.

ნების ღირებულებას მოკლებულია. ხელოვნებაში დადგენილი ადამიანის ხასიათის ტიპები მიჩნეულია შემეცნების ღირებულებას მოკლებულ, ჭეშმარიტებას დაშორებულ მოვლენად. ადამიანის ბუნების მხატვრული ასახვა ჩათვლილია სინამდვილის შემეცნების დაბალ, არასანდო საფეხურად. პლატონის მიხედვით, ხელოვნების, კერძოდ, დრამატურგიის მისაბაძ საგანს შეადგენს კერძო ადამიანი, (მაგალითად, არისტოფანემ თავის კომედიაში „ღრუბლები" სოკრატეს მიბაძა), მაგრამ ყოველი კერძო ადამიანი არის ზოგადის. ადამიანის იდეის კერძო შემთხვევა, მისი ლანდი. სწორედ ადამიანობის იდეის კერძო შემთხვევა — ამ იდეის წარმავალი მერყეავი ლანდი შეადგენს ხელოვნების საგანს. ხელოვანი ბაძავს ამ საგნებს; ასეთი წაბაძვის ნიადაგზე შექმნილი ხელოვნების ნაწარმოები, კერძოდ, მხატვრული პერსონაჟები და მათი ხასიათები არანამდვილია. დაშორებულია ჭეშმარიტებას. როგორც ეს ზემოთაც ვნახეთ, პლატონი თავის მეტაფიზიკის საფუძველზე თვითონვე იძლევა ადამიანის ტიპების კლასიფიკაციას. ეს ტიპოლოგია ემყარება იდეათა სამყაროს (უმაღლესი სიკეთის — მშვენიერების) შემეცნებას. პლატონის მიხედვით, ადამიანის სული შედგება ორი ნაწილისაგან: უკვდავი გონებისა და მოკვდავი ვნებებისაგან. მოკვდავი სული თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: ერთი მათგანი ახლოსაა გონებასთან, იგი მოცემულია ნებელობის სახით და ადვილად ემორჩილება გონების კარნახს; სულის მეორე ნაწილია ვნებები, აფექტები, ადამიანის ყველაზე დაბალი მხარე. სულის თითოეული ნაწილი ორგანიზმის გარკვეულ ადგილთანაა დაკავშირებული. ის, ვისი სულიც აღჭურვილია უმაღლესი სიკეთის შემეცნების უნარით, უმაღლესი რიგის ადამიანია; ის კი, ვისი სულიც ძირითადში შეიმეცნებს მხოლოდ გრძნობად საგნებს, იდეათა ჩრდილებს, ვინც რეფლექსიის გარეშე ჩართულია წარმავალ ამქვეყნიურ ჩრდილთა სამეფოში და სჭირია ხელმძღვანელობა ბრძენი ფილოსოფოსისა, დაბალი რიგის ადამიანია. ამრიგად, პლატონმა ორ ჯგუფად დაჰყო ადამიანები: პირველ ჯგუფს მიაკუთვნა გონების, მეორე ჯგუფს კი გრძნობის ადამიანები. ამ უკანასკნელში ბატონობენ ვნებები, აფექტები.

პლატონის მიერ აღწერილი ხასიათის ეთიკური ტიპები ემყარება ადამიანის სულის მაღალ და დაბალ ნაწილებად დაყოფის პრინციპს. თუ ადამიანში ჭარბობს უკვდავი სული (გონება), რო-

მელიც თავის ქალაშია მოთავსებული. იგი მიეკუთვნება ღვთაებრივი ადამიანის ტიპს: მისთვის დამახასიათებელია გონივრულობა, სიბრძნე: ვნებების შეფერხების უნარი. სხეულის სხვა ნაწილებში მოქცეული მოკვდავი სულის იდეას ორმაგი ბუნება აქვს: ადამიანის გულში დაბუდებული, შედარებით კეთილშობილი სულის სიჭარბის ნიადაგზე ვითარდება ტიმოკრატიული ტიპის ადამიანი (მხედრები და სახელმწიფო კაცები). ღვიძლში მოთავსებული უფრო დაბალი მოკვდავი სულის სიჭარბე აყალიბებს ვნებამორეულ ოლიგარქიული, ტირანული და დემოკრატიული ტიპის ადამიანებს[1].

პლატონის იდეალისტური ფილოსოფიის ნიადაგზე აღმოცენებულმა ტიპოლოგიამ, რომელიც ადამიანის სულის დაბალ და მაღალ ნაწილებად დაყოფის პრინციპს ემყარება, ღრმა გავლენა მოახდინა ანტიკურ და საშუალო საუკუნეების, აგრეთვე ნაწილობრივ ახალი საუკუნეების იდეალისტურ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში არსებულ პიროვნების გაგებაზე. კერძოდ, ქარაქტეროლოგიაზე. პლატონის მიერ დადგენილი პრინციპი ძირითადში გაიზიარა არისტოტელემ. ეს პრინციპი გახდა ნეოპლატონიკურ ფილოსოფიაში ქრისტიანულ თეოლოგიასა და მთლიანად საშუალო საუკუნეების რელიგიურ მწერლობაში ადამიანის გაგების ძირითადი დასაყრდენი. თეოლოგიისათვის ადამიანის იდეალი იყო ასკეტი, რომელსაც სულის დაბალი ნაწილები სავსებით დაძლეული აქვს სულის მაღალი, უკვდავი ნაწილით. ადამიანის სულის ასეთი გაგების ანარეკლია ნაწილობრივ მე-19 საუკუნის ქარაქტეროლოგიაში გაბატონებული ადამიანის სულის რომელიმე ელემენტის სიჭარბის მიხედვით ხასიათის ტიპოლოგიის ცდები. მაგალითად, ცნობილია რიბოს მიერ გამოყოფილი ადამიანის ტიპები — გონების, გრძნობისა და ნებელობის სიჭარბის მიხედვით.

ამრიგად, პლატონმა. შეიძლება ითქვას, პირველმა საფუძველი ჩაუყარა ადამიანის ხასიათის ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის პრინციპს. მან პირველმა დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს ადამიანთა შორის განსხვავებას და მისი ახსნა სცადა თავისი იდეალისტური მეტაფიზიკის ნიადაგზე. მისი კონცეფცია იყო იდეალისტური. მაგრამ ადამიანის ხასიათის, როგორც სოციალური ქცევის ფორმის, სულიერი ცხოვრების თავისებურებასთან კავშირ-

---

[1] Платон. Политика и государство. 1963 г., გვ. 8—9.

ში განხილვა, ახალი და ორიგინალური იყო. კიდევაც ადამიანის ტიპოლოგიის პლატონისეულმა გაგებამ ღრმა გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეების ფსიქოლოგიაზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე.

არისტოტელე. პლატონის შემდეგ არისტოტელემ, რომელმაც კრიტიკულად აითვისა პლატონის ფილოსოფია, უფრო საფუძვლიან ნიადაგზე დააყენა ხასიათის შესახებ მოძღვრება და დაასაბუთა პლატონამდე აღიარებული და პლატონის მიერ უარყოფილი ადამიანის ხასიათის წვდომის ორი გზა, — როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერების საშუალებით ტიპების შემეცნების შესაძლებლობა.

არისტოტელეს მიხედვით, ხელოვნება ფილოსოფიის მონათესავეა. ხელოვნების საშუალებითაც შესაძლოა ზოგადის წვდომა[1]. ბუნება მოწესრიგებულ მთლიანს წარმოადგენს. დედა-ბუნებისადმი მიბაძვა ქმნის ხელოვნების ნაწარმოებს; ამავე დროს ხელოვნება მაღლა დგას ბუნებაზე: იგი ასრულებს, სრულყოფილად ხდის მას, რაც დაუსრულებელია, არასრულყოფილია ბუნების მარადიული განვითარების პროცესში. მაგრამ ბუნების, როგორც ორიგინალის, სრულყოფა შესაძლებელია მისი ხანგრძლივი შესწავლის შედეგად. ხელოვნება და ბუნება სამყაროს ორი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ბუნებას აქვს განვითარების შინაგანი კანონები. „ხელოვნების მეშვეობით კი წარმოიშვებიან ის საგნები, რომელთა ფორმა იმყოფება სულში". ხელოვნები იგონებს ახალ საგანს; ამით ხელოვნება ეჯიბრება ბუნებას, რომლის მამოძრავებელი არის ღვთაება. მოქანდაკე ფიდიასის სიბრძნე, ჩაქსოვილი მის შემოქმედებაში, ძირითადში ანალოგიურია ფილოსოფიის სიბრძნისა, რომლის დანიშნულებას შეადგენს მსოფლიოში მოქმედი მარადიული საწყისების შემეცნება. ხელოვნება თავის მეთოდებით ბაძავს ღვთაებრივს. ხელოვანი ბაძავს ღვთაების ნამოქმედარს, ბუნების ჰარმონიას მისი სრულყოფის სურვილით. ხელოვანი „გონიერი იდეის" საფუძველზე ქმნის ახალ საგნებს. „გონერი იდეით" ბუნების სრულყოფა, ახალი, უფრო ზოგადის შექმნა, რომელიც არ ეთიშება ბუნებას, არამედ ავსებს და ამშვენიერებს მას — არის წაბაძვის პროცესი. ხელოვნების ძირითადი გზა, რომლითაც იგი ქმნის სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებს[2]. წაბა-

[1] Аристотель, Этика (к Никомаху), 1908 г., кн VI, гл. 112.
[2] Гильберт и Кун, История эстетики, 1960, гл. 79.

ძის გზით სრულყოფილი საგნების შექმნა მდგომარეობს უმაღ-ლეს მხატვრულ განზოგადებაში. არისტოტელეს მიხედვით, განზო-გადების ხარისხი წარმოადგენს როგორც მეცნიერული ცოდნის, ისე ხელოვნების უმაღლეს საზომს. თუ მეცნიერება (ფილოსოფია) აღწევს ინდივიდუალური საგნების ანალიზის გზით უმაღლეს განზოგადებას (ცნებას), ხელოვნება ბაძავს ინდივიდუალურ საგნებს და შედეგად იღებს საგანთა მხატვრულ სახეს. მხატვრული სახის უმაღლესი ფორმა არის ადამიანის ტიპი, რომლის სრულყოფილი გამოსახულება მოცემულია ტრაგედიაში. როგორც ცნება, ისე მხატ-ვრული ხატიც ზოგადია. ამ მხრივ მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეცნიერება ბაძავს ზო-გადს, ხელოვნება კი კერძოს, ინდივიდუალურს, მაგრამ კერძოსად-მი წაბაძვის შედეგად წარმოშობილი სახე არასოდეს არაა იგივე, რაც კერძო, არამედ მასში დაჭერილია ისეთი ზოგადი, რომელიც გულისხმობს მრავალს. მხატვრული სახის შექმნა წარმოადგენს პროცესს, რომელსაც არისტოტელე განიხილავს ე. წ. გენეტური მეთოდით: „როგორც ჩანს, პოეზია შექმნა საზოგადოდ ორმა მიზეზ-მა, ორივე — ბუნებრივი მიზეზია. ჯერ ერთი, მიბაძვა თანდაყოლილი აქვს კაცს ბავშვობიდანვე, და კაციც იმით განსხვავდება სხვა ცხო-ველებისაგან, რომ იგი ყველაზე უფრო წამბაძავია და თავის პირ-ველ სწავლას მიბაძვის საშუალებით იძენს. გარდა ამისა, მიბაძვის შედეგი ყოველ კაცს ახარებს"[1]. როგორც ვხედავთ, არისტოტელე არკვევს ხელოვნების წარმოშობის მიზეზსა და დანიშნულებას. მაგ-რამ ცოდნა, რომელსაც ადამიანი ღებულობს მეცნიერებისა და ხელოვნების გზით, ერთბაშად არ მოდის. ჯერ გროვდება გამოცდი-ლება მოვლენებზე. ხოლო გამოცდილება, — რომლის პირველი წყაროა შეგრძნებები, იძლევა განზოგადების შესაძლებლობას. გა-მოცდილება ხელოვნებისა და მეცნიერების გზით უნდა განზოგად-დეს, სრულყოფილი გახდეს, მეცნიერებისა და ხელოვნების მონა-პოვარი უნდა შეერწყას ფილოსოფიის უმაღლეს სიბრძნეს[2].

როგორც აღვნიშნეთ, არისტოტელის აზრით, ხელოვნება უმაღ-

---

[1] არისტოტელე, პოეტიკა, თარგ. პროფ. ს. დანელიასი, 1944 წ., გვ. 8.
[2] Гильберт и Кун, История эстетики, 1960 г., гв. 80.

ლეს განზოგადებას აღწევს მხატვრული სახის შექმნით. განსაკუთრებით ადამიანის ტიპების მოცემით. „არისტოტელე არ ხმარობს ტერმინს „ტიპი“ (τ ύ π ο ς), სამაგიეროდ იგი ხმარობს სიტყვას εἶκων, რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან ἔ ο ι κ έ ν α ι — („მსგავსად ყოფნა“, „მსგავსება“ და ნიშნავს „მსგავსს“, „ხატს“, „სურათს“, „წარმოდგენას“, „სახეს“, ე. ი. იმას, რაც თავისი მოდელის მსგავსია და არის ამ მოდელის ორიგინალი). სურათი, სახე ან წარმოდგენა. ეს კი გვაძლევს უფლებას ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „τ ύ π ο ς“ („ტიპი“) არისტოტელეს თხზულებაში არ გვხვდება, მხატვრული ტიპის ცნება მაინც არის არისტოტელეს პოეტიკის ძირითადი ცნება, რომელიც თვითონ არისტოტელეს აღნიშნული აქვს სიტყვით εἰκῶν (ხატი, სახე, სურათი). არისტოტელეს εἰκών უდრის იმას, რასაც ჩვენ დღეს „ტიპს“ ვუწოდებთ“[1].

არისტოტელემ საფუძველი ჩაუყარა მხატვრული ტიპის იმ ცნებას, რომელსაც ანტიკური დროიდან დღემდე ესთეტიკა და მხატვრული კრიტიკა ხმარობს. ამ ცნების გამო ხშირია დავა, მაგრამ არისტოტელეს დებულება, რომ მხატვრული ტიპი სინამდვილის შესწავლის ნიადაგზე წარმოიშობა, რომ იგი გამოცდილების განზოგადების პროდუქტია, რომ მხატვრული ტიპი ნიშნავს ინდივიდუალურში ზოგადის წვდომას, რომ ეს ზოგადი ყოველთვის ინდივიდუალურ სახეში ან ტიპში უნდა იქნეს დაკონკრეტებული, — რეალისტურ ხელოვნებაში სადაოდ არავის გაუხდია. სადაო არაა ისიც, რომ მხატვრულ ტიპს შემეცნებითი ღირებულება აქვს.

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით არისტოტელეს ესთეტიკაში, კერძოდ, მხატვრული სახის ცნების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარემოება, რომ არისტოტელე ხელოვანს ფილოსოფოსის, მეცნიერის გვერდით აყენებს. მხატვრული შემოქმედების პროდუქტებს, კერძოდ, მწერლებისა და ხელოვანთა მიერ შექმნილ ტიპებს, გარდა მაღალი ესთეტიკური ღირებულებისა, უდიდეს შემეცნებითს ღირებულებას ანიჭებს და შესაძლებლად მიაჩნია ხელოვნების მეთოდებით ადამიანის ბუნების შემეცნება; ხელოვანს კი ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის თანასწორად თვლის.

---

1 პროფ. ს. დანელია, არისტოტელეს „პოეტიკის“ თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. LXII. 1944 წ.

არისტოტელე არკვევს პოეტის პირად თვისებებს და ადარებს მას ფილოსოფოსის პირად თვისებას. მისი აზრით, პოეზია ადამიანისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ტალანტს, წარმოსახვის ძლიერ უნარს. დრამატურგს უნდა შეეძლოს აზრით იმ გარემოში გადასვლა, რომელსაც ის ასახავს თავის პიესაში; იგი უნდა ცხოვრობდეს პერსონაჟის ცხოვრებით, უნდა ჰქონდეს გარდასახვის სრული უნარი: „ყველაზე უფრო დამაჯერებელი არიან ის პოეტები, რომლებიც ვნებათა დარგში იმავე ბუნებისა არიან: აღელვება ის, ვინც თვითონ აღელვებულია. და რისხვას იწვევს ის, ვინც უმეშმარიტესად განრისხებულია. ამიტომ პოეტური შემოქმედება (ποιητική) არის ან ბუნებისაგან კარგად დაჯილდოებული კაცის (εὐφυοῦς) საქმე, ან გადარეულის (μανικοῦ): ამათგან პირველებს აქვთ უნარი სხვადასხვა ფორმა მიიღონ (εὐπλαστοῦσι), ხოლო მეორენი ესტატიკოსები არიან"[1]. არისტოტელე დიდ უპირატესობას ანიჭებს პოეტს, რომელსაც აქვს ნიჭი „მიიღოს სხვა ფორმა", ე. ი. აქვს გარდასახვის უნარი. გენიოსი პოეტის სულის ეს მოქნილობა ახასიათებს ფილოსოფოსსაც. შემეცნების პროცესში ფილოსოფოსის სული ახერხებს გარდასახვას ყველა იმ ობიექტში, რომელთაც იგი შეიმეცნებს, ისე როგორც დრამატურგი პიესის შექმნის დროს — თავის მოქმედი პირების როლში. ტალანტი და სიდიადე როგორც პოეტის, ისე ფილოსოფოსისა მდგომარეობს იმაში, რომ ორივეს თანაბრად ახასიათებს მრავალსახოვან სუბსტანციისადმი წინააღმდეგობის გაუწეველობის უნარი. არისტოტელეს აზრით, ხელოვანისა და ფილოსოფოსის ტალანტი დაკავშირებულია მათი ბუნებისათვის დამახასიათებელ მელანქოლიკურ ტემპერამენტთან. მათ ორგანიზმში ჭარბად მოცემული შავი ნაღველი ადამიანს აქცევს ადვილად აღგზნებად, ცვალებადი განწყობილების, ძილში მოუსვენარ, ფსიქიკური დარღვევებისაკენ მიდრეკილების მქონე არსებად. ვისაც ორგანიზმში აქვს შავი ნაღველი ნორმალური დოზით, ის გენიოსია; ვისაც ჭარბად, -- „გადარეულია". არისტოტელე მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანებად თვლის ემპედოკლეს, პლატონს, სოკრატეს და პოეტების უმრავლესობას.

არისტოტელე თავის შრომებში სპეციალურად არ ჩერდება

---

1 არისტოტელე, პოეტიკა, 1944 წ. თარგმანი პროფ. ს. დანელიასი, გვ. 36.

ხასიათის ტიპოლოგიის საკითხებზე, მაგრამ მისი მსჯელობიდან ნათლად ირკვევა, რომ ადამიანის სრულყოფილი ტიპი, რომელიც კერძოში ზოგადის წვდომის შედეგადაა დადგენილი, — ხასიათის ტიპია. ადამიანის სრულყოფილი ტიპის ასახვა ნიშნავს ხასიათის ტიპის დადგენას. ადამიანის ხასიათის ცნებას იგი არკვევს თავის ცნობილ შრომაში „პოეტიკა". ამ გამოკვლევაში იგი სრულყოფილი ტრაგედიის შექმნის ერთ ძირითად პირობად თვლის ხასიათის ასახვას: „ტრაგედია არის მოქმედების ასახვა, მოქმედება კი წარმოებს ისეთ მოქმედთა საშუალებით, რომელთაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გარკვეული ბუნება ხასიათისა (ἦθος) და განსჯის (διάνοια) მიხედვით (ხომ ამის გამო ვამბობთ, რომ მოქმედებებს აქვთ რაღაც გარკვეული თვისება), ამიტომ მოქმედებათა ბუნებრივი მიზეზია ორი რამ — განსჯა და ხასიათი... ხასიათს მე ვეძახი იმას, რის გამო, როგორც ჩვენ ვამბობთ, მოქმედი არის ასეთი"[1]. ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ტრაგედიის მოქმედ გმირს უნდა ჰქონდეს ხასიათი; ეს გმირი ხასიათის ტიპია; ადამიანის სრულყოფილი ტიპი ხასიათის ტიპს ემთხვევა; ჩვენ ვამბობთ სრულყოფილი ტიპის შესახებ, რადგან არისტოტელეს მიხედვით, შეიძლება იყოს ისეთი ტრაგედიაც, რომელშიც ხასიათი არ ჩანდეს, მაგრამ ფაბულა იშლებოდეს და იწვევდეს ცხოველ ინტერესს მაყურებელში. არისტოტელე ხოტბას ასხამს ჰომეროსს, რომ ყველა მისი გმირი ხასიათის მატარებელია: „ჰომეროსი მრავალ სხვა საკითხშიც ღირსია ხოტბისა, მაგრამ განსაკუთრებით იმიტომ, რომ სხვა პოეტებს შორის მარტო მან იცის, თუ რა უნდა (პოემაში) გააკეთოს: ...დაიწყებს თუ არა (თხზულებას), მაშინვე შემოჰყავს ან კაცი, ან ქალი, ან სხვა ვინმე, და არც ერთი მისი გმირი არაა უხასიათო, არამედ ყველას აქვს ხასიათი"[2]. არისტოტელეს მიხედვით, ტრაგედიაში გმირის ცხოვრება მოქმედებაში უნდა იშლებოდეს, მოქმედებაში ჩაქსოვილია ადამიანის ხასიათი, ამიტომ მოქმედების ასახვის პროცესში ხდება წვდომა ადამიანის ხასიათის ბუნებისა. „ადამიანები ამა თუ იმ თვისების მქონენი არიან თავის ხასიათის გამო; მოქმედებათა გამო კი ისინი ან ბედნიერნი არიან, ან მის საწინააღმდეგო. ამიტომ პოეტები ცდილობენ არა იმაზე, რათა ხასიათები ასახონ, არამედ

---

1 არისტოტელე. პოეტიკა, 1944. გვ. 14—15.
2 იქვე. გვ. 52—53.

ისინი მოქმედებათა ასახვის საშუალებით ხასიათებსაც იჭერენ ხოლმე. ასე რომ, მოქმედება, ამბავი — აი რა არის მიზანი ტრაგედიისა, მიზანი კი ყველაფერზე უფრო დიდია... ხასიათი არის ის, რაც განსაზღვრავს, თუ როგორია გადაწყვეტილება. ამის გამო არ გამოხატავენ ხასიათს ის სიტყვები, საიდანაც არ ხდება ცხადი, თუ რას ირჩევს ვინმე, ან რას გაურბის იგი, ან ისეთები, სადაც სრულიად არ არის მოცემული, თუ რას ირჩევს, ან რას გაურბის მთქმელი"[1]. ამ სიტყვებში მოცემულია ხასიათის მთელი კონცეფცია. გარკვეულია, რომ ხასიათი არის პიროვნების თვისება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალური ქცევის თავისებურებას; ხასიათში ჩანს ადამიანის ბუნება („რის გამოც მოქმედება არის ასეთი"); ხასიათი მიზეზია ადამიანის მოქმედებისა, იგი ერთგვარი შინაგანი ლოგიკაა, რომლიდანაც მომდინარეობს ადამიანის ეთიკური ქცევის თავისებურება. ადამიანის ხასიათის ცოდნა იძლევა იმის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას, თუ როგორ მოიქცევა იგი ამა თუ იმ პირობებში; ხასიათი ანიჭებს ადამიანს გარკვეულობას, ინდივიდუალობას; ადამიანის ხასიათი პიროვნების სულიერი თვისებაა, იგი მის ზნეობასთან, მისი ქცევის ავკარგიანობასთანაა დაკავშირებული. გამოხატავს ადამიანის კეთილსა და ბოროტ თვისებებს. ასეთი თვისებები კი მეღავნდება არა სიტყვაში, განსჯაში, არამედ მოქმედებებში, ადამიანის ცხოვრების მსვლელობაში. ის, თუ როგორი იქნება ადამიანის მოქმედება, ბევრადაა დამოკიდებული მის ხასიათზე; ამავე დროს, ხასიათის გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებაში. ამიტომ ტრაგედიის შექმნის სიძნელე მდგომარეობს ისეთი მოქმედებების, კოლიზიების შექმნაში, სადაც მთელი სიმკვეთრით გამომჟღავნდება პიროვნებაში განმტკიცებული ხასიათის ნიშნები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არისტოტელემ მიუთითა ხასიათისა და ნებელობის აუცილებელ კავშირზე: „ხასიათი არის ის, რაც განსაზღვრავს, თუ როგორია გადაწყვეტილება" — ამბობს არისტოტელე, ე. ი. ადამიანის გადაწყვეტილება განსაზღვრულია ხასიათით. კარგი, კეთილი ხასიათის ადამიანი კეთილ გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო ბოროტი ხასიათის ადამიანი ბოროტ გადაწყვეტილებამდე მიდის და ამის საფუძველზე გაშლის ქცევას; ხასიათი

[1] იქვე, გვ. 15—16.

ნებელობითი ქცევის საფუძველია. ადამიანს აქვს ხასიათის მრავალი ნიშანი, ეს ნიშნები უბიძგებენ ადამიანს მომავალი ქცევის არჩევანიაა და გადაწყვეტილებისაკენ. ხასიათი მორალური ქცევის საფუძველია და განაპირობებს სამყაროში ადამიანების დამოკიდებულებათა თავისებურებას[1].

ცნობილია, რომ არისტოტელეს არ ჰქონდა ნებელობის ცნება იმ გაგებით, როგორც ეს მოცემულია თანამედროვე ფსიქოლოგიაში. ნებელობა მისთვის არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ფსიქიკურ ფუნქციას, რომელსაც შეუძლია აწარმოოს არჩევანი, გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების ნიადაგზე მოქმედება. მისთვის გადაწყვეტილების აქტი არის არა „წმინდა" ნებელობის აქტი, არამედ საღი გონების მოქმედება. გადაწყვეტილების მიღებას, შესრულებას ადამიანი აღწევს პრაქტიკული გონების კარნახით. მაგრამ ადამიანის გონების მოქმედებას, მიმართულებას ხასიათი აძლევს, ე. ი. როგორ საქციელს აირჩევს გონება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი კეთილს თუ ბოროტს, დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორია მისი ხასიათი. როგორც ვხედავთ, არისტოტელემ მიუთითა ხასიათის ცნების ისეთ ნიშნებზე, რომლებიც შემდეგში აითვისა ფსიქოლოგიამ. თანამედროვე ქარაქტეროლოგიაში ბევრი ცნობილი მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ ხასიათი განსაზღვრავს გადაწყვეტილებას. იგი ნებელობის საფუძველია (დისპოზიცია).

თუმცა არისტოტელე ხასიათის ცნებას ეთიკური გაგებით ხმარობს, მაგრამ მის მსჯელობაში ნათლად ჩანს ავტორის ფსიქოლოგიური შეხედულებაც. იგი ხაზს უსვამს ხასიათის ზოგადფსიქოლოგიურ ბუნებას, მისთვის ხასიათი გონიერი არჩევნისა და გადაწყვეტილების განმსაზღვრელი თვისებაა. ზემოთ აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს არისტოტელეს შეხედულება ადამიანის ხასიათის სრულყოფილად ასახვის წესის შესახებ: „პირველი და მთავარია, რომ ხასიათები იყვნენ პატიოსანი. კაცს ექნება ხასიათი, როგორც ითქვა მაშინ, თუ მისი სიტყვა და საქციელი ცხადყოფს, რომ იგი რაღაცას ირჩევს. ხოლო პატიოსანი ხასიათი იქნება მაშინ,

---

[1] არისტოტელე ტერმინ ხასიათის (Χαρακτήρ) ნაცვლად ხმარობს ეთოსს (ἦθος). ტერმინი „ხასიათი" პირველად იხმარა მისმა მოწაფემ თეოფრასტემ. არისტოტელეს შემდეგ, საშუალო საუკუნეებში, ქარაქტეროლოგიური მნიშვნელობით ხშირად იხმარებოდა ეთოლოგია. მე-19 საუკუნეშიც ჯემსს სტუარტ მილი ქარაქტეროლოგიის ნაცვლად ეთოლოგიას ხმარობს.

თუ მისი სიტყვა და საქციელი ცხადყოფენ, რომ იგი ირჩევს პატიოსანს[1]". აქედან სრულიად ნათლად ჩანს, რომ არისტოტელე ხასიათს თვლის მოქმედების არჩევანის საფუძვლად, ზნეობრივი ქცევის განმსაზღვრელად. მისი აზრით, პატიოსანი ხასიათი განსაზღვრავს პატიოსანი მოქმედების არჩევანს და შესატყვის გადაწყვეტილებას. ხასიათიდან ლოგიკური აუცილებლობით მომდინარეობს ეთიკური მოქმედებები. „ხასიათებში, ისე როგორც მოქმედებათა შემადგენლობაში საჭიროა ყოველთვის ვეძიოთ ან აუცილებელი, ან შესაძლებელი, რათა ის, რასაც ესა თუ ის პირი ლაპარაკობს ან აკეთებს, ან აუცილებელი იყოს, ან დასაჯერებელი, და ერთი რამ ხდებოდეს მეორის შემდეგ ან აუცილებლობის ან ალბათობის გამო"[2]. არისტოტელეს მოჰყავს მაგალითები ბერძნული ტრაგედიებიდან, სადაც გმირის ხასიათიდან აუცილებლობით არ მომდინარეობს მისი საქციელი, და იძლევა რჩევას, თუ რა წესი უნდა დაიცვას შემოქმედმა, რომ მის მიერ ასახული ტიპი იყოს სრულყოფილი. არისტოტელესათვის სრულყოფილი ხასიათი არ ნიშნავს აუცილებლად კეთილ ხასიათს, არამედ ისეთს, რომელიც მართალია, რომელიც ყოველთვის ეთანხმება თავისთავს, რომლიდანაც ყოველთვის აუცილებლობით გამომდინარეობს შესაფერისი ქცევა. მისი აზრით, აუცილებელია რომ „ხასიათი იყოს სწორი. იმ შემთხვევაში, რომ ის კაცი, რომელიც ასახვის საგანს წარმოადგენს, იყოს უსწორმასწორო და ხასიათიც მას ისეთი ჰქონდეს, იგი მაინც სწორად უნდა იყოს უსწორმასწორო"[3]. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს არაწონასწორი ხასიათი, მაგრამ ხასიათის ეს უსწორმასწორობა სწორად უნდა იქნეს ასახული და ამასთანავე ნაჩვენები, თუ როგორი ქცევა მომდინარეობს ან შეიძლება მომდინარეობდეს უწონასწორო ხასიათიდან. არისტოტელეს მიხედვით, ხასიათი აქვს არა მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც კეთილია და თავის საქციელის მიხედვით წონასწორია და მტკიცე, არამედ იმასაც, რომლის ბუნება მერყეევია, უწონასწორო, სუსტი. ყოველ ადამიანს აქვს ხასიათი. ხასიათი არის სოციალურ-ეთიკური ქცევის განმსაზღვრელი არსი.

---

[1] არისტოტელე, პოეტიკა. თარგმანი პროფ. ს. დანელიასი, გვ. 31.
[2] იქვე, გვ. 32.
[3] იქვე, გვ. 31.

ხასიათის ცნების შესახებ თავის შეხედულებას არისტოტელე აყალიბებს ბერძნული ხელოვნებისა და ლიტერატურის შედეგრების მეცნიერული ანალიზის ნიადაგზე. მას მიაჩნია, რომ ხელოვნება სწორად ასახავს ხასიათს, წვდება ადამიანის ნამდვილ ბუნებას. ხელოვნებას, გარდა ესთეტიკური ღირებულებისა, აქვს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც. არისტოტელემ არა მარტო საფუძველი ჩაუყარა ხასიათის ესთეტიკურ, ეთიკურ და ფსიქოლოგიურ გაგებას, არამედ თავის „ეთიკაში" სცადა მოეცა ხასიათების ტიპოლოგიაც. ტიპოლოგიის პრინციპად აღიარებულია ზომიერება ვნებების, სიამოვნებისადმი მისწრაფებების გამომჟღავნებაში. გონების კონტროლი ზომიერს ხდის ჭარბი სიამოვნებისაკენ მისწრაფებას, აფექტებს. არისტოტელე გვისურათებს ადამიანის ტიპებს, რომელთა ვნებები არ ემორჩილება გონებას და გვიხატავს დიდსულოვანი ადამიანის პორტრეტს, რომლის საქციელის ყოველი ნიუანსი ზომიერებითაა გამსჭვალული; ასეთი ადამიანი წონასწორია, ჰარმონიული და საზოგადოებისათვის სანიმუშო. მისი ძირითადი ნიშანია სისრულე: „მაღალსულოვნება არის კეთილობის თავისებური გვირგვინი: კეთილობას იგი აძლევს სიდიადეს, ამ სიადიადის გარეშე დიდსულოვნება წარმოუდგენელია... ამიტომ ჭეშმარიტ დიდსულოვან ადამიანად ყოფნა მძიმეა, იგი შეუძლებელია სისრულის გარეშე"[1]. საბოლოოდ. არისტოტელე ყველა ტიპის ადამიანზე მაღლა აყენებს ბრძენს, რომლის ძირითად მისწრაფებას შეადგენს ყოველგვარი პრაქტიკული მიზნებისაგან განთავისუფლებული „ჭვრეტითი გონებრივი მოქმედება". ბრძენი ადამიანი გონებით ჭვრეტს ღვთაებას, სამყაროს უმაღლეს საიდუმლოებას და განიცდის დიდ ინტელექტუალურ სიამოვნებას"[2].

თეოფრასტე და მისი გავლენა. პლატონი და არისტოტელე ადამიანის ხასიათის ტიპოლოგიას ეხებოდნენ უმთავრესად ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემებთან კავშირში. ხასიათის პრობლემა მათ დამოუკიდებელი კვლევა-ძიების საგნად არ უქცევიათ. არისტოტელეს მოწაფემ თეოფრასტემ (371—286) პირველმა ცალკე პრობლემად გამოჰყო ადამიანის ხასიათის ბუნების შესწავლა და მთელი შრომა უძღვნა ხასიათის ტიპოლოგიას[3].

---

[1] Аристотель, Этика (к Никомаху), 1908 г., გვ. 70.
[2] იქვე, 189—199.
[3] Теофраст, характеристики, 1893 г.

თეოფრასტემ პირველად იხმარა სიტყვა ხასიათი (Χαρακτήρ), რომელიც ნიშნავს გამოკვეთას, ანაბეჭდს, ადამიანის მიმართ კი გამოკვეთილ თავისებურებას. მან გამოჰყო მაშინდელ ადამიანებისათვის დამახასიათებელი ჭარბი სულიერი ნიშნები; ეს ნიშნები მიიჩნია პიროვნების ხასიათის გამომხატველად და ამ თვისებების ასპექტში განიხილა მთლიანად ადამიანის საქციელი. თეოფრასტე ითვლება ხასიათის შესახებ პირველი დამოუკიდებელი წიგნის ავტორად. მან მოგვცა 30 განსხვავებული ხასიათის პორტრეტი. ეს პორტრეტები უმთავრესად ასახავენ ზნეობრივად უარყოფითი ნიშნების ადამიანებს. იგი მხატვრულად აღწერს პირმოთნე, მლიქვნელი, ლაქლაქა, გაუთლელი, ქედმოხრილი, ზნეობრივად მახინჯი, უბედი, ჭორიკანა, მოძალადე, ძუნწი, უტაქტო, გაიძვერა, აბეზარი, გაფანტული, მიუკარებელი, ცრუმორწმუნე, წუწუნა, უნდო, მომაბეზრებელი, ბინძური, პატივმოყვარე, „ქრიქანგი", ტრაბახა, ამაყი, მხდალი, მოხუცი, რომელიც უმაწვილობს, დემოკრატი, ხარბი და კეთილშობილი ადამიანების ქცევას. თეოფრასტეს წერითი მანერის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მისი წიგნიდან „ხასიათები" მლიქვნელის პორტრეტი.

„მლიქვნელობა შედეგია ცნობილი პიროვნების წინაშე მაამებლობის, — მლიქვნელობა როგორც ქცევა სასარგებლოა მლიქვნელისათვის.

მიდიხარ მლიქვნელის გვერდით, იგი გეკითხება: „ვერ შენიშნე, — როგორ გიყურებენ შენ გამვლელები? ამგვარ პატივს ქალაქში ეღირსე მხოლოდ შენ. გუშინ შენ გაქებდნენ ტავერნაში, იქ იჯდა ოცდაათზე მეტი კაცი; სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ მოქალაქეებიდან ვინაა ყველაზე უკეთესი?" ამ ლაპარაკის დროს იგი მოაცლის თქვენს ტანსაცმელს ძაფს; ჩავარდება თუ არა თქვენს თმაში ქარით მოტანილი ბუსუსი, იგი სწრაფად მოგაცლით მას და იტყვის ღიმილით: „ოხ, როგორ გაჭაღარავდა თქვენი წვერი? იცით რატომ! — იმისათვის, რომ ორი დღეა, რაც არ მინახავხართ... შენ, თუმცა გამონაკლისი ხარ, — შენი ასაკისათვის შენი თმა საკმარისად შავია". გააღებს თუ არა მისი მფარველი სალაპარაკოდ პირს, — იგი ირგვლივ მყოფთ უბრძანებს გაჩუმდნენ; ხოლო როგორც კი შეწყვეტს ლაპარაკს, მოწონებით წამოიძახებს: „საქმიანია"! მფარველს წამოცდება უხერხული ხუმრობა,—მლიქვნელი იკრიჭება და

ცხვირსახოცით იფარავს სახეს, თითქოს მას არ შეუძლია სიცილის შეკავება; გადაეღობება მფარველს ვინმე ქუჩაზე,—იგი აიძულებს მას მოიცადოს, სანამ გაივლიდეს მისი მფარველი, მისი ბავშვებისათვის იგი ყიდულობს ვაშლს, მსხალს და აძლევს მათ მისი თანდასწრებით, თავს ევლება ეფერება და კოცნის შემდეგი სიტყვებით: „ოხ, პაწაწებო, როგორი ძვირფასი ადამიანია თქვენი მამა“. მფარველი ყიდულობს მისი თანდასწრებით ფეხსაცმელს, — იგი მის ფეხს მიიჩნევს ფეხსაცმლის ფასონზე უფრო მშვენივრად. ესტუმრება მისი მფარველი მეგობარს,—იგი წინ გარბის, რომ გააფრთხილოს მეგობარი და ეტყვის მას „მე უკვე ვაცნობე თქვენს შესახებ“. იგი ენაგამოგდებული, დატვირთული მორბის „ქალთა ბაზრიდან“, მოაქვს თავისი მფარველის სანოვაგე; ართობს ფლეიტისტებს. სადილის დროს ივ. პირველი აღტაცებას გამოსთქვამს ღვინის მაღალი ხარისხის შესახებ. იგი იღებს მაგიდიდან ლუკმას და იტყვის: „ოხ, რა საჭმელია“.. შემდეგ მიიწევს მფარველისაკენ სიტყვებით: „როგორ მოხერხებულად ჭამ?!“ შეეკითხება მას — ხომ არ ცივა მას, ხომ არ სჭირია მოხურვა? იგი პასუხს არ უცდის, ისე მოახურავს მას; გადაიხრება მისკენ, ეჩურჩულება ყურში; ყბედობს სტუმრებთან, — თანაც თვალს არ აცილებს თავის მფარველს. თეატრში იგი მონას ხელიდან გამოგლეჯს ბალიშს და თვითონ ამოსდებს მას მფარველის საჯდომის ქვეშ. მის სახლს იგი მიიჩნევს შესანიშნავად აგებულად, მის ყანას შესანიშნავად დამუშავებულად, მის ბიუსტს — ორიგინალის მსგავსად.

ერთი სიტყვით, მლიქვნელის მოწოდებაა — გიყუროს, ილაპარაკოს, აკეთოს ყველაფერი თქვენს საამებლად[1].

თეოფრასტე მასალას იღებს ცხოვრების სინამდვილიდან. ამ მასალას იგი ეპყრობა არა როგორც მორალისტი-სატირიკოსი, არამედ როგორც ხასიათის მკვლევარი. მისი დახასიათებები მოკლეა, შეკრული, გამოკვეთილი. მის პორტრეტებში იგი მეღავნდება, როგორც ხელოვანი და ფსიქოლოგი. ყველა მისი გმირი თავისუფალი ბერძენია (იგი არ ახასიათებს მონებს, ჰეტერებს და სხვ.), მაგრამ მისი თანამედროვე ბერძნების ტიპები იმდენად განზოგადებულია, რომ მათში მკითხველი აღმოაჩენს ყველა ეპოქის ადამიანისათვის დამა-

[1] Теофраст, Характеристики, 1893 г., გვ. 2—3.

ხასიათებელ ნიშნებს. მის წიგნში „ზოგადადამიანური ემთხვევა— მისი ქვეყნისა და ეპოქის ადამიანებს". აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თეოფრასტემ პირველმა საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ლიტერატურულ ქრაქატეროლოგიას — ერთი დამახასიათებელი ჭარბი ზნეობრივი თვისების მიხედვით ხასიათის პორტრეტის მხატვრულ, ლაკონიურ ეტიუდში გამოქანდაკებას.

მისმა წიგნმა „ხასიათები" დიდი გავლენა მოახდინა ანტიკურ მწერლობაზე. რომაელები — პლავტი, ტერენციუსი, ტეტრონიუსი, ლუკანო თავიანთ შემოქმედებაში, განსაკუთრებით ხასიათის პორტრეტების შექმნაში, თეოფრასტეს გავლენას განიცდიდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თეოფრასტეს მოწაფე ათინელი დრამატურგი მენანდრე (342—292), რომელიც თავის კომედიებში ჭარბი სულიერი თვისებების მიხედვით იძლევა გამოკვეთილ ხასიათის პორტრეტებს. მისი გმირების მოქმედება ემყარება შემდეგ მოსაზრებებს: ბედნიერება და უბედურება ადამიანს ესტუმრება არა ღმერთების წყალობით, არამედ საკუთარი ხასიათიდან. ხასიათი მენანდრესათვის წარმოადგენს მოქმედების გაშლის ძირითად ღერძს, ხასიათის ლოგიკა განსაზღვრავს მის პიესებში მოქმედების გაშლას, ადამიანის ბედს.

თეოფრასტეს ეტიუდების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით იწერებოდა საშუალო საუკუნეების ქრისტიანული მორალისტური ქადაგებანი, ინგლისელი და ფარნგი ავტორების ქარაქტეროლოგიური ეტიუდები. თეოფრასტეს გავლენის საუკეთესო ნიმუშია მე-18 საუკუნის ფრანგი მორალისტების ლაროშფუკოს და ლაბრუიერის ბრწყინვალე ეტიუდები. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებამდე (მე-19 საუკუნე) ხასიათის შესახებ გამოქვეყნებული შრომები ატარებდა თეოფრასტეს გავლენის კვალს. საშუალო საუკუნეებში ცნობილი საეკლესიო მორალისტების ქადაგებანი თეოფრასტეს უშუალო ან არაპირდაპირი გავლენითაა შექმნილი. ამ მხრივ სანიმუშოა თეოფრასტეს პორტრეტების სტილზე აგებული ქართველი მწერლისა და მორალისტის **სულხან-საბა ორბელიანის** ქადაგებანი.

საბა თავის დიდაქტიკურ-მორალურ ქადაგებაში ბრწყინვალე მჭევრმეტყველობით ახასიათებდა და კიცხავდა ხასიათის უარყოფითი თვისებების ადამიანებს, მაგალითად, მრისხანე, მაგინებელ, აჭ-

პარტავან, ვერცხლისმოყვარულ ადამიანებს და სხვ. საბა იძლევა ხასიათის თვისებების ლოგიკურ განსაზღვრებას და გვიხატავს ხასიათის განზოგადებულ პორტრეტებს. მაგალითად, სულხან-საბას მიხედვით, „ამპარტავნობა ეს არის თავის ნაქმარის მომწონებელი და უმსგავსის დიდების მოყვარე, გულმაღალი და სწავლის მოთაკილე“[1]. ამპარტავნობას, როგორც ხასიათის თვისებას, იგი ასე აგვიწერს: „ამპარტავნებისაგან დაიბადების მოუსვენრობა, თავდაჯერებულობა და ცუდდიდებობა და ამათ მიერ იქმნება მიღება ცნობისა, დატევება სჯულისა... სადაც შევალს ამპარტავნება, მუნ შეუძლებელ არს დადგომად ყოველნი სათნოებანი კეთილნი: დააბნელებს გონებასა კაცთასა, ვითარცა დააბნელოს კვამლმან ძლიერმან თვალნი კაცთა თვალტკივნეულიანი... ვითარცა არიან მაკვდინებელნი თვალნი ვასილისკოსთანი, რომლიცა ცხოველი იხილა თვალითა, არა დაშთა ცოცხალი, აგრეთვე ამპარტავნებისა თვალმან რაოდენიცა იხილნოს კაცთა შინა კეთილნი და ქველნი, ყოველნივე მოაკვდინოს და განლიოს. ვითარცა ქარი სასტიკნი რა ეკვეთოს ხვავსა ბზისასა და განაბნიოს, აგრეთვე ამპარტავნება რა შევიდეს კაცთა შორის, მადლთა ხვავთა მისთა განაბნევს“. ამპარტავანი დიდგულაა, თავმომწონე და ქედმაღალი. ის თავის სიამპარტავნეს ვერ გრძნობს. უკეთ ვინმემ მიუთითა „არა ირწმუნებს და ჰგონეს თავისი თავი მდაბალ და მოქმედებულნი მისნი სიმდაბლით“. ამიტომ „უკმარარს გონიერეთაგან ამპარტავნისა კაცისა სწავლება“[2].

სულხან-საბა თავის დახასიათებებში იჩენს ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნას, დიდი დაკვირვების უნარს; მისი პორტრეტები თავისი მეცნიერული განზოგადებით, მხატვრულობით და სოციალური სიმახვილით უტოლდება მე-17—18 საუკუნეების სახელგანთქმულ ინგლისელ და ფრანგ ლიტერატურული ქარაქტეროლოგიის წარმომადგენლებს.

ესკიზები ხასიათის შესახებ გამოაქვეყნა ბევრმა ინგლისელმა და ფრანგმა ლიტერატორმა. მათ შრომებში ასახულია ახლად აღორძინებული ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანის მანკიერება. აქ მხოლოდ მივუთითებთ ზოგიერთ ცნობილ ავტორებს.

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 11.

2 ტექსტი ამოღებულია ი. ლოლაშვილის წიგნიდან „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“. 1959, გვ. 88—89. საბას ქადაგებანი მჭევრმეტყველების ასპექტში განხილული აქვს ნ. კანდელაკს წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება“, 1958, გვ. 178.

1614 წელს თომას ოვერბერიმ და მისმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს კრებული „ხასიათები ანუ გონებამახვილური აღწერანი სხვადასხვა ადამიანების თვისებებისა“. ამ კრებულში წარმოდგენილია 90 ესკიზი და მოცემულია ხასიათის ცნების განსაზღვრებაც. მაგალითად, აქ ნათქვამია „ხასიათი არის ანაბეჭდი, მსგავსი ასოსი ანბანში“, იგი არის „მოკლე ემბლემა“, „ბევრის შემცველი მცირე“. „სხვადასხვა ფერებში დახატული სურათი, სადაც წამყვანია ერთი ძირითადი ფერი, რომლითაც შეფერილია ყველა ფერი“. დასასრულ, ავტორი ახდენს ყველა ამ განსაზღვრებების სინთეზს შემდეგ მსჯელობაში „ესაა უცნაური და თბილი შეხება მრავალი სიმისა, სადაც ყველა ერთიანდება ერთ მუსიკალურ წრეში, ესაა გონების დისკანტი ერთ მარტივ სიმღერაზე“[1].

საგულისხმოა აგრეთვე 1628 წელს ჯონ ერლის მიერ გამოქვეყნებული წიგნი „მიკროკოსმოგრაფია“. ერლი თეოფრასტეს ერთგული მიმდევარია. მხოლოდ თუ თეოფრასტე თავის ხასიათებს განიხილავს კერძო ადამიანების ქცევის მაგალითებზე, ერლი ამას აკეთებს უფრო ზოგად ხაზებში. მისი ესკიზები აღსავსეა ბრწყინვალე პარადოქსებით და ეპიგრამებით. მას გამოჰყავს სხვადასხვა ტიპის ადამიანები, მაგალითად, სულელურად თავდაჭერილი, აჩქარებული, კაცი, რომელიც ყველაფერში ეჩრება, თავისთავზე დიდი წარმოდგენის ადამიანი. ამ უკანასკნელს ის ასე გვიხასიათებს — „ეს ის ადამიანია, რომელიც თავისთავს იცნობს ისე კარგად, რომ სრულიად არ იცნობს თავისთავს. მეტად ბრწყინვალედ დაგვირგვინებულმა საქმეებმა გააფუჭა იგი. თავისთავი მას გაუხდია საკუთარ წიგნად, რომელშიც იგი გამუდმებით იყურება. მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველისაგან განსხვავებით იგი აკვირდება მისთვის მნიშვნელოვან ადგილებს, განიხილავს იმას, რაც სასიამოვნოა; საკუთარი კარგი მხარეების ჭვრეტისას ძისი თვალები გაორებულად ხედავენ. ეს თვალები მსგავსად მოხუცის თვალებისა დიდ ასოს ხედავს პატარაში... მისი სიარული მაინც ჰგავს ჯარისკაცის მარშს, მას თავის წარმოდგენაში ნამდვილი თანატოლი არ ჰყავს... მისი თვალები ფიქსირებულია საკუთარ პერსონაზე ან სხვებზე საკუთარ პერსონაზე არეკვლით“.

---

[1] Roback A. A., The psychology of character. 1931. გვ. 14–15.

მე-17 საუკუნეში ყურადღებას იქცევს თომას ფულერის და სემუელ ბატლერის შრომები. წინამორბედი მწერლებისაგან განსხვავებით თ. ფულერი ცდილობს ხასიათის ცალკეული ნიშნების ლოგიკურ კლასიფიკაციას და განსაზღვრებას. მაგალითად, ფულერის მიხედვით მატყუარა არის ისეთი ადამიანი, რომელმაც პროფესიად გაიხადა გაყიდოს სიყალბენი მოტყუების მიზნით; მეძავი არის ის, რომელიც თვითონ არის ვაჭარიც და საქონელიც, რომელსაც იგი ჰყიდის მოგებისათვის, სანაცვლოდ ეძლევა სიამოვნება, მაგრამ მაინც რჩება ზარალში". ბატლერი გვაძლევს მრავალი განსხვავებული ტიპის ადამიანების პორტრეტებს (ამაყი, ფილოსოფოსი, ფანტასტიკოსი, უცნაური კაცი, მელანქოლიკი, ფანატიკოსი, მოლაყბე. წამლის სმის მოყვარული და სხვ.).[1]

მე-18 საუკუნის ცნობილი ინგლისელი მწერალი მანდეეილი ცდილობს დაადგინოს მორალური სათნოების საწყისები და მიდის სრულ ნიღილისტურ დასკვნამდე: ადამიანში სათნოება არ არსებობს; ადამიანის ხასიათი არამყარია, ემორჩილება ვნებებს; არა გონება, არამედ ვნებები მართავს ადამიანთა ქცევას. ამიტომ, მისი აზრით, ადამიანთა ხსნა არის რელიგიაში. მისი ესკიზები, დახასიათებები გაჟღენთილია მეფისტოფელური მორალური ნიღილიზმით. მას ნიცშეს წინამორბედს უწოდებენ[2].

ხასიათის მწერლებს შორის ყველაზე გამოკვეთილი ფიგურებია ფრანგები ლაროშფუკო[3] და ლა ბრუიერი[4]. ლაროშფუკოს ესკიზები მახვილია, წვდება ადამიანის საქციელის არსს, მოქმედების ბერკეტს; იგი მიმართულია ადამიანის საქციელის მოტივაციის საფუძვლების ძიებისაკენ, რაც ამოძრავებს ადამიანს საზოგადოებაში. მისი აზრით, თუ მიწვდები ადამიანის მამოძრავებელ მოტივს, შეიძლება იწინასწარმეტყველო, თუ როგორი იქნება მისი მომავალი ქცევა. მისი შეხედულებით, ადამიანს ამოძრავებს ეგოიზმი: ალტრუიზმი, ცნობისმოყვარეობა, ფესვებით ემყარება ეგოიზმს. მისი თანამედროვე პასკალიც იმ აზრისაა, რომ დიდებისმოყვარეობა და პატივმოყვარეობა არის ადამიანის მამოძრავებელი მოტივი. პასკა-

---

[1] იქვე, გვ. 15.
[2] იქვე, გვ. 22.
[3] Ларошфуко, Избранные мысли, 1888 г.
[4] Жан де-Лабрюйер. Характеры или нравы этого века. 1889.

ლის აზრით, თვით ცნობისმოყვარეობაც, რომელიც უბიძგებს ადამიანს ცოდნის შეძენისაკენ, დაკავშირებულია დიდებისმოყვარეობასთან; მისი აზრით, ცოდნის შეძენა ჩვენ იმიტომ გვსურს, რომ მის შესახებ შეგვიძლია ლაპარაკი. ადამიანები არ გადალახავდნენ ზღვებს, თუკი ისინი ვერაფერს იტყოდნენ ამის შესახებ.

თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლაბრუიერის წიგნი „ხასიათები". ლაბრუიერი კეთილშობილი სიმკაცრით ჰკიცხავს ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებას, მაგრამ ამ მანკიერების ფესვებს ხედავს არა სოციალურ ურთიერთობაში, კლასობრივ საზოგადოებაში, არამედ ადამიანის ბუნების თავისებურებაში. მისი აზრით, ადამიანი, მიდრეკილია ნაძირალური მოქმედებისაკენ. რომ დავიხსნათ იგი მანკიერებისაგან, ადამიანს სჭირდება მიხმარება, აღზრდა. „ნუ ბრაზობთ ადამიანებზე, როდესაც დავინახავთ მათ ეგოიზმს, სიამაყეს, ბრაზს და სხვ. ისინი ასე არიან შექმნილნი, ეს მათი ბუნებაა. ხომ სიბრიყვე იქნებოდა შეეედავოთ ქვას, რომ ის ქვევით ვარდება, ან ცეცხლს, რომ მისი ალი მაღლა მიდის. ადამიანები მტკიცენი არიან მხოლოდ თავის ყოველდღიურ წვრილმან საქმეებში; ისინი იცვლიან ჩვეულებებს, გარეგნობას, ენას, ზოგჯერ გემოვნებასაც, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებენ ცუდ ზნეობას; ჩაბღაუჭებული არიან იმას, რაც ცუდია, მტკიცედ ინარჩუნებენ თავის გულგრილობას სათნოების მიმართ".

ლაბრუიერმა მოგვცა ხასიათის გამოკვეთილი ტიპები. ზოგიერთი მათგანი წინამორბედია იმ ტიპებისა, რომლებიც მე-19 საუკუნის მეცნიერულმა ქარაქტეროლოგიამ დაადგინა, კერძოდ, იუნგის ექსტრავერტული და ინტროვერტული ტიპებისა. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ლაბრუიერის დახასიათებებიდან გიტონისა და ფედონის პორტრეტები.

„გიტონი ლაპარაკობს თავისთავში დაჯერებულად. იგი გაშლის დიდ ცხვირსახოცს და ხმაურით მოიხოცავს ცხვირს, გადააფურთხებს დიდ მანძილზე და ცხვირს დააცემინებს ხმამაღლა... სუფრასთან და სეირნობისას მას უჭირავს მეტი ადგილი, ვიდრე სხვას. იგი იჭერს ყოველთვის ცენტრალურ ადგილს და დადის მხოლოდ თავის თანაბართან... როცა იგი ჯდება, თქვენ ხედავთ, რომ იგი ჩაჯდება სავარძელში, ფეხებს ერთმანეთზე გადაიდებს და მოიღუშება; ქუდს თავზე ჩამოიფხატავს და არავის უყურებს, ანდა ისევ აიწევს ქუდს

და გამოაჩენს თავის შუბლს სიამაყითა და თავხედურად. იგი მხიარულია, გულიანად იცინის, მოუთმენელია, თავისთავში დარწმუნებული, ფიცხია, არარელიგიური, მოხერხებული... მას სწამს, რომ იგი ნიჭიერია, გონებამახვილია. ის მდიდარია.

ფედონს აქვს ღვარძლიანი კომპლექცია. იგი აბსტრაქტულია, მეოცნებე და, მიუხედავად თავის გონებამახვილობისა, სულელად გამოიყურება. მას ავიწყდება იმის თქმაც, რაც იცის, და ჰგონია ცუდად გამოუდის ნათქვამი, ჰგონია, რომ ხელს უშლის იმას, ვისაც ელაპარაკება; ეჩვენება, რომ მომაბეზრებელია, ლაპარაკობს მოკლედ და ცივად... მას არ შეუძლია გამოიწვიოს სიცილი. ცრუმორწმუნეა, ჭარბად მორიდებული, მშიშარა, დადის სირბილით და მსუბუქადთითქოს ძლივს ეხება მიწას, დადის დახრილი თვალებით და ვერ ბედავს გამვლელებს თვალი გაუსწოროს. იგი არასოდეს ჩაერევა დავაში, იმალება იმ ადამიანის უკან, რომელიც ლაპარაკობს, ფრთხილად გაიგებს იმას, რასაც იგი იტყვის, და გაეცლება, თუ შეამჩნია, რომ მას უყურებენ. მას არ უჭირავს სივრცე. პრეტენზია არა აქვს ადგილზე, იგი დადის მოხრილი მხრებით, თვალებზე ჩამოფხატული ქუდით, რომ ვერ შეამჩნიონ, იკუმშება და იმალება თავის მოსასხამში... თუ მას თხოვენ დაჯდომას, ჩამოჯდება სკამის კიდეზე, ლაპარაკობს ხუსტი ტონით, ცუდი არტიკულაციით. მიუხედავად ამისა, თავის ახლო მეგობრებში იგი არ გაურბის საზოგადოებრივ საკითხებს, მწარედ თავს ესხმის თავის ეპოქას, მცირე კეთილგანწყობილებას იჩენს სახელმწიფო მინისტრებისა და მთავრობის მომხრეების მიმართ. იგი პირს აღებს მხოლოდ პასუხის გასაცემად: ახველებს, ცხვირს იხოცავს თავის ქუდში ჩამალვით, თითქოს თავისთავს აფურთხებდეს... მას არავინ იკარებს, სალამსა და კომპლიმენტებს მისთვის არავინ იმეტებს. იგი ღარიბია"[1].

ანტიკური მემკვიდრეობის მნიშვნელობა. ამრიგად, ხასიათის ბუნების შემეცნების პირველი სერიოზული ცდები მოცემულია ანტიკურ ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და მწერლობაში. როგორც ვნახეთ, ხელოვნებამ და მწერლობამ მხატვრული ხერხებით შესძლო თავისი ეპოქის ადამიანების ტიპების შექმნა, ზოგჯერ ეს ტიპები ზოგადადამიანური ტიპების სიმაღლემდეა აყვანილი. ფილოსოფიამ, მეცნიერებამ სცადა ადამიანის ხასიათის ტიპოლოგიის

[1] Лабрюйер, Характеры, 1889.

შესახებ არსებული ცოდნის განზოგადება და ტიპოლოგიის გარკვეული კონცეფციის მოცემა. როგორც ცნობილია, ბერძნული ფილოსოფია მოიცავდა მაშინდელი მეცნიერების ყველა დარგს; იგი სწყვეტდა როგორც ფილოსოფიის პრობლემებს, მაგალითად, გნოსეოლოგიის, კოსმოლოგიის, ონტოლოგიის, ესთეტიკის, ეთიკის საკითხებს, აგრეთვე ბუნებისმეტყველებისა და სოციოლოგიის მეცნიერულ საკითხებსაც. არც ფსიქოლოგია წარმოადგენდა გამონაკლისს. ფსიქოლოგია იმ დროს, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, არ არსებობდა; სულის შესახებ მოძღვრება ფილოსოფიის პრობლემათა რიგში შედიოდა. ამიტომაც ადამიანის სულის მნიშვნელოვანი თვისების — ხასიათის ცოდნა ფილოსოფიის, კერძოდ, ეთიკისა და ესთეტიკის ფარგლებს არ გასცილებია; მაგრამ ამ ფარგლებშიც ანტიკურმა ფილოსოფიამ ღააყენა ხასიათის ყველა პრობლემა, რომელთა მეცნიერული დამუშავების დაწყება მხოლოდ მე-19 საუკუნეში პირველად ჩამოყალიბებულმა მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ შეძლო.

ბერძნებმა იმთავითვე შეამჩნიეს, რომ ადამიანის სული დანაწევრებულ მთლიანს წარმოადგენს. სული შეიცავს აზროვნებას, ნებელობას და ვნებათა სფეროს. სულის ამ ნაწილებით ადამიანი კავშირს ამყარებს სამყაროს უმაღლეს საფეხურთან, „ღვთაებასთან", აგრეთვე ყოველდღიურ ცხოვრებასა და მატერიალურ-ფიზიკურ მოვლენებთან. ადამიანის სული დამოკიდებულებებში, მოქმედებებში იშლება. მოქმედების ყველაზე საპატიო, მაღალი სფეროა უმაღლესი სიკეთისა და სიმშვენიერის სიმშვიდეში გონებით ჭვრეტა, ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედება, ე. ი. მოღვაწეობის ყველა ის სფერო, სადაც თეორიული სიბრძნეა საჭირო; პრაქტიკული გონება, ნებელობა და ვნებები სრული სიძლიერით თავს იჩენენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მიზნებისათვის ბრძოლის, ადამიანთა ყოველდღიური მოქმედების, ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში. ძველმა ბერძნებმა შეამჩნიეს ის გარემოებაც, რომ სულის ნაწილების განვითარების დონის მიხედვით ადამიანები ურთიერთისაგან განსხვავდებიან. ეს განსხვავებულობა ხშირად განსაზღვრავს ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობას. მაგრამ ყველა ადამიანს, გარდა სულის ნაწილებისა, გააჩნია „რაღაც", რომელიც სულის სიღრმეშია მოქცეული. ესაა

„ეთოსი“, ხასიათი, რომელიც განსაზღვრავს სოციალური მოქმედებების თავისებურებას, განაპირობებს იმას, თუ სულის მაღალი და დაბალი ნაწილები როგორი სახის ზნეობრივ საქციელში იქნება ჩართული — გამოვლინდება სულის მოქმედება სიკეთის, ვაჟკაცობის, გმირობის, სულგრძელობის და სხვა მაღალი ზნეობრივი საქციელის სახით, თუ მხდალ, ბოროტ, მლიქვნელურ და სხვა ამგვარი უზნეო თვისებებით იქნება ეს საქციელი აღბეჭდილი. ადამიანში შემჩნეული იქნა ისეთი თვისება, რომელიც განსაზღვრავს მისი საზოგადოებრივი საქციელის ავკარგიანობას, სხვა ადამიანებთან მისი დამოუკიდებულების თავისებურებას. ჯერ კიდევ ჰერაკლიტე ამბობდა „ადამიანის ხასიათი არის — მისი დემონი“: ზოგიერთ ბერძნულ ტრაგედიებში, განსაკუთრებით მენანდრეს პიესების გმირებში, ხასიათი, როგორც „დემონი“ დაბუდებულა ადამიანში და უბიძგებს მას ბოროტი, თუ კეთილი საქციელისაკენ. ანტიკური სიბრძნის მიხედვით, ხასიათი არის ის თვისება, რომელიც ხშირად, როგორც ბედისწერა, განაპირობებს ადამიანის ცხოვრების თავისებურებას, განსაზღვრავს იმას, — იქნება იგი ამ ქვეყნად ბედნიერი. დასჯერდება იმას, რაც ბედმა მისცა, დიდსულოვნად აიტანს ბედისწერის ნაბოძებს, თუ შური, პატივმოყვარეობა აღაკესებს მას მოუსვენრობით და უბიძგებს ბოროტისაკენ. შემჩნეული-ისიც, რომ ადამიანის ხასიათის ცოდნა დიდ სიბრძნესა და დახელოვნებას მოითხოვს; ეს შეუძლია ფილოსოფოსსა და ხელოვანს. ხასიათის მთელი სიღრმით წვდომას სჭირია სპეციალური განსწავლულობა და ნიჭი. ხაზგასმული იყო ის გარემოებაც, რომ ხასიათი არის ადამიანის შინაგანი ლოგიკა, ხასიათისაგან ლოგიკური აუცილებლობით მომდინარეობს სრულიად გარკვეული სახის საქციელი. თუ კი იცი ადამიანის ხასიათის თვისებები, გეცოდინება, — თუ როგორ მოიქცევა იგი ცხოვრების განსხვავებულ პირობებში. მაგალითად, შეგიძლია იწინასწარმეტყველო, თუ როგორ მოიქცევა ომში მხდალი და გამბედავი ვაჟკაცი, უფროსთან მლიქვნელი და თავმოყვარე, გაჭირვების დროს სულგრძელი და სულმოკლე და ა. შ.

ამრიგად, ანტიკურმა სიბრძნემ აღმოაჩინა ხასიათი. მიუხედავად ხასიათის ფატალისტური გაგებისა, ძირითადში ჩაწვდა მის მნიშვნელოვან მხარეებს, მოგვცა მაშინდელი ცოდნის დონის მიხედვით მისი განსაზღვრებაც. მაგალითად, არისტოტელეს მიხედვით

ხასიათი არის ის, რაც განსაზღვრავს მომავალი საქციელის არჩევანსა და გადაწყვეტილებას; როგორიცაა ადამიანის ეთოსი, ისეთი იქნება ადამიანის ზნეობრივი საქციელი. ხასიათის ცნების განსაზღვრებასთან ერთად დადასტურებულ იქნა, რომ ხასიათის მიხედვით ადამიანები ურთიერთისაგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება ტიპოლოგიას ექვემდებარება. არსებობს ხასიათის ტიპები, ე. ი. არსებობს ხასიათი, რომელიც საერთოა ადამიანთა მთელი ჯგუფისათვის. ხელოვნება ხასიათის ტიპის დადგენისათვის მიმართავს კერძოში ზოგადის წვდომის გზას, მეცნიერება კი მრავალი ადამიანის ხასიათის ნიშნების ანალიზისა და განზოგადების ნიადაგზე აბდენს არსებითის გამოყოფას და მის საფუძველზე ტიპოლოგიის დადგენას. პლატონმა, არისტოტელემ და თეოფრასტემ სრულიად გარკვეული პრინციპის მიხედვით სცადეს ხასიათის ტიპოლოგია, რაც სანიმუშო იყო საუკუნეების მანძილზე. პლატონმა ადამიანის ხასიათის ტიპოლოგიას საფუძვლად დაუდვა სულის მაღალ და დაბალ ნაწილებად დაყოფის პრინციპი. სულის მაღალ ნაწილებთან დაკავშირებულია მაღალზნეობრივი საქციელი, სიკეთისა და სიმშვენიერისადმი სწრაფვის „ეთოსი". ამიტომაც ასეთი საქციელი მაღალზნეობრივია, კეთილშობილი, ხოლო სულის დაბალი ნაწილების, განსაკუთრებით ვნებების სიჭარბე განსაზღვრავს შეუკავებელ, მოუწესრიგებელ, მდაბალ საქციელს. ეს პრინციპი საკუთარი კონცეფციის ფარგლებში გაიზიარა არისტოტელემ. პიროვნების ცალკეული ჭარბი თვისებების გამოყოფისა და განზოგადების საფუძველზე თეოფრასტე ცდილობდა მოეცა ხასიათის ტიპოლოგია. ეს ორი პრინციპი ტიპოლოგიისა გაბატონებული იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანტიკურ ფილოსოფიურ მწერლობაში ხასიათის პორტრეტები წერის მანერის მიხედვით უფრო ლიტერატურული ხასიათისაა, ვიდრე მეცნიერულისა. თეოფრასტე და შემდეგ რომაელი მწერლები ხასიათის ცალკეული ნიშნების მიხედვით ადამიანის ტიპის დახასიათებისას მიმართავდნენ მხატვრულ ხერხებს, მხატვრულ შედარებებს, მეტაფორებს, ცდილობდნენ განზოგადებული ხასიათის კონკრეტული პორტრეტის სახით გამოქანდაკებას. ამიტომაც ზოგმა მკვლევარმა ასეთი სახის ქარაქტეროლოგიას ლიტერატურული ქარაქტეროლოგია უწოდა. ლიტერატურულ ქარაქტეროლოგიას ბევრი ბრწყინვა-

ლე წარმომადგენელი ჰაყვდა საუკუნეთა მანძილზე. ხასიათის პორტრეტის წერის ეს მანერა დღესაც გვხვდება უმთავრესად `პრესის ფურცლებზე საზოგადოების რომელიმე კლასის ან ჯგუფის მანკიერებათა (მექრთამეობა, მლიქვნელობა, ანგარება და სხვ.) გაკიცხვის მიზნით დაწერილ ქარაქტეროლოგიურ პამფლეტებსა და პასკვილებში.

თეოფრასტესა და მისი მიმდევრების ქარაქტეროლოგიური პორტრეტები ძირითადში აღწერილობითი ხასიათისაა. /იმ წრომებს, რომელნიც ერთი თვისების ფონზე აგვიწერენ ადამიანის საქციელს, უფრო სასარგებლო პუბლიცისტური ღირებულება აქვთ, ვიდრე მეცნიერულ-ფსიქოლოგიური. ეს ავტორები ეძებდნენ ადამიანის არა შინაგან ძირითად მამოძრავებელ მოტივებს, რაც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ საქციელს, აწარმოებენ ადამიანის არა სულიერი სამყაროს ანალიზს, ქცევის ძრავების ძიებას, არამედ მიმართავდნენ თვალსაჩინოდ მოცემული საქციელის გარეგანი მხარის აღწერას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეძებდნენ არა ხასიათის ზოგად პიროვნულ კანონზომიერებას, რომელიც მართავს ყოველი ადამიანის ხასიათისეული ნიშნების გამოვლენას, არამედ თითოეული ხასიათის ნიშნისათვის ეძებდნენ თავის კანონს, აქ კანონი დაყვანილია ცალკეულ შემთხვევებზე. ცნობილია, რომ ადამიანს უამრავი თვისება გააჩნია. ყოველ ენაში ათასობით აღირიცხება პიროვნების ხასიათის ნიშნების, მისი მისწრაფებების, მიდრეკილებების აღმნიშვნელი სიტყვა. მაგალითად, ოლპორტის გამოანგარიშებით ინგლისური ენის ლექსიკონში ხასიათის ნიშნების აღმნიშვნელი სიტყვა 18,000-მდე აღწევს. „ინგლისურ ენაში არსებობს დაახლოებით 18,000 ტერმინი (უმთავრესად ზედსართავი სახელი), რომლითაც აღინიშნება ქცევის განსხვავებული პიროვნული ფორმები. პირველი შეხედვით, სიტყვათა სიმბოლოების ეს აურაცხელი ფალანგა წარმოადგენს რაღაც ქაოსს, მთლიანად ფსიქოლოგის ინტერესთა სფეროს გარეშე მდგომს. მაგრამ, რაც უფრო მეტს სწავლობ ამ ტერმინებს, მით უფრო ხდებიან ისინი საგულისხმო და მნიშვნელოვანი“[1]. კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების ყოველ ხანაში ჩნდება და დომინირებული ხდება ახალი ნიშნები. თეოფრასტეს მიმდევრებმა აღწერეს და დაგვიხატეს ცალკეული

[1] Allport G., Personality; a Psychological Interpretation. 1937. გვ. 302

ნიშნის მიხედვით ხასიათის პორტრეტის რამდენიმე ასეული ესკიზი, რომელთაც ადამიანის ბუნების, მისი არსების გაგებისათვის ყოველთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. მე-19—20 საუკუნის მეცნიერული ქარაქტეროლოგია გაყვა არა თეოფრასტეს, არამედ ჰიპოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს მიერ გაკვალულ გზას, რომლის მიხედვით ხასიათი ადამიანის ბუნების ზოგადი კანონზომიერების, მისი ფიზიკური და სულიერი სამყაროს მნიშვნელოვანი ასპექტია, ემყარება ორგანიზმისა და სულის კანონს და მისი შესწავლა. მისი ტიპოლოგია შესაძლებელია ამ კანონების წვდომასთან მჭიდრო კავშირში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ ანტიკურ ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში შექმნილი ხასიათის ტიპები თავიდანვე წარმოადგენენ მხატვრულად სრულყოფილ ნიმუშებს, რითაც შემდეგში ხელმძღვანელობდა რენესანსისა და ნაწილობრივ ახალი ხანის ხელოვნება და მწერლობა, ანტიკური ხანის ქარაქტეროლოგია წარმოადგენდა მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდს ხასიათის შესახებ ჭეშმარიტი მეცნიერული მოძღვრების შექმნისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში საშუალო საუკუნეების მანძილზე, თეოლოგიის ბატონობის ხანაში და ახალ საუკუნეებშიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ხასიათის ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა. მეცნიერული ქარაქტეროლოგიის საწყისები მოცემულია ძველი საბერძნეთის ფილოსოფიაში, შემდეგ იგი წყდება მთელი თვრამეტი საუკუნე და ახლად აღორძინებას იწყებს მეცხრამეტე საუკუნეში მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩასახვასთან ერთად.

საშუალო საუკუნეებში ევროპის კონტინენტზე არც ხელოვნებაში, არც თეოლოგიასა და ანთროპოლოგიაში არ შექმნილა ქარაქტეროლოგიის ისეთი პრინციპი, რომელსაც მეცნიერული დირებულება ჰქონოდა. მაგრამ მთლიანად ეს არ ითქმის „აღმოსავლეთის რენესანსის“ შესახებ. მაგალითად, „აღმოსავლეთის რენესანსის“ ერთერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა შოთა რუსთაველმა მოგვცა ხასიათის ბუნების გაგების ახალი პრინციპი, რომელზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

2. რუსთაველი

როგორც აღვნიშნეთ, საშუალო საუკუნეებში და ნაწილობრივ ახალ საუკუნეებშიც პიროვნების ფსიქოლოგია და ზოგ შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურაც ფილოსოფოსი პლატონის მიერ დადგენილი ადამიანის სულის მაღალ და დაბალ სფეროებად დაყოფის პრინციპის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პლატონიზმში მიღებული ქარაქტეროლოგიური პრინციპი შემდგომ საუკუნებში საფუძვლად დაედო გონების, ნებელობისა და გრძნობების სიჭარბის მიხედვით ადამიანთა ხასიათის კლასიფიკაციას. პლატონის იდეალურ ადამიანში გონება ბრძანებლობს, ნებელობა ასრულებს გონების კარნახს. დაოკებული ვნებები რჩებიან გონების მიერ დაწესებულ საზღვრებში. პლატონი ადამიანის სულის მოკვდავ ნაწილში ნახულობს დადებით მხარეს. მაგალითად, გრძნობებში ის პოულობდა ეროსს— მარადიული, სრული ყოფიერების, უმაღლესი მშვენიერებისაკენ სწრაფვის უნარს.

თუ ქარაქტეროლოგიის თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, პლატონიზმს არ ეწინააღმდეგება არისტოტელეს პრინციპი, რომელიც მას მოცემული აქვს თავის „ნიკომახის ეთიკაში". ამ წიგნში სულის უგონო ნაწილი როგორც ცხოველში, ისე ადამიანში გრძნობების, ვნებების სახითაა წარმოდგენილი. ღვთაებრივი საწყისის მქონე სულის გონიერი ნაწილის ფუნქცია ჭვრეტაა, რაც წარმოადგენს ადამიანის მიზანს და უმაღლეს ბედნიერებას. არისტოტელეს თქმით: „თუკი გონება ადამიანთან შედარებით არის რაღაც ღვთაებრივი, მაშინ მისი შესატყვისი ცხოვრება იქნება მაღალი და ღვთაებრივი ადამიანის ცხოვრებასთან შედარებით".[1] ადამიანთა ემპირიულ კლასიფიკაციაში მან დიდი უპირატესობა მიანიჭა მაღალბუნებოვან (მაღალსულოვან) ადამიანის ტიპს, რომელიც დაჯილდოებულია გონებასთან შეთანხმებული ყველა ადამიანური თვისებებით და წარმოადგენს ე. წ. „ოქროს შუათანა" ადამიანის დოქტრინის უმაღლეს განხორციელებას.

საშუალო საუკუნეებში ოფიციალური ეკლესია, რომელიც ისწრაფოდა საღვთო წერილის ინტერპრეტაციისა და ქრისტიანული დოქტრინის დასასაბუთებლად გამოეყენებია ანტიკური ფილო-

[1] Аристотель, Этика, 1908, გვ. 199.

სოფია, კერძოდ, პლატონი და არისტოტელე, ადამიანის ბუნების გაგებაში ახდენდა ანტიკური მთლიანი ადამიანის ცალკეული ასპექტის ჰიპოსტაზირებას. იზიარებდა რა პლატონის ან არისტოტელეს კლასიფიკაციას ადამიანის სულისა. მან განსაკუთრებული უპირატესობა მიანიჭა გონებას ნეოპლატონისტური გაგებით (გონი, ნოიამაჲ), რომლის ფუნქციას შეადგენს არა დისკურსიული აზროვნება, არამედ ჭვრეტა, სხეულის დაძლევა, უმაღლეს ექსტაზში ღვთაებრივი საიდუმლოების წვდომა. საშუალო საუკუნეების ოფიციალური ეკლესიის თვალსაზრისით, ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე იდეალურ ადამიანად ასკეტი ითვლება. ასკეტს სძაგს თავისი სხეული. ებრძვის მის მოთხოვნილებებს, ამჟღავნებს ძლიერი ნებისყოფას ვნებების დასაუფლებლად; ცხოვრებიდან განდგომილი იგი ესწრაფვის მისტიკურ ექსტაზში წვდეს მიღმა სამყაროს საიდუმლოებას; იდეალურ ადამიანად ითვლება ის, რომელიც შეძლებს ადამიანური ვნების, მისწრაფებების სულის უმაღლესი, უკვდავი ნაწილისათვის დამორჩილებას.[1]

ჯერ კიდევ ქრისტიანული კულტურის გარიჟრაჟზე, მე-4 საუკუნის მიწურულში, ნემესიოს ემესელი თავისი ანთროპოლოგიის („ბუნებისათვის კაცისა") კომპედიუმში, სადაც ანტიკური და ქრისტიანული ცოდნა ადამიანის ბუნების შესახებ მთელი სისრულითაა წარმოდგენილი, რაც ალბათ შოთა რუსთაველისათვის წარმოადგენდა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოს, ამბობს: „არამედ (ძალთა) სულისათა რომელი-მე არს მემსახურე და მონებრივ, ხოლო რომელი მე დასაბამ და მთავარ"... შემდეგ განაგრძობს: დასაბამიდა მთავარია „მიმოგაგონებითი" და ზედმიწევნილობითი" — ე. ი. მოაზროვნე-ჭვრეტითი და შემმეცნებელი ძალები, რომელნიც ბატონობენ არაგონიერი სულის ნაწილებზე — ვნებებზე, გულისთქმებზე და სხვ.[2]

სასულიერო მწერლობაში გამოყვანილი ტიპები წარმოადგენენ წმინდანების, ასკეტების გალერეას, რომელთა სულის გონიერი ნაწილი უარყოფს და თრგუნავს მიწიერ ვნებებს, მიზნებს, მისწრაფებებს. ინტელექტუალიზებული რელიგიის ადამიანის იდეალის საწი-

---

1 Барт, Беседы по истории всеобщей литературы. 1914 г., стр. 94.

2 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულიდან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ს. გორგაძის გამოცემა. 1914 წ., გვ. 74.

ნააღმდეგოდ. თვით ამავე რელიგიის ფარგლებში, გაისმა პროტესტის ძლიერი ხმა მისტიკოსებისა და მრავალი სხვადასხვა სახის ერეტიკოსების მხრივ. მაგრამ ყველაზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხალხურმა და საერო მწერლობამ, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, რელიგიის მიერ დაწესებულ ადამიანის იდეალს დაუპირისპირა ძლიერი ვნების ადამიანები, რომლებშიც ბატონობენ სულის არაგონიერი ნაწილები. პროფ. ბარტის თქმით „ბნელი საშუალო საუკუნეების სინამდვილეში ზეკაცი ასკეტის გვერდით ჩვენ ვხედავთ ადამიანის მეორე ტიპს, „აჯანყებულ“ ტიპს, რომელიც თავის ნებით სატანის ვასალი და თაყვანისმცემელი გამხდარა; იგი არ ცნობს არაფერს. არც ღვთისა და არც ადამიანის კანონებს, მისთვის არაა არაფერი წმინდა... ის ემსახურება „შავ მესას“. ფოსლერი თავის გამოკვლევაში „ღვთაებრივი კომედიის“ შესახებ. ამბობს: რაინდებისათვის „ჭამა, სმა, ბრძოლა, აშიკობა იყო ძირითადი იდეალი, მათში უფრო ძლიერი იყო თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა, ვიდრე შიში ჯოჯოხეთისა“. ე. წ. წარმართული „დიონისური სულის“ შეუკავებელი გამოვლენა, მისდამი თაყვანისცემა იმდენად ძლიერი იყო მასებში, რომ ეკლესიაც ხშირად იძულებული იყო შეწყობოდა ამ მოვლენას. დასავლეთში, სათანადო პოემები და რომანები „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „სიმღერა როლანდზე“, „ტრისტან და იზოლდა“, „პარციფალი“, „ლანსელოტი“, მიუხედავად მათი მისტიკური ელფერისა, ძირითადში წარმოადგენენ შეუკავებელი ვნებების ადამიანებისადმი მიმართულ პოეტურ ჰიმნებს. აღმოსავლეთში, საქართველოს ჩათვლით, „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“, „ლეილ-მეჯნუნიანის“, „ხოსროვშირინიანის“ და მრავალი სხვა ამ სახის ნაწარმოებთა გმირები წარმოადგენენ პატივმოყვარე, დაუდეგარი ვნებების ადამიანებს, რომლებშიც სულის „გონიერი“ ნაწილი სრულ მონობაშია ე. წ. „არაგონიერ“ ნაწილებისადმი.

მე-12 საუკუნეში რუსთაველმა თავის ფილოსოფიურ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ შეძლო რეალურ, სრულყოფილ ადამიანთა ტიპების შექმნა, რომელნიც თავისი მხატვრული განზოგადებით განუსაზღვრელად მაღლა იდგნენ ევროპის რენესანსისა და აღმოსავლეთის დიდებულ პოეზიაში შექმნილ ტიპებთან შედარებით. რადგან რუსთაველის მიერ გამოყენებულ ქარაქტეროლოგიურ პრინციპს არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური, არამედ მეცნიერულ-ფსიქო-

ლოგიური მნიშვნელობა აქვს, ჩვენ შევეცდებით იგი ზოგად ხაზებში გავარჩიოთ.

მე-12 საუკუნის საქართველოს ეკონომიურ-კულტურული ცხოვრების შესწავლის შედეგები საფუძველს იძლევა ითქვას, რომ რუსთაველი ცხოვრობდა ისეთ გარემოში, სადაც ადამიანის იდეალის გაგებაში სუფევდა წინააღმდეგობა. ადამიანის იდეალად მიჩნეული იყო ორტოდოქსალურ ქრისტიან — მისტიკოსის, ასკეტის გვერდით ანტიკური სულის, „ნუსის“ თაყვანისმცემელი ფილოსოფოსი, რომელსაც სჯეროდა, რომ როგორც სამყარო, ისე ადამიანის ბუნება იერარქიულ წყობას წარმოადგენს, სადაც უმდაბლესი საფეხურებია მატერია, ვნებები, ხოლო უმაღლესი კი სიკეთე, გონი. როგორც სამყაროს, ისე ადამიანის ბუნების ყოველ ნაწილს აწვალებს სწრაფვა სისრულის, მაღალ საფეხურზე ასვლის, უმაღლეს სისრულესთან, „ერთთან“ შერთვისა. ამავე დროს, რელიგიური ადამიანის გვერდით, დიდად მიმზიდველი იყო უმძლავრესი მიწიერი ვნებებით გატაცებული გმირის, რაინდი — ჰაბუკის იდეალი. ამის საკმაო საბუთს იძლევა რუსთაველის წინამორბედი და მისი თანამედროვე ქართული ორიგინალური და თარგმნილი ფილოსოფიური და მხატვრული ლიტერატურა, საისტორიო წყაროებში აღწერილი პატივმოყვარე ფეოდალთა დაუდეგარი ცხოვრება, რომელთათვის ხშირად სულის „გონიერი“ ნაწილები მხოლოდ საშუალება იყო საკუთარი ეგოისტური, პოლიტიკური და ხორციელი ვნებების დასაკმაყოფილებლად.

იმ ეპოქაში, როცა რუსთაველი ცხოვრობდა, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, კერძოდ საქართველოშიც, სოციალურ-კულტურულ წინააღმდეგობათა ფონზე, ადამიანის იდეალის გაგებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. ეს წინააღმდეგობა მაშინდელ ანთროპოლოგიაში აისახა, როგორც პიროვნების გონიერი და სასიცოცხლო ძალების უგულვებელყოფა. მაშინდელ ფილოსოფიურ ანტროპოლოგიასა და მხატვრულ ლიტერატურაში ადამიანის ბუნება ორად გაიხლიჩა — გონი და გონებრ. რომელთა ფუნქციას შეადგენდა ჭვრეტის ან დისკურსიული აზროვნების გზით სისრულის მიღწევა, და გრძნობათა სამყარო, რომელიც წარმოადგენდა მიწიერ ვნებათა, მოთხოვნილებათა აუზს.

ქართული რენესანსის მწვერვალზე, გარკვეულ სოციალურ-

ისტორიულ პირობებში, „ვეფხისტყაოსნის“ სახით წარმოდგენილია ანტიკური მთლიანი ადამიანის იდეალის ახალ ასპექტში აღდგენის მონუმენტური ნიმუში. „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად გამსჭვალულია ქართული რენესანსისათვის დამახასიათებელი ფილოსოფიური იდეით;[1] ამ იდეის ეთიკური მხარეა: უმაღლესი სისრულისაკენ სწრაფვა, მორალური ჭეშმარიტების წვდომა, „ერთს“, უმაღლეს „სიკეთეს“ ზიარებული „ზესთ მწყობრთა წყობას“ შერთული, მთლიანი, ჰარმონიული ადამიანის ამ ქვეყნად დამკვიდრება.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავის გმირების ქცევას, მძაფრ კოლიზიებში მათ მოქმედებებს შემდეგ პრინციპზე აფუძნებს — „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან: რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან; უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.[2]

ეს სტროფი ეხება ადამიანის ბუნების ინტელექტუალურსა და გრძნობების მხარეთა დამოკიდებულებას. გონება და ცნობა ადამიანის ბუნების ინტელექტუალური ასპექტია. ჩვენი საკითხის გადაჭრისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის ზუსტ დადგენას, თუ როგორ ესმის რუსთაველს ინტელექტი. მაგალითად, აქ მოხსენებული გონება არის ნეოპლატონიკური „ნუსი“, „ნოიამაჲ“, რომელსაც დისკურსიული აზროვნების გარეშე აქვს უნარი წვდეს უმაღლეს ჭეშმარიტებას, ცნობა კი არის „გამგონებლობა“ (დიანუაჲ), დისკურსიული აზროვნება ან მისი სახეობა, თუ იგი გონების ცნების გაგებაში უფრო არისტოტელეს ემპირიულ თვალსაზრისზე დგას. საფიქრებელია, რუსთაველი უფრო ემხრობოდა ნეოპლატონიკოსების — პროკლესა და პეტრიწონელის მოსაზრებებს. პოემის დასაწყისშივე რუსთაველი, არისტოტელეს მსგავსად, ყველა ამ ძალებს სულის ნაწილებად კი არ აღიარებს. არამედ ისე, როგორც ნეოპლატონიკოსები, სულს ადამიანის ბუნების ერთ-ერთ ნაწილად თვლის: მაგალითად, რუსთაველი ამბობს: „მან, მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული“[3]... ასეთი თქმები ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მაგალითად, „იმედო და სიცოცხლეო, გონე-

---

1 იხ. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია. 1958 წ., ტ. I. თ. V.
2 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აკად. გამოც., სტროფი 848.
3 ი ქ ვ ე, სტ. 33.
4 ი ქ ვ ე, სტ. 33.
5 ი ქ ვ ე, სტ. 309.

ბაო, სულო, გულო"[4]. „მას ეტყვის: შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა"[5]. რუსთაველი ზოგჯერ რითმისთვის გადააჯგუფებს სულის ნაწილების ლოგიკურ წყობას; მაგალითად, ხმარობს: გონება, გული, სული, ე. ი. ბოლოს მოაქცევს სულს. (ნეოპლატონიკოსების მიხედვით, შემეცნების მაღალი საფეხურია გონი, მას მოსდევს სული, რომელიც, ერთი მხრით მიმართულია მასზე უფრო მაღლა მდგომი გონისაკენ, და, მეორე მხრით, ადამიანის ბუნების დაბალი სფეროსაკენ — გრძნობების, ვნებების საფეხურისაკენ). მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ გენიოს პოეტს ყოველგვარი კონცეფციის გარეშე, მხოლოდ რითმის გამართვისათვის ეხმარა გონებისა და გულის გვერდით სული და ერთ სიბრტყეზე განელაგებინა ისინი. ადვილია იმისი დამტკიცება, რომ რუსთაველს არც ერთი ცნება — სიტყვა არა აქვს რითმისათვის უადგილოდ და უკონცეფციოდ ნახმარი. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსთაველი შემეცნების საგნის პოეტურ ფორმაში გამოსახატავად ხმარობს სიტყვას „გასაგონს": მაგალითად:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი. საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი მსმენელთათვის დიდი მარგი[1]" ან კიდევ „მცთარვარ, აქამდის ვერ მივხვდი გასაგონსა".[2] სიტყვა „საგონი", „გასაგონი" პროკლესა და პეტრიწონელისათვის არის შემეცნების ობიექტი (ნოიტონ). შემეცნების ყოველ საფეხურს აქვს თავისი „საგანი", თავისი „გასაგონი". ამრიგად, შემეცნების მთელი გზის დასახასიათებლად ხელთა გვაქვს პეტრიწონელის კომენტარებში მოცემული სამივე ცნება: გონი, სული და გასაგონი. პოემის ძირითადი იდეაც ადასტურებს ადამიანის შემეცნების გზის ამგვარ გაგებას. საერთოდ, ეს საკითხი საგანგებო განხილვას მოითხოვს, რაც ჩვენ მიერ ცალკე გამოკვლევაში არის შესრულებული. ჩვენთვის აქ საინტერესოა მხოლოდ ის გარემოება, რომ რუსთაველი გრძნობათა სამყაროს და ინტელექტუალურ ძალებს ერთ სიბრტყეზე ათავსებს, ორივეს ადამიანის ბუნების საპატიო ნაწილად მიიჩნევს, მათ ერთმანეთისაგან დამოკიდებულად თვლის; ნეოპლატონიკოსებისა და ქრისტიანობის მიერ ურთიერთისაგან მოწყვეტილ ადამიანის ბუნების „მაღალსა" და „დაბალ" სფეროთა შორის ურღვევ კავშირსა და ერთიანობას აღიარებს.

---

[1] იქვე, 12.
[2] იქვე, 641.

როგორ ესმის რუსთაველს აღნიშნულ სტროფში „გული“. უნდა აღინიშნოს, რომ ა. ფრანგიშვილის გამოკვლევა „განცდათა გამოხატვა ქართულში „გულ“ სიტყვასთან კავშირში“, იძლევა გარკვეულ ორიენტაციას, თუ როგორ უნდა გავიგოთ აღნიშნულ კონტექსტში სიტყვა „გული“. მისი აზრით, ქართულში სიტყვა „გული“ და მისგან შედგენილი სიტყვები იხმარება არა მხოლოდ ემოციური განცდების, ე. წ. დაბალი და მაღალი გრძნობების გამოსახატავად, არამედ ამასთანავე იგი ძირითადში ასახავს მთლიან პიროვნულ. დინამიკურ მდგომარეობას, რომელშიც მომავალი აქტივობის ფორმები მთლიანი ტენდენციის სახითაა მოცემული და რომლის საფუძველზედაც აღმოცენდება გარკვეული ხასიათის მოქმედება[1]. ეს კონცეფცია მკვლევარს სწორ მიმართულებას აძლევს დაადგინოს, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს რუსთაველი სიტყვა გულს.

ზემოთ აღნიშნულ სტროფში „გული“ შეიძლება ვინმემ გაიგოს, როგორც აფექტი ან ვნება, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანი. ინტელექტუალურ პროცესებზე, მაგალითად. აფერხებს ან აჩქარებს ამ პროცესებს ან, პირიქით, ინტელექტუალური პროცესები გავლენას ახდენენ ვნებების მიმდინარეობაზე, აქცევენ მათ განსჯის საგნად, აწესრიგებენ ვნებათა ღელვას. ეს გარემოება კარგად იცოდა ძველმა ანთროპოლოგიამაც. გონების მიერ ვნებების მოწესრიგება ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც ითვლება ეთიკურად დადებით მოვლენად. ჩვენი აზრით, ამ სფეროში რუსთაველი საკითხს სულ სხვაგვარად აყენებს. რუსთაველი ამბობს „რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“. ცხადია, აქ, გარკვეული აზრით აღიარებულია ადამიანის ქცევაში გულის პრიმატის პრინციპი, ისე რომ გონებამაც შეინარჩუნოს თავისი მეუფეობა. რუსთაველი იმ აზრის არაა, რომ თითქოს გულის ყოველგვარ გამოვლენას ადამიანის ქცევის წარმართვაში ყოველთვის დადებითი მნიშვნელობა აქვს—ე. ი. რა მიმართულებასაც მიიღებს გული, როგორც აფექტი, ვნება,—იმავე მიმართულებას მიიღებს გონება. გულის მოქმედების ასეთი გაგება სრულიად არ ეთანხმება რუსთაველის ზოგად კონცეფციას, მისი გმირების ზეადამიანურ სწრაფვას უმაღლეს სისრულისაკენ. რუს-

---

1 ალ. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან, 1959. გვ. 76.

თაველი ამ კონტექსტში სიტყვა „გულს“ ხმარობს, როგორც ნებელობითი ქცევის მოტივაციის საფუძველს.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველამდე არც პლატონთან და არისტოტელესთან, არც სტოიელებთან, არც საშუალო საუკუნეების ცნობილ ანთროპოლოგებთან (გ. ნოსელი, ნემესიოს ემესელი, დამასკელი) ნებელობა („წადიერებითი ძალები“), როგორც გონებისაგან დამოუკიდებელი ფსიქიკური მოქმედება, ისე როგორც ეს ესმის თანამედროვე ფსიქოლოგიას, არ იყო აღიარებული. იგი სულის მთავარი წამყვანი ძალის — გონისა და გონების - ნაწილი ან მისი განშტოების ერთ-ერთი ასპექტია. არისტოტელეს თქმით, „სულის გონიერ ნაწილში ისახება განზრახვა, უგონო ნაწილში – გულისთქმა და გულისწყრომა“[1].

ნემესიოს ემესელი, რომელიც ნებელობის საკითხში ძირითადში ეკლექტიკურ შეხედულებას ავითარებს, აყენებს კითხვას „თუ რომელთა მიზეზთათვის თვითხელმწიფე ვიქნებით“, და ამ საკითხის გამო ავითარებს აზრს, რომ ადამიანის ნებელობა მჭიდროდ დაკავშირებულია გონებასთან. გონებას აქვს, ერთი მხრით, ჭვრეტის უნარი, ხოლო, მეორე მხრით, იგი მოქმედების უნარითაა აღჭურვილი („სიტყვერებისა რომელთ-მე არს მხედვარეობით (ი), ხოლო რომელი-მე მოქმედებითი“)[2]. ჭვრეტითი („მხედვარეობითი“) უნარი შეიმეცნებს არსს, არსის მდგომარეობას, ხოლო მოქმედებითი უნარი განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა ვაკეთოთ, მომავალში გასაკეთებელის ჭეშმარიტ აზრს. ჭვრეტით მხარეს უწოდებენ გონს, სიბრძნეს, ხოლო მოქმედებითს გონებას, სიტყვას — ცნობას (рассудительность). თავისუფალი ნებელობა დაკავშირებულია გონებასთან (рассудительность). თუ ადამიანი გონიერია, ამბობს ნემესიოსი,– იბატონებს თავის მოქმედებებზე. იქნება რა (გონებით). ბატონი თავისი მოქმედებებისა, იგი იქნება თავისუფალი მოქმედებაშიც. ნემესიოსის მიხედვით, ადამიანის მოქმედებაში მონაწილეობს სულის გონიერ ნაწილში ჩასახული „წადიერება“. სურვილი. მისი აზრით, „წინაგანრჩევა“ არის რაღაც ნარევი განსჯისა და წადიერების — განზრახვისა. მაგრამ ყველა ეს მოქმედება გონების ფარ-

---

[1] „De anima“, III, თ. 9, 439. ბ. 3.
[2] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, 1914 წ., გვ. 158.

გლებში მიმდინარეობს. ქცევის მოტივს ისევ სულის გონიერ ნაწილში ჩასახული გონიერი განზრახვა წარმოადგენს[1].

რუსთაველისათვისაც ნებელობა რჩება გონების ნაწილად, მასთან ერთიანობაში; ამავე დროს, რაც დამახასიათებელია, იგი უკავშირდება გულს. ამ კავშირს აქვს პოზიტიური ხასიათი, — გული მოქმედების ძრავია, მოტივაციის საფუძველია.

რუსთაველისთვის არსებობს მოქმედების მამოძრავებელი იმპულსები — გულის სხვადასხვა გამოვლენანი. იმ იმპულსების ერთი ჯგუფია დაბალი ვნებების, აფექტების გამომხატველი „გული“: „გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი“; „გული“ — საფუძველი მაღალ ზრახვათა, მისწრაფებათა, რომლის შინაარსს შეადგენს მეგობრობა და სიყვარული. გულის ასეთი გაგების ნიადაგზე წამოყენებულია ადამიანის ნებელობითი ქცევის ორი პრინციპი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. ეს პრინციპებია: 1. „რაც არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“; 2. ჰკითხა ასთა, ქმენ გულისა რა გინდ რა ვინ გივაზიროს“. პირველი ასახავს ნებელობის მოქმედების ნეგატურ ასპექტს, ბრძოლას ეთიკურად გაუმართლებელ გულის ზრახვასთან, მეორე კი პოზიტურს, საკუთარ მაღალ მისწრაფებებზე, მაღალ გრძნობებზე დამყარებით გონიერი გადაწყვეტილების შესაძლებლობას. სანამ ადამიანის „წინააღრჩევანი“ არ ჩაერთვის ადამიანის მისწრაფების სისტემაში, სანამ იგი არ დაუკავშირდება გულს, როგორც ადამიანის მოტივაციის საფუძველს, მანამ ცივ მსჯელობას, განსჯას აზრი არა აქვს, იგი ვერ იქნება მოქმედების წარმმართველი. სწორედ ამიტომ ამბობს რუსთაველი „რა გული წავა იგიცა, წავლენ და მისკე მიდიან“. ე. ი. თუკი აღკვეთილია განსჯის, გონიერი მოქმედების მიმცემი ძალა, მაშინ უნაყოფო იქნება გონების მოქმედებაც. ასეთი კაცი მართლაც ვერ კაცობს, „კაცთაგან განაკადიან“. ე. ი. გამოთიშულია საზოგადოებრივი ურთიერთობიდან.

ახლა ვნახოთ რა შინაარსის შემცველია ქცევის მოტივი „გული“. რუსთაველის გმირების მოქმედების აღმძვრელ „გულის“ შინაარსს ძირითადში სიყვარული და მეგობრობა შეადგენს. ორივე ეს ძალა ერთ მიზანს ემსახურება: ორივე აღძრავს ადამიანს სისრუ-

[1] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა: 1914, წ. გვ. 158—162. გონება, ნემესიოს ემესელის მიხედვით, იხმარება „გონის (ნოიამაჲ) მნიშვნელობით. შემეცნებითი ძალების ყველაზე მაღალი საფეხურია გონება (გონი. სიბრძნე), შემდეგი საფეხურია. ცნობა (рассудительность).

ლისაკენ, ორივე საშუალებაა, „ზესთა მწყობრთან“ შერთვისათვის. ამიტომ ორივეს შეუძლია ადამიანში აღძრას გონიერი, მიზანშეწონილი ქცევა. ამ თვალსაზრისით „გული“ გონიერების მომენტსაც შეიცავს. როგორც ამას მკვლევარები აღნიშნავენ (შ. ნუცუბიძე, ს. ჯანაშია, ა. ფრანგიშვილი), „გული“ ძველ ქართულში გონებასაც და მის ხმარებასაც ნიშნავდა,. მაგალითად, გულისხმიერება მისწრაფებასაც ნიშნავს და საამისო საჭირო ცოდნასაც[1]. ფრანგიშვილის გამოკვლევის მიხედვით, ქართულ გამოთქმებში „გულ“ სიტყვა საერთოდ გონიერების გამომსახველიცაა. ავტორს თავის გამოკვლევებში მოჰყავს საწრმუნო მასალა ამ აზრის დასამტკიცებლად.[2] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ანალოგიის გავლება ანტიკურ ლიტერატურაში გამოყენებულ სიტყვა პათოსისა და გულიდან მომდინარე მეგობრობისა და მიჯნურობას შორის. რუსთაველის მიერ ასახულ სიყვარულსა და მეგობრობას მთლიანად შეიძლება მივაწეროთ ის ნიშნები, რაც ჰეგელმა ბერძნული გაგებით პათოსს მიაწერა[3].

რუსთაველის მიხედვით, მიჯნურობა აუცილებელია ნამდვილ ადამიანად ქცევისათვის. მიჯნურობა აღძრავს ადამიანს უმაღლესი სისრულისაკენ. იგი მძლავრი მორალური ძალაა, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანის განუსაზღვრელ აქტივობას, მაგრამ ამასთანავე იგი მძლავრი კონფლიქტების გამომწვევიცაა. „შესაფერთან“ შეწყობის შეუძლებლობის შემთხვევაში ადამიანს უჩნდება ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფის აზრი და სწრაფვა სულის სიმშვიდე და სისრულე ჰპოვოს „სულთა სირაში“.

მეგობრობა აღძრავს ადამიანს კონფლიქტების მოსაწესრიგებლად, კოლიზიების მოხსნისაკენ. იგი, ერთი მხრით, მიჯნურობის მსახურის როლშია, მაგრამ მისი გონიერი მძღვარიცაა. რეალური ქვეყნის ბნელ ხვეულებში გზის მანათობელი. იგი ძალაა, რომელიც ადამიანებს აკავშირებს, სისრულისათვის მისწრაფების მქონე ადამიანებში იქცევა დაუშრეტელი ენერგიის წყაროდ. მორალურ ძალად, ქცევის ძრავად ქცეული ინტელექტუალიზებული გული, როგორც პოემის მთელი კონტექსტიდან ჩანს, არაა გონებისაგან და-

---

[1] შ. ნუცუბიძე. ადამიანის იდეა და აღზრდის პრობლემა ვეფხის ტყაოსანში. კრებ. რუსთაველი სკოლაში. გვ. 49. 1937 წ.

[2] ალ. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან 1959 წ. გვ. 64.

[3] Гегель. Лекция по эстетике. 1938 г. стр. 226.

მოუკიდებლად მოქმედი. გონების დამჩლუნგებელი. მისი განუსაზღვრელად განმსაზღვრელი. რუსთაველის გმირების ყოველი ქცევა უაღრესად ინტელექტუალიზებული ქცევაა.

„ვეფხისტყაოსანში" ერთი შეხედვით, ყველაზე ემოციურ-აფექტური ქცევაც. როგორიცაა, ტარიელის ველად გაჭრა, ძირითადში უაღრესად ინტელექტულიზებულია, მას შემდეგ, რაც ტარიელმა მოიარა „ხმელთა ზედა. ზღვათა გარე", „მაგრა მისსა მნახვსაცა" კაცსა ვერა შეეყარა, მან გადასწყვიტა ველად გაჭრა და მიჯნურობის ძირითადი დევიზის ველად გაჭრის, რომელიც ავთანდილის დევიზიცაა. ბოლომდე დაცვა. მისი ქცევა წინასწარ განზრახულია, დაუფლებულია. მოფიქრებულია მომავალი მოქმედების გეგმაც. დევგმირული ბრძოლის შემდეგ იგი იწყებს ცხოვრებას დევების გამოქვაბულში. იგი ხელოვნურად სატრფოსთან სიახლოვის ილუზიას ქმნის: აღმოსავლური რომანტიული გმირების წესისამებრ იმოსება ვეფხის ტყავში. — „რომე ვეფხი შვენიერი მისად სახედ დამისახავს". ასეთ სიმბოლურ სამყაროში იგი ცხოვრობს ადამიანებისაგან მოშორებით. ეს ქცევა შეთანხმებულია გულთან. თანაც გონებრივი განსჯის შედეგიცაა. მისი გული და გონება მძიმე შინაგანი კონფლიქტის შემთხვევაშიც ყოველთვის მოუწყვეტლად არსებობს, ერთ მთლიანს ქმნის. ის, რაც მსოფლმხედველობრივია „ვეფხისტყაოსანში", რაც ხშირად უმაღლესი რეფლექსიის სახითაა მოცემული, გადაქცეულია მასში მოქმედი გმირების მრწამსად. გულთან დაკავშირებულ მორალურ ძალად. გულის ძირითადი შინაარსი — შეგობრობისა და სიყვარულის გზით სისრულისკენ სწრაფვა — ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის სიმაღლემდეა აყვანილი, გაცნობიერებულ მიზნადაა ქცეული. ის, რაც არ ეთანხმება ამ მსოფლმხედველობას, უკუგდებულია. მოსაგვარებლად ძნელი აფექტები, სურვილები, ვნებანი, რომლებიც აკნინებს ადამიანს, ადამიანის ძირითად მოტივებთან შეთანხმებით, გონების მოსაწესრიგებელ საგნად ქცეულა. სწორედ ამიტომაა, რომ რუსთაველის გმირები ძლიერ მწვავე ემოციურ მდგომარეობის დროს, რაც გამოწვეულია მძიმე კოლიზიებით, ინარჩუნებენ წონასწორობის. კონფლიქტური ქცევის ობიექტივაციის უნარს, ძალა შესწევთ შეაკავონ დაბალი იმპულსები და იმოქმედონ მიზნის შესაფერისად.

ამრიგად, ნათელია, რომ რუსთაველს პიროვნების ცალკეულ-

ძალები გონი, გონება. გრძნობები ერთიანობაში აქვს მოცემული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველი სიტყვა „გრძნობას“ ხმარობს სულ სამჯერ და ისიც შემეცნების აქტის მნიშვნელობით. გრძნობის ის შინაარსი, რომელიც მიღებულია თანამედროვე ფსიქოლოგიაში, რუსთაველისთვის გულთანაა დაკავშირებული. ადამიანის გონიერი ქცევა ემყარება გულს. თვით გონების მიერ შექმნილი მსოფლმხედველობა, რომელიც წამყვანია „ვეფხისტყაოსანში“, ადამიანის აქტივობის აღმძვრელია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ემყარება გულს. გული იქცევა გონიერ მოტივთა, მიზანთა სისტემის აღმძვრელ ძალად. ამიერიდან უკუგდებულია გონის, გონების პრიმატი, ნეოპლატონიკოსებისა და რელიგიის მიერ სულის არსებითი ძალებიდან „აღძვრითი“, „წადიერების“ ძალების გამორიცხვა და მათი გამოცხადება მავნებელ, მაღალი სულიერი ძალების აქტივობის შემაფერხებელ მოვლენად. პრინციპში აღდგენილია პიროვნების მთლიანობა. თვით გონი, გონება და გული, როგორც ადამიანობის იდეის, ისე კონკრეტული, იდეალური ადამიანის თვალსაზრისით, აქტივობის განუყრელ, ურთიერთგამპირობებელ მოვლენათაა გამოცხადებული. ადამიანის მთლიანობის პრინციპის სრული დაცვით „ვეფხისტყაოსანში“ მიუწვდომელი მხატვრული სიმართლით ასახულია მთლიანი, მრავალმხრივი, ჭეშმარიტად ქართული რენესანსის ადამიანები.

მთლიანობის აღნიშნული პრინციპი ძალაში რჩება ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც მისი გმირები, მძიმე კოლიზიებში ტიპოლოგიურად განსხვავებულ ქცევას ამჟღავნებენ. უკიდურეს „აფექტურ“ მდგომარეობაში არიან ან, პირიქით, როდესაც შედარებით მშვიდ სიტუაციაში, საკუთარ ფილოსოფიურ-ეთეტიკურ კონცეფციას ალაგებენ. პირველის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიტუაცია „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“.

როდესაც ველად გაჭრილი ტარიელის ტანჯვა ზენიტს აღწევს, როდესაც ლომ-ვეფხვთან შერკინებისა და მათი დახოცვის სიტუაცია ტარიელში აღძრავს მიუღწეველი მიჯნურობის განუსაზღვრელ ტკივილებს, როდესაც მისი ფიზიკური არსებობა ვერ უძლებს მწუხარების მოწოლას, იგი „დაბნედილ“ მდგომარეობაშია და „სულთა სირაში“ შერთვისთვის გამზადებულია: აი ასეთ სიტუაციაში ტარიელი რჩება მთლიან, მონოლიტურ პიროვნებად, რომ-

ლის გული და გონება ასეთ კონფლიქტურ პირობებშიც ერთმანეთს არ ეთიშება, ერთმანეთს ემყარება, ურთიერთის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ პიროვნება არ კარგავს თავისი ქცევის ობიექტივაციის უნარს და თავის გულთან შეთანხმებულ ქცევას ანგარიშგასაწევი, ფილოსოფიური კონცეფციით ასაბუთებს. ტარიელი ამ სიტუაციაში ავითარებს ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ აზრებს. ტარიელის მიერ თავისი ქცევის გასამართლებლად გამოთქმული საბუთები წარმოადგენენ რუსთაველის მსოფმხედველობის გაგების მდიდარ წყაროს.

მეორე შემთხვევის მაგალითად შეიძლება ავიღოთ „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე". დავას არ იწვევს, რომ ეს ანდერძი მაღალ პოეტურ ფორმაში გამოსახული ფილოსოფიური წერილია. აქ ავთანდილი გვეელინება, როგორც დიდი მოაზროვნე, რომელიც დგას ანტიკური და საშუალო საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების სიმაღლეზე. ამავე დროს, თუ ამ ანდერძს პიროვნების კონკრეტული ქცევის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ვნახავთ, რომ აქ ავთანდილის აზრთა მიმდინარეობა მთლიანად შეთანხმებულია „გრძნობათა" სამყაროსთან, — გულთან, როგორც ქცევის მამოძრავებელ ძალასთან. ავთანდილი ავითარებს აზრს, რომ უქმია ფილოსოფია და სიბრძნე, შეუძლებელია იმისი შერთვა „ზესთ მწყობრთან", ვინც გასწირავს მოყვარეს, უღალატებს მეგობრობის გრძნობას; მისი აზრით, მორალური ქცევის საფუძველი — სიყვარულია. იგი წერს მეფე როსტევანს:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეჟვანნი, ამას ეღერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეეაჯერენ![1]

ავთანდილის მიერ ანდერძის დატოვება, როგორც ქცევა, ისე ამ ანდერძში განვითარებული ეთიკური მსოფლმხედველობა ემყარება და ეთანხმება ავთანდილის მორალურ „გულს", რომელიც თავს იჩენს მეგობრობისა და მიჯნურობის სახით.

ადამიანის ყველა ძირითადი ძალებისადმი კუთვნილი ღირებულების მინიჭება, მათი გაგება პიროვნების ქცევის აუცილებელ

---

1 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აკად. გამოც. 1957, სტროფი 791.

კომპონენტების სახით, შესაძლებლობას აძლევს რუსთაველს დაგვიხატოს მრავალმხრივი, მრავალი განსხვავებული თვისებების შემცველი ხასიათები. „ვეფხისტყაოსნის“ ადამიანის ხასიათი სოციალურ დამოკიდებულებებში იჩენს თავს. ეს დამოკიდებულებები აღბეჭდილია ხასიათის თავისებურებებით. პოემაში შექმნილ რთულსა და მწვავე პირობებში, რთულ კოლოზიებში იშლება ადამიანთა მრავალმხრივი და რთული ხასიათები.

რუსთაველი მრავალ, ურთიერთის საწინააღმდეგო, უკიდურესობამდე განვითარებულ პიროვნულ თვისებებს ათავსებს ერთსა და იმავე პიროვნებაში. რუსთაველის პოემის გმირების შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც ჰეგელი ამბობს საკაცობრიო მნიშვნელობის ლიტერატურული პერსონაჟების შესახებ. რუსთაველის გმირები ატარებენ მრავლიანობათა წინააღმდეგობას. მაგრამ თვითონ ადამიანის პიროვნება, როგორც მთლიანობა — გონებისა და გულის ერთიანობა სძლევს ამ წინააღმდეგობას. პიროვნება თვითონაა მფლობელი ამ წინააღმდეგობისა, ამიტომ იგი არ ხდება პათოლოგიურად კონფლიქტური, საბოლოოდ რჩება საკუთარ თავს დაუფლებული, საკუთარ „მე“-ში წონასწორი. ეს ურთიერთ საწინააღმდეგო თვისებები ერთ წამყვან პიროვნულ ცენტრთან — გულთან, როგორც მორალურ ძალასთან შეთანხმებული მიზნის იდეის ირგვლივაა შეკრული. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ ავთანდილის პიროვნება, რომელიც რუსთველოლოგიაში, ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ნაკლებად სადავო პერსონაჟია.

ავთანდილში მძლავრადაა წარმოდგენილი როგორც გონება, ნებელობა, ისე გრძნობა. იგი ფილოსოფიურად განსწავლული პიროვნებაა. მას ფილოსოფიურად გააზრებული აქვს თავისი ქცევის მოტივები. პოემაში ავთანდილი ჩაყენებულია უამრავ რთულ სიტუაციებში, კოლიზიებში, ამ პირობებში იგი მეღავნდება როგორც მრავალი, ერთმანეთის საწინააღმედეგო თვისებების მატარებელი პიროვნება. პოემაში ავთანდილი მოცემულია, როგორც ამაღლებული მიჯნური, უფაქიზესი ტრფიალებით შეპყრობილი რაინდი. ამავე დროს იგი ეწევა სიძვას მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან. ავთანდილი — უმაღლესი მორალის მქადაგებელი, თავდადებული მეო-

მარი, გმირი, ბრძოლაში რაინდული წესების ერთგული, ამავე დროს, იჩენს ველურ სისასტიკეს, ჰკლავს ადამიანს შეპარვით, ფარულად. იგი მაღალი გონების, მტკიცე ნებისყოფის ადამიანია, ამავე დროს თავის მიჯნურთან დროებით განშორების გამო მისი მწუხარება აღწევს პათოლოგიურ აფექტამდე და ა. შ. ამ განსხვავებულ თვისებათა განუსაზღვრელი წინააღმდეგობა ავთანდილს აქცევს ფართო ბუნების, ყოველგვარი ადამიანური თვისებების, შესაძლებლობათა შემცველ ადამიანად — მიკროკოსმოსად. მაგრამ ეს წინააღმდეგობანი დაძლეულია და მთლიანობაში შეკრული, მისი პიროვნების არსად ქცეული, მისი ქცევის მამოძრავებელი, ცენტრალური და წამყვანი მაღალი ჰუმანური იდეით — მეგობრობის და მიჯნურობის საშუალებით სრულ ადამიანობის იდეამდე ამაღლდეს თვითონ და აამაღლოს სხვებიც, გაიმარჯვოს ქვეყნად სიკეთემ. სწორედ ამიტომ გასაგები და გამართლებულია პიროვნების ცენტრალური მამოძრავებელი ძალების, ძირითადი მისწრაფებების გათვალისწინების ნიადაგზე მისი ყველა სახის „ბოროტი“ და „კეთილი“ საქციელი[1].

3. ძირითადი ტიპოლოგიური მოძღვრებანი მე-19 — 20 საუკუნის ფსიქოლოგიაში

ზოგადი მიმოხილვა. მე-19 საუკუნეში ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის, ჩამოყალიბებასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ ქარაქტეროლოგიასაც. მე-18 — 19 საუკუნეში ემპირიული მეცნიერებების, კერძოდ ბუნებისმეტყველების განვითარებამ საფუძველი გამოაცალა პლატონისა და არისტოტელეს მიერ დამკვიდრებულ იდეალისტურ-მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას, რომლის მიხედვით არსებობს რაღაც ძალა, სული, რომელიც უშუალო სინამდვილის მიღმა იგულისხმება და რომელიც სულიერი მოვლენების (აღქმის, აზროვნების და სხვ.) არსებობას განსაზღვრავს, სულიერი მოვლენების საფუძველს წარმოადგენს. წინამეცნიერულ მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას დაუპირის-

[1] ტარიელის და ავთანდილის ქცევის ფსიქოლოგიურად დახასიათება იხილეთ: მნათობი. 1944 წ. № 3. 4. 5. ვლ. ნორაკიძე, „ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანში“.

პირდა ემპირიული ფსიქოლოგია, რომელიც საბოლოოდ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ემპირიული ფსიქოლოგია შემდეგ დებულებას აყენებს: ფსიქოლოგია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს ნამდვილ მეცნიერებად, თუ მისი კვლევის საგნად ცდაში, გამოცდილებაში უშუალოდ მოცემულ სინამდვილეს, ემპირიულ მოვლენებს და არა სინამდვილის მიღმა მდებარე არსს, სულიერი მოვლენების საფუძველს (სუბსტრატს) სულს ვიგულისხმებთ: უშუალო სინამდვილის სახით სულიერი მოველნებია (გრძნობები, წარმოდგენები, აზრები, საერთოდ, განცდები) მოცემული. ამიტომ ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად შეიძლება გახდეს სწორედ ცდაში, გამოცდილებაში მოცემული სულიერი მოვლენები; ფსიქოლოგიის საგანი სუბიექტური სინამდვილეა. მისი შესწავლის ერთადერთი მეთოდი — თვითდაკვირვების მეთოდია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფსიქოლოგიურ მოძღვრებას, თავისი იდეალისტური ბუნების გამო, ჰქონდა ნაკლი (ამ კონცეფციის მიხედვით უგულვებელყოფილია მთლიანი, კონკრეტული პიროვნება, ფსიქიკის შესწავლა წარმოებს ადამიანის ქცევისა და მატერიალურ პროცესებისაგან მოწყვეტით), მაინც თანამედროვე მეცნიერულ ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ფსიქოლოგიის ამ მიმდინარეობის წიაღში.

ემპირიულმა ფსიქოლოგიამ სცადა მთელი რიგი ქარაქტეროლოგიური სისტემების შექმნა. ფსიქოლოგიის ამ მიმართულების წარმომადგენლები ცდილობდნენ ფსიქიკაში ისეთი ძირითადი ელემენტების პოვნას, რომელიც ადამიანის ხასიათის განმსაზღვრელია. მაგალითად, ინგლისელი ფსიქოლოგი ბენი ხასიათის ტიპოლოგიას აწარმოებს ადამიანის სამი ძირთადი სულიერი ელემენტის ურთიერთობის ნიადაგზე. ნებელობა, მისი აზრით, წარმოადგენს ისეთ ბუნებრივ სულიერ ენერგიას, რომელიც ადამიანის მოქმედების წყაროა; თუ რა მიმართულებას მიიღებს ეს ენერგია, დამოკიდებულია პიროვნებისათვის დამახასიათებელ ემოციისა და ინტელექტის ინტენსიობასა და შინაარსზე. სულიერი ენერგიის ინტენსიობის, ამ ენერგიის მიმცემი ემოციისა და ინტელექტუალური შინაარსების განსხვავებული კომბინაციები ქმნიან ხასიათის განსხვავებულ ტიპებს[1].

[1] Бен. Об изучении характера, 1866 г.

ემპირიული ფსიქოლოგიის ტიპიური წარმომადგენელი ფრანგი მკვლევარი პოლანი თავის ცნობილ გამოკვლევაში „ხასიათის ფსიქოლოგია" გვაძლევს ხასიათის ბუნებისა და ტიპების ფსიქოლოგიურ ანალიზს".

ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი ცნება წარმოდგენათა ასოციაციის ცნება იყო. ემპირიული ფსიქოლოგიის წარმომადგენლების აზრით, წარმოდგენები აღქმის ასლია და ურთიერთს ასოციაციის კანონების საფუძველზე უკავშირდებიან. ასოციაცია ეწოდება განცდათა იმ კავშირს, რომელიც იმაში იჩენს თავს, რომ ერთ განცდას მეორის გამოწვევა შეუძლია. არისტოტელის დროიდან ცნობილია მოსაზღვრეობის ასოციაცია სივრცესა და დროში, მსგავსებისა და კონტრასტის ასოციაციები. მოსაზღვრეობის ასოციაციას სივრცეში მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთმანეთს იწვევენ ისეთი წარმოდგენები, რომელთა საგანი ერთიმეორის მეზობლად იყო მოცემული: მაგალითად, მზის წარმოდგენა იწვევს ვარსკვლავების ან მთვარის წარმოდგენას. თუ ისეთი წარმოდგენები უკავშირდება ერთმანეთს, რომელთა საგანი დროში ერთად იყო განცდილი, მაშინ დროში მოსაზღვრეობის ასოციაციასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ელვის წარმოდგენა გრგვინვის წარმოდგენას იწვევს, რადგან ისინი დროში ერთმანეთის თანამიმდევრობით იყვნენ განცდილი. მსგავსების ასოციაცია გამოხატავს მსგავსი წარმოდგენების კავშირს. მაგალითად, ტბა ზღვას გვაგონებს, მაკედონელი ნაპოლეონს და სხვა. კონტრასტის მიხედვით ერთმანეთს უკავშირდება განსხვავებული წარმოდგენები, მაგალითად, თეთრი და შავი, მაღალი და დაბალი. ემპირიულ-ასოციაციურ ფსიქოლოგიაში, რომელიც სუბიექტური იდეალიზმის ნაყოფს წარმოადგენდა, წარმოდგენათა ასოციაციას უნივერსალური მნიშვნელობა ჰქონდა. მათი აზრით, წარმოდგენები ასოციაციის კანონების მიხედვით უკავშირდებიან ერთმანეთს. ამ კანონებს ადამიანში იგივე ძალა აქვთ, როგორც ფიზიკის კანონებს ფიზიკურ მოვლენათა სამყაროში. ცნობიერება გაგებული იყო, როგორც განსხვავებული ძალისა და აქტივობის მქონე წარმოდგენათა ბრძოლის სარბიელი.

პოლანის აზრით, ადამიანში ძირითადია ორი ტიპის ასოციაცია: სისტემატური ასოციაცია, რომლის მიხედვით ყოველი მარ-

ტივი სულიერი ელემენტები ისწრაფვიან შეერთებისაკენ და უმაღლესი რთული ელემენტების შექმნისაკენ, სინთეზისაკენ, აგრეთვე სისტემატური შეფერხების ასოციაცია, როდესაც ფსიქიკური ელემენტი აფერხებს ამ სინთეზის პროცესს. დანარჩენი კანონები მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა. ადამიანის ხასიათის ტიპი განსხვავებულია მისი წარმოდგენათა ასოციაციების თავისებურებით.

მისი აზრით, ხასიათს ორი მხარე აქვს: ფორმალური და შინაარსობრივი. ფორმალურ მხარეს გამოხატავს ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ წარმოდგენათა სისტემატური ასოციაციის, სისტემატური შეფერხების, აგრეთვე მოსაზღვრეობის, მსგავსებისა და კონტრასტის მიხედვით მიმდინარეობის თავისებურება. თითოეულ ადამიანში პირობებისდა მიხედვით შეიძლება მოცემული იყოს ზემოთ აღნიშნულ წარმოდგენათა ასოციაციის ამოქმედებისადმი ჭარბი მიდრეკილება. სისტემატური ასოციაციებისადმი მიდრეკილება განსაზღვრავს ჰარმონიულს, მთლიანი ხასიათის ტიპებს. წარმოდგენათა ასოციაციის სისტემატური შეფერხებისადმი მიდრეკილება წარმოშობს განცდების მიხედვით კონფლიქტურს, მაგრამ გარემოსთან შეგუებულ, თავისთავს დაუფლებულ ტიპებს. კონტრასტის ასოციაციისადმი მიდრეკილება განსაზღვრავს მოუსვენარ დისჰარმონიულ ხასიათს. მოსაზღვრეობისა და მსგავსების ასოციაციები განსაზღვრავენ ძლიერ აგზნებად, ნერვულ, კაპრიზულ, გარე შთაბეჭდილებებზე დამოკიდებულ ტიპებს. კონკრეტული ადამიანის ტიპების დასადგენად იგი მიუთითებს ადამიანის იმ ძირითად სულიერ შინაარსებზე, წარმოდგენებზე, რომელთა ასოციაციაც წარმოებს ადამიანის სულში. ფორმისა და შინაარსის მრავალფეროვანი კომბინაციის ნიადაგზე იგი გამოყოფს მრავალრიცხოვან ტიპებს[1]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოლანს ყოველი ფსიქოლოგიური ტიპის საილუსტრაციოდ მოჰყავს ხელოვნებაში, მწერლობაში დადგენილი ტიპები; თავის ტიპოლოგიას იგი აფუძნებს ხელოვნების პერსონაჟების და რეალური ადამიანების ხასიათების განხილვაზე.

ფრანგ მკვლევარს ფ უ ლ ი ე ს პრეტენზია აქვს, თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევების ნიადაგზე, ჩამოაყალიბოს

---

1 Полан, Психология характера, 1896 г.

ქარაქტეროლოგიის ახალი პრინციპები: იგი რიბოსთან ერთად განასხვავებს ზოგადი ფსიქოლოგიისა და ხასიათის ფსიქოლოგიის მიზნებს: „ზოგადი ფსიქოლოგია შეისწავლის მხოლოდ განყენებულ კანონებს, ხასიათის ფსიქოლოგია კი სწავლობს ტიპებს, რომლებიც შეიძლება დადგენილ იქნას ზოგადი კანონების კერძო შემთხვევებისადმი ისეთი შეუღლებით, რაც ინდივიდების კლასიფიკაციის საშუალებას მოგვცემდა"[1]. იგი არჩევს ძირითად, თანდაყოლილ ხასიათს, რომელსაც არსებითად აიგივებს ტემპერამენტთან და ინდივიდის სიცოცხლეში შეძენილ ხასიათს. ქარაქტეროლოგიის მიზანია ძირითადი ხასიათის ნიადაგზე განვითარებული პირადულ თვისებების შესწავლა. „ჩვენი ინდივიდუალური „მე" წარმოადგენს ელემენტების ჯამს. ამ ელემენტების შეჯამების ნიადაგზე ჩვენ წარმოვიდგენთ „მე"-ს; მისი ძირითადი ელემენტებია: გრძნობა, ინტელექტი და ნებელობა. ხასიათი არის ადამიანის შედარებით მყარი მანერა გრძნობის, აზროვნების და სურვილებისა". სულიერი ცხოვრების ამ სამ სფეროთაგან ერთ-ერთის სიჭარბის პრინციპზე ფულიე აგებს ხასიათის ტიპოლოგიას. იგი გამოყოფს ინტელექტუალურ და ნებელობის ძირითად ტიპებსა და ქვეტიპებს. ინტელექტუალური ტიპი შეიცავს: კონკრეტულ, აბსტრაქტულ, ინტუიტურ და დისკურსიულ აზროვნების ტიპებს; თითოეულ ასეთ ტიპს შეიძლება ახასიათებდეს ნებელობის ან გრძნობის თავისებურება. ამის ნიადაგზე შეიძლება გამოიყოს ინტელექტუალური, დისკურსიული ტიპი განვითარებული გრძნობებით და სუსტი ნებელობით და ა. შ. ასეთივე კომბინაციებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი დანარჩენი ძირითადი ტიპების შემთხვევაში. ამ სამი სულიერი თვისების ცალკე მხარეების შეკავშირებით იგი იძლევა მრავალრიცხოვან ხასიათის ტიპებს, რომელნიც ფაქტიურად წარმოადგენენ დედუქციის გზით მიღებულ სქემებს, ვიდრე კონკრეტულ ადამიანთა ხასიათის ტიპებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი მთელი თავისი წიგნის მანძილზე ცდილობს თითოეული ადამიანის ტიპი განიხილოს მთლიანი ადამიანის ასპექტში. ეს მთლიანი მისთვის ნაწილების ჯამია. ამ ჯამის თავისებურების გამოვლენა განცდებსა და საქციელში წარმოადგენს ხასიათის არსებით ნიშანს.

---

[1] Фулье, Темперамент и характер, 1896, გვ. 6.

რიბოსათვის ხასიათის ძირითადი საფუძველია პიროვნების მთლიანობა, რომელიც გამოიხატება ადამიანის ყველა მისწრაფების ერთ მიზნისადმი მიმართულებაში. მისი აზრით, ძირითადი მისწრაფების გათვალისწინება პიროვნების მომავალი ქცევის პროგნოზის შესაძლებლობას გვაძლევს. ხასიათი ძირითადში პიროვნების ფორმალური თვისებაა. ხასიათის ტიპის დადგენისას მნიშვნელოვანია მიზნისადმი მისწრაფების საერთო ფორმა; საინტერესოა, თუ როგორ განიცდის, როგორ გრძნობს ადამიანი. ასეთი ფორმალური თვისება თანდაყოლილია; ის, თუ რას განიცდის ადამიანი (განცდის შინაარსი), ცხოვრების მანძილზეა შეძენილი. ქარაქტეროლოგიის მიზანია ხასიათის მხოლოდ ამ თანდაყოლილი თვისების კვლევა. ადამიანის მიზნისადმი მისწრაფება ასახულია გრძნობისა და ნებელობის მიმდინერობის ფორმებში. იგი შესანიშნავი ფსიქოლოგიური ანალიზით იკვლევს ხასიათის ემოციურ-აფექტურ საფუძველს. ნებელობის საფუძველს პოულობს გრძნობებში, მაგრამ ადამიანის ხასიათის ტიპოლოგიისათვის იგი საბოლოოდ გრძნობების გვერდით ტოვებს ნებელობას და ამ ორი სულიერი ფენომენის სიჭარბის ნიადაგზე გამოყოფს ხასიათის სამ ძირითად ტიპს: გრძნობის ადამიანს, აქტიურ ადამიანს და აპათიურს. ამ ძირითადი ტიპების საფუძველზე გამოყოფს შესატყვის ქვეტიპებსაც[1].

მე-19 საუკუნის ქარაქტეროლოგიური ლიტერატურა წარმოდგენილია აგრეთვე სხვა საინტერესო ავტორებითაც (მალაპერი, პერე, რიბერი და სხვ.). ამ ავტორების ამოსავალი პრინციპი ასევე ასოციაციური ფსიქოლოგიიდან მომდინარეობს.

მეოცე საუკუნის ბურჟუაზიულ და საბჭოთა ფსიქოლოგების მიერ მრავალჯერ აღნიშნულია, რომ ემპირისტული ფსიქოლოგიის ძირითად მანკს შეადგენს მექანიციზმი, მთლიანი პიროვნების ელემენტებად დაშლა და ამ ელემენტების შეჯამების ნიადაგზე ისევ მთლიანი ადამიანის აგება, სხეულისა და სულის გათიშვა, იდეალისტური და მექანისტური მეთოდოლოგია. ამ პრინციპების საფუძველზე გაშლილმა ქარაქტეროლოგიურმა კვლევამ, ბუნებრივია, ვერ მოგვცა კონკრეტული, რეალური, მთლიანი პიროვნების ხასიათის ტიპები. აღსანიშნავია, რომ პოპულარობა მოიპოვა არა იმ ქარაქტე-

---

[1] Рибо, Характер. Образование характера, его элементы, виды, разновидности. 1896 г.

როლოგიურმა ცდებმა, რომლებიც ემპირისტული ფსიქოლოგიის კონცეფციის მიხედვით იყო დადგენილი, არამედ მხოლოდ ტეოფრასტემ და ლაბრუიერმა, რომლებმაც მეცნიერული ფსიქოლოგიის პრინციპების გარეშე აღწერეს მათი თანამედროვე ადამიანების ხასიათის ტიპები; მაგრამ ეს მათი ლიტერატურული გამარჯვება იყო და არა მეცნიერულ-ფსიქოლოგიური (ჰიპოკრატეს არ ვიღებთ მხედველობაში, რადგან მან ძირითადში დაადგინა ტემპერამენტის და არა ხასიათის ტიპები).

ღაღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნეში ზოგიერთი მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პიროვნების ხასიათის შესწავლისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ფსიქოლოგიისაგან სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერება — ქარაქტეროლოგია; მაგალითად, ჯერ კიდევ 1867 წელს იულიუს ბანზენმა გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც იგი ასაბუთებდა ქარაქტეროლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებლობას. მისი აზრით, ქარაქტეროლოგიას აქვს თავისი დამოუკიდებელი საგანი, ამოცანა — მთლიანი პიროვნების თავისებურების შესწავლა, შეუძლია ჰქონდეს თავისებური მეთოდებიც, საკითხების გადაჭრისათვის შეუძლია მიმართოს მეცნიერების სხვა დარგებს და სხვ. ეს ტენდენცია მეოცე საუკუნის ზოგიერთ მკვლევარსაც ახასიათებს (უტიტცი, კლაგესი).[1]

მეოცე საუკუნის ფსიქოლოგიამ იქვი შეიტანა ემპირისტული ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპში — ფსიქიკური ელემენტების პირველადობაში. მთელი რიგი ფსიქოლოგიური სკოლების კვლევა-ძიებებმა ნათელი გახადა, რომ პირველადია არა ელემენტები, არამედ მთლიანობა (სტრუქტურა, გეშტალტი, კომპლექს-ქვალიტეტი). ამ მხრივ ნაყოფიერი გამოდგა ე. წ. მიდრეკილებისა და დისპოზიციის ცნების ქარაქტეროლოგიაში გამოყენება. გაჩნდა ქარაქტეროლოგიის მრავალი განსხვავებული მიმართულება, რომელნიც სხვადასხვა მიდგომით ცდილობენ ხასიათის ბუნების გაგებას.

ქარაქტეროლოგიის სისტემის მრავალფეროვნების ნათელ სურათს იძლევა უტიტცის მიერ ხასიათის საკითხზე ოთხ ტომად გამოცემული შრომები[2]. აქ ვხვდებით სხვადასხვა მიმართულების ფსიქოლოგების, მორალისტების, კრიმინალისტების, ლიტერატორების

---

[1] Bansen, Beitrage zur charakterologie. 1867.
[2] Utitz, Jahrbuch der charakterologie, Berlin. I, II, III, IV. 1924.

შრომებს, რომლებსაც როგორც კონცეფციის, ისე კვლევის გზების მიხედვით, საერთო აქვთ მხოლოდ ის, რომ თითოეული მათგანი ისწრაფვის ხასიათის ტიპოლოგია მოგვცეს მთლიანობის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან. ამ კრებულის წინათქმაში უტიტცი აღნიშნავს, რომ ყოველივე ის, რაც აქამდე გამოქვეყნებულა ქარაქტეროლოგიაში, წარმოადგენს დილეტანტიზმს, სწორედ ამის გამო ქარაქტეროლოგიას სახელი აქვს გატეხილი. პრაქტიკისა და მეცნიერების ყველა დარგს ესაჭიროება ხასიათის შესახებ მოძღვრება. უტიტცი აუცილებლად სთვლის მიეცეს ყველა დარგისა და მიმართულების წარმომადგენლებს საშუალება თავისი აზრის გამოთქმისა ხასიათის შესახებ და შემდეგ ყველა ნააზრევის გათვალისწინებით შემუშავდეს ერთი მთლიანი ქარაქტეროლოგიური სისტემა. მართლაც, კრებულში ავტორები გამოსთქვამენ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს, იხილავენ ხასიათის პრობლემებს განსხვავებული პოზიციებიდან.

ხასიათის შესახებ გამოკვლევების ტალღა განსაკუთრებით მძლავრი იყო ამ საუკუნის 30 წლებამდე. 1932 წლამდე გამოიცა მრავალი შრომა, განსაკუთრებით ფრანგულ და გერმანულ ენებზე: ამის შემდეგ ეს ტალღა თითქოს შეჩერდა. ქარაქტეროლოგიაში გაჩნდნენ ისეთი სახელები, როგორიც არიან: დეკროლი, ვერმეისი, ფერიერი, მონაკოვი, ჰოფმანი, კრეჩმერი, ადლერი, ფროიდი, იუნგი, მიულერ-ფრაინფელსი, შპრანგერი, კლაგესი, ევალდი, ოპფელბაბი, კრონფელდი, ჰებერლინი, უტიტცი, დელმა და დებოლი, ფენდერი, იენში, კრიუგერი, ზანდერი, იასპერსი, კანი, შნაიდერი, ფალერი, შტერნი და მრავალი სხვა. ყველა ეს ავტორები ისწრაფვიან ორიგინალური ქარაქტეროლოგიური სისტემის შექმნისაკენ.

თანამედროვე ქარაქტეროლოგიის ასეთი ზოგადი მიმოხილვაც ნათელს ხდის ამ გარემოებას, რაოდენ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მთლიანობის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან გაშლილი ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის ცდები. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ფსიქოლოგიური კონცეფციები და ამ კონცეფციებიდან მომდინარე ქარაქტეროლოგიური მოძღვრებანი ძირითადი ტენდენციების მხრივ იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ისეთი არსებითი ნიშნის გამოძებნა, რომელიც ახასიათებდეს მხოლოდ ერთ სისტემას ისე, რომ ეს ნიშანი სრულებით არ იყოს მეორე სისტემაში, ძნელად საპოვნია. ყველა შემთხვევაში ეს მისწრაფება ერ-

თი ძირითადი ტენდენციის მატარებელია. ეს ძირითადი ტენდენცია მთლიანი პიროვნების ხასიათისეული ქცევისა და განცდების პიროვნული მიზეზების, „მექანიზმების“, ხასიათის განმსაზღვრელი პიროვნული „ცენტრის“, ძიებაში მდგომარეობს. აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივუთითოთ ამ ტენდენციათა ნაირობაზე.

არსებული ქარაქტეროლოგიური მოძღვრებების ანალიზის გზით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი სისტემები:

1. ხასიათის ტიპოლოგია ცალკეული თვისების, ფსიქიკური ფუნქციების მიხედვით. 2. ხასიათის ტიპოლოგია პიროვნების სიღრმეში ნუგულისხმევი იმპულსების ნიადაგზე. 3. ბიოლოგიური პრინციპი ხასიათის ტიპოლოგიაში. 4. „სტრუქტურული“ ტიპოლოგია. 5. პერსონალისტურ-ტელეოლოგისტური ტიპოლოგია.

ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის სისტემები ცალკეული სულიერი თვისებებისა და ფუნქციების მიხედვით განვითარდა მეოცე საუკუნემდე, მაგრამ ჩვენს საუკუნეშიც ამ სისტემების გავლენა საკმაოდ დიდია. ამ სისტემებში ვგულისხმობთ ყველა იმ მოძღვრებებს, რომელნიც ხასიათის ტიპის დადგენისათვის, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებენ სულიერ მოვლენებზე, ცდილობენ ამ მოვლენების აღწერას, ახსნასაც და, საბოლოოდ, ხასიათის პორტრეტის დადგენას. ამ ჯგუფში თავსდება ის მკვლევარები, რომელნიც ემყარებიან ეთიკურ კონცეფციას, სოციალურ, პრაგმატისტულ ფსიქოლოგიას, ემპირიულ ფსიქოლოგიას. ქარაქტეროლოგიის ასეთი კონცეფციები უძველეს დროიდან დღემდე განაგრძობენ არსებობას. მათ ფართო მეცნიერული რეზონანსი არ ჰქონია. ყველა ამ სისტემაში ნაცადია ერთი სულიერი ფენომენის სიჭარბის ნიადაგზე ხასიათის ტიპიური პორტრეტის დადგენა და ამავე დროს ამ ჭარბი ფენომენების წარმომშობი მიზეზების კვლევა. ამ მიზეზებში ნაგულისხმევია სოციალური გარემო, არსებული საზოგადოების მორალის დონე ან ბიოლოგიური პირობები. ეს კონცეფციები სავსებით უგულვებელყოფენ ქარაქტეროლოგიის ძირითად პრობლემებს — როგორ შეიძლება საზოგადოების მორალი იქცეს პიროვნების მორალად, რა პიროვნული მექანიზმი განსაზღვრავს ხასიათის წარმოქმნასა და ფორმირებას, რა ურთიერთობაა სუბიექტსა და მასზე მოქმედ სოციალურ გარემოს შორის? ქარაქტეროლოგიის ეს მიმდინარეობანი ემყარებიან არამეცნიერულ, გულუბრყვილო ფსიქოლო-

გიას, საუკეთესო შემთხვევაში ემპირიულ ფსიქოლოგიას, რომლის მიხედვით პიროვნება სულიერ ფენომენთა კონგლომერატია, პიროვნების მთლიანობა სულიერი თვისებების ჯამია ან სინთეზი. ემპირისტული ფსიქოლოგიის ყველაზე ტიპიური წარმომადგენლები ერთი სულიერი მოვლენის სიჭარბის ჭრილში განიხილავენ მთლიანი ადამიანის ხასიათის თავისებურებას, ამ ჭარბი სულიერი მოვლენის მიზეზს ეძებენ ისევ უფრო ღრმად მდებარე ფენომენში. სულიერი ფენომენის თავისებურებას ხსნიან ისევ მასთან კავშირში ყოფი სხვა სულიერი ფენომენით.

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარებასთან ერთად, ამ კონცეფციების ნიადაგზე, ექსპერიმენტი ფართოდ შეიჭრა ქარაქტეროლოგიაში. მრავალრიცხოვანი ცდები იქნა ჩატარებული ხასიათის ცალკეული თვისებების შესასწავლად. უამრავი მეთოდების სერია იქნა შექმნილი ხასიათის ცალკე ნიშნების სადიაგნოზოდ. იკვლევდნენ და იკვლევენ ხასიათის ისეთ ნიშნებსაც, როგორიცაა სიძუნწე, მომჭირნეობა, პატივმოყვარეობა, მორალის დონე და სხვ. მაგრამ ამგვარი ექსპერიმენტები მეცნიერული ქარაქტეროლოგიის განვითარებისათვის დღემდე უნაყოფო გამოდგა, რადგან ასეთი ექსპერიმენტები, საუკეთესო შემთხვევაში, ეხებიან მხოლოდ მოვლენის ზედაპირს, ვერ წვდებიან პიროვნებაში ღრმად მდებარე ფენებს, ვერ იკვლევენ მთლიანი, კონკრეტული პიროვნების იმ „მექანიზმს“, რომელიც შეიძლება განსაზღვრავდეს ხასიათის თავისებურებას.

მე-19 საუკუნიდან დღემდე მრავალჯერ სცადეს გამოსახულებითი მოძრაობების: გამომეტყველების, სიარულის, ხელის, ჟესტების, პოზის ტიპების დადგენის მეშვეობით ხასიათის თავისებურებების კვლევა (გალტონი, ლომბროზო, ჰაიმანსი, ვიმერი, კლაგესი, ალერსი და სხვ.). ფიზიოგნომიკამ და გრაფოლოგიამ ერთ დროს ფართო პოპულარობა მოიპოვა. ყველა ამ ცდის ძირითადი ტენდენცია ერთი რომელიმე პიროვნული ფენომენის მიხედვით ხასიათის ტიპის დადგენაში მდგომარეობს. ეს ფენომენი მათთვის პიროვნების ძირითადი არსის სიმბოლოა. გამომეტყველება, ხელი, სიარული, პოზა წარმოადგენენ პიროვნების შინაგან სამყაროს ნათელ ანარეკლს. მათთვის პიროვნების ხასიათის თავისებურების წვდომა შესაძლებელია პირობითი მნიშვნელობის მქონე გამოვლინებებში, გამოსახულებით მოძრაობებში. ამ გამოსახულებათა გათვალისწინების

ნიადაგზე შეიძლება პიროვნების სრული პორტრეტის აგება. ხელის ესა თუ ის ფორმა, გამომეტყველების ნაირობა, სხეულის პოზისა და სიარულის თავისებურება შეესატყვისება პიროვნების შინაგან თვისებებს. ექსპერიმენტში და ჩვეულებრივ ცხოვრებაში პიროვნების გამოსახულებითი მოძრაობებზე დაკვირვებით და პიროვნების სულიერი მხარეების შესწავლით, ამ ორ მხარეთა შორის კორელაციის დამყარების გზით, შესაძლებელია დადასტურდეს, თუ ხასიათის რომელი თვისების სიმბოლოა ესა თუ ის გამოსახულება. ამ მიმართულების ყველა მკვლევარი ისწრაფვის წვდეს ადამიანის სულის სიღრმეს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი ცდები ვერ სცილდება ცალკეული სულიერი მოვლენის: ინტელექტის, ემოციის, ნებელობის ან ხასიათის რომელიმე ნიშანის — მომჭირნეობის, სიძუნწის, ხელგაშლილობის, თავმომწონეობის და სხვ. აღწერის ფარგლებს. ზოგიერთი მკვლევარი ისე შორს მიდის, რომ ხელის თავისებურებაში ჭვრეტს პიროვნების მორალის დონეს. ჯერ კიდევ ლომბროზომ მთელი გამოკვლევა უძღვნა ადამიანის მორალისა და ხელის თავისებურების ურთიერთობის პრობლემას[1]. ამ გამოკვლევებში ყველგან მითითებულია ორი ან რამდენიმე ფენომენის თანაარსებობის ფაქტზე. მაგრამ რა შინაგანი, აუცილებელი კავშირია ამ ფენომენთა შორის, რა კონკრეტული პიროვნული მექანიზმი განსაზღვრავს ამ ფენომენთა ერთად არსებობას, ამ თვალსაზრისებისათვის მიუწვდომელია. ამოსავალი წერტილი აქ ყოველთვის ნაწილობრივი პროცესებია. მიუხედავად ამ პროცესების ობიექტური მეთოდებით დადასტურებისა, მათ შორის კავშირების დამყარება მექანიკურია. პიროვნების მთლიანი პორტრეტის აგება მხოლოდ ჭვრეტას, ინტუიციას ემყარება. ამ სისტემების შესახებ ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგი ბ ო.ვ ე ნ ი ამბობს, რომ ფიზიოგნომიკა ეხება მხოლოდ მოვლენის ზედაფენას და ვერ არკვევს ხასიათის სტრუქტურას, მისი სიღრმის თავისებურებას.[2]

თანამედროვე ქარაქტეროლოგიაში გამოსახულებითი მოძრაობების მიხედვით პიროვნების ტიპოლოგიის დადგენა თავისებური კონცეფციის (მთლიანობის ფსიქოლოგიის) ასპექტში, ნაცადია კლა-

---

[1] E. Lombroso. Handbuch graphologie. Leipzig.
[2] W. Boven. Aperçu sur l'état présent de la Characterologie générale. J. de Ps. norm et Path.1930. XXVII.

გესის მიერ. კლაგესის შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი. აქ შეეუთითებთ მხოლოდ იმაზე, რომ კლაგესის შრომის დიდი პრეტენზია, ფიზიოგნომიკას დააკისროს ქარაქტეროლოგიის ფუნქციები, მარცხით დამთავრდა. უტიტცი, აანალიზებს რა კლაგესის შრომას გრაფოლოგიისა და ფიზიოგნომიკის შესახებ, ამბობს: „კლაგესის მიერ ამ მიმართულებით წარმოებულმა კვლევა-ძიებამ ის დიდი შედეგი გამოიღო, რომ დადასტურდა: [ფიზიოგნომიკა ქარაქტეროლოგიაში შედის მხოლოდ როგორც შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ფიზიოგნომიკას არ შეუძლია დაიკავოს ქარაქტეროლოგიის ადგილი. „სიმბოლიკა" შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე საშუალება. ხასიათის კანონზომიერება არავითარ შემხთვევაში არაა სიმბოლო".[1] ქარაქტეროლოგიის ზოგიერთი ასეთი ცდა გადაიზარდა პიროვნების სულის თვისებების მისტიკურ ძიებებში, მკითხაობასა და ქირომანტიაში.

„ხილრმის" ფსიქოლოგია. ემპირისტული ფსიქოლოგიის ნიადაგზე ნაწარმოებ ქარაქტეროლოგიურ სისტემებში ჯერ კიდევ გამოკვეთილად არაა მოცემული დისპოზიციის ცნება, მკვეთრად არ არის მითითებული იმ გარემოებაზე, რომ პიროვნებას ახასიათებს ცნობიერების მიღმა მდებარე კონკრეტული შესაძლებლობა, რომლის აქტივაციის შედეგია განცდებისა და ქცევის მიმდინარეობა. დისპოზიის ცნებაში იგულისხმება თანდაყოლილი, ან თანდაყოლილთან კავშირში შეძენილი პიროვნების ისეთი შინაგანი თვისება, რომელსაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისათვის. დისპოზიცია შესაძლებლობის სახითაა მოცემული, მის გაშლას, გამოვლენას გარკვეული შინაგანი და გარეგანი პირობები სჭირდება; შესატყვის პირობებში დისპოზიცია იქცევა ადამიანის მოქმედების შინაგან ძრავად, განვითარების მიმართულების მიმცემად, გარემოსადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელად. ოლპორტი არჩევს დისპოზიციების სამ ჯგუფს ა) რეფლექსები, ლტოლვები (triebe). მიდრეკილებები, საერთოდ, ინსტიქტური სახის ყველა თვისება, ბ) შთამომავლობით (გენოტიპიურად) განსაზღვრული თვისებები, მაგ., მშობლების გვარეულობიდან, რასიდან მიღებული თვისებები და გ) შესაძლებლობის სახით მოცემული მრავალფეროვა-

---

[1] Utitz, Charakterologie. 1927. გვ. 349.

ნი უნარები, ნიჭიერებანი (სწავლის, მეცნიერების, ხელოვნების, სხვადასხვა სფეროსადმი მიდრეკილებანი და სხვ.).[1]

პიროვნებაში დისპოზიციური არეს არსებობის პრობლემა მკვეთრად იქნა წამოყენებული მეოცე საუკუნის ფსიქოლოგიაში.. ამ ცნების წამოყენებამ თავისებური სახე მისცა ქარაქტეროლოგიურ მოძღვრებებს. თანდათანობით ამ ცნების შინაარსში უცვლელი, თანდაყოლილი, გენოტიპიურად განსაზღვრული თვისების შეტანამ განაპირობა იდეალისტური ქარაქტეროლოგიური სისტემების ჩამოყალიბება, რომელთა მიხედვით ხასიათი გამოცხადებულია თანდაყოლილ ფატალურ მოვლენად.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს ქარაქტეროლოგიის იმ სისტემებმა, რომლებიც ხასიათის რაგვარობისა და განსხვავებულობათა საფუძველს პიროვნების სიღრმეში მოქცეულ ძირითად მიდრეკილებებში ჰვრეტენ. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანის ხასიათში ასახულია კონფლიქტი პიროვნების ინსტიქტებსა, მის სიღრმეში მოქცეულ ძალებსა და ადამიანის გონებას, ნებელობას, მის სოციალურ ტენდენციებს შორის; ადამიანის სულიერი კონფლიქტების და ამ კონფლიქტების დამძლევი, შემაკავებელი მექანიზმების ძიება შეადგენს ხასიათის ფსიქოლოგიის ძირითად ამოცანას; ხასიათი ყალიბდება ბავშვობის ხანაში, აქ მძაფრად იჩენს თავს კონფლიქტი ინსტიქტის „მიზნებსა" და სოციალურ აკრძალვას შორის და იგი ხდება წყარო განდევნილ განცდათა კომპლექსებისა.

პიროვნების სიღრმეში ნაგულისხმევი სასიცოცხლო ძალების ნიადაგზე დადგენილი ქარაქტეროლოგიის ნიმუში განსაკუთრებული სიმკვეთრით მოცემულია ფროიდის მოძღვრებაში. ფროიდს არ მოუცია ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის სისტემა, მაგრამ მან, ისე როგორც მაკ-დაუგოლმა, სცადა ხასიათის ძირითადი თვისებების ინტერპრეტაცია. ამ ცდებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქარაქტეროლოგიის შემდგომ განვითარებაზე, ხასიათის კვლევის პრაქტიკაზედაც. ამ თეორიას ჩვენ შევეხებით მხოლოდ ქარაქტეროლოგიის ასპექტში.

ფროიდისათვის პიროვნების ქცევას განსაზღვრავს პიროვნების

---

[1] G. Allport, Becoming. Basic Considerations for a Psychology of Personality. 1955. ‹‹. 24-25.

სიღრმეში მოქმედი მიდრეკილებები. ეს მიდრეკილებები განაპირობებენ სუბიექტის ყველა ფსიქიკური ფუნქციის მიმდინარეობას. ფროიდის მიხედვით, ფსიქიკა შეიცავს ერთმანეთის მოწინააღმდეგ ცნობიერს, წინაცნობიერს და არაცნობიერ სფეროებს. ცნობიერი და წინაცნობიერი ნაკლებად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ისინი ურთიერთს ერწყმიან. არაცნობიერი შინაარსი ფაქტიურად შედგება მიდრეკილებათა კომპლექსებისაგან. მიდრეკილებებიდან მთავარია სექსუალური მიდრეკილება. იგი წარმოადგენს ფსიქიკის ძრავს, შუამავალს სომატიკის ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებსა და ფსიქიკურს შორის. მოდიან რა კონტაქტში ფსიქიკურთან, მიდრეკილებანი უკავშირდებიან წარმოდგენებს, გრძნობებს, რის ნიადაგზე წარმოიშობა დინამიკური ერთეული — კომპლექსი. კომპლექსი არის ფსიქიკის ძირითადი „გული".

პიროვნების ხასიათი ყალიბდება ბავშვობის ხანაში. ყოველ ადამიანს, როგორც სქესს, გააჩნია სექსუალური (მოპირდაპირე სქესის დაპყრობის, სადისტური, ანალური) და გენიტალური (გვარის გაგრძელების) ტენდენცია. ბავშვებში დაბადებიდანვე არსებობს სექსუალური ტენდენცია, მაგრამ იგი თავიდანვე კასტრაციის შიშს განიცდის. კასტრაციის შიში, როგორც არქაულ განცდათა კომპლექსი, ყოველ ადამიანშია ჩანერგილი. ბავშვებში ამ შიშს აღვიძებს სექსუალური დაშინება, რომელსაც მიმართავენ მშობლები. ბავშვს ახასიათებს აგრეთვე ოიდიპოსის კომპლექსი (მშობლებისადმი ფარული სექსუალური მიდრეკილება). ბავშვის სექსუალურ დაკმაყოფილებას, სიამოვნებისაკენ მიდრეკილებას სინამდვილე ეღობება. იგი იძულებული ხდება მოახდინოს თვითკასტრაცია. რთულდება და მწვავდება ოიდიპოსისა და თვითკასტრაციის კომპლექსები. ეს კომპლექსები იქცევიან წყაროდ ხასიათის ჩამოყალიბებისა. ჩნდება ამ კომპლექსის სიმპტომები — სიმბოლოები, როგორიცაა: ჭარბი უფლებისმოყვარეობა, ცინიზმი, ნარცისიზმი, უკმარობის გრძნობა, კაპრიზები და სხვა ამგვარი ხასიათისეული ნიშნები.

ფროიდის მიხედვით, ბავშვის ხასიათის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სექსუალურ მიდრეკილებებზე გენიტალური ტენდენციის გამარჯვებას, გვარის გაგრძელების მიდრეკილებისადმი დამორჩილებას. გენიტალურ მიდრეკილებათა განვითარების პროცესში აღინიშნება სხვადასხვა სტადიები, ფაზები (ანა-

ლური ეროტიკა, ნარცისიზმი, ინცესტოიდური მიდრეკილება ღა სხვ.), რომელნიც სხვადასხვა სიძნელეებს ეღობებიან. ლიბიდოზური ფუნქციის ზოგიერთი ნაწილი ფერხდება და განვითარების წინა საფეხურზე რჩება. ასეთი რეგრესიის წყალობით მთელი სექსუალური ცხოვრება შეიძლება დაუბრუნდეს პროგენიტალურ ფაზას, თავი იჩინოს ანალურმა ეროტიკამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ხასიათის გამომუშავებისათვის. ანალური ეროტიკის კომპონენტების თანდათანობითი დაძლევის პროცესში იქმნება ხასიათის თავისებურება, რომელიც გამოიხატება პუნქტუალობის, მომჭირნეობის, ჯიუტობის ტიპიურ მოცემულობაში. ხასიათის თვისებები დამოკიდებულია სექსუალური კონსტიტუციის ანალურ ეროტიკულ კომპონენტებზე. ფროიდი აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ ანალურ ეროტიკასთან ასე მტკიცედაა დაკავშირებული ხასიათის აღნიშნული სამი თვისება, მაშინ ხომ არ შეიძლება ხასიათის სხვა თვისებებსა და ეროგენულ ზონას შორის კავშირის დამყარება. „მე პირადად აქამდე თვალში მხვდება ის გარემოება, რომ ის სუბიექტები, რომელთაც შარდის შეკავების სისუსტე აქვთ, ხასიათდებიან მეტად ჭარბი პატივმოყვარეობით“.[1] ეროტიზმის განვითარების გარკვეულ ფაზაში შეფერხების სუბლიმაციის შედეგად წარმოიშვება ხასიათის სხვადასხვა ნიშნები: სირცხვილი, ზიზღი, მორალური განცდები, პედანტობა, კეთილსინდისიერება და სხვ. ფროიდი ასკვნის, რომ ხასიათის თავისებურება წარმოადგენს ან პირველად მიდრეკილებებს, რომელნიც უცვლელად განაგრძობენ არსებობას, როგორც სუბლიმაციის პროდუქტები, ან კიდევ ახალ წარმონაქმნს, რომელსაც ამ მიდრეკილებების მიმართ რეაქციის მნიშვნელობა აქვს. რეგრესიით გამოწვეულმა ეროტიკამ შეიძლება გამოვლენა ჰპოვოს ნევროზულ რეაქციებსა და ხასიათის მრავალ ცვლილებებში.

ფროიდის მოწაფეებმა მრავალრიცხოვანი გამოკვლევები უძღვნეს ხასიათის საკითხს. მათ პიროვნების ხასიათის ყველა ცნობილი ნიშანი არქაული განცდების შეფერხების ნიადაგზე წარმოშობილ სუბლიმაციის პროდუქტების სახით განიხილეს. თვით ფროიდმა შექსპირის ტრაგედიის გმირების თავისებურება სექსუალურ კომ-

---

[1] З. Фрейд. Характер и анальная эротика. Сб. Психоанализ и учение о характерах. 1923. стр. 17—23.

პლექსთა სუბლიმაციით ახსნა. ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ანალიზისა და ლიტერატურული ტალანტის წყალობით. მის მიერ მოცემულმა ხასიათების ინტერპრეტაციამ ფართო პოპულარობა მოიპოვა ბურჟუაზიული მეცნიერების მოსაზღვრე დარგებში. ფროიდისებური გაგება შეიჭრა ფსიქოპათოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ლიტერატურაში, სოციოლოგიაში. ასეთმა გაგებამ დიდი გავლენა მოახდინა ხასიათის სხვა მკვლევარებზედაც. ხასიათის გაგება პიროვნების სიღრმეში ნაგულისხმევი მიდრეკილებების ნიადაგზე სხვა ქარაქტეროლოგიურ სისტემებშიც წინა პლანზე დადგა.

ფროიდის მოძღვრების ნიადაგზე. წარმოიშვა ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია. არც ადლერს მოუცია ქარაქტეროლოგიური სისტემა, მაგრამ მის მიერ ხაზგასმულმა კომპენსაციის ცნებამ ქარაქტეროლოგიაში განსაკუთრებული გამოყენება ჰპოვა. ფროიდის ლიბიდოს ცნების საფუძველზე განვითარდა აგრეთვე ფართოდ გავრცელებული იუნგის ქარაქტეროლოგიური ტიპიოლოგია.

ადლერის შეხედულებით, პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს პიროვნების სიღრმიდან მომდინარე, თანდაყოლილი ძლიერების ტენდენცია.[1] ადამიანის სული წარმოადგენს განუსაზღვრელ სწრაფვას ეგოისტურ ძლიერებისაკენ, სწრაფვას — დაიმკვიდროს თავისთავში იდეალური „მე". ეს სწრაფვა შეფერხებულია სოციალური გრძნობებით. ყველა ფსიქიკური მოვლენა, კერძოდ, ხასიათი შედეგია ამ ძირითადი მიდრეკილებებისა. ამ მიდრეკილების დროშით მთელი სულიერი ენერგია იბრძვის ეგოცენტრული მიზნის მიღწევისათვის. პიროვნება ყალიბდება ამ თანდაყოლილი მიდრეკილების განხორციელებისათვის ბრძოლაში. პიროვნების მოქმედების საფუძველი — მიდრეკილება არაცნობიერი ხასიათისაა. ამ ტენდენციისა და მისი შეშაფერხებელი სოციალური გარემოს ურთიერთობის ნიადაგზე ბავშვობიდანვე ისახება უკმარობის გრძნობა, რომელიც თავიდანვე აღვიძებს ამ უკმარობის ჰიპერკომპენსაციის ტენდეციასაც. იწყება კონფლიქტი გარემოსა და ამ ტენდენციას შორის. ამ ბრძოლაში იწრთობა პიროვნების ხასიათი. ეგოისტური ტენდენციის დამარცხების შემთხვევაში წარმოიშვება

[1] Adler, Theorie und Praxis der Individualpsychologie. 2 Aufgabe. 1924.

ნევროტული რეაქციები. ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, როცა განსაკუთრებით ძლიერია ეს არაცნობიერი ეგოცენტრული ტენდენცია და ამით გარემოსთან კომფლიქტიც, ყალიბდება ხასიათის ძირითადი ნიშნები. ბავშვობის პერიოდი განსაზღვრავს ხასიათის განვითარების შემდგომ ბედს. ამ ეგოისტური ტენდენციისა და გარემოს შორის კონფლიქტის ნიადაგზე წარმოშობილი ჰიპერკომპენსაციის თავისებურება განსაზღვრავს პიროვნების ხასიათის ტიპს.

ფროიდის მიერ დადგენილ არაცნობიერის ცნებიდან იუნგი თავისებურად აყალიბებს ხასიათის ტიპოლოგიურ სისტემას.[1]. იუნგის მიხედვით, ადამიანის სული შეიცავს კოლექტიურსა და ინდივიდუალურ არაცნობიერს. კოლექტიური არაცნობიერი არქაული ხასიათისაა. მასში კონცენტრირებულია ყველა ეპოქის გამოცდილება. მასში მოცემულია მთელი წარსულის ხატი. იგი არაა სულის გაცნობიერებული ორგანიზაცია, არამედ უფრო შესაძლებლობაა, დისპოზიციაა სულის გარკვეული სახის ორგანიზაციისადმი. ინდივიდუალური „მე" ყალიბდება კოლექტიური „მე"-ს, როგორც დისპოზიციის ნიადაგზე. პიროვნება შედგება კოლექტიური არაცნობიერისა, როგორც დისპოზიციისა, და მისგან აღმოცენებული ინდივიდუალური „მე"-საგან. ფაქტიურად, ინდივიდუალურ „მე"-ში კონცენტრირებულია მთელი ადამიანის გვარის, მისი წევრებისა და თვით კერძო პიროვნების გამოცდილების შედეგი.

პიროვნება იშლება ორ ურთიერთის საწინააღმდეგო დისპოზიციად. ერთი გამოხატავს სწრაფვას — ინტერესს თვითონ „მე"-სადმი, „მე"-ს ინტერესისადმი (ინტროვერსია), ხოლო მეორე კი არა „მე"-ს კოლექტივის, გარესამყაროს ინტერესებისადმი (ექსტრავერსია). ყოველ პიროვნებაში მოცემულია ეს ორი მექანიზმი. ხასიათი ფაქტიურად წარმოადგენს ამ ორ კონტრასტულ ტენდეციათა ბრძოლის სარბიელს. ერთი/ რომელიმე მათგანის სიჭარბე ახერხებს ამ წინააღმდეგობათა რეგულაციას. ინტროვერიისა და ექსტრავერსიის სიჭარბე პიროვნებაში თავისებურ იერს აძლევს პიროვნების ყველა ფსიქიკურ ძალას, მის მორალს, მსოფლმხედველობას; თითოეული მათგანის სიჭარბეს უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ყველა ფუნქციის თავისებურად გაფორმებისათვის.

---

[1] Jung, Psychologische Typen. 1921.

ექსტრავერტული პიროვნება უფრო მორალურია, თვითკმაყოფილების განცდითაა აღფურვილი, ჰარმონიულია. მისი აზროვნება გარესამყაროს ფაქტებისადმია მიმართული. მორალი, ემოციური სფერო მიმართულია საზოგადოებისაკენ, დაკავშირებულია ობიექტთან. შთაბეჭდილებათა მიმდინარეობის უნარიც, ინტელექტიც და სხვა თვისებებიც ექსტრავერტობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ინტროვერტულ პიროვნებას აქვს უკმარისობის განცდა, გადაჭარბებით აფასებს სხვის ძალებს. მისი აზროვნება სუბიექტურია, გაურბის ყოველივეს, რაც არ ეხება მის „მე"-ს, მისი მორალი, ემოცია ეხება მხოლოდ საკუთარ „მე"-ს, საერთოდ, ყველა მისი პიროვნული ნიშანი ინტროვერსიის ნიშნით არიან აღბეჭდილი.

ჩვენ ხაზი გავუსვით მხოლოდ ფროიდის, ადლერისა და იუნგის შეხედულებათა იმ მხარეს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ხასიათის ტიპოლოგიისათვის, მივუთითეთ იმ ძირითად ტენდენციებზე, რომელნიც დამახასიათებელია ამ სისტემებისათვის.

განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა ფროიდის თეორია იმათთვის, რომელნიც ადამიანის ბუნებაში ჭვრეტდნენ უცნაურს, აუხსნელს, ირაციონალურს და რომელთაც მიდრეკილება აქვთ ყოველივე ექსცენტრულისაკენ. ფროიდმა და მისმა მოწაფეებმა სცადეს ხელოვნების ნაწარმოებების წარმოშობის ფაქტორების გაგება და ახსნა ფსიქოანალიზის საფუძველზე. მაგალითად, ფროიდი ამტკიცებდა, რომ ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზას მოუხელებელი ღიმილი გამოხატავს ეროტულ ერთგულებას, რომელიც არსებობს უკანონოდ დაბადებულ ჭარბად მგრძნობიერ ბავშვსა და მარტოდ დარჩენილ, მიტოვებულ დედას შორის, ან შეიძლება ეს ღიმილი გამოწვეულია ბავშვობის ხანის მოგონებით გამოწვეული ფანტასტიკური ხილვით. ფროიდის მოწაფეებმა სცადეს ესთეტიკის ყველა პრობლემა გადაეჭრათ ფსიქოანალიზის საფუძველზე, მაგალითად, პოეზიაში ანტინომების ბუნების გასაგებად ფროიდის თეორია გამოიყენეს: ლექსში ზოგჯერ ისეთი საწინააღმდეგო ცნებების შეწყობა, როგორიცაა „ღმერთი" და „ნაგავი" თითქოს გამოწვეულია იმით, რომ პოეტს ბავშვობის დროს გადაუტანია ღრმა და მოუშორებელი სულიერი კონფლიქტი. ფროიდის მიმდევრები მთელ რიგ გამოკვლევებში დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ბიოლოგიურ ინსტიქტებს, ფარულ მექანიზმებს განსაკუთრებული გავლენა აქვთ

პოეზიაზე და ხელოვნების ყველა დარგზე. მაგალითად, ბოტკინმა სპეციალურად დაამუშავა პროტოტიპების თეორია.[1] თავის თეორიას მან საფუძვლად დაუდვა იუნგის „კოლექტიური არაცნობიერის" დოქტრინა. მისი აზრით, ძველსა და ახალ ხელოვნებაში, პოეზიაში გამოსახული გმირების მოქმედებები, მაგალითად, ბედისწერით განწირულ გმირების ცდა თავი შეაფარონ გამოქვაბულებს, საშინელი ურჩხულები, დევები, ახალგაზრდობის მომნიჭებელი წყარო და სიყვარულის ბაღი... ყველაფერი ეს თავისებური ალეგორიაა ადამიანში არსებული საშინელების წინაშე მარადიული შიშისა, ნუგეშისა და ალდგომისაკენ მისწრაფებისა. წყალი, როგორც პოეტური ხატი. ნიშნავს სიკვდილის მომტან სტიქიას და მაცოცხლებელ სითხეს ერთდროულად; ჰაერი, ქარი, მსუბუქი ნიავი გამოსახავს სიცოცხლეს, ადამიანის ძლიერი სულიერი მოძრაობანი — ძალაუფლებას. ამგვარი გაგების მიხედვით ადამიანის ცხოვრების ძირითადი კრიტიკული მომენტები, რომელნიც დაკავშირებულია დაბადებასთან, სიყვარულთან, მშობლიურ გრძნობასთან და თვითცნობიერებასთან შეადგენს უმრავლესი დიდი დრამების შინაგან არსს.

ჯონ ევანსმა იუნგის ფსიქოლოგიური პრინციპით შეისწავლა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების ხასიათი და ადასტურებდა, რომ მწერლის ესთეტიკური კონცეფცია, მისი სტილი და მანერა განსაზღვრულია ხასიათისა და ტემპერამენტის თავისებურებით. იგი ოთხ ტიპს გამოყოფს: ა) ნელი ექსტრავერტები, რომელთაც მისწრაფება აქვთ გამოკვეთილი ფორმებისაკენ და აქვთ სინამდვილის, ფაქტების ძლიერი განცდა. მათ მიერ შექმნილი ხელოვნება გამოირჩევა დრამატულობით, ფორმების გეომეტრიული სისწორით, სრულყოფილი ტექნიკით (მიქელ-ანჯელო). ბ) სწრაფი ექსტრავერტები, რომელნიც უპირატესობას ანიჭებენ გრძნობად სიმშვენიერეს, განწყობილებას და რელიგიურ ექსტაზსს (ბოტიჩელი), გ) სწრაფი ინტროვერტები, რომელთაც შეუძლიათ გამოყონ მნიშვნელოვანი უმნიშვნელოსაგან და აქვთ რითმული მიმართებების ინსტინქტური აღქმა (პერო დე ლა ფრანჩესკა), დ) ნელი ინსტროვერტები გამოირჩევიან სიმშვიდითი, მელანქოლიისაკენ მიდრეკილებით,

---

[1] Botken, Archetypal Patterns in Poetry. Psychological Studies of Imagination. London. 1934.

ამჟღავნებენ მისწრაფებას მკვლევრმეტყველების, უშუალობისა და ვონიერი სიმარტივისადმი (გუგო ვან დე გული)[1].

გამოკვლევების ტალღა განსაკუთრებით ძლიერი იყო ლიტერატურული გმირების ხასიათების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის სფეროში. ამ სახის გამოკვლევების ნიმუშად მოვიტანოთ ტრაგედიის „რიჩარდ III“ გმირის გლოსტერის (რიჩარდის) ხასიათის ანალიზი, რომელიც შესრულებულია ფროიდის მიერ. ფროიდის მიხედვით, თითქმის ყველა ადამიანში ჩანერგილია სექსუალურ მიდრეკილებასთან დაკავშირებული ე. წ. „გამონაკლისის“ კომპლექსი. ყოველ ადამიანს სურს გამონაკლისს წარმოადგენდეს და ითხოვს სხვებთან შედარებით უპირატესობას. ყველა ცდილობს ასეთი პრეტენზიის მოტივირებას; მაგალითად, თუ ადამიანმა გადაიტანა ავადმყოფობა ან გახდა უსამართლობის მსხვერპლი, ეს აძლევს მას განსაკუთრებული პრივილეგიების უფლებას. ფროიდის აზრით, გამონაკლისის კომპლექსი ბრწყინვალედ ასახულია გლოსტერის მონოლოგში:

მაგრამ მე ხომ ამ თამაშისათვის არ ვარ შექმნილი,
და ვერც სარკის წინ ვიარშიყებ ჩემსავ სახესთან;
მე, უშნოდ გათლილს, არ მაქვს სატრფო შეხედულება,
რომ მოვაწონო თავი ცუნცრუკ, კოხტა გომბიოთ;
არა რა მაქვს მე ერთმანეთთან შეფერებული;
მუხთალ ბუნებას აუვსივარ უსახურობით
და უქამური, შეთითხნილი გაურევივარ
ცოცხალთა შორის ნაადრევად მუცლით ნასხლეტი.
ნახევრადაც არ დამთავრებულს, უმზგავსს და საპყარს
ძაღლნიც კი მყეფენ, როცა იმათ გვერდით უდგავარ...
რახან ასეა, არშიყობა რაკი არ ძალ-მიძს,
და ვერ ავყვები ამ ტკბილ ჟამთა დროს გატარებას,
მაშ სიბოროტით მაინც უნდა ვიჩინო თავი
და ჩავუმწარო სხვებს ამაო სიამოვნება[1].

ფროიდი ამ მონოლოგის შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: რიჩარდი ამტკიცებს, რომ ბუნებამ ჩემს მიმართ ჩაიდინა დიდი უსამართლობა, მან მომაკლო სილამაზე, რომელიც იწვევს ადამია-

---

[1] Evans D. Taste and Temperament, London. 1930.
[1] უილიამ შექსპირი, ტრაგედიები, თარგმანი მაჩაბლისა, 1953 წ., გვ. 6.

ნების სიყვარულს, ამიტომ ცხოვრებამ მე უნდა დამაჯილდოვოს. ამ ჯილდოს მე თვითონ მოვიპოვებ; მე ვაცხადებ ამის პრეტენზიას იმის გამო, რომ მე გამონაკლისი ვარ; მე უფლება მაქვს ანგარიში არ გავუწიო იმ სიფრთხილეს და იჭვებს, რომლებიც აჩერებს სხვა ადამიანებს. მე მაქვს უფლება მოვიქცე უსამართლოდ, რადგან მე ვარ უსამართლობის მსხვერპლი. როდესაც ჩვენ ვუსმენთ სცენაზე რიჩარდს, ამბობს ფროიდი, „ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენ თვითონ შეგვიძლია გავმხდარიყავით ისეთივე, როგორც რიჩარდია, რომ მცირე მასშტაბით ჩვენ კიდევაც ვგავართ მას. რიჩარდი გიგანტური გაზვიადებაა იმ ერთი ნიშნისა, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ ჩვენში. ჩვენ ყველანი სულის სიღრმეში ვთვლით, რომ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიყოთ ბედისა და ბუნებისაგან ნაწყენი თანდაყოლილი ან ბავშვობაში მიყენებული რამე ზიანის გამო. ჩვენ ყველანი ვითხოვთ კომპენსაციას იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მიაყენეს ჩვენი ახალგაზრდობის წლებში ჩვენს ნარცისიზმს, თავისთავისადმი ჩვენს სიყვარულს. რატომ ბუნებამ არ დაგვაჯილდოვა ჩვენ ბადლერის ოქროს ჭოჩრით ან ზიგფრიდის ღონით, გენიოსის მაღალი შუბლით ან არისტოტელეს კეთილშობილი პროფილით?“ ამავე საფუძველზეა აგებული ქალების პრეტენზია პრივილეგიებისადმი: ქალები განიცდიან თავისთავს შეურაცხყოფილად ცხოვრების მძიმე ტვირთის გამო, ბევრი ქალიშვილის გაბოროტება დედის მიმართ ძირითადში გამოწვეულია იმით, რომ მათ ხშირად სმენიათ დედის საყვედური, რომ იგი გაჩნდა ამ ქვეყნად ქალად და არა ბიჭად.[1]

ფროიდის სკოლა დიდი რეალისტი მწერლების მიერ შექმნილ რეალურ და იდეალურ ხასიათებს ხსნის არქაული და არაცნობიერი ძალებით; საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული პერსონაჟების მაღალი რომანტიკა, მაღალ იდეებისადმი სწრაფვა, დაყვანილია ძირითადში სექსუალური ინსტინქტის არაცნობიერ მოქმედებამდე. მაშინ, როდესაც ბალზაკის, ტოლსტოის, გოლსუორსის მიხედვით, ადამიანის ტიპიური ხასიათის თავისებურება განსაზღვრულია საზოგადოებრივი ურთიერთობით, ხასიათის ყველაზე ზოგადი ნიშნები, რომლებიც ყველა ეპოქის ადამიანისთვისაა დამახასიათებელი (შეგობრობა, სიყვარული, პატივმოყვარეობა, სიძუნწე და სხვ.) ფორმას იცვლის სხვადასხვა ეპოქაში, განსხვავებულად მეღავნდება

[1] Фрейд З., Психология и учение о характерах, 1923, стр. 170—173.

საზოგადოებრივი იდეოლოგიის, საზოგადოების ყოფიერების ზეგავლენით, კაცობრიობის პროგრესი ველური ინსტინქტების დაძლევასა და იდეალური მისწრაფებების მთლიანი ადამიანის შექმნაში მდგომარეობს, ფროიდი ადამიანის ბუნების ახსნაში შეზღუდულია ბიოლოგიური ფაქტორით, კერძოდ, სექსუალური ინსტინქტით.

არაცნობიერის ასეთი გაგება, რომელიც ფროიდმა წამოაყენა, შეუძლებელს ხდის მის გაზიარებას. ჩვენ ვრცლად არ შეეჩერდებით კრიტიკაზე არაცნობიერის ცნებისა, რომელიც მიუღებელია პიროვნების, მეცნიერული ფსიქოლოგიისათვის იმ გაგებით, როგორც ეს ფროიდს ესმის. ამჟამად ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მრავალი წარმომადგენელიც ფროიდის თეორიას ცალმხრივსა და ტენდენციურს უწოდებს. მაგ., შტერნის აზრით, არაცნობიერი განცდა უდრის არაცნობიერ ცხოვრებას. ასეთი მსჯელობა ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს. ფენომენები, რომელთა განცდა შეუძლებელია, წინააღმდეგობის შემცველია. „გამოთქმა", „არაცნობიერი წარმოდგენა", „არაცნობიერი გრძნობა" მარჯვედ გამოსაყენებელია, მაგრამ აბსურდია. განცდათა შინაარსები არ არიან საგნები, რომ შეიძლებოდეს განცდებიდან მათი გამოთიშვა და სხვაგან შენახვა. შემდეგ კვლავ განცდაში შემოტანა"[1]. ჩვენ არ შევჩერდებით არაცნობიერ განდევნილ განცდათა კომპლექსების საკითხის ვრცელ განხილვაზედაც, რომელიც, თანამედროვე ფსიქოლოგთა აზრით, მრავალ გაუგებრობას ბადებს. „განდევნილი სურვილი ისეა ფროიდის სისტემაში წარმოდგენილი, თითქოს იგი ცოცხალი არსება იყოს, რომელსაც მშვენივრად ესმის, თუ ვისთან აქვს ბრძოლა, წინასწარ აქვს გათვალისწინებული, თუ რა უნდა, და საგანგებოდ ირჩევს საშუალებებს თავისი მიზნის მისაღწევად. განდევნილი სურვილის ასეთი პერსონიფიკაცია, მისი ინტელექტითა და ნებელობით აღჭურვილ არსად წარმოდგენა ფანტასტურ სახეს აძლევს ფროიდის თეორიულ კონსტრუქციას და მის შეწყნარებას აძნელებს"[2], —აღნიშნავს დ. უზნაძე.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი გ. ოლპორტი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის განდევნილი განცდების როლის შესახებ ამბობს შემდეგს: „ფსიქოანალიზის თეორიაში, იქაც კი, სადაც მიდ-

---

[1] W. Stern, Allgemeine Psychologie. 1930. გვ. 110.
[1] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 477.

რეკილებებსა და ბავშვობის წლების გამოცდილებას შორის არსებული გამაერთიანებელი რგოლი სწორად არის მიგნებული, ისინი ხშირად დაფარული არიან ისეთი ძველი ენანგით და სიძველით, იმდენად დაშლილი ჩანან, რომ პიროვნების სტრუქტურაში ისინი ვერავითარ შემაკავშირებელ როლს ვერ ითამაშებენ; შეიძლება ნევრასთენიკებში მათ მნიშვნელობა ჰქონდეთ, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობაში არავითარი. ხასიათის ნიშნებს, ინტერესებს, მსგავსად მცენარეებისა, აქვთ უნარი მოიცილონ თესლის ნაპუპი, რომლიდანაც ისინი აღმოცენდნენ. ისინი იზრდებიან მაღლა, მომავლის და არა ქვევით, წარსულის მიმართულებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ცნობიერ მოტივებს და ხილულ ქცევას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ფარულ მიდრეკილებებს.[1]

ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით უმთავრესად საინტერესოა მიდრეკილების ცნება. ხასიათის ფროიდისეული გაგებისათვის ეს უკანასკნელია მნიშვნელოვანი. ფროიდისათვის პიროვნების ხასიათის შემქმნელი და წარმმართველი ფაქტორი პიროვნების სიღრმეში ნაგულისხმევი სექსუალური მიდრეკილებაა. პიროვნების ფორმირებისათვის წამყვანია ვიტალური მიდრეკილებები. ინსტინქტი მაღლა დგას ცნობიერებასთან შედარებით. ბიოლოგიურს პირველობა ენიჭება სოციალურთან შედარებით. ადლერისათვის სუბიექტის მამოძრავებელი ძალა ძლიერებისადმი მიდრეკილებაა. ეს მიდრეკილება ფატალურად განსაზღვრავს ხასიათის ბუნებას. იუნგის მიხედვით, არქეტიპიდან (კოლექტიური არაცნობიერი) მომდინარე ინტროვერსია და ექსტრავერსია განსაზღვრავს ხასიათის ტიპს ჩამოყალიბებას. ადლერის თეორიაში მნიშვნელობა ენიჭება გარემოს ფაქტორსაც. გარემოსთან შეუგუებლობა აძლიერებს უკმარობის განცდას, რაც იწვევს უფლების მოპოვებისათვის მთელი პიროვნების ძალების ერთი მიმართულებით მობილიზაციას. მაგრამ აქაც პირველობა ეკუთვნის შინაგანს, სუბიექტურს, ისიც სუბიექტის ერთ ძირითად მიდრეკილებას.

ფროიდის კონცეფციაში ყველგან სექსუალური მიდრეკილებები გამოცხადებულია პიროვნების ფორმირების უნივერსალურ ფაქტორად. ამ მიდრეკილებების შეფერხების ნიადაგზე ბავშვობის ხა-

---

[1] D. Allport, Personality, a Psychological Interpretaton. 1937. ss. 124.

ნაშივე ყალიბდება პიროვნების ხასიათის თავისებურება. შემდეგში ცვლილებები უმნიშვნელოა. არა თქმა უნდა, ბავშვობის ხანის მიდრეკილებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სუბიექტის ხასიათის შემდგომი ფორმირებისათვის, მაგრამ ხასიათის ჩამოყალიბება არამც და არამც არ სრულდება ბავშვობის ხანაში, იგი ვითარდება და იცვლება. განვითარების ყოველ ახალ პერიოდში ჩნდება ახალი რომელობები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ მოსამზადებელ ფაზებს შემდგომ ახალ რომელობათა მოვლენისათვის. თვით მიდრეკილებებიც პიროვნების განვითარების პროცესში განიცდიან მრავალ მოდიფიკაციას. დადასტურებულად ითვლება, რომ მოთხოვნილება, მისგან მომდინარე მოქმედების შედეგად, რადიკალურად იცვლება (კ. ლევინი). მოთხოვნილებები, რომლებიც მიდრეკილებებსაც გულისხმობენ, იცვლებიან გარე პირობების ზეგავლენით და თვით სუბიექტის მოქმედების შედეგად.

კარლ მარქსმა ყველაზე ადრე მიუთითა მოთხოვნილების მნიშვნელობაზე. მან დაამტკიცა, რომ ისტორიული განვითარების პროცესში ბიოლოგიურად განსაზღვრული მოთხოვნილებები იცვლება. რომ საზოგადოების ურთიერთობის პროცესში ადამიანის მოთხოვნილებები ვითარდება, უკვე არსებული მოთხოვნილებების გარდაქმნის საფუძველზე წარმოიშვება ახალი მოთხოვნილებები; ადამიანის მოქმედების სტიმულს წარმოადგენს არა ერთი მოთხოვნილება — მიდრეკილება, არამედ მრავალი მოთხოვნილება[1]. თუ ამ უტყუარ დებულებებს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ აღნიშნული ქარაქტეროლოგიური თეორიების მიერ პიროვნების ხასიათის ფორმირების საქმეში ერთი ვიტალური მოთხოვნილებისათვის უნივერსალური როლის მინიჭება სრულიად დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს. ფაქტიურად ეს მოთხოვნილებები (ძლიერების, სექსუალური და სხვ.) ერთ-ერთი მოთხოვნილებაა პიროვნების მრავალ მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა შორის. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნილებების გამომჟღავნება და რეალიზაცია წარმოებს არა თავისთავად, თვითონ მოთხოვნილებებიდან, არამედ ისინი განსაზღვრულნი არიან პიროვნების მთლიანი მდგომარეობით. ეს მოთხოვნილებები, როგორც სუბიექტის თვისებები, მოქცეულნი არიან

---

1 Маркс и Энгельс. «Немецкая идеология». «Подготовительные работы для «Святого семейства».

მთლიანში და მათი მოქმედება ამ მთლიანის პოზიციით არის განსაზღვრული.

საბჭოთა და უცხოურ პროგრესულ ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი არ უარყოფს ადამიანში არაცნობიერი სფეროს არსებობას. ადამიანის ნორმალური და პათოლოგიური ქცევის უამრავი მაგალითი ამტკიცებს, რომ ცხოვრების განმავლობაში, საცხოვრებო პირობების ზეგავლენით, ფსიქიკაში ხდება ცვლილებები. ეს ცვლილებები უკვალოდ არ ქრება, იგი ფიქსირებულია პიროვნებაში და შემდეგში გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე. არაცნობიერი მდგომარეობაა—ჩვევები, ხასიათის ნიშნები, საერთოდ, პიროვნების ყველა დისპოზიცია, რომელთაგან ზოგი თანდაყოლილია, ზოგი კი ცხოვრების განმავლობაში განმტკიცებული. მაგრამ, როგორც ირკვევა, სრულიად არაა აუცილებელი, რომ ეს „არაცნობიერი ფსიქიკური სფერო" კონფლიქტში იყოს ცნობიერ, შეგნებულ ფსიქიკურ ცხოვრებასთან. პირიქით, უფრო ხშირად, ისინი ჰარმონიულად არიან შეწყობილი და ერთმანეთის პირობას წარმოადგენენ; მხოლოდ პათოლოგიურ შემთხვევაში ხდება ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთისაგან მოწყვეტა და ამით პიროვნების გახლეჩა. არაცნობიერი იმყოფება ბუნებრივ კავშირში გონებრივ მუშაობასთან; არაცნობიერი, რომელიც ჩვევების, ჩვეულებების სახითაა მოცემული, ეხმარება გონებას პრობლემების გადაჭრაში, ახდენს გონებრივი ენერგიის ეკონომიას. გარკვეულ პირობებში არაცნობიერი ცნობიერად იქცევა, დაკავშირებულია ცნობიერებასთან მრავალი უხილავი ძაფით. ადამიანში განმტკიცებული დადებითი თვისებები, დადებითი ზნეობრივი მიდრეკილებები, რომელნიც არაცნობიერის სახით არიან პიროვნებაში მოცემულნი, წარმოადგენენ ქცევის მოტივაციის, მაღალზნეობრივი, საზოგადოებრივი ქცევის საფუძველს. თანამედროვე ფსიქოლოგია აღვწის გაიგოს, თუ რას წარმოადგენს არაცნობიერად მოცემული, ე. წ. განდევნილ განცდათა კომპლექსები, რომლებიც პათოლოგიურ შემთხვევაში შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების წყაროდ იქცევიან. ამ საკითხის გადაჭრაში როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ ფსიქოლოგიაში ყურადღება მიიქცია დიდი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის მიერ დამუშავებულმა განწყობის თეორიამ. ეს გარემოება ასახულია იმ დისკუსიაში, რომელიც მიმდინარეობდა

საკავშირო ჟურნალში „ფსიქოლოგიის საკითხები“[1]. დ. უზნაძის მიხედვით, ფროიდის ფაქტები (განდევნილ განცდათა კომპლექსები) შეიძლება გაგებულ და ახსნილ იქნენ გარემოსა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე განმტკიცებული განუხორციელებელი განწყობის ცნებით. ამ საკითხს ვრცლად ქვემოთ შეეხებით.

ბიოლოგიურ-კონსტიტუციონალური თეორია. კრეჩმერი. თუ ზეძოთ აღნიშნული მკვლევარები ხასიათის საფუძვლად გულისხმობდნენ პიროვნების სიღრმიდან მომდინარე მიდრეკილებებს, ბიოლოგიურ-კონსტიტუციონალური ტიპოლოგიის მიმდევრები ხასიათის საფუძვლად სთვლიან ფსიქო-ფიზიკურად მთლიან პიროვნებაში ყველაზე ცენტრალურს, თანდაყოლილს, ფილოგენეზში განმტკიცებულ ბიოლოგიურ თვისებებს. ეს თვისებებია კონსტიტუცია და ტემპერამენტი. ამ ჯგუფის მკვლევართაგან ყველაზე თვალსაჩინოა და თანმიმდევარი ევალდი[2], კროპ ფალერი[3], ჰოფმანი, კრეჩმერი. და სხვ. ყველაზე ცენტრალური ფიგურაა კრეჩმერი[5]. მკვლევართა ამ ჯგუფის ძირითადი დებულების დასახასიათებლად შეეხოთ ამ უკანასკნელს. კრეჩმერის მიერ დადგენილი ხასიათის ტიპები საყოველთაოდ ცნობილია და პოპულარული. ამ პოპულარობას ხელი შეუწყო არა მარტო კრეჩმერის ლიტერატურულმა ტალანტმა, არამედ იმ გარემოებამაც, რომ კრეჩმერამდე არც ერთ მკვლევარს პიროვნების ტიპოლოგიის საფუძვლად, ასე თანმიმდევრობით, ადამიანის, როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობის ცნება არ გამოუყენებია; აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მისი ტიპოლოგია ემყარება პათოლოგიურ მასალას, ავადმყოფობა მისთვის წარმოადგენს ნორმაში ფარულად მოცემულ დაავადების გაშლას; ამის გამო იგი ფართოდ შეიჭრა ფსიქიატრიაში. ჩვენ აქ შეეჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე.

კრეჩმერის მიხედვით, ადამიანის კონსტიტუცია პიროვნების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ქცევის საფუძველია. კონსტიტუცია მას ესმის, როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობა. კონსტიტუციის ცნებაში იგულისხმება ფსიქიკურიც. კრეჩმერი განმარტავს:

---

[1] Вопросы психологии, 1960 г., № 3, 142—157.
[2] Ewald, Temperament und Charakter 1938
[3] Pfahler, Sistem der Typenleren. 1929
[4] Hoffman, Das Problem des Charakteraufbaus. 1926
[5] Кречмер, Строение тела и характер, 1930 г.

„კონსტიტუციის ქვეშ ჩვენ გვესმის ყველა ინდივიდუალურ სისტემათა ჯამი, რომელიც ემყარება შთამომავლობას, ე. ი. მოცემულია გენოტიპურად.[1]

კრეჩმერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის კონსტიტუციის მორფოლოგიურ თავისებურებას, ე. ი. სხეულის უჯრედების, ცალკეული ორგანოების, ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის, სქესობრივი სისტემის და სხვ. ურთიერთობის თავისებურებას. მისი აზრით, განსხვავებულად აგებული სხეული განსხვავებულ რეაქციებს იძლევა.

კრეჩმერი განასხვავებს სხეულის აგებულების (კონსტიტუციის) სამ ტიპს: 1. **პიკნიკურს, ასთენიკურს** და **ათლეტურს. პიკნიკური** სხეულის აგებულების ადამიანისათვის დამახასიათებელია ფართო, რბილი, მსხვილი სახე, რომელიც თავის ქალის მოყვანილობას ეხამება: **პიკნიკური** თავის ქალა დიდია, მრგვალი და ღრმა. კისერი მოკლე და მუცელი საკმაოდ დიდი. სხეულს მიდრეკილება აქვს სისუქნისადმი, მძლავრად განვითარებულია სხეულის ღრუები: მუცელი, მკერდი და თავი. ასეთი აგებულების ადამიანი უფრო დაბალია. **ასთენიკური** კონსტიტუციის ადამიანის სახე, რომელიც კვერცხის ფორმის შთაბეჭდილებას ტოვებს, გამხდარი და ფერმკრთალია, მოგრძო, ვიწრო და მკვეთრად მოხაზული. მისი სხეული წვრილია, გამხდარი, სისხლნაკლული კანით. გულმკერდი ჩავარდნილი აქვს, მუცელი შეწეული, მხარბეჭი ვიწრო, კიდურები წვრილი, სუსტად განვითარებული კუნთებით. **ათლეტური** კონსტიტუციის ადამიანის ჩონჩხი და კუნთები მძლავრად განვითარებულია. ათლეტის მძლავრი თავი, ძვალოვანი რელიეფით გამოხატული სახით ეყრდნობა მაგარსა და მაღალ კისერს, გულმკერდი და მხრები ფართოა; მთელ ტანზე, განსაკუთრებით კიდურებზე აქვს მძლავრად განვითარებული კუნთები.

კრეჩმერის მიხედვით სხეულის კონსტიტუციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ტემპერამენტი, რომლის თავისებურებას ძირითადში განაპირობებს სისხლის ქიმიკური სპეციფიკურობა. ტემპერამენტი წარმოადგენს ფსიქიკურის იმ ნაწილს, რომელიც ჰუმორალური (სხეულის სითხეები) გზებით კორელაციაშია სხეულის აგე-

---

[1] ი ქ ვ ე, გვ. 293.

ბულებასთან. ტემპერამენტი განსაზღვრავს გრძნობების ტონუსს, ფსიქიკის აპარატის მდგომარეობას, აფერხებს და სტიმულს აძლევს მის მოქმედებას, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს განწყობილებაზე, ფსიქიკის ტემპზე, ფსიქო-მოტორულ სფეროზე, იგი განსაზღვრავს წარმოდგენისა და აღქმის ტიპებს, აზროვნების ტიპსაც, ადამიანის საზოგადოებრივ განწყობას, მიმართულებას აძლევს ტალანტს. ფაქტიურად ტემპერამენტის ცნება გულისხმობს ადამიანის შინაგანი და გარეგანი ქცევის განმსაზღვრელ ცენტრალურ ფაქტორს. მასში იგულისხმება ყველა ძირითადი, თანდაყოლილად მოცემული ფსიქიკური თვისება. ტემპერამენტთა სტრუქტურული განსხვავებულობა განსაზღვრავს ადამიანის ტიპოლოგიურ განსხვავებასაც. კრემჩერის მიერ დადგენილი ხასიათის ტიპები — შიზოთიმიკები და ციკლოთიმიკები — ფაქტიურად წარმოადგენენ ტემპერამენტის ტიპებს. ხასიათი დაყვანილია ტემპერამენტამდე. ტემპერამენტი არის მთელი პიროვნების ფსიქიკური სტრუქტურის განმსაზღვრელი.

კრეჩმერი გამოყოფს ხასიათის (ტემპერამენტის) ორ ძირითად ტიპს: შიზოთიმიკურსა და ციკლოთიმიკურს. იგი მათ განიხილავს აგებულებასთან მჭიდრო კავშირში. შიზოთიმიკის სხეულის აგებულება ასთენიურია, ციკლოთიმიკისა კი პიკნიკური. თავის ცნობილ შრომას „სხეულის აგებულება და ხასიათი" იგი იწყებს ეპიგრაფით შექსპირს ტრაგედია „იულიუს კეისარიდან":

კეისარი: იმას ეცადე გვერდით სრული ხალხი მეხვიოს,
გულით სადანი და ღამით ძილ-გაუტეხელნი.
ეს კასიოს კი პირ-ხმელია, სულ მშიერსა ჰგავს
და ბევრსაც ფიქრობს, მაგისთანებს უნდა ერიდო.

ანტონიოს: ნუ გეშინიან, კეისარო, შენ კასიოსის.
ეგ ღირსეული, ნიჭით სავსე რომაელია.

კეისარი: ცოტა რომ მოსქო მაინც იყოს!... მე როდი ვშიშობ[1]...

კრეჩმერის მიხედვით, პირხმელი და ფერმკრთალი, გამხდარი

---

[1] შექსპირი, იულიუს კეისარი, ივ. მაჩაბელის თარგმანი, 1953 წ., გვ. 250. პლუტარქე გადმოგვცემს: როდესაც კეისართან მისი ერთგული ანტონიუსი და დოლაბელა დაბეზღეს, ისინი ამბოხებას ამზადებენო, კეისარმა უპასუხა: „მე ოდნავადაც არ მეშინია ამ ჩასუქებული და გრძელთმიანი ხალხისა, უფრო მეტი შიში მჭვლე და ფერმკრთალი ადამიანებისა მაქვს" ...ამ უკანასკნელში იგი გულისხმობდა ბრუტოსსა და კასიოსს. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. თარგმანი აკაკი ურუშაძისა, 1957 წ. გვ. 225.

ადამიანი გულჩათხრობილი შიზოთიმიკია, მსუქანი კი გულღია, მხიარული ციკლოთიმიკი. უბრალო ხალხის წარმოდგენაში ეშმაკი უმეტესად გამხდარია, წვრილ ნიკაპზე წვრილი თხის წვერით, მაშინ როდესაც მსხვილ ეშმაკს დაჰკრავს სულელური გულუბრყვილობა. ინტრიგანი — კუზიანია და ახველებს. ბებერი ეშმაკი — გამომშრალი ჩიტის სახისაა. როდესაც მხიარულობენ და ამბობენ უწმაწურ სიტყვებს, გამოჩნდება ჩასუქებული რაინდი ფალსტაფი წითელი ცხვირითა და პრიალა მელოტი თავით. ხალხიდან გამოსული საღი გონების ქალი დაბალია, მრგვალი, როგორც სფერო, წელზე დოინჯშემოყრილი. კრეჩმერის აზრით, ხალხისა და მწერლობის ამ დაკვირვებას ფსიქოლოგიამ ანგარიში უნდა გაუწიოს.

ციკლოთიმიკური ხასიათის ადამიანი არის: 1. გულღია, გულკეთილი, ალერსიანი, გულწრფელი. 2. მხიარული, იუმორის გრძნობით, მოძრავი, ცოცხალი, მგზნებარე. 3. ჩუმი, რბილი, მშვიდი, შთაბეჭდილებანი. ეს ნიშნები ხშირად ცვლიან ერთმანეთს. წამყვანია პირველი სახის ნიშნები. ისინი უფრო გულღია, გულკეთილი ადამიანები არიან, რომელთანაც ადვილია ურთიერთობა, ადვილად გაუგებენ ადამიანებს, ესმით ხუმრობა, ღებულობენ ცხოვრებას ისე, როგორც იგი ნამდვილი არის. მათი ქცევა მუდამ ბუნებრივია, დაუძაბავი; ისინი ადვილად ახერხებენ მეგობრობის პოვნას, მათ არსში მოცემულია რაღაც სირბილე და სითბო. თუ ციკლოთიმიკში ამ სამი რიგის ნიშნებიდან ჭარბობს აგზნებული, ჭარბად მხიარული, ოპტიმისტური განცდები, მაშინ მასზე იტყვიან, რომ იგი იხრება ჰიპომანიაკალურ მდგომარეობისაკენ. მაგრამ როდესაც უფრო დამახასიათებელია დაწეული გუნებაგანწყობილება, ჭარბი შთაბეჭდილებიანობა, მოწყენილობა, მაშინ ასეთი ციკლოთიმიკი დეპრესიისა და მელანქოლიისაკენ იხრება. ციკლოთიმიკში ჰიპომანიაკალური და მელანქოლიკური ნიშნები ხშირად ცვლიან ურთიერთს, გადახლართული არიან ურთიერთთან; აი, ამ ორი თვისების — აგზნებული და დეპრესიული მდგომარეობის ურთიერთში შეჭრას, ერთგვარ ამბივალენტურ მდგომარეობას კრეჩმერი განწყობილების პროპორციას უწოდებს (დიათეტიური პროპორცია).

ციკლოთიმიკების უმრავლესობა ხასიათდება გულღიაობით და გულშემატკივრობით, მაგრამ ეს გულშემატკივრობა წარმოადგენს ყანგვინიკური, ცოცხალი ჰიპომანიაკალური ტემპერამენტისა და

ღრმა, თბილი გრძნობის გულჩათხრობილი, კეთილი ადამიანის თვისებების ურთიერთში გადასვლას. ციკლოთიმიკის ტემპერამენტი რხევადობს მოწყენილობისა და სიხარულის ტალღებს შორის. ეს რხევა ზოგში უფრო სწრაფია და სწრაფწარმავალი, ზოგში — ძლიერი და ხანგრძლივი. მხოლოდ ამ რხევის ცენტრში ერთი მიმართულია ჰიპომანიაკალურ, მეორე კი დეპრესიულ პოლიუსისაკენ. თუკი აგზნებულ და დეპრესიულ მდგომარეობას შორის ფსიქიკური ცხოვრების რხევა ძლიერია, მაშინ ადამიანი ფსიქოპათიურ მდგომარეობაში იმყოფება (ციკლოიდური ფსიქოპათია), მაგრამ თუ დეპრესიის ან აგზნების სიმწვავე აღწევს უკიდურეს წერტილს, გამოთიშავს ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ფსიქოპათიური მდგომარეობა გადადის სრულ ფსიქიკურ დაავადებაში — ცირკულარულ ფსიქოზში.

ამრიგად, კრეჩმერის შეხედულების მიხედვით, ნორმალურ ციკლოთიმიკში ჩასახულია ფსიქიკური დაავადების ყველა ის ნიშანი, რომელთა გამწვავების შედეგად შეიძლება მივიღოთ ფსიქოზი. ის, რაც სულით ავადმყოფში გამოკვეთილადაა მოცემული, ნორმალურ ადამიანში, ფარული სახითაა წარმოდგენილი. კრეჩმერი გამოყოფს გამოკვეთილ ციკლოიდურ ტიპებს, რომლებშიც გამწვავებულია ციკლოთიმიკის ნიშნები. ასეთებია, მაგალითად, ცოცხალი ჰიპომანიაკალური ტიპი, ჩუმი თვითკმაყოფილებით აღსავსე ტიპი და მელანქოლიკი.

შიზოთიმიკის ხასიათი დიამეტრალურად განსხვავდება ციკლოთიმიკის ხასიათისაგან. ციკლოთიმიკის გრძნობები, დაუფარავი ფორმით ტივტივებენ მისი პიროვნების ზედაპირზე; ისინი გასაგები, პირდაპირი და უბრალო ადამიანები არიან. მათ თითქოს არა აქვთ სიღრმე. შიზოთიმიკს ერთდროულად აქვს ზედაპირიც და სიღრმეც, უხეში და გესლიანი ან ბუზღუნა, ჩლუნგი, ან მომშხამველად ირონიული, ან უნიათო-მშიშარა — აი მისი ზედაპირი; ან კიდევ სრულიად არა აქვს ზედაპირი. ჩვენ ვხედავთ ადამიანს, რომელიც დგას როგორც კითხვის ნიშანი; მის დანახვაზე ჩვენ ვგრძნობთ რაღაც შაბლონურს, მოსაწყენს და გაურკვეველს, პრობლემატურს. ამგვარი ნიღაბის იქით შეიძლება იმალებოდეს შინაგანი სიცარიელე, სრული სიჩლუნგე ან პირიქით მღელვარე განცდები. ფასადის მიხედვით ჩვენ არ შეგ-

ვიძლია ვიმსჯელოთ ასეთ ადამიანზე. ბევრი შიზოიდი, ამბობს კრეჩმერი, ჰგავს რომაელების უბრალო და გლუვი ფასადის სახლებს და ვილებს, მცხუნვარე მზის გამო დარაბადახურული ფანჯრებით, რომელთა ნახევრადბნელ სადგომებში გამართულია ზეიმი[1]. ხშირია შემთხვევა, როცა შიზოთიმიკურ ადამიანთან ათი წლის ცხოვრების შემდეგ გვიჭირს თქმა, რომ მის პიროვნებას ვიცნობ. აი, ახალგაზრდა, რომელიც უმიზნოდ ატარებს თავის ცხოვრებას. იგი მოდუნებულია, მოუხეშავი, მკრთალი, ოდნავ ირონიულად იღიმება, ხშირად დადუმებულია. ერთ მშვენიერ დღეს იგი აქვეყნებს უფაქიზესი გრძნობებით აღსავსე ლექსების წიგნს. გარე სამყაროს ყოველი ზემოქმედება ამ მოუხეშავ ყმაწვილში გადამუშავდა შინაგან ტრაგედიად. აი, წყნარი, ფრთხილი როგორც კრავი, ქალიშვილი, რამდენიმე თვეა მუშაობს ხელზემოსამსახურედ ქალაქში. იგი ნაზია, მორჩილი. ერთხელ დილით ნახეს, რომ ოჯახში სამი ბავშვი მოუკლავს, სახლი ცეცხლის ალშია გახვეული; ფსიქიკურად არაა აშლილი, მან იცის, თუ რა გააკეთა; იცინის უმიზეზოდ, როდესაც გამოტყდება დანაშაულში. ასეთებია შიზოთიმიკური ადამიანები. გულდახურულობა, თავისთავში ჩაკეტილობა, ე. წ. აუტიზმი (ცხოვრება თავისთავში) არსებითი ნიშანია შიზოოთიმიკისა.

კრეჩმერი გამოყოფს შიზოთიმიკის ნიშნების სამ ჯგუფს, რომელნიც თავს იჩენენ მათ ქცევაში: 1. გულდახურულობა, ჩუმჩუმელობა, თავშეკავება, სერიოზულობა (იუმორს მოკლებულობა), უცნაურობანი. 2. მორცხვობა, მშიშარობა, ჭარბი მგრძნობიერობა, სანტიმენტალობა, ჭარბი ნერვიულობა და აგზნებადობა, წიგნისა და ბუნების მეგობრობა. 3. დამჯერე, კეთილი, სინდისიერი, გულგრილი, ჩლუნგი, სულელი. სამივე ჯგუფის ნიშანი დამახასიათებელია შიზოთიმიკოსისათვის; მაგრამ უფრო ხშირად ჭარბობს რომელიმე მათგანი. პირველი ჯგუფის ნიშნების მქონე ადამიანისათვის დამახასიათებელია გულდახურულობა, აუტიზმი; მეორესათვის — გადაჭარბებული გრძნობიერება. ასეთ ადამიანს მცირე ეწყინება, მცირედი ტკენს გულს. იგი ირხევა მიმოზის მსგავს მგრძნობელობიდან აგზნებულ, გაბრაზებულ მდგომარეობას შორის. მესამე ჯგუფი ხასიათდება სიჩლუნგით, დამოუკიდებელი მოქმედების

[1] Кречмер. Строение тела и характер. 1930, стр. 170.

უნარმოკლებულობით. მაგრამ მხოლოდ იმას ესმის შიზოთიმიკის ბუნება, ამბობს კრეჩმერი, რომელიც დაინახავს, რომ მასში ყველა ეს ნიშანი გადახლართულია. ისინი მარად რხევადობენ აგზნებულ. მგრძნობიარე სანტიმენტალურ მდგომარეობასა და შინაგან სიცივეს. სიჩლუნგეს შორის, აქ ურთიერთში შეჭრილია ჭარბი მგრძნობიარობა და შინაგანი სიცარიელე, სიჩლუნგე. ამ ორ მდგომარეობას შორის მერყეობას კრეჩმერი ფსიქესთეტიურ პროპორციას უწოდებს. შიზოთიმიკის ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ჭარბობს მგრძნობიარობა, სანტიმენტალობა ან გულცივი, მიზანტროპული მდგომარეობა. კრეჩმერი გამოყოფს შიზოიდის ორ ტიპს: ჰიპერესთეტურსა და ცივ, ჩლუნგ ტემპერამენტებს. პირველი ტიპი შემდეგ ქვეტიპებს. გულისხმობს: მგრძნობიარე, აფექტებს მოკლებული ადამიანი, ფაქიზად მგრძნობიარე, ცივი არისტოკრატი, პათეტიური იდეალისტი. ცივი, ჩლუნგი ხასიათის ადამიანი გულისხმობს სამ ქვეტიპს; გულცივი დესპოტი; ბრაზიანი, ჩლუნგი ტიპი; არაფრისმაქნისი, უსაქმური ადამიანი.

სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში შიზოთიმიკი ან სრულიად განკერძოებულია ან არჩევითად, თავის ვიწრო წრეში ამყარებს გულწრფელ ურთიერთობას, ან კიდევ ზერელედ გულღიაა, ვერ ამყარებს ღრმა კონტაქტებს გარე სამყაროსთან.

როდესაც შიზოთიმიკური ნიშნები სუსტადაა მოცემული, მაშინ შიზოთიმიკურ ნორმალურ ადამიანთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუკი გამწვავდა ეს ნიშნები, მივიღებთ ფსიქოპატ შიზოიდს ან ფსიქიკურ დაავადებას — შიზოფრენიას. შიზოფრენია ვითარდება შიზოთიმიკური ნიშნების საფუძველზე. ამრიგად, თუ ციკლოთიმიკისათვის დამახასიათებელია მერყეობა აგზნებულად მხიარულ, ოპტიმისტურ განწყობილებასა და დეპრესიულ მდგომარეობას შორის (დიათეტური პროპორცია), გულღიაობა, სოციალობა, — შიზოთიმიკის არსებითი ნიშანია აგზნებულად მგრძნობიარე, სანტიმენტალურ განცდებსა და ცივ ინდიფერენტულ, მიზანტროპულ მდგომარეობათა ურთიერთში შეჭრა, მათ შორის გადასვლები, გულდახურულობა, თავისთავში ჩაკეტილობა (აუტიზმი), სოციალური კონტაქტის სიძნელე.

კრეჩმერი თავისი ტიპოლოგიის ნიადაგზე სწავლობს ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკური და სოციალური სფეროს მოღვა-

წეებს. კრეჩმერის მიხედვით, ადამიანის სოციალური ქცევა, მისი შემოქმედების თავისებურება დამოკიდებულია ხასიათის ტიპზე. ციკლოთიმიკური და შიზოთიმიკური ხასიათის ადამიანების პოეტური შემოქმედება, მხატვრობა, მეცნიერული მიდგომა პრობლემებისადმი, პოლიტიკური ბელადის მოღვაწეობის სტილი მკვეთრად განსხვავებულია ურთიერთისაგან.

ციკლოთიმიკი მწერლები, რომელთაც უმთავრესად პიკნიკური სხეულის აგებულება აქვთ, თავის შემოქმედებას უკეთ ამჟღავნებენ რეალისტურ ნაწარმოებში; ისინი უმთავრესად რეალისტები და იუმორისტები არიან. მათი ნაწარმოებები გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, უბრალოებით, პირდაპირობით, ადამიანისა და ხალხის სიყვარულით, ყოველი არსებულის პატივისცემით; მათთვის დამახასიათებელია საღი გონება, საღი მორალური შეხედულებები, სიკეთის გაგება. მათ შეუძლიათ დიდსულოვნად და გულღიად დასცინონ გაიძვერა ადამიანს, უხეშადაც შეუყვიროს მას. მაგრამ მათთვის უცხოა ღვარძლიანობა და ბოროტება. ასეთ ადამიანში იშვიათია ლირიკული და დრამატული ტალანტი. მათთვის დამახასიათებელია არასტილიზებული პროზა და ეპიურად ვრცელი თხრობა. მათი პოეზია მდიდარია მშვენიერი ფერებით, ცალკეული აღწერები აღსავსე შინაგანი სითბოთი, მაგრამ არა კარგი სტილით. ამაშია მათი სიძლიერეც და სისუსტეც; მათ ნაწარმოებებს აკლია ლაკონიურობა, პათოსი, სიდიადე. ციკლოთიმიკის ტიპიურ წარმომადგენლად კრეჩმერის მიაჩნია ლუთერი, კელერი, ზეიდელი, ბუში. კრეჩმერის მიხედვით, ლუთერის ლიტერატურულ შემოქმედებაში ვხედავთ უხეშ ბუნებრიობას, ფორმის სისუსტეს, უსისტემობას; ამავე დროს მის ნაწერებში ხატოვანება, ხალხურობა, ემოციურობა უმაღლეს საზღვარს აღწევს. ასეთია კელერიც. იგი სიყვარულით ეპყრობა სამყაროს ყოველ საგანს, იკვლევს მათ, მშვიდად აგროვებს მასალას და პატიოსნად ცდილობს სინამდვილის ასახვას.

შიზოთიმიკური ტემპერამენტის მწერლებში კრეჩმერი ათავსებს მილერს, კერნერს, ულანს, ტორკვატო ტასსოს, ჰელდერლინს, ნოვალისს, პლატენს; ესენი არიან პათეტიკოსები, რომანტიკოსები, ფორმისა და სტილის ოსტატნი, ფორმითა და შინაარსით იდეალისტური ტენდენციის მწერლები. მათი სხეულის აგებულება ასთენიკურია; მათი სხეული სუსტია, გამხდარი, ლამაზი კუთხოვანი

პროფილებით. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია შილერის მაღალი, გამხდარი ფიგურა გრძელი კიდურებით, ნაზი კანით, ოვალური სახით, გრძელი მახვილი ცხვირით. შილერი და ნოვალისი გარდაიცვალნენ ტუბერკულოზით, რომელიც უმთავრესად ასთენიკებს ემართებათ. ჰელდერლინი და ტასსო დაავადდნენ შიზოფრენიით.

შიზოთიმიკის ნაწარმოებებში გმირული და იდილიური ერთმანეთშია შეჭრილი. გმირულ პათოსში ჩართულია ჭარბი მგრძნობიარობა, სენტიმენტალობა. შიზოთიმიკის შემოქმედება უფრო ხშირად ლირიკული ან დრამატულია. თუ ციკლოთიმიკი ყოველთვის ობიექტურია, პოეტს თავისი თავი ავტობიოგრაფიაში გამოყვანილი ჰყავს, როგორც საგანი საგანთა შორის, ე. ი. თავისთავს ობიექტურად უდგება, — შიზოთიმიკი პოეტი ჩაძირულია თავის განცდების ანალიზში, მისი თხრობა იშვიათადაა ობიექტური, იგი გამსჭვალულია ლირიზმით; ტრაგედიის შემქმნელი მწერალი წარმოუდგენელია შიზოთიმიკური კომპონენტების გარეშე. კიდევაც ყველა ჭეშმარიტი დრამატურგის ხასიათში ჭარბობს შიზოთიმიკური ელემენტები. მათ ნაწერებში ყველგან თავს იჩენს ჭარბი გრძნობიერება, მეოცნებობა, ცხოვრებიდან გაქცევა, უცნაური სურვილის დაკმაყოფილების გვერდით შინაგანი სიცივე, მიზანტროპია, ცხოვრებისა და ადამიანებისაგან გათიშვა, პათეტიკური ბრძოლა ობიექტურ სამყაროსთან, რომელიც მტრულად დაპირისპირებულია მის „მე“-სთან. შიზოთიმიკის სტილი ირხევა მაღალი, მშვენიერი ფორმის გრძნობიდან ყოველგვარი ფორმისა და სტილის უხეშ, ცინიკურ იგნორაციამდე. ისე, როგორც კერძო ცხოვრებაში, შიზოთიმიკი ორ უკიდურესობას შორის მერყეობს — იგი ან ჯელტმენია ან მაწანწალა, მისი ლიტერატურული ფორმაც ან ვირტუოზულია ან უხეშად უფორმო.

შიზოთიმიკური ხასიათის ნიშნები თავს იჩენს სახვითი ხელოვნებაშიც. მაგალითად, პიკნიკური ციკლოთიმიკის ჰანს თომას ტილოები აღსავსეა სიმართლით, ობიექტურობით, შინაგანი სითბოთი, სიცოცხლის უნარიანობით. ასეთივეა ფრანც ჰალსის ნაწარმოებებიც. ეს უკანასკნელი იყო ტანად სქელი, ცხოვრებაში ხუმარა და მხიარული კაცი. ამათგან განსხვავებით შიზოთიმიკოსების მიქელ ანჯელოს და გრუნვალდის შემოქმედებაში მოცემულია ჭარბი

მიდრეკილება უკიდურესი პათოსისა და კლასიკურ ფორმისადმი. ექსპრესიონისტები უმთავრესად შიზოთიმიკოსები არიან. ექსპრესიონისტული მხატვრობა ჩამოჰგავს ნიჭიერ შიზოფრენიკთა მხატვრობას. შიზოთიმიკის ხასიათის კომპონენტები და ტიპური ექსპრესიონისტული კომპონენტები ურთიერთს ემთხვევა: 1. უკიდურესი სტილიზირების ტენდენცია, კუბისტური კომპონენტები. 2. ჭარბი პათოსი, რომელიც გამოხატულია უკიდურესად გამომეტყველ მოქმედებაში, ფერებსა და ჟესტებში. 3. აუტისტური კომპონენტი: ტენდენციური უარყოფთა რეალისტური ფორმებისა. 4. სიზმრის კომპონენტი: ისე, როგორც სიზმარში, მოცემულია მოვლენის გადაჯგუფების, შემჭიდროების, სიმბოლოების შექმნის ტენდენცია (ფროიდისებური გაგებით); მაგ., ხშირად ერთ სურათში ორი სრულიად განსხვავებული შინაარსია შერწყმული (დახატულია გლეხის სახე, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მოსახნავი მინდვრის ლანდშაფტს).

მეცნიერებაში პიკნიკური აგებულების ქველ ადამიანებს ძიდრეკილება აქვთ აღწერითი ხასიათის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, მაშინ როდესაც გამხდარი შიზოთიმიკები ისწრაფვიან აბსტრაქტულ, მეტაფიზიკური მეცნიერებისაკენ. თანამედროვე ემპირიული მედიცინა უმთავრესად პიკნიკური აგებულების ადამიანების ძიერაა ძექმნილი (ბერგავე, სვიტენი, გალერი). ტიპიური პიკნიკი იყო გამელონი, ცნობილი გეოგრაფი და ბოტანიკოსი, გუმბოლდტის წინამორბედი. გალი, დარვინი, რობერტ მეიერი, პასტერი, კოხი, ტიპიური პიკნიკები და ციკლოთიმიკოსებია. გუმბოლდტი იყო პიკნიკური აგებულებისა, მოძრავი, გულღია, იუმორის გრძნობით აღსავსე ადამიანი. ამ მკვლევარებისათვის ნიშნეულია მეცნიერულ მუშაობაში უდიდესი ექსტენსივობა, მრავალმხრივობა, თხრობაში მხატვრული ტენდენცია, ემპირიულის, ყოველივე გრძნობადის უშუალო ჭვრეტის, „შეგრძნებებით“ მისაწვდომი საგნების სიყვარული. გუმბოლდტი მთლიანად უარყოფდა ყოველგვარ მეტაფიზიკას, კერძოდ, მის დროს საყოველთაოდ აღიარებულ ჰეგელის ფილოსოფიას, მისი მეტაფიზიკური ხასიათის გამო.

შიზოთიმიკები უფრო ხშირად ფილოსოფოსიაში და აბსტრაქტულ მეცნიერებაში პოულობენ შემოქმედების წყაროს. კრეჩმერი აღნიშნავს, რომ მის მიერ შესწავლილ 27 კლასიკოს ფილოსოფო-

სისაგან ვერც ერთი ვერ აღმოჩნდა პიკნიკური აგებულების სქელი ადამიანი. გამოკვეთილად გამხდარი ასთენიკებია კანტი, სპინოზა, იაკობი, მენდელსონი, ლოკი, ვოლტერი, ლოტკე, ჰამანი, ჰერდერი, ჰეგელი, ფიხტე და სხვა. მათემატიკოსების დიდი უმრავლესობა შიზოთიმიკებია. კოპერნიკე, კეპლერი, ლაიბნიცი, ნიუტონი, ფარადეი ტიპური ასთენიკები და შიზოთიმიკებია. მებიუსი, რომელმაც გამოიკვლია მრავალი მათემატიკოსის პიროვნება, ასკვნის, რომ მათემატიკოსთა უმრავლესობა მიეკუთვნება ნევროტულ, თავისებური ხასიათის, უცნაურ ადამიანებს. შიზოთიმიკ-მეცნიერებს მიდრეკილება აქვთ, ისე როგორც შიზოთიმიკ — პოეტებს „წმინდა ფორმისაკენ". ზეგრძნობადი, ირაციონალური სამყაროსაკენ, ყველაში იპოვით „მისტიკურ კუნქულს". მაშინ როდესაც ამის მსგავსს ამაოდ ვეძებთ ისეთ ტიპურ ციკლოთიმიკურ ემპირიკოსში, როგორიცაა გუმბოლდტი.

ხასიათის თავისებურება თავის დაღს ასვამს პოლიტიკური ბელადების მოღვაწეობის სტილს. სქელ ციკლოთიმიკებში გვხვდება სამი ტიპის ბელადი: 1. გმირული მებრძოლები — სახალხო გმირები. 2. ფართო მასშტაბის სიცოცხლით სავსე ორგანიზატორები; 3. შემრიგებელი პოლიტიკოსები. ციკლოთიმიკი გენიალური ბელადის ტიპური წარმომადგენელია მირაბო, საფრანგეთის რევოლუციის პირველი პერიოდის წარმომადგენელი. სხეულის აგებულებით იგი იყო სქელი, მრგვალი, მოკლე კიდურებით, ძლიერი ტემპერამენტით, ხასიათდებოდა გონებამახვილობით, გულღიაობით, სამართლიანობით, იყო მხიარული, მოქეიფე, უყვარდა ცხოვრება და სხვებსაც აძლევდა ცხოვრების საშუალებას. არ გამოირჩეოდა მაღალი მორალით, მაგრამ იყო დიდსულოვანი, საღი გონებისა და თავისუფალი დოქტრინიორობისა და ფანატიზმისაგან.

მირაბოს ანტიპოდია შიზოთიმიკური ხასიათის ბელადი. შიზოთიმიკი ბელადები ხასიათის ნიშნების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: 1. წმინდა იდეალისტები და მორალისტები. 2. დესპოტები და ფანატიკოსები. 3. ცივი ანგარიშის ადამიანები. შიზოთიმიკი ბელადის ტიპური წარმომადგენლებია რობესპიერი, სავანაროლა და კალვინი. რობესპიერი იყო მოხდენილი აგებულების, მკრთალი სახის, გამხდარი, ავადმყოფური შეხედულების, დაბალი შუბლით და ბოღუნული ცხვირით. აგზნების დროს მისი მხრები იწყებდნენ თამაშს,

მისი სიცილი გრიმასებს გვაგონებდა, მისი სხეულის მოძრაობა იყო გახევებული და მანქანისებური, ე. ი. იყო ტიპური ასთენიკი, შიზოთიმიკი. მას ემოციურ ექსცენტრულობასთან ერთად ახასიათებდა შინაგანი სიცივე, გმირული პათოსი, ფანატიკური შეუდრეკლობა, გულჩათხრობილობა, პრინციპულობა, ამავე დროს შეეძლო საკუთარი გადაწყვეტილების ერთბაშად უარყოფაც. იგი მეოცნებეა, რუსოს მოწაფეა და შეუდრეკელი ფანატიზმით ახორციელებს მის შეხედულებებს, პათოსით აგზავნის ხალხს გილიოტინაზე და ეს მიაჩნია სიკეთედ, მაღალი იდეისადმი სამსახურად. ამავე დროს წერს ლექსებს, არის ნაზი, ფაქიზი მეოჯახე. შიზოთიმიკური ელემენტები — ჭარბი სანტიმენტალობისა და შინაგანი სიცივის ურთიერთში შეჭრა მკვეთრადაა წარმოდგენილი რობესპიერში.

კრეჩმერის შეხედულება შეიცავს მთელ რიგ სრულიად მიუღებელ დებულებებს. კრეჩმერის მიხედვით, აუცილებელია ისეთი თვისების გამოძებნა პიროვნებაში, რომელიც შეაკავშირებს ფსიქიკურსა და ფიზიკურს, მორფოლოგიურსა და ფსიქოლოგიურს. ეს დამაკავშირებელი ელემენტი ტემპერამენტია; ხასიათი ფაქტიურად წარმოადგენს კონსტიტუციისა და მისი აქტიური „გულის“ — ტემპერამენტის ფსიქიკურ ასპექტს. ტემპერამენტი, როგორც ფსიქიკის ბიოლოგიური საფუძველი, განსაზღვრავს პიროვნების ხასიათს, მის სოციალურ ქცევასაც, ნორმალურ და პათოლოგიურ რეაქციებს.

ჰიპოკრატედან დღემდე არავის არ უარუყვია დებულება, რომ ტემპერამენტი ითვლება ადამიანის ისეთ ბიოლოგიურ თვისებად, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ემოციურ ცხოვრებას, რომ იგი განსაკუთრებულ ინტენსიურ გავლენას ახდენს პიროვნების ემოციურ-აფექტურ ცხოვრებაზე, რომ იგი პირველ რიგში ითვლება ემოციურ სფეროს საფუძვლად. ზოგიერთის თვალსაზრისით ტემპერამენტი განსაზღვრავს მთელი ფსიქიკის ტონუსს, ტემპს. მაგრამ ძირითადში ყველა შეთანხმებულია იმაში (კრეჩმერიც, ევალდიც), რომ ტემპერამენტი აფექტურ-ემოციური ცხოვრების საფუძველია. ამ მხრივ ტემპერამენტის ცნება თავიდანვე გარკვეულობით ხასიათდება. მხოლოდ, როცა დგება საკითხი ტემპერამენტისა და ხასიათის ურთიერთობის შესახებ, ზოგიერთ მკვლევარს ხასიათის ცნება დაპყავს ტემპერამენტის ცნებამდე (ფულიე, კრეჩმერი, ევლადი და სხვ.). რამდენად საფუძვლიანია ხასიათის და ტემპერა-

მენტის ურთიერთობის ასეთი გაგება? ემოციურ-აფექტური სფერო იმპულსური ბუნებისაა. იგი წარმოადგენს ინსტინქტების მოქმედების ნიადაგზე წარმოშობილ განცდას. იგი იმპულსურად წარმოიშვება და, როგორც ასეთი, უთუოდ, ძლიერ ზეგავლენას ახდენს პიროვნების სულიერ ცხოვრებაზე. ხასიათისა და ემოციის სფეროთა გაიგივება ნიშნავს ნებელობითი ქცევის იმპულსურ ქცევამდე დაყვანას, პიროვნების ცხოვრებაში ემოციურ-აფექტურ მხარისათვის პრიმატის მინიჭებას. სინამდვილეში კი პიროვნების შეგნებული ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი ადასტურებს, რომ ადამიანს აქვს შესაძლებლობა არ დაემორჩილოს იმპულსებს. ადამიანს გააჩნია ნებელობა, რომელსაც უნარი შესწევს ემოციურ-აფექტური ცხოვრების რეგულაციისა და ქცევის შეგნებულად, მიზანშეწონილად წარმართვისა. პიროვნების ნებელობის ერთი მხარე ყოველთვის უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება პიროვნების იმპულსებისადმი. მისი ვალია იმ იმპულსების შეფერხება და პიროვნების ენერგიის გამოყენება ნებელობითი გადაწყვეტილების შესასრულებლად. მტკიცე, ძლიერი ხასიათის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებად ითვლება იმპულსების დათრგუნვა. ზემოაღნიშნული ავტორებიც (კრეჩმერი, ევალდი) მიუთითებენ, რომ ხასიათის მნიშვნელოვანი კომპონენტია ინსტინქტების, აფექტების შეკავების უნარი. მაგრამ ხასიათის საფუძვლად იმპულსურობის გამოცხადება გაუგებარს ხდის მათ მიერვე აღწერილ, მოწესრიგებულ, მტკიცე ხასიათის ადამიანის ტიპის არსებობას, რადგან ნებელობას წართმეული აქვს მნიშვნელოვანი როლი ხასიათის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

პიროვნების ხასიათის თავისებურების დასადგენად ნებელობის სავსებით უგულვებელყოფა გაუგებარს ხდის ამავე ავტორების მიერ აღწერილ (ევალდი, ფალერი) ადამიანის შეგნებული სოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს. უეჭვოა, რომ ტემპერამენტი და ხასიათი მჭიდრო კავშირშია ურთიერთთან. ტემპერამენტი მიუთითებს პიროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს, მის ემოციურ-აფექტურ დისპოზიციას. ხასიათისა და ტემპერამენტის. როგორც პიროვნების თვისების ნეგატური და პოზიტური მომენტების ურთიეერთობა ყოველთვის თავისებურად აყალიბებს ხასიათის

სტრუქტურას. მაგრამ ტემპერამენტის გამოცხადება ხასიათის ერთადერთ საფუძვლად დაუსაბუთებელია.

პიროვნების კონსტიტუციის, ტემპერამენტისა და ხასიათის ძირითად საფუძვლად ითვლება არა სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები ცალ-ცალკე, არამედ მათი დიალექტიკური ურთიერთმოქმედება. პიროვნების არც ერთი დისპოზიცია (ინსტინქტი, მიდრეკილება, ტემპერამენტი და სხვ.) არ წარმოადგენს ისეთ ძალას რომელიც, თითქოს ფატალურად განსაზღვრავდეს პიროვნების განვითარების მომავალ ბედს. პიროვნება მოქმედებასა და ზეგავლენათა პროცესში იცვლება. მასში მოცემული ძალები, დისპოზიციები პიროვნების მოღვაწეობის პროცესში არა თუ იღვიძებენ, არმედ იცვლებიან, ახალი თვისებებით მდიდრდებიან. კერძოდ, მიდრეკილება, ინსტინქტი, ტემპერამენტი და სხვა მხოლოდ პირობაა და არა ძრავი პრიოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისა. ბიოლოგისტურ-კონსტიტუციური თეორია პიროვნების გაგებაში მექანისტურ მეთოდოლოგიას ემყარება, რის გამო ამ თეორიის ნიადაგზე ვერ მოხერხდა ზოგჯერ ბრწყინვალედ აღწერილი ტიპების თეორიული დასაბუთება.

თუ ზემომოყვანილი ქარაქტეროლოგებისათვის ხასიათის საფუძველია პიროვნების სიღმეში მდებარე რომელიმე ერთი იმპულსი (ინსტინქტი, მიდრეკილება, ტემპერამენტი, ემოციები), ქარაქტეროლოგთა სხვა წყებისათვის ხასიათის ბუნება გაგებულია, როგორც პიროვნების მრავალ განსხვავებულ თვისებათა მთლიანობა — „სტრუქტურა".

„სტრუქტურალისტების" ცნების ქვეშ ჩვენ ვაერთიანებთ მრავალ განსხვავებულ მსოფლმხედველობისა და ფსიქოლოგიური ორიენტაციის ქარაქტეროლოგებს შემდეგი ძირითადი პრინციპების ერთგვარობის გამო: ყველა ამ ტიპის მკვლევარის მიერ წინასწარ, აპრიორულად, ყოველგვარი ემპირიული მონაცემების გარეშე, დაშვებულია პიროვნების მთლიანობა. პიროვნების მთლიანობის დასაბუთება წარმოებს იდეალისტურ-მეტაფიზიკური არგუმენტაციის ასპექტში. პიროვნების ნაწილობრივი თვისებები წარმოადგენენ ამ მთლიანის მხოლოდ ერთ ასპექტს. პიროვნება წარმოადგენს უამრავ ნაწილობრივ თვისებათა ერთიანობას — სტრუქტურას. ასეთი სტრუქტურის შესწავლისათვის საჭიროა მისი ანალიზი, პი-

როვნების, როგორც სტრუქტურის, დაშლა შემადგენელ სტრუქ-ტურებად, ანალიზის გზით მიღებული ნაწილებისაგან ისევ მთლიანი პიროვნების აგება. ამ ჯგუფის ქარაქტეროლოგები პიროვნების ხასიათის შესწავლას იწყებენ ნაწილობრივი პროცესებით, აანალიზებენ ამ ნაწილობრივ თვისებებს და ანალიზით დაშლილ სტრუქ-ტურებიდან ქვრეტის გზით აგებენ პიროვნების თავისებურ კონსტრუქციას. რომელიც ზოგადად ემთხვევა წანამძღვარში აპრიორულად ნაგულისხმევ პიროვნების ტოტალურ სტრუქტურას.

ყველა ამ ჯგუფის მკვლევარისათვის დამახასიათებელია მთლიანი პიროვნებისა და ხასიათის გაიგივება და ამით ქარაქტეროლოგიისათვის მთლიანი პიროვნების ყველა თვისების შესწავლის დაკისრება. ამ ჯგუფის ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, კლაგესი ამბობს: „პიროვნება წარმოადგენს არა მხოლოდ ვიტალურ მთლიანობას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, „მე“-ს; მოკლედ რომ ვთქვათ, იგი არის ინდივიდური თვითმყოფობა და ხასიათის შესახებ მოძღვრება არსებითად წარმოადგენს იმ მეცნიერებას, რომელიც მას სწავლობს“[1].

აქედან გამომდინარეობს შემდეგი თავისებურებაც. მათთვის, პირველ რიგში, ხასიათი წარმოადგენს არა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ ცნებას, არამედ მთლიანად პიროვნების ცნებას. ამ სისტემებში პირველ პლანზე დგას ხასიათის resp. პიროვნების ზოგადი კანონზომიერების შესწავლა, რაც ემთხვევა პიროვნების სტრუქტურის კანონზომიერებას. ხასიათის ინდივიდუალური თავისებურების დადგენა მეორეხარისხოვანი საქმეა. ზოგ შემთხვევაში ინდივიდის თავისებურების შესწავლის ცდა სრულებით უგულვებელყოფილია. მათი აზრით, თუ დადგინდება პროვნების სტრუქტურის კანონზომიერება, თითოეული კონკრეტული ინდივიდის ხასიათი შეიძლება გამოყვანილ იქნას ამ ზოგადის ცალკე ინდივიდში თავისებურად გარდატეხის გათვალისწინებით.

როგორც კლაგესისათვის, ისე მისი ტიპის მკვლევარებისათვის დამახასიათებელია ხასიათისა და პიროვნების გაიგივება: პიროვნების შესახებ მეცნიერებად ქარაქტეროლოგიის გამოცხადება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დებულებას ერთგვარი გასაგები საფუძველი

---

[1] Klages, Die Grundlage der Charakterkunde. 1926. ss. 16.

აქვს. ხასიათის ცნება მთლინობის, მთლიანი პიროვნების ქცევაში გამომჟღავნების სინონიმია. რადგან ემპირისტულ ფსიქოლოგიაში უგულვებელყოფილი იყო მთლიანი პიროვნება, ხასიათის მკვლევარებში დაიბადა ცალკე მეცნიერების ჩამოყალიბების ტენდენცია (ეს ითქმის განსაკუთრებით იმ მკვლევარებზე, რომელთათვის პიროვნება გაიგივებულია ცნობიერებასთან); ამ მეცნიერებაზე პრეტენზია გაანაცხადა ქარაქტეროლოგიამ.

პიროვნების შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ქარაქტეროლოგიის საგანი იყოს. ჯერ ერთი, — პიროვნება მეტად ფართო ცნებაა; იგი გულისხმობს არა მარტო ცნობიერებას, სუბიექტურს, ბიოლოგიურს, ან ფსიქოფიზიკურ მთლიანს, არამედ იგი გარკვეული სოციალური კატეგორიაა, შეგნებული საზოგადოებრივი ინდივიდია, განსაზღვრული იმ ისტორიული და სოციალური გარემოთი, რომელშიც იგი ცხოვრობს. მას აფორმებს საზოგადოებრივი ურთიერთობა და ამავე დროს იგი თავისი შეგნებული მოღვაწეობით ზემოქმედებს საზოგადოებაზე. ამის გამო პიროვნება შეიძლება საგანი იყოს როგორც სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ისე ფსიქოლოგიისა. ფსიქოლოგია შეისწავლის პიროვნებას, როგორც ქცევის სუბიექტს, ამ ქცევაში ჩართულ განცდებს. ხასიათი მხოლოდ მთლიანი პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. იგი გამოხატავს ამ მთლიანის ქცევაში გაშლილ თავისებურებას. თუკი ქარაქტეროლოგია დაემყარება ისეთ ფსიქოლოგიას, რომლის ამოსავალია კონკრეტული, მთლიანი პიროვნება, კერძოდ, თუ ქარაქტეროლოგია დაემყარება განწყობის ფსიქოლოგიას, მაშინ არ დაისმის საკითხი ხასიათის შესახებ ცალკე მეცნიერების გამოყოფაზე. კონკრეტული მთლიანი პიროვნება, როგორც ამოსავალი წერტილი ქარაქტეროლოგიისა, განხორციელებულია აღნიშნულ ფსიქოლოგიურ კონცეფციაში. ამ საკითხზე ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

სტრუქტურულმა მიმდინარეობამ ქარაქტეროლოგიაში ვერ შეძლო გამოკვეთილი ფსიქოლოგიური ტიპების დადასტურება. ამ ქარაქტეროლოგების მიერ ნაგულისხმევი მთლიანი პიროვნება ფაქტიურად წარმოადგენს აბსტრაქციას, მრავალი ელემენტების ან სისტემების ჯამს. პიროვნება აქ მოკლებულია ისეთ ცენტრს, ზოგად დისპოზიციას (რომელზედაც ჯერ კიდევ ჰეგელმა მიუთითა), სა-

იდანაც შეიძლება მომდინარეობდეს ამ დისპოზიციის თავისებურებით აღბეჭდილი, ურთიერთთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი პიროვნული თვისებები. მაგალითად, კლაგესის მიხედვით, ხასიათის მასალის, სტრუქტურისა და რომელობის ნიადაგზე ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება მიეკუთვნოს განსხვავებულ ტიპებს. პიროვნების განცდებისა და ქცევის განმსაზღვრელი ძირითადი ცენტრალური მოდუსის უქონლობის გამო პიროვნება ფაქტიურად ტიპთა მოზაიკას წარმოადგენს.

თუ ზემოთ აღწერილ ქარაქტეროლოგიურ მოძღვრებაში (სტრუქტურალისტები) პიროვნების ხასიათი წარმოდგენილია, როგორც მთლიანი პიროვნების დისპოზიციათა მოზაიკა და პიროვნების „აგება" წარმოებს აპრიორულად მიღებული იდეალური სტრუქტურის ნიმუშის მიხედვით, **პერსონალისტურ-ტელეოლოგისტური** მიმდინარეობა მთლიანი პიროვნების ხასიათის არსს ქვრეტს წამყვანი მიზნის განხორციელებისაკენ მთლიანი პიროვნების სწრაფვაში. პიროვნების ძრავს, მისი აქტივობის წყაროს წარმოადგენს მიზნისკენ სწრაფვა. პიროვნების აქტივობის მიზეზია მიზანი. მიზანსწრაფვა, რომელიც შეიძლება არაცნობიერი დისპოზიციის სახითაც იყოს მოცემული, პიროვნების სტრუქტურის ძირითადი და არსებითი მხარეა. იგი განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულების თავისებურებას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, საერთოდ, ობიექტურ სამყაროსთან. მიზანსწრაფვის თავისებურებაში, აქტიური ქცევისა და განცდების სახით მის გაშლაში ვლინდება პიროვნების ხასიათის ბუნება.

ამ შეხედულებათა მთავარი წარმომადგენლების მიხედვით, ადამიანის სული გონითი აქტივობის საშუალებით ქმნის ღირებულებებს — კულტურის საგნებს. ადამიანის სულში ჩანერგილია მიდრეკილება ერთი რომელიმე კულტურის ღირებულებებისადმი. ადამიანის სულის აქტივობას აღძრავს მხოლოდ ისეთი ღირებულება, რომლისადმი მისწრაფება მას წინასწარ ახასიათებს. ამიტომ პიროვნება და კულტურული გარემო განუყოფელ კავშირშია ურთიერთთან. მათი აზრით, პიროვნების ფსიქოლოგიის — ქარაქტეროლოგიის საგანია არა ისტორიულ სინამდვილეს მოწყვეტილი ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებისა და ხასიათის თავისებურება საერთოდ, არამედ ფსიქოლოგიის კვლევის ცენტრში უნდა დადგეს

ისტორიული პიროვნების და ამ ასპექტში გაგებული კონკრეტული პიროვნების სულიერი ცხოვრებისა და ხასიათის თავისებურება.

მაგალითად. დ ი ლ ტ ა ი ს[1] მიხედვით პიროვნებათა იდეალური ტიპოლოგიისათვის ხელსაყრელია მივმართოთ ფილოსოფიის ისტორიას. იქ შეიძლება ვიპოვოთ სამყაროსთან ადამიანის აქტიური შემოქმედებითი დამოკიდებულების მკვეთრი ტიპები. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილი პიროვნებების შემოქმედებითი ცხოვრების ანალიზი ადასტურებს, რომ არსებობს პიროვნების სტრუქტურაში ჩანერგილი სამი ძირითადი მისწრაფება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის (იდეალურ ტიპთა შემთხვევაში) თავისებურ მსოფლმხედველობის ტიპების არსებობას. ეს ტიპებია:

1) გრძნობის (Der sinnliche) ადამიანის ტიპი, რომლის დამახასიათებელია მიწიერი სიამოვნებისაკენ სწრაფვა. ეს ტიპი ესწრაფვის ნატურალიზმსა და დეტერმინიზმს. მისი მიზანსწრაფვა განხორციელებას პოულობს მატერიალისტურ ფილოსოფიაში, სენსუალისტურ შემეცნების თეორიაში და ჰედონისტურ ეთიკაში. ამ ტიპის წარმომადგენელია დემოკრიტე, ჰობსი, ფეიერბახი.

2) გმირული ადამიანის ტიპის სულიერ ცხოვრებაში სჭარბობს ნებელობითი სფერო, იგი ისწრაფვის სიძნელეების გადალახვისაკენ, მას დიდ სიამოვნებას გვრის აქტივობა, წინააღმდეგობის გადალახვა. მისი მისწრაფება ხორციელდება იდეალისტურ ფილოსოფიაში, ინდეტერმინიზმში. მისი ეთიკა ემყარება ავტონომიური ადამიანის იდეას. ასეთი ტიპის იდეალური წარმომადგენელია ფილოსოფიაში პლატონი, კანტი, ფიხტე.

3) ჰვრეტითი ადამიანის (K o n t e m p l a t i v e n)ტიპში სჭარბობს ემოციების სფერო. იგი ისწრაფვის განსულიერებულ უნივერსალობასთან შერწყმისაკენ. მისი დამახასიათებელია ობიექტივიზმი. მისი ფილოსოფიაა პანთეიზმი, ობიექტური იდეალიზმი. ამ ტიპის წარმომადგენლებია სპინოზა, გოეთე, ჰეგელი.

შ პ რ ა ნ გ ე რ ი ს[2] მიხედვით, ადამიანის სული განვითარების დაბალ საფეხურზე კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი თავით და გვარის თავდაცვის მოთხოვნილებებით. იგი მხოლოდ ბიოლოგიურ არსებას წარმოადგენს. მაგრამ განვითარების უმაღლეს საფეხურზე

[1] Dilthey. Die Typen der weltanschauung. 1911.
[2] Spranger. Lebensformen. 1922.

სული სცილდება მხოლოდ თავდაცვის მოთხოვნილების ფარგლებს და მასში ჩნდება მიდრეკილება ობიექტივაციის ისეთი ღირებულების განხორციელებისა. რომელსაც ზეინდივიდუალური და ზედროული მნიშვნელობა აქვს. ყოველ ცალკე ადამიანის სულს, სრულიად გარკვეული ობიექტური ღირებულების განხორციელების უნარი გააჩნია (შპრანგერი). ეს განხორციელებული ღირებულებები რამდენიმე ძირითად ფორმამდე დაიყვანება. ეს ფორმებია: თეორიული, ეკონომიური; ესთეტიკური, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ღირებულებები. გარკვეული ღირებულების შექმნის პროცესში გონითი აქტი წარმოადგენს ადამიანის სულის მთლიან მოქმედებას. ყოველი ცალკეული ინდივიდის სულში ჩანერგლია მიდრეკილება ყველა ფორმის ღირებულების (თეორიული, ეკონომიური. სოციალური და სხვ.) განსახიერებისადმი. მაგრამ შეიძლება მასში სჭარბობდეს განსაკუთრებული სწრაფვა ერთი რომელიმე ღირებულების განსახიერებისაკენ და ეს შეადგენდეს მისი პიროვნების ცენტრს. გონითი აქტის პროცესში. მაგ.. ესთეტიკური ღირებულების შექმნის პროცესში „მე"-ს მთელი სულიერი ენერგია მონაწილეობს ამ ღირებულების შექმნაში. მთელი კაცობრიობის კულტურა წარმოადგენს გონითი აქტივობის შედეგს[1].

ამრიგად, არსებობს გონითი აქტის წარმონაქმნი ობიექტური კულტურა, რომელიც შეიცავს თეორიულ, ეკონომიურ, ესთეტიკურ. სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ზედროულ ღირებულებებს. ეს ღირებულებები ფაქტიურად წარმოადგენენ იმ გარემოს, სადაც მოქცეულია ყოველი ადამიანი. ადამიანის სულში მოცემულია განწყობა ყველა ღირებულების მიმართ. ადამიანის ტიპოლოგიის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სწორედ ის ღირებულება, რომელიც უფრო იზიდავს მას და უფრო მეტად იწვევს მასში განცდებს, „ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სტრუქტურული აღნაგობა აქვს ამ ადამიანის სულს, რომელი მიმართულებაა გაბატონებული მასში"[1]. ამის მიხედვით შპრანგერი არჩევს პიროვ-

---

[1] შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ისტორიული ცხოვრების მანძილზე შექმნილ ღირებულებებს, რომლებიც, თავის აზრისა და მნიშვნელობის მხრივ, ინდივიდუალური სიცოცხლის ფარგლებს სცილდებიან, შპრანგერი გონითს ცხოვრებას ან ობიექტურ კულტურას უწოდებს.

[1] ჯ. ბოდე. გონის მეცნიერებითი ფსიქოლოგია. კრ. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიური მიმდინარეობანი. 1935 წ.

ნების შემდეგ იდეალურ ტიპებს: თეორიულს, ეკონომიურს, ესთეტიკურს, სოციალურს, პოლიტიკურსა და რელიგიურ ადამიანს.

1. თეორიული ადამიანი ისწრაფვის ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ. მისი განცდა მთელი სიძლიერით მეღავნდება შემეცნების აქტებში; იგი მძიმე განცდებითაა დატვირთული, როდესაც ვერ აღწევს სინამდვილის შემეცნებას, აღფრთოვანებულია ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენის შემთხვევაში; გარემოში მყოფ საგნებს იგი უყურებს მკვლევარის თვალით. ცხოვრების ყველა სფეროსთან ურთიერთობისას იგი ისწრაფვის მოელენები გაიაზროს გარკვეული ცნებების სახით. ასეთი ადამიანის ტიპი გვხვდება განსხვავებულ ვარიანტებში: 1. ემპირიკოსი -- დამოკიდებულია საგანთა სამყაროზე; მისი შემეცნება არ სცილდება ემპირიულად არსებულ სამყაროს; 2. მეტაფიზიკოსი-თეორეტიკოსი ისწრაფვის ცნების კონსტრუქციაში წარმოიდგინოს სინამდვილე. ამ კონსტრუქციებს უთანხმებს იგი ემპირიულ სინამდვილეს. თუ ეს სინამდვილე არ ეთანხმება მის მიერვე აგებულ ცნებას, მას შეუძლია სთქვას ჰეგელის სიტყვებით „მით უარესი სინამდვილისათვის". შპრანგერი არჩევს აგრეთვე ანალიზური და სინთეზური ორიენტაციის თეორიულ ტიპებს[1].

2. ეკონომიური ტიპის ადამიანი ისწრაფვის მატერიალურ კეთილდღეობისაკენ. ყველა არსებულ ობიექტურ ღირებულებებს იგი აფასებს უტილიტარული თვალსაზრისით. კერძოდ, ადამიანებს იგი აფასებს წმინდა სარგებლიანობის მიხედვით. მისი ძირითადი მიზანი გამდიდრებაა... სიმდიდრეში გულისხმობს ძლიერებას[2].

3. ესთეტიკური ადამიანი ისწრაფვის მშვენიერებისაკენ, ხელოვნებისაკენ. მასში ინტიმურ განცდებს აღძრავს მშვენიერი ობიექტები, იგი თავისუფალია თეორიული რეფლექსიისაგან. აუღელვებლად სჭვრეტს იგი ცხოვრების ცვალებადობას, ცხოვრების დინებას. მისი მიზანია სისრულე და თვითტკბობა. შპრანგერი არჩევს აღნიშნული ტიპის ვარიანტებს: იმპრესიონისტებს, რომელთა განწყობა სამყაროსადმი პასიურია; ექსპრესიონისტებს, რომელნიც სუბიექტურად და ღრმად განიცდიან ადამიანს; ყოველ შთაბეჭდილებას საკუთარ სუბიექტურ სამოსელში ხვევენ. გამოყოფს აგრეთ-

[1] Spranger, Lebensformen. 1922, გვ. 108-129.
[2] იქვე, გვ. 132—148.

ვე კლასიკოს ადამიანს, რომლის შინაგან განცდებსა და გარე სამყაროს შორის სრული წონასწორობა სუფევს. ესთეტიკური ადამიანი შეიძლება მეღავნდებოდეს როგორც იდეალისტი, ან როგორც რეალისტი. სულიერ სტრუქტურათა განსხვავებულობის მიხედვით იდეალისტური და რეალისტური სწრაფვა შეიძლება განსხვავებული ტიპის (სტილის) სახითაც გამომჟღავნდეს, როგორიცაა, ლირიკოსი, ტრაგიკოსი, დრამატურგი, იუმორისტი ან სატირიკოსი[1].

4. სოციალური ადამიანის ძირითადი მისწრაფება ადამიანების კეთილდღეობაა. იგი ჩაძირულია საზოგადოების სამსახურში, საზოგადოების სიკეთისათვის ზრუნვაში, მისი აზრი მოითხოვს თანამშრომლობას. არსებულ ღირებულებებს იგი აფასებს საზოგადოების, ადამიანის კეთილდღეობის თვალსაზრისით. მისი განცდების ცენტრში დგას სიყვარულის მაღალი ემოცია[2].

5. ძალაუფლების ადამიანის ძირითადი მიზანია სხვებზე ბატონობა და ბრძანებლობა. ყოველ ღირებულებას იგი აფასებს უფლების მოპოვების თვალსაზრისით. შემეცნება მისთვის მხოლოდ საშუალებაა ძალაუფლებისათვის. მისი მიზანია ბატონობა, უფლების მოპოვება არა მატერიალურ სიმდიდრეზე, არამედ ადამიანებზე. იგი დაპირისპირებულია მის გარეშე არსებულთან და თავის მიზანს აღწევს ბრძოლით. ბრძოლა მისი სიცოცხლის არსია[3].

6. რელიგიური ადამიანი მთელი არსებით ესწრაფვის უმაღლესი სისრულის, უმაღლესი ღირებულების დასაბამის წვდომას. უმაღლესი ღირებულება მისთვის ღვთაებაა. ღვთაების წვდომა შეიძლება მხოლოდ ზეშთაგონების (offenbarung) საშუალებით. გარესამყაროსთან მის დამოკიდებულებას, მისი განცდების თავისებურებას რელიგიური სულისკვეთება განსაზღვრავს. შპრანგერი არჩევს ქვეტიპებსაც. მაგალითად, იგი გამოყოფს იმანენტურ და ტრანსცენდენტურ მისტიკოსებს[4].

შპრანგერის დამსახურებას უთუოდ ის გარემოება შეადგენს, რომ მან ხაზი გაუსვა ადამიანის ხასიათის უმნიშვნელოვანეს მხარეს, როგორიცაა, ადამიანის მიზანთა სფერო, მიზანთა თავისებუ-

---

[1] იქვე, გვ. 149—170.
[2] იქვე, გვ. 171—184.
[3] იქვე, გვ. 188—210.
[4] იქვე, გვ. 211—448.

რება, ადამიანთა ტიპოლოგია განიხილა ადამიანის მიზანთა სამყაროსა და ისტორიულად შექმნილ კულტურის ურთიერთობის ნიადაგზე. მაგრამ მხოლოდ ამ თვალსაზრისით მთლიანი პიროვნების ტიპოლოგია, უთუოდ, ცალმხრივია. მხოლოდ მიზნებით, მსოფლმხედველობით, მისწრაფებებით არ ამოიწურება პიროვნების ხასიათის თავისებურება. გარდა ამისა, ეს შეხედულება შეიცავს მთელ რიგ მიუღებელ დებულებებს. შპრანგერის მიხედვით, პიროვნებაში ჩანერგილია ექვსი ძირითადი მისწრაფება; რამდენიც ობიექტური ღირებულებაა, იმდენი სახისაა მისწრაფება; რადგან ობიექტური კულტურა, ობიექტური ღირებულებები გონითი აქტის პროდუქტებია, ამიტომ იმდენი ღირებულებები უნდა შექმნილიყო, რამდენი უნარიც გააჩნია ადამიანს.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში სამართლიანად იყო აღნიშნული შპრანგერის მიერ დადგენილი მიზანსწრაფვის ტიპების ასე მტკიცედ განსაზღვრების უსაფუძვლობა. პიროვნების აქტიური მიზნის თავისებურება მთლიანად განსაზღვრულია იმ ისტორიული ეპოქის საწარმოო ძალთა ურთიერთობით, რომელშიც ცხოვრობს პიროვნება. ადამიანის მისწრაფებები ჩნდებიან, ვითარდებიან, ისპობიან და ადგილს უთმობენ ახალ მისწრაფებებს, იცვლებიან ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციების მიხედვით. შპრანგერის სისტემაში პიროვნება და საზოგადოება ფაქტიურად გათიშულია ურთიერთისაგან. მიზნის მიხედვით დადგენილ ხასიათის ტიპებს აბსოლუტური მნიშვნელობა ეძლევა. სინამდვილეში შპრანგერის მიერ აღწერილ ტიპებს იმ სახით, როგორც ეს მის ტიპოლოგიაშია მოცემული, მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი. შპრანგერისა და შტერნის ტიპოლოგია „განსაზღვრული სოციალ-ეკონომიური ფორმაციის იდეოლოგიის უდავო ნიშნებს ატარებს. ორივე კაპიტალისტურ საზოგადოების სიღრმეში გამეფებულ ურთიერთობათა ზუსტ სურათს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში საზოგადოება და პიროვნება მკვეთრად ეთიშება ერთმანეთს. ისინი სრულიად განსხვავებულ მისწრაფებებს ამქლავნებენ. ასეა შპანგერის ტიპოლოგიაში, სადაც, მაგ., ეკონომიური და პოლიტიკური ადამიანი მკვეთრად განსხვავდება სოციალურისაგან[1].

[1] დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 199.

ასეთ ტიპოლოგიურ სისტემაში დაუსაბუთებელია მიზნის მიხედვით უცვლელი ტიპის არსებობა. შპრანგერის მიერ წამოყენებულია ადამიანების მიზანთა სამყაროს და ობიექტური კულტურის, იდეოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. მაგრამ იმის გამო, რომ ობიექტური კულტურა, იდეოლოგია მოწყვეტილია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ საფუძველს, ეს ღირებულებები იქცევა განვითარების გარეშე მდგომ ნორმატულ-მარადიულ ღირებულებად. ამგვარი კონცეფციის წინაშე ყოველთვის შეიძლება დაისვას კითხვები: რა განსაზღვრავს პიროვნების მიზანშეწონილ ქცევას; როგორ იქცევა მიზნად ქცეული მოთხოვნილება კონკრეტულ ქცევად. რა კონკრეტული ურთიერთობაა მოთხოვნილებასა და გარემოს შორის? პაულ ბოდე ამ კითხვაზე შემდეგ პასუხს გვაძლევს: „ჩვენ სულში იმდენი სიმია დაჭიმული, რამდენი ღირებულების მიმართულებაც არსებობს. ამ სიმებს შორის მხოლოდ ზოგიერთია ისე მომართული, რომ სწორ ტონს იძლევა. ეს ის სიმებია, რომელთაც ხშირად ვხმარობთ, სხვები კი, მართალია, არაებობენ, მაგრამ აუწყობელი არიან და დაჟანგული: როდესაც გარემოდან რამე ისმის, იგი მხოლოდ მაშინ ააჟღერებს შესატყვის სიმებს"[1]. ამ მოსაზრებიდან ნათლად ჩანს სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთისაგან სრული გათიშვა. აქ გამორიცხულია მთლიანი პიროვნების ფაქტორი, რაც ამ ორი სინამდვილის ურთიერთობას გასაგებს გახდიდა. მისწრაფება, მიზანი, რომელიც განცდის სახით ამჟღავნებს თავის არსებობას, უშუალო კავშირშია გარე სიმანდვილესთან. არ ჩანს ის კონკრეტული პიროვნება, რომელიც მიზნების მატარებელია და განსაზღვრავს მიზნებისა და განცდის მიმდინარეობას. არ ჩანს ის გამშუალებელი კონკრეტული ცენტრი, რომელიც გასაგებს გახდიდა გარემოსა და პიროვნების მიზნის უთიერთობას, ამ უკანასკნელთა ქცევასა და განცდაში მთლიანობის სახით მოცემულობას. მისწრაფებად ქცეული მოთხოვნილება მიუთითებს მხოლოდ პიროვნების მიმართულობაზე, მაგრამ თუ როგორ უნდა განხორციელდეს იგი კონკრეტული, ტიპიური ქცევის სახით, ეს მოთხოვნილების ფაქტში სრულებით არ იგულისხმება. საჭირო ხდება ჩვენება და დასაბუთება კონკრეტულ

[1] პაულ ბოდე, გონის მეცნიერებითი ფსიქოლოგია. თანამედ. მომდ. ფსიქოლოგიაში, გვ. 103.

პიროვნებაში ისეთი ცენტრალური ფაქტორისა. რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილებისა და სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე მიზანშეწონილი ქცევისა და განცდების გაშლას. სწორედ ასეთ კონკრეტული პიროვნების ბუნების გათვალისწინების ნიადაგზე შეიძლება პიროვნების ხასიათის ტიპოლოგია.

ვ. შტერნის მიერ დადგენილი ხასიათის ტიპოლოგია უთუოდ წარმოადგენს შედარებით პროგრესულ ცდას. მის ტიპოლოგიაში გარდა მიზნის თვალსაზრისისა, მხედველობაში მიღებულია სხვა მნიშვნელოვანი მხარეები (ნებელობის დინამიკა და ხასიათის სტრუქტურა). განსაკუთრებული სიმკვეთრით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პიროვნება განსაზღვრავს ხასიათისეულ ქცევას. შტერნის მიხედვით, პიროვნების ცნებაში იგულისხმება პირველადი დაუნაწევრებელი ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალური არსებობა, რომელიც ფსიქიკურისა და ფიზიკურის წინააღმდეგობის მიღმა დგას. შტერნის მიხედვით, „პიროვნება არის თვითმოქმედი, თვითშემოქმედი, მიზანმსწრაფი აზრიანი მთლიანობა". ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალური პერსონის ძირითადი ნიშანია მრავალერთიანობა, მიზანსწრაფვა და ინდივიდურობა. ძირითადი მნიშვნელობა აქვს მიზანსწრაფვას[1].

ხასიათი — ეს ნებელობის ჭრილში განკვრეტილი მთლიანი პიროვნებაა. იგი მიზნისეულობის დისპოზიციაა. ხასიათის ტიპი შეიძლება განხილულ იქნას სამ ასპექტში: მიზნის თვალსაზრისით, ნებელობის დინამიკისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. მიზნის მიხედვით იგი არჩევს რამდენიმე ძირითად ტიპს. ნებელობის დინამიკის მიხედვით იგი განასხვავებს მტკიცესა და სუსტ ხასიათს, საკუთარ მოქმედებას დაუფლებულსა და დაუუფლებელ ხასიათს. ხასიათის სტრუქტურა მიუთითებს პიროვნების ნაწილობრივი თვისებების ურთიერთობის თავისებურებაზე. სტრუქტურის მიხედვით იგი განასხვავებს კონფლიქტურსა და ჰარმონიულ ხასიათს.

ვილიამ შტერნის დამსახურებად ქარაქტეროლოგიის წინაშე ის გარემოება ჩაითვლება, რომ მან ხასიათის არსის გაგებისა და ტიპოლოგიის დასადგენად წინა პლანზე წამოაყენა მთლიანი პიროვნება, რომელიც საფუძველია. როგორც ცალკეული ფსიქიკური

---

[1] W. Stern, Allgemeine Psychologie 1935. გვ. 90.

ფუნქციებისა, ისე ხასიათისა. მან მიუთითა, რომ ხასიათის ტიპის დასადგენად აუცილებელია წვდომა პირველადი მთლიანი პიროვნების თავისებურებისა. რადგან, შტერნის აზრით, პირველ რიგში პიროვნება ამყარებს გარე სინამდვილესთან ურთიერთობას, პერსონაა საწყისი ფსიქიკური მოვლენებისა, ამისათვის ხასიათის თავისებურების კვლევა უნდა წარიმართოს ამ პირველადი საწყისის ბუნების შესწავლის მიმართულებით. ამ მხრივ შტერნის კონცეფცია უთუოდ პროგრესული მოვლენაა. ხასიათის ცნება ყოველთვის გულისხმობდა ისეთ ქცევას, რომელშიც მკვეთრად აღბეჭდილია მთლიანი პიროვნების რაგვარობა, მისი კონსტიტუტური თვისებები: ოღონდ საჭირო იყო იმ სუბსტანციის დადგენა, რომელიც აგვიხსნიდა და გასაგებს გახდიდა ხასიათის ნიშნების გამოვლენას. შტერნის აზრით, ეს სუბსტანცია ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალური პიროვნებაა, ხასიათი კი — ნებელობის მქონე პიროვნების ენტელექტია.

მიუხედავად ასეთი ცდისა, იდეალისტური კონცეფციის გაზიარების გამო ვ. შტერნმა მაინც ვერ მოახერხა კონკრეტული პიროვნების ქარაქტეროლოგიის დასაბუთება. ჯერ ერთი, მისი პერსონა კონკრეტული არსებობა კი არაა, არამედ მეტაფიზიკური არსია, რომლის კვლევაც ობიექტური მეთოდებით შეუძლებელია. ადამიანის მიზნების წარმოშობა და პიროვნებაში ჩანერგილობა კონკრეტულ გარემოსთან ურთიერთობისა და განვითარების შედეგი კი არაა. არამედ პირველადი, მარადიული, მეტაფიზიკური არსის, პერსონის ნიშანია. ვ. შტერნის მიხედვით, მიზანი შეიძლება არსებობდეს თავიდანვე, გარემოს გარეშე. გარემო საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რომ მიზანმა ჰპოვოს თავისი განხორციელება. გარემოსა და მიზნის დისპოზიციის ურთიერთთან შეხვედრას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს, მიზნის დისპოზიციისა და სინამდვილის ურთიერთობა ფაქტიურად მკვეთრად ხაზს უსვამს ამ ორ მოვლენათა არა ერთიანობას, არამედ დამოუკიდებელ რეალობად გამოცხადებას — „ფაქტიურად ეს კონცეფცია დუალისტურია". (დ. უზნაძე).

შტერნის მიხედვით მიზანში მოცემულია პიროვნების აქტივობის მიზეზი. პიროვნების მიზანი მისი ქცევის მიზეზია. ასეთი შეხედულება უაღრესად ტელეოლოგისტურია. იგი უგულვებელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ მიზეზობრივი განვითარების პროცეს-

ში სიცოცხლის ფორმაში ისახება მიზნობრივი მოქმედების ტენდენციები, რომ ყოველი მიზანი ორგანიზმის რომელიმე სპეციფიკური თავისებურებიდან, კერძოდ. მოთხოვნილებიდან შეიძლება მომდინარეობდეს. ტელეოლოგისტური კონცეფციის ნიადაგზე დადგენილი პიროვნების ტიპები აინამდვილეში წარმოადგენენ აბსტრაქტულ სქემებს, კონცეპტებს. რომელნიც ვერ ასახავენ პიროვნების ტიპოლოგიურ თავისებურებას.

ამჟამად საზღვარგარეთულ ქარაქტეროლოგიაში ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა ამერიკელი ფსიქოლოგი **გორდონ ოლპორტი**. გ. ოლპორტის კონცეპციის ამოსავალი ვ. შტერნის შეხედულებებშია მოცემული. ოლპორტი იძლევა შტერნის პერსონალისტური მოძღვრების სისტემატურ ანალიზს. პიროვნების ფსიქოლოგიის მამამთავრად იგი შტერნს თვლის. ამ უკანასკნელის გავლენით იგი აყალიბებს პიროვნების თავისებურ გაგებას. ოლპორტი ცდილობს შეისწავლოს განუმეორებელი. თვითმყოფი ინდივიდის, როგორც ცალარსის ფსიქოლოგია. მისი აზრით, ყოველი ინდივიდი განსაკუთრებულობით და განუმეორებლობით ხასიათდება; ჭეშმარიტი ფსიქოლოგია ამ განუმეორებელი ინდივიდის სტრუქტურის დადგენას უნდა ემსახურებოდეს. მისი აზრით, არ არსებობს ფსიქოლოგიის ისეთი კანონები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს ყველა ადამიანზე, ასეთი კანონები სინამდვილეს მოწყვეტილი აბსტრაქციის შედეგი იქნებოდა. ,მავე დროს ოლპორტი არ უარყოფს. რომ პრაქტიკისათვის საჭიროა მრავალი ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის საერთო მიახლოებითი კანონების დადგენა. ,ოლპორტის მიხედვით, „პიროვნება არის დინამიკური ორგანიზაცია ინდივიდის იმ ფსიქოფიზიკური სისტემებისა. რომლითაც განსაზღვრულია ამ ინდივიდის თავისებური და განუმეორებელი შეგუება თავის გარემოსთან".[1]

ახლა ვიკითხოთ, თუ რა სისტემების ორგანიზაციას წარმოადგენს პიროვნება? ოლპორტის კონცეფციის მკვლევარი ჩერმაკი მოკლედ ასე ახასიათებს მის კონცეფციას: ოლპორტის მიხედვით, „პიროვნება არის დისპოზიციათა კომპლექსი — ორგანიზაცია. დისპოზიცია — ეს იგივე ხასიათის ნიშანია. პიროვნების ინდივი-

[1] G. Allport, Personality. A Psychological Interpretation 1937. გვ. 50.

დუალობა ამ ნიშანთა ორგანიზაციის თავისებურებაში ვლინდება. პიროვნებაში ნიშნები სტრუქტურის სახითაა მოცემული, ამიტომ მათში ნაწილების აღმოჩენა შეუძლებელია"[1]. პიროვნების სტრუქტურა ნიშნების ორგანიზაციაში იჩენს თავს. ოლპორტის მიხედვით, წამყვან ნიშანს შეუძლია მრავალი განსხვავებული ნიშნების გაერთმნიშვნელოვანება, შეუძლია წარმოქმნას და მიმართულება მისცეს შეგუებითი და ექსპრესიული სახის ქცევის ტოლფასოვან ფორმებს. ოლპორტმა ინგლისურ სიტყვათა ლექსიკონიდან შეარჩია მრავალი სიტყვა, რომელნიც გამოხატავენ ინდივიდის დამახასიათებელ ნიშნებს (ქარაქტერისტიკებს) და წარმოადგენენ პიროვნების დინამიკური ორგანიზაციის საფუძველს. პიროვნების ხასიათის ნიშნების გამომხატველი სიტყვებია: უცერემონიო, მკაცრი, აგრესიული, აქტიური, ზუსტი, აკადემიური, აგნოსტიკური, ესთეტიკური, არტისტული, შემთანხმებელი, ფაქიზად შემყვარებელი, ადვილად შემყვარებელი, იპოქონდრიული და უამრავი სხვა.

ოლპორტის მიხედვით, პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები წარმოადგენენ ინდივიდის მომავლისაკენ სწრაფვის, მომავლისაკენ მიმართვის პირველად ფორმებს. ისინი გვიჩვენებენ, თუ საით მიემართება პროვნება, რას გააკეთებს, რას ჩაიდენს იგი მომავალში. თავისი აზრის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს პოლ ვაისის სიტყვები: „ჩვენ ვიცნობთ ჩვენს მეგობრებს, იმიტომ რომ ვიცით, თუ რა სახის მომავალს ქმნიან ისინი". პიროვნებას მრავალი დამახასიათებელი ნიშანი („ქარაქტერისტიკა") აქვს, მაგრამ მათში წამყვანია რამდენიმე მათგანი. მაგალითად, სპეციალური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ცნობილი ფსიქოლოგის უ. ჯემსის პიროვნების გასაგებად საკმარისი გახდა 8 ნიშნის დადგენა (ოთხი უარყოფითისა და ოთხი დადებითის). ჯემსის პათოლოგიური ნიშნებია: ჰიპოქონდრია, ჰალუცინაციური განცდებისაკენ მიდრეკილება, გუნებაგანწყობილების პათოლოგიური ხშირი ცვლილებები, სრული ანტიპათია აზროვნების იმ ფორმებისადმი, რომლებიც იყენებენ განსაზღვრებებს, სიმბოლოებს და დასკვნის ჯაჭვებს. დადებითი ნიშნებია: გონივრულობა, სიმკვირცხლე, ჰუმანურობა და გულღიაობა. ამ უკანასკნელი ოთხი ნიშნით გამსჭვალულია მისი

[1] Shermak, Basic Problem of Behaviour, 1941. გვ. 553.

საზოგადოებრივი საქციელი. ამ ნიშნებში შემჭიდროებულია მისი პირონენების არსი. ისე, როგორც მრავალი მავთულის შეერთება ქმნის კაბელს, ხასიათის მრავალი ნიშანი წამყვან დამახასიათებელ ნიშანში იყრის თავს და ასეთი „კაბელით" ამყარებს ადამიანი კავშირს გარე სამყაროსთან. ძირითადი ნიშნები — პიროვნების „ლეიტმოტივები", „ყოვლის შემცველი ერთეულები, პიროვნებაში არის შორსმწვდომი, მომავლისკენ მიმართული მისწრაფებები" (ინტენციონალური დისპოზიციები). ამ ნიშნებს (ქარაქტერისტიკებს) უნიკალური მნიშვნელობა აქვთ პიროვნებისათვის; ისინი იზიდავენ, წარმართავენ, ზღუდავენ უფრო მარტივ, ელემენტარულ ერთეულებს, ათანხმებენ ძირითად წამყვან ნიშნებს. ეს დებულება ძალაშია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ხშირია მოუწესრიგებელი, იმპულსური, კონფლიქტებით აღსავსე ქცევა. დასასრულ, ეს კარდინალური „ქარაქტერისტიკები" რიცხვით არაა უსაზღვრო, არამედ ზრდადასრულებულ ადამიანში შედარებით მცირეა და გარკვეული[1].

ამრიგად, ოლპორტის მიხედვით, პიროვნების სტრუქტურის დინამიკური ორგანიზაციის საფუძვლად ითვლება ხასიათის ნიშნები, როგორც დისპოზიციები. რადგან ასეთი ნიშნები უამრავია და ინდივიდისათვის მხოლოდ ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს დამახასიათებელი, ამიტომ ერთი ინდივიდის სტრუქტურა განსხვავდება მეორე ინდივიდის სტრუქტურისაგან. არ არსებობს ზოგადი, ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებათა კონფიგურაცია, არ არსებობს ადამიანთა ისეთი ჯგუფები, რომლებსაც თვისებათა ერთნაირი კონფიგურაცია ახასიათებდეს. ამიტომ პიროვნების როგორც ზოგადფსიქოლოგიური, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით განხილვა სრული ფიქციაა. ოლპორტის კონცეფცია პიროვნების სტრუქტურის შესახებ, შტერნის კონცეფციასთან შედარებით, წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს. შტერნმა პიროვნების ხასიათის საკითხი ზოგადფსიქოლოგიურ პრობლემათა რიგში დააყენა და ფსიქიკური მოვლენების მაორგანიზებელ ცენტრალურ ფაქტორად პერსონის ზოგადი დისპოზიციის (ენტელექია) არსებობაზე მი-

---

[1] G. Alport, Becoming. Basic Consideratien for a Psychology of Personality. 1957. gg. 50.

ეთითა. ოლპორტმა პიროვნების სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და ტიპოლოგიის დადგენისათვის პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური კანონების ღირებულება უარყო.

მიუხედავად მრავალი საინტერესო დაკვირვებების და დიდი ერუდიციისა, რომელიც ჩანს ოლპორტის შრომებში, მისი კონცეფცია მიუღებელია. ჯერ ერთი, — შეუძლებელია ადამიანის ხასიათის ნიშნები მოვწყვიტოთ ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონს, რომელიც დადგენილია მეცნიერული ფსიქოლოგიის მიერ. რაც მთავარია, შეუძლებელია პიროვნების ხასიათის, როგორც ცალკეული ნიშნების კომპლექსის განხილვა, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ის ძირითადი პიროვნული „ცენტრი" (როგორც ამას ჰეგელი იტყოდა), რომელიც განაპირობებს ამ ნიშნების წარმოშობასა და ერთიანობას. ამ „ცენტრის" დადგენისაკენ ისწრაფვის ხელოვნება და მეცნიერება. პიროვნების დახასიათება ცალკეული ნიშნებით არასოდეს არ ამოსწურავს მთლიანი პიროვნების თავისებურებას და ვერ მოგვცემს მთლიანი ადამიანის პორტრეტს. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა ცნობილი პიროვნების ცალკეული ფსიქიკური თვისებების შესახებ არსებული გამოკვლევები. მაგალითად, ერთმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა (ტულუზი) შეისწავლა მათემატიკოს პუანკარეს პიროვნების ცალკეული ნიშნები. მან ნახა, რომ პუანკარეს ახასიათებდა განსაკუთრებული მეხსიერება (იმახსოვრებდა 11-ნიშნა ციფრებს), რიცხვებზე მისი ასოციაციები იყო პროდუქტიული, ახასიათებდა სმენითი ხატები და მყარი სინესთეზია, უყვარდა მუსიკა თავდავიწყებამდე, გატაცებული იყო მუშაობით; მან შეისწავლა აგრეთვე მისი მორალური ნიშნებიც. როდესაც ტულუზმა შეაჯამა თავის კვლევის შედეგები, თვითონვე აღიარა, რომ მის მიერ მიღებულ ცალკეული ნიშნების „სინთეზში" პუანკარეს გენიალობა, მისი ნამდვილი პიროვნება სრულიად წაშლილია.

III. განწყობის ცნება და ხასიათის კვლევის მეთოდები

ქარაქტერალოგიის პრინციპების ძირითადი ნაკლი. როგორც დავინახეთ, განსხვავებული ქარაქტეროლოგიური სისტემების ანალიზი ადასტურებს, რომ ყველა მკვლევარისათვის ხასიათის არსებით ნიშნად იგულისხმება პიროვნების ისეთი განცდები და ქცევა, რომელიც მთლიანი პიროვნების თავისებურების, მისი რაგვარობის დაღითაა აღბეჭდილი, ხასიათი პიროვნების ისეთი არსებითი ნიშანია, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულების თავისებურებას საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან.

თეოფრასტედან დაწყებული დღემდე, ყოველი ქარაქტეროლოგიური სისტემა, რომელსაც მეცნიერული ღირებულება აქვს, პირველ რიგში ესწრაფვის პიროვნების განცდებისა და ქცევის განმსაზღვრელი მექანიზმის დადგენას და ამ უკანასკნელის გათვალისწინების ნიადაგზე ცდილობს ხასიათის ნიშნების აღწერას, ამ ნიშნებში პიროვნების არსის თავისებურების წვდომას. თითქმის ყველგან მხედველობაშია მიღებული პიროვნების ორი ფენა, განცდებისა და ქცევის განმსაზღვრელი „მექანიზმის“ თავისებურება და ამ უკანასკნელის შესატყვისი ხასიათის ნიშნები. პიროვნების არსის დასახასიათებლად ქარაქტეროლოგიის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა მკვლევარის მიერ წამოყენებული იყო წარმოდგენის, ნებელობის ენერგიის, სენტიმენტის, ინსტიქტის, მიდრეკილების, ტემპერამენტის, მეტაფიზიკური პერსონის, ქარაქტეროლოგიური ძირითადი თვისების — გრძნობისა და სხვა ანალოგიური ცნებები. ამ ავტორების მიხედვით, პიროვნების ხასიათს განსაზღვრავს აღნიშნული ძირითადი ფსიქოლოგიური მექანიზმების თავისებურება. ჩვენ ვუჩვენეთ ამ პრინციპის ღირებულება და უკმარობაც პიროვნების ტი-

პოლოგიისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ გამოკვლევებში მიგნებულია ხასიათის ბუნების უმნიშვნელოვანესი მხარეები, დადგენილია ხასიათის ძირითადი ტიპები, რომელთაც შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს მეცნიერებამ და ხელოვნებამ, მაინც ეს გამოკვლევები მეთოდოლოგიური ამოსავალის იდეალისტურ-მექანისტური პრინციპების გამო, მთელი რიგი ღრმა ხარვეზების შემცველია. ყველა ამ გამოკვლევებში ხასიათი წარმოადგენს ან ფსიქიკური პროცესების ჯამს, ხასიათი გაიგივებულია ფსიქიკურ პროცესებთან, ან მისი არსი ემთხვევა პიროვნების სიღრმეში მდებარე ინსტინქტებს, მიდრეკილებებს, პრიმიტიულ იმპულსებს. წარმოდგენები, ინსტინქტები, მიდრეკილებები აღჭურვილი არიან მისტიკური ძალით, რომლითაც ისინი უშუალოდ ამყარებენ კავშირს გარე სამყაროსთან. ეს ძალები დამოუკიდებლად მართავენ ადამიანის შინაგან სამყაროს და განსაზღვრავენ გარე სამყაროსთან მის დამოკიდებულებას. ამ სისტემებში უგულვებელყოფილია კონკრეტული მთლიანი პიროვნება, რომელიც მატარებელია ფსიქიკურის, ხასიათის და რომლისთვისაც ფსიქიკა წარმოადგენს იარაღს, საშუალებას გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის, თავისი კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

განწყობის ცნება. რადგან ხასიათის ცნების ჩვეულებრივი, უთუოდ სწორი გაგება გულისხმობს კონკრეტული პიროვნების თავისებურების სოციალურ დამოკიდებულებებში გამოვლენას, პირველ რიგში, უნდა მოიძებნოს სწორედ კონკრეტული, მთლიანი სუბიექტი, დადგინდეს ამ სუბიექტის კანონზომიერება, მოიძებნოს ისეთი ტიპები, რომელშიც განსახიერებული იქნება ამ კანონზომიერების თავისებურება. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი ცნება თანამედროვე ფსიქოლოგიაში აკად. დ. უზნაძის მიერ დადგენილი **განწყობის** ცნებაა.

ჩვენ აქ ვრცლად არ შევჩერდებით განწყობის თეორიის დახასიათებაზე, რადგან იგი ვრცლად და მრავალმხრივ განხილულია აკად. დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მიერ ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან შრომებში. ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, დარწმუნებული ამ ცნების უაღრე-

სად დიდ მნიშვნელობაში, განსაკუთრებული თანმიმდევრობითა და სიბეჯითით ცდილობს მისი ბუნების კანონზომიერების შესწავლას[1].

განწყობის ფსიქოლოგია მთელი რიგი უტყუარი ფაქტების ნიადაგზე ადასტურებს, რომ კერძო აქტებს და მოვლენებს წინ უსწრებს ამ აქტების მატარებელი სუბიექტი, როგორც მთელი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ რეალობას და შეიცავს სპეციფიკურ კანონზომიერებას. როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს, პირველ რიგში, სუბიექტში, როგორც მთელში და არა მის ფსიქიკურში ან ქცევის აქტებში ხდება გარკვეული ცვლილება. სუბიექტი, როგორც მთლიანი, უპასუხებს გარე სინამდვილის ზემოქმედებას. ეს მთლიანობითი სახის ცვლილება წინ უსწრებს კერძოულს, ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს, და მასზე არ დაიყვანება. რადგან პიროვნება გარესინამდვილის პროდუქტს წარმოადგენს, აქტიური სუბიექტის, როგორც მთლიანობის, გააზრება შეუძლებელია მისი გარესინამდვილესთან ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე. ამიტომ განწყობის ფსიქოლოგია, პირველ რიგში, იკვლევს საკითხს, თუ რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ სუბიექტს, სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, ეს მთლიანობითი ხასიათის ცვლილება აღმოუცენდეს. ირკვევა, რომ მთლიანობითი ხასიათის ცვლილებების აღმოცენებისათვის ორი ფაქტორია აუცილებელი: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური ფაქტორია — მოთხოვნილება, ობიექტური კი — სიტუაცია.

ადამიანი და, საერთოდ, ყოველი ცოცხალი არსება მოთხოვნილებათა მატარებელია. ამ მოთხოვნილებათა იმპულსებით ამყარებს ყოველი ცოცხალი არსება კავშირს გარემოსთან. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იწყებს იგი ქცევას. ამავე დროს ქცევის განსახორციელებლად აუცილებელია ის სინამდვილე, ობიექტი, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება. ადამიანმა რომ კვების მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, საჭიროა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა — საკვები. კვების მოთხონილებისა და საკვების შეხვედრის შემთხვევაში სუბიექტი იწყებს მოქმედებას — ჭამას. მაგრამ ამ მოქმედების დაწყებას წინ უსწრებს სუ-

[1] განწყობის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები განზოგადებულია განწყობის თეორიის ავტორის დ. უზნაძის მონოგრაფიაში: „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები", 1949 წ., ფსიქოლოგია, ტ. მე-6.

ბიექტის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ობიექტური სიტუაციის ასახვა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი საგნის ასახვის ნიადაგზე, დ. უზნაძის აზრით, ჩნდება კონკრეტული მოქმედების განწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილების მიზანშეწონილად დაკმაყოფილებას.

პიროვნების განწყობა, რომელიც კონკრეტულ ქცევისადმი შინაგანი მობილიზაციის, აწყობის სახითაა მოცემული, მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის ქცევა სრულიად კონკრეტული მატერიალური ფაქტორებით — მოთხოვნილებითა და გარემოთია განსაზღვრული. თავისთავად ვერც გარემო და ვერც მოთხოვნილება ურთიერთისაგან დამოუკიდებლად ვერ წარმოქმნიან ქცევას: ქცევის გამოსავლენად აუცილებელია ამ ორი ფაქტორის არსებობა. მაგალითად, თუ ადამიანს სწყურია, ე. ი. აქვს სითხის მიღების მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ ქცევას იგი დაიწყებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის წყალი. ხოლო თუ ადამიანს არ სწყურია, მაშინ მის წინაშე კიდეც რომ იდგეს წყლით სავსე ჭურჭელი, იგი არ იწყებს წყლის დალევას, იგი გულგრილი რჩება წყლისადმი. სუბიექტმა წყლის დალევა რომ დაიწყოს, ამისათვის აუცილებელია არსებობდეს წყლის დალევის მოთხოვნილება და წყალი, როგორც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა. ამ ორი ფაქტორის ერთიანობა წარმოშობს წყლის დალევის განწყობას. ამ განწყობის ნიადაგზე სუბიექტი მიმართავს ისეთ ქცევას, რომელიც აუცილებელია წყლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, ირკვევა, რომ ადამიანის ქცევა ყოველთვის პიროვნებისეული ხასიათისაა, იგი პიროვნების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მოხერხდა იმ გარემოს სწორი ასახვა, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობას წარმოადგენს. ასეთი ასახვის პროცესი პიროვნების აწყობის, მისი განწყობის ჩამოყალიბების პროცესია. ამგვარად ჩამოყალიბებული განწყობა განსაზღვრავს ქცევის მიზანშეწონილად მიმდინარეობას. განწყობა სუბიექტის ის მთლიანობითი სახის ცვლილებაა, რომელიც

განაპირობებს ადამიანის ქცევისა და განცდების აღმოცენებასა და მიმდინარეობას.

ფიქსირებული განწყობა. დ. უზნაძემ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ქცევის განწყობა შეიძლება განმტკიცდეს მისი წარმომქმნელი სიტუაციის გამეორების შედეგად, ე. ი. შეიძლება არსებობდეს ფიქსირებული განწყობა. ხშირი გამეორებისა და დიდი პიროვნული წონის გამო რომელიმე, გარკვეული სახის განწყობა შეიძლება ადვილად აგზნებადი გახდეს და შესაფერის პირობებში ადვილად აღმოცენდეს. მაგალითად, თუ ადამიანს შესადარებლად მივცემთ განსხვავებულ სიდიდეებს (მოცულობებს, წრეებს, სიმძიმეებს) და ამ შედარებებს 10—15-ჯერ გავიმეორებთ, განსხვავებული სიდიდეების შედარების შედეგად, ადამიანში ფიქსირდება განსხვავებული სიდიდეების აღქმის განწყობა. თუ ასეთი განწყობის შემუშავების შემდეგ მას ტოლ სიდიდეებს მივაწვდით, მაშინ ეს ტოლი სიდიდეები მას შემუშავებული უტოლობის განწყობის ზეგავლენით უტოლოდ ეჩვენება — ე. ი. ჩნდება განწყობის ილუზია.

თუ ასე ხდება ექსპერიმენტულ პირობებში პიროვნებისათვის ნაკლებად ღირებული შინაარსების მიმართ (სიდიდეების შედარება), მაშინ სრულიად აშკარაა, თუ რაოდენ მტკიცე და ხანგრძლივი უნდა იყოს ის განწყობა, რომელიც პიროვნებაში განმტკიცებულია მისი ბიოლოგიური ან სოციალური მოთხოვნილებებისა და შესატყვისი გარემოს ერთიანობის ნიადაგზე. ფიქსირებული განწყობის ცნება იმაზე მიუთითებს, რომ ცხოვრების განმავლობაში ადამიანს უმუშავდება და უმტკიცდება სხვადასხვა ქცევისადმი განწყობა, რომელიც შემდეგში ასეთ ქცევათა ადვილად აღმოცენების პირობად რჩება. თუ პიროვნებაში განმტკიცებულია მაღალზნეობრივი ქცევის განწყობა, თუ ამგვარი განწყობის ადვილად აღმოცენება პიროვნების თვისებადაა ქცეული, მაშინ ასეთი პიროვნების წინაშე ზნეობრივი საქციელის საკითხის წამოჭრის პირობებში (როგორ მოექცეს ადამიანს, სამშობლოს და სხვ.) მრავალი ქცევიდან, რომელთაც მისი პიროვნება შესაძლებლად სცნობს, იგი აირჩევს ისეთს, რომლის მიმართაც მას ჰქონდა განწყობა ფიქსირებული.

ერთხელ შემუშავებული განწყობა გარკვეული ქცევის სახით

უნდა დასრულდეს, მისი რეალიზაცია ქცევაში უნდა მოხდეს, მაგრამ ეს ყოველთვის ამრიგად არ ხდება. განწყობა ხშირად ფერხდება. შესაძლოა განწყობამ, სათანადო რეალური პირობების უქონლობის გამო, წარმოსაბვაში, ოცნებაში ჰპოვოს დაკმაყოფილება. რადგან მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის წარმოსახული საშუალებები ყოველთვის საკმარისი არაა, ამიტომ ასეთი რეალიზაცია უფრო „სუროგატია ნამდვილი რეალიზაციისა". გარდა ამისა, ადამიანის მოთხოვნილებათა სირთულისა და სიმრავლის ფაქტი გაუსაგებად ხდის ისეთ შემთხვევებსაც, როცა განსაზღვრულ პირობებში აღმოცენებული განწყობა წარმოსახვაში, საერთოდ, ფსიქიკური რეალიზაციის შესაძლებლობასაც მოკლებულია. ფროიდის „გაძეულებულ განცდათა" ცნება არსებითად ასეთი განწყობის ფაქტზე მიუთითებს, არარეალიზმული განწყობებიც ფიქსირებულ განწყობათა კატეგორიაში შედის და შესაფერის ვითარებაში განაპირობებს სათანადო ქცევისა და განცდების აღმოცენებას (დ. უზნაძე).

ადამიანში ფიქსირებული განწყობის მოქმედების ბრწყინვალე ნიმუში მოცემულია იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებში „იავნანამ რა ჰქმნა". ზ. ხოჯავამ ამ მოთხრობის ფსიქოლოგიური ანალიზის ნიადაგზე[1] ნათლად გვიჩვენა, რომ „იავნანას" ჰანგების საოცარი ძალა, რომელმაც ლეკად ქცეულ ქართველ გოგონას მშობლიური მოგონებები აღუძრა და ისევ ქართველად აქცია, მხოლოდ და მხოლოდ ყოველი ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი განწყობის ფიქსაციის მოვლენით შეიძლება აიხსნას. პატარა ქეთო, მშობლიური თბილი ალერსით გარემოცული, სამ წლამდე საქართველოში იზრდებოდა. მისი ორივე მშობელი დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით. დედისაგან ხშირად ესმოდა მას ქართული სიმღერების, კერძოდ, იავნანას გულშიჩამწვდენი ჰანგები. „ქეთოსაც საშინლად უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირად ამღერებდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით". ასეთ გარემოში აღზრდილი სამი წლის ბავშვი ლეკებმა მოიტაცეს. იგი სულ ახალ გარემოში მოექცა. ნაიბის ოჯახი, მისი ახალი „მშობლები", მას სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებდა, ყველა პირობას უქმნიდა, რომ იგი ლეკად ქცეულიყო. კიდევაც, თანდათანობით, მან დაი-

[1] ზ. ხოჯავა, „ფსიქოლოგიური სისწორე მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა". საიუბილეო კრებული: იაკობ გოგებაშვილი, 1940 წ., გვ. 110—127.

ვიწყა ყველაფერი. რაც თავისი ღვიძლი მშობლებიდან შეიძინა, ოღონდ ყველაზე გვიან დაავიწყდა დედის სიმღერა. ქეთო დიდხანს, განიცდიდა დედის ტკბილი ჰანგების დანაკლისს. მაგრამ საბოლოოდ ისიც დავიწყებას მიეცა. ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს, რომ ქეთოს მთლიანად დაავიწყდა ყველაფერი ის, რაც მისმა მეხსიერებამ საქართველოში შეითვისა, და. იგი მთლიანად ლეკის ქალად იქცა. მაგრამ საქმის ვითარება წარიმართება ისე, რომ 13 წლის ქეთოს მისი ნამდვილი მშობლები დაიბრუნებენ. ლეკად ქცეული ქეთო სიძულვილით ეპყრობა ყოველივე მშობლიურს, იგი მთელი არსებით ლეკეთისაკენ ისწრაფვის. ეს მდგომარეობა დიდხანს გრძელდება. მაგრამ ერთბაშად მოხდა „ფასწაული". ქეთოს ესმის დედის „იავნანა". ამ სიმღერის გაგონებამ მთლიანად შესცვალა მისი პიროვნება, აღუძრა ბავშვობის ტკბილი მოგონებები, იცნო დედა და ქართველად იქცა.

მწერალი უთუოდ ღრმა ინტუიციით წვდება ქეთოს ასეთი მობრუნების ფსიქოლოგიურ ბუნებას. მწერლის თქმით, ეს სიმღერა ღრმად ჩაწვდა მის არსებას; ამ სიმღერამ მოახერხა მისი „არსების შეძვრა", შერხევა, „მისი ბუნების სიღრმეში, ძირში ჩაწვდომა", „გაცოცხლება იქ დამარხულ ნაშთთა, საგონებელთა". „აღმოჩნდა, რომ პირველი წლების შთაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გამქრალიყვნენ და არ წაშლილიყვნენ, არამედ თურმე ღრმად ეძინათ, დამარხული იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში, ძირში, როგორც მცენარის თესლია დამარხული მიწაში... ამ ჩასახულობათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელიმე ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას. ამგვარი შთაბეჭდილების მოხდენა შესძლო მხოლოდ მშობლიურმა ხმამ, საბავშვო სიმღერამ, „იავნანამ", რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი". თუ განწყობის ფსიქოლოგიის ენით გამოვთქვამთ ქეთოს ამ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ ი. გოგებაშვილი ქეთოს მობრუნების მიზეზად თვლის არა მეხსიერებას, წარსულის გახსენებას, რადგან წარსული შთაბეჭდილებები, როგორც ცნობიერების შინაარსი, ბავშვს მთლიანად დავიწყებული ჰქონდა, — არამედ იმ მთლიანი პიროვნული ცვლილებების აღდგენას, რომელიც პატარა ქეთოში ფიქსირებული იყო სამ წლამდე და წარმოადგენდა მისი პიროვნების ყველაზე მნიშვნელოვან მოდუსს.

ქეთოს შეიძლებოდა დავიწყებოდა დედის სიმღერის შინაარსი, დედის სახეც, მაგრამ ბავშვობის ხანის მძლავრი პიროვნული ცვლილება (განწყობა), რომელიც. გამოწვეული იყო დედის „იავნანას" ხშირი მოსმენით, მისმა პიროვნებამ ფიქსირებული განწყობის სახით შემოინახა. მან დაივიწყა სიმღერის შინაარსი, ჰანგები, მუსიკალური წარმოდგენები, ბავშვობის ხანის მოგონებები, განცდები, ე. ი. ყველაფერი ის, რაც ცნობიერებაში ჰქონდა, მაგრამ მთლიანი ცვლილებების —განწყობის, როგორც დისპოზიციის დავიწყება შეუძლებელი გახდა—„ცნობიერების შინაარსი, რომელიც გარკვეული განწყობის ნიადაგზე ჩნდება, შეიძლება მოისპოს, გაქრეს, მაგრამ განწყობამ, როგორც სუბიექტის არსებობის მოდუსმა მაინც განაგრძოს არსებობა" (დ. უზნაძე). საკმარისი იყო ბავშვობაში ფიქსირებული განწყობის შესატყვისი სტიმულის ხელმეორედ ზემოქმედება (10 წლის შემდეგ), რომ პიროვნებაში ერთხელ მძლავრად ფიქსირებული მდგომარეობა (განწყობა) ისევ გაცოცხლებულიყო. მშობლიური ჰანგების მოსმენა მასში ისევ აღვიძებს პირველდელ მთლიან მდგომარეობას, როგორც საკუთარ ძალთა გარკვეული მიმართულებით ამოქმედების განწყობას, რის საფუძველზედაც შემდეგ მოგონების სხვა კონკრეტული განცდებიც ჩნდებიან.[1]

განწყობა პიროვნების ყველაზე ღრმა, ყველაზე ცენტრალური მდგომარეობაა, რომელსაც დროში დიდი გამძლეობა აქვს. იგი, როგორც ფიქსირებული მდგომარეობა, შეიძლება დიდხანს დარჩეს პიროვნებაში და ხელახლა აღმოცენდეს შესატყვისი შთაბეჭდილების ზემოქმედების შედეგად.

ობიექტივაცია. დ. უზნაძის შეხედულების მიხედვით, ადამიანის თავისებურებას ის გარემოება შეადგენს, რომ „გარესინამდვილე მასზე, როგორც სოციალურ არსებაზე, ორმაგად ახდენს გავლენას: პირდაპირ უშუალოდ მოქმედი გაღიზიანების და არაპირდაპირი სიტყვიერი სიმბოლოს საშუალებით, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნია და მხოლოდ წარმომადგენელია სხვა გაღიზიანებისა: ადამიანი აღიქვამს ამ სინამდვილეში მიმდინარე პროცესების უშუალო გავლენას ან იმ სიტყვიერ სიმბოლო-

[1] იქვე, 127.

თა ზემოქმედებას, მათ რომ სპეციფიკურ ფორმაში წარმოადგენენ. მაშინ, როდესაც ცხოველის ქცევას მხოლოდ აქტუალური სინამდვილის ზემოქმედება განსაზღვრავს, ადამიანი ამ სინამდვილეს უშუალოდ არ ემორჩილება. მას შეუძლია გარემოფლიოს მოვლენათა ზემოქმედებას მხოლოდ მას შემდეგ გასცეს პასუხი, როცა ამ მოვლენებს თავის ცნობიერებაში გარდატეხას,—მათს გაცნობიერებასა და გააზრებას მოახერხებს".[1] ადამიანს შეუძლია წარმოისახოს თავისი მოთხოვნილების შესაბამისი სიტუაცია და ამის ნიადაგზე შეიქმნას განწყობა. ადამიანისთვის დამახასიათებელია გააზრებული, იდეური სიტუაციის მონაწილეობით მოქმედების განწყობის შექმნა. მაგრამ სიტუაციის წარმოსახვა, გააზრებული სიტუაციის ნიადაგზე განწყობის შექმნა საჭიროებს საკუთარი იმპულსური ქცევის შეფერხებას, საკუთარი ქცევის დაკვირვების ობიექტად გარდაქმნას, ე. ი. ობიექტივაციას. ადამიანს ისტორიული განვითარების პროცესში, სოციალურ არსებად ჩამოყალიბების შემდეგ, შეუმუშავდა თავისი იმპულსების შეფერხების, შეგნებული მოტივაციის ნიადაგზე თავისი მოქმედების წარმართვის უნარი. ადამიანს შეუმუშავდა უნარი სიტყვის საშუალებით განწყობის შემუშავებისა, სხვა ადამიანის სიტყვის ზემოქმედებით პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებისა. ადამიანს აქვს შესაძლებლობა თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებები გაიცნობიეროს და ქცევა მიზანშეწონილად წარმართოს, გარემოს უშუალო ზემოქმედებით ფიქსირებულ განწყობათა კონკრეტული მოქმედების სახით გამოვლენა ცნობიერებით გააშუალოს.

თუ ჩავუკვირდებით პიროვნების მოქმედებას, მასში ვნახავთ არსებითი მნიშვნელობის ორ კომპონენტს. რომელთა ურთიერთობა განსაზღვრავს ქცევის სტრუქტურას. ადამიანის ყოველ ქცევაში ვნახავთ იმპულსურ-განწყობისეულ მხარეს, რაც ცნობიერების მონაწილეობის გარეშე იმპულსურად აღმოცენდება. ამავე დროს შევამჩნევთ მეორე არსებით მხარესაც: ქცევა, რომელიც იმპულსურად აღმოცენდება და მიმდინარეობს, შეიძლება გახდეს ქცევის სუბიექტის დაკვირვების საგანი. სუბიექტი შეიძლება შეჩერდეს ქცევაზე, გაიხადოს იგი თავისივე დაკვირვების საგნად, შეაკავოს ეს ქცევა.

---

[1] დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949 წ., გვ. 106.

შეაფერხოს იგი. ამიერიდან ქცევაში შეჭრილია მასზე შეჩერების ნიადაგზე წარმოშობილი ცნობიერება. ქცევა მიმდინარეობს ცნობიერების კონტროლის საფუძველზე.

ამრიგად, ადამიანის ქცევა ძირითადში აიგება ორი ნაწილისაგან: იმპულსური და ამ იმპულსზე შეჩერების — ობიექტივაციის ნიადაგზე წარმოშობილი ცნობიერების მოქმედებისაგან. ქცევის სტრუქტურას აყალიბებს იმპულსური და ობიექტივაციის დონეს შორის არსებული დამოკიდებულების თავისებურება.

ადამიანის ყოველი ნორმალური ქცევა ობიექტივაციის დონეზე აზროვნებისა და ნებელობის კონტროლით მიმდინარეობს; მაგრამ ამ მხრივ ადგილი აქვს ინდივიდუალურ განსხვავებულობასაც. გვხვდება ადამიანები, რომელთა ქცევა მიმდინარეობს ნებელობის კონტროლის ნიადაგზე; არიან ისეთებიც, რომელნიც თავის ქცევას სუსტად არიან დაუფლებულნი, მათ ქცევაში სჭარბობს იმპულსური მხარე, აქ ფიქსირებული თვისებები ვლინდება და ქცევა იმპულსურად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში იმპულსების შეკავება და ქცევის შეგნების ნიადაგზე წარმართვა ძნელდება, ხშირად ვერც კი ხერხდება. ასეთ ადამიანებს იმპულსურ პიროვნებებს უწოდებენ.

ადამიანის ქცევა და ფსიქიკური მოქმედება განუყრელად არიან ურთიერთთან დაკავშირებული. ყოველგვარი ქცევა, — სჭარბობს მასში იმპულსური, თუ ობიექტივაციით გაშუალებელი კომპონენტი, — განცდის მონაწილეობის გარეშე ნამდვილ ქცევას არ წარმოადგენს. ფსიქიკური მოქმედება, როგორც განცდა, აძლევს აზრს იმ მოძრაობათა კომპლექსს, რომელიც ქცევაში იჩენს თავს, მაგრამ ცალკეული ფსიქიკური მოქმედებები (აზროვნება, ნებელობა და სხვ.) არ შეიძლება ჩაითვალოს ქცევის მიმდინარეობის განმსაზღვრელად; პირიქით, თუ რა სახის ფსიქიკური მოქმედება აღმოცენდება ადამიანში ამა თუ იმ მომენტში, რა მიმართულებას მიიღებენ ისინი, ეს დამოკიდებულია ადამიანის მოთხოვნილებებსა და განწყობებზე. ეს უკანასკნელნი აღძრავენ ფსიქიკურ ცხოვრებას მოქმედებისაკენ და განაპირობებენ მათი მიმდინარეობის სტრუქტურის თავისებურებას. განწყობა არის პიროვნების ის „ცენტრი", რომელიც განაპირობებს ადამიანის საქციელის თავისებურებას.

განწყობა და მსახიობის ქცევა სცენაზე. განწყობის მოქმედების საილუსტრაციოდ აქ შეიძლება გავარჩიოთ მსახიობის „თამაში"

სცენაზე. ცნობილია მსახიობთა ორ ტიპი: პირველი ტიპის მსახიობებს შესწევთ გარდასახვის სრული უნარი, შეუძლიათ მთლიანად ჩართვა გმირის განცდებში, გადასვლა გმირის სულიერ მღელვარეობაში; მეორე, ე. წ. „ინტელექტუალური" ტიპის მსახიობები თავისი მდგომარეობის სრული ცნობიერი რეფლექსის პირობებში ახერხებენ სრული გარდასახვის გარეშე გმირის განცდების, მისი სულიერი ცხოვრების სცენაზე „წარმოდგენას". პირველი სახის მსახიობის ბუნების დახასიათებას იძლევა დანიელი მსახიობი პაულ რეუმერტი... „როდესაც მე ვგრძნობ, რომ ვკვდები, მაშინ მე ნამდვილად ასე ვგრძნობ, მაშინ მას ასე გრძნობენ ყველა სხვებიც; როდესაც მე ვითომ ხელს ვუჭერ ხანჯალს, მე მთლიანად სავსე ვარ ერთი აზრით, სურვილით მოვკლა ეს ბავშვი... ყველა შეძრწუნებულია... თუკი გარდასახვა ხერხდება, მაშინ იგი ამ ქვეყნად ყველაზე უფრო ვადამდებია, მაშინ, რაც შენს გარშემო ხდება, აბსოლუტურად სულ ერთია".

სტანისლავსკიმ მსახიობის მომზადების მთელი სისტემა შექმნა, რომლის არსი სრული სცენური გარდასახვის უნარის შემუშავებაში მდგომარეობს. სტანისლავსკი მოითხოვდა მსახიობის წარმოსახვის მაქსიმალურად გავარჯიშებას და განსასახიერებელი გმირის ცხოვრებაში წარმოსახვით სრული გარდასახვის უნარის განვითარებას: „მთავარია შევიგნოთ, რომ უსხეულო, ხორცსა და მატერიას მოკლებული ოცნება — აღჭურვილია უნარიანობით რეფლექტორულად გამოიწვიოს ნამდვილი მოქმედება ჩვენი ხორცისა და მატერიის — სხეულის. ეს უნარიანობა დიდმნიშვნელოვანია ჩვენს ფსიქოტექნიკაში... თითოეული ჩვენი მოძრაობა სცენაზე, თითოეული სიტყვა შედეგი უნდა იყოს წარმოსახვითი სწორი ცხოვრებისა"[2]. სტანისლავსკის მიხედვით, მსახიობს მთელი არსებით უნდა „სწამდეს" სცენაზე წარმოდგენილი გამოგონილი ამბავი; ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმის გადამწყვეტ ფაქტორს, რომ მსახიობის მოქმედება სცენაზე იყოს ბუნებრივი. ასეთი „რწმენა", სრული გარდასახვის მდგომარეობაში ყოფნა, „ინსტინქტურად" და ერთბაშად იწვევს მოქმედებას, იძლევა მოქმედების ბიძგს. მისი აზრით, ასეთი „რწმენა" ჰგავს გამოგონილისადმი იმ რწმენას, რომელიც დამახა-

---

1 Рапопорт, Работа актера. «Искусство», 1939 г.

2 სტანისლავსკი, მსახიობის მუშაობა თავის თავზე, თარგმანი გ. შუბლიძისა. 1949 წ., გვ. 144.

სიათებელია ბავშვისათვის თამაშის დროს. იმ მსახიობზე, რომელიც თავის ხელოვნებაში მიაღწევს თამაშში ჩართული ბავშვის დარწმუნებულობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი დიდი მსახიობია"[1]. სტანისლავსკი მსახიობის ამგვარ დარწმუნებულობას უწოდებს მთლიან პიროვნულ მდგომარეობას, რომელშიც ადამიანის მთელი ფსიქოფიზიკური ცხოვრებაა ჩართული; ასეთი რწმენა პიროვნების შინაგანი „ქვეცნობიერი" მდგომარეობაა, რომელიც განაპირობებს სცენაზე მსახიობის ბუნებრივ მოქმედებას, განსასახიერებელი გმირის პუნების შესატყვისი განცდებისა და ქცევის თავისუფლად, დაძაბვის გარეშე, რეფლექტორულად განსახიერებას. ასეთ მდგომარეობას მსახიობი აღწევს რეპეტიციაზე სპეციალური მუშაობით, ვარჯიშის გზით. სტანისლავსკის მთელი სისტემის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ რეპეტიციებზე სათანადო ხერხებით მსახიობს შეექმნას გმირის შესატყვისი მთლიან პიროვნული მდგომარეობა, რომელიც სცენაზე პიესის მსვლელობისას ბუნებრივად გაიშლება სათანადო განცდებისა და ქცევის სახით, რევაზ ნათაძემ[2], დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე, ექსპერიმენტულად შეისწავლა სასცენო გარდასახვის და განწყობის ურთიერთობა და უჩვენა, რომ მსახიობის სცენური გარდასახვის ფსიქოლოგიური საფუძველია: მსახიობის მიერ წარმოსახული (სპექტაკლში ნაგულისხმევი) სიტუაციის ნიადაგზე სათანადო განწყობის შექმნა და რეპეტიციის პროცესში ამ განწყობის განმტკიცება. მისი აზრით, სცენაზე მსახიობის მოქმედება მაშინ მიმდინარეობს ბუნებრივად, თუ იგი შესძლებს სპექტაკლით და როლით ნაკარნახევი წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობის შექმნას და განმტკიცებას. მსახიობში ასეთი განწყობის შემუშავება რეპეტიციაზე ხდება. სტანისლავსკის მიერ სწორად მითითებული გარემოებანი, რომ როლის შესაბამისი ბუნებრივი მოქმედება მსახიობისა, მისი „რწმენა" საკუთარ მოქმედებაში, „ქვეცნობიერი" მდგომარეობა, რომლის ნიადაგზე მსახიობი სცენაზე ასე დარწმუნებით ანსახიერებს გმირის ბუნებას, მეცნიერული ფსიქოლოგიის მიხედვით არის რეპეტიციის პირობებში შექმნილი განწყობის მოქმედების შედეგი. მართლაც, შეუძლებელია სერიოზულად იმის მტკიცება, რომ მსახიობს, რომელიც „შესულია როლში",

---

[1] იქვე. გვ. 98.

[2] ნათაძე რ., წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება. თბილისი, 1958. მეცნ. აკად. გამოც.

„სწამს“ წარმოსახული, იგი ნამდვილად დარწმუნებული იყოს როლის რეალობაში, მაგალითად, დარწმუნებული იყოს, რომ ის ჰამლეტია ან ოტელო. ასეთი დარწმუნებულობა მხოლოდ სრულ პათოლოგიურ მდგომარეობაში ხდება. ნორმალურ ადამიანს, თვით უკიდურეს აფექტის მდგომარეობაშიც, როდესაც იგი ვერ აკავებს აფექტს და ჩადის ბოროტმოქმედებას, შენარჩუნებული აქვს თავისი მდგომარეობის ნაწილობრივი ცნობიერება. ამიტომაა, რომ ყოველ ნორმალურ ადამიანს პასუხისმგებლობა ეკისრება თავისი საქციელისათვის, პათოლოგიურს კი არა. არც ბავშვს თამაშის დროს და არც მსახიობს სცენაზე როლის შესრულებისას სრული დარწმუნებულობა თავისი მოქმედების რეალობაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არა აქვს; მსახიობი რომ მთლიანად დარწმუნებული იყოს თავისი როლის რეალობაში, მისი ქცევა სცენაზე შორს იქნებოდა ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან. მაშ რა ამოქმედებს მსახიობს სცენაზე ასე „ბუნებრივად“? რა თქმა უნდა, სიტუაციის მხოლოდ წარმოდგენა სრულიად არაა საკმარისი მსახიობის შესატყვისი ქცევის სტიმულირებისათვის. თანამედროვე ფსიქოლოგიაში უდავოდ ითვლება, რომ მხოლოდ გონებრივ შინაარსს, კერძოდ, წარმოდგენას არ შეუძლია მოქმედების ძრავი გახდეს. წარმოდგენას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუკი ამ წარმოდგენისა (წარმოდგენილი სიტუაცია) და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე ადამიანს გაუჩნდება მოქმედების განწყობა, — შინაგანად მობილიზებული, აქტიური, დინამიკური მდგომარეობა. ასეთი განწყობის შექმნისათვის აუცილებელია მსახიობს ჰქონდეს თავისი როლის შესრულების მოთხოვნილება და სცენაზე შესასრულებელი მოქმედების წარმოსახვის უნარი. ასეთი მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის ნიადაგზე იგი იმუშავებს სათანადო მოქმედების განწყობას; რეპეტიციის პირობებში ამ მოქმედების მრავალჯერ ჯამეორების შედეგად მსახიობში ფიქსირდება, მტკიცდება როლის შესრულების განწყობა, რომლის რეალიზაციაც ხდება სცენაზე სპექტაკლის მიმდინარეობის პირობებში. რადგან ერთხელ ფიქსირებული განწყობა სათანადო მსგავს პირობებში ისწრაფვის რეალიზაციისაკენ, მსახიობი, რომელმაც რეპეტიციის დროს განამტკიცა როლის შესრულების განწყობა, სპექტაკლში იწყებს თავისუფლად, იმპულსურად, ნებელობისა და აზროვნების აქტიური ჩარევის გარეშე, განწყობისეულ

ქცევას და ეს ქცევა ფაქტიურად წარმოადგენს „დასწავლილი“, „ჩვეულად ქცეული“ როლის რეალიზაციას. რეპეტიციებზე შექმნილი განწყობა შინაგნად უბიძგებს მსახიობს იმოქმედოს სცენაზე გმირის ბუნების შესაბამისად. სცენური დახელოვნების აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა მარჯვე ხერხით შეუმუშაოს მსახიობს გმირის ხასიათის შესაბამისი განცდებისა და მოქმედების იმპულსურად აღმოცენების უნარი, ამ მეთოდებით ისე „შესცვალოს“ პიროვნება, რომ შეუქმნას მას გმირის ბუნების გამოსავლენად საჭირო მოქმედების განწყობა, განუმტკიცოს ისეთი სუბიექტური მდგომარეობა, რომ სათანადო პირობებში (სპექტაკლზე) ამ განწყობამ შესძლოს ბუნებრივი გამოვლენა. მსახიობის ქცევა სცენაზე, მსახიობისა, რომელმაც მაქსიმალურად მოახერხა გარდასახვა, განწყობისეული, იმპულსური ხასიათისაა. მაგრამ ეს იმპულსური ქცევა არასოდეს არაა შეუგნებელი, ცნობიერების მონაწილეობისაგან სრულიად დაცლილი, მასში მეტ-ნაკლებად ყოველთვის იჩენს თავს ქცევის ობიექტივაცია. ყველა მსახიობს უთუოდ გამოუცდია. როდესაც სცენაზე ფერხდება მისი მოქმედების ბუნებრივი მიმდინარეობა მთელი რიგი მიზეზებისა გამო (პარტნიორის არაშესატყვისი თამაში, აუდიტორიის რეაქცია, ფრაზის დავიწყება, უნებურად უხერხული თქმა და სხვ.), იგი ელვის სისწრაფით ახერხებს თავისი მოქმედების, მთელი როლის დაკვირვების საგნად ქცევას, მის ანალიზს, დაინახოს შეცდომები და ქცევა იმპულსიური დონიდან აამაღლოს მეორე დონემდე, სადაც აქტიურია ინტელექტი და ნებისყოფა.

აქტიორის მოქმედება სცენაზე, თუ მას პირობით ჩამოვაცლით ესთეტიკურ მხარეს, შეიძლება შევადაროთ ადამიანის ყოველდღიურ მოქმედებას. ყოველი ადამიანი თავისი ხასიათის შესაბამისად ამყარებს კავშირს სხვა ადამიანებთან, ავლენს ზნეობრივ თვისებებს და სხვ. მისი საყოფაცხოვრებო მოქმედება ბუნებრივად, იმპულსურად მიმდინარეობს. საქციელი, ცხოვრების სტილი, მანერა წარმოადგენს მათი ბუნებრივი მოთხოვნილებებისა და გარემოს ერთიანობის ნიადაგზე შემუშავებულ, ფიქსირებულ განწყობათა გამოვლენას. ეს ფიქსირებული განწყობა აძლევს მას შინაგან ბიძგს იმოქმედოს მისი ბუნების შესაფერისად. მაგრამ საკმარისია ასეთ ბუნებრივ, იმპულსურ საქციელს გადაეღობოს რაიმე დაბრკოლება, შე-

ფერხდეს იმპულსური ქცევა, რომ მან სწრაფად მოახდინოს თავისი ქცევის ობიექტივაცია, იმპულსურ ქცევაში ჩართოს ნებელობა, გონება და სწრაფად ამაღლდეს მოქმედების მეორე დონემდე. მსახიობის მოქმედება სცენაზე ბუნებრივი, განწყობისეული მოქმედებაა, რომელიც ფიქსირებულია რეპეტიციების დროს; ასეთი მოქმედება ყოველთვის შეიძლება იყოს ობიექტივირებული და მოექცეს მსახიობის კონტროლის ქვეშ.

- როგორც აღვნიშნეთ, არიან მსახიობები, რომელნიც ახერხებენ სრულ გარდასახვას, ე. ი. „როლში შესვლას", რა თქმა უნდა, ისე რომ ეს გარდასახვა არ იქცეს პათოლოგიურ, ცნობიერების კონტროლს მოკლებულ მდგომარეობად: მაგრამ არიან ისეთი მსახიობებიც, რომელთა „თამაში" სცენაზე ფსიქიკურის მეორე დონეზე მიმდინარეობს; ამ შემთხვევაში რეპეტიციებზე როლის შესრულების ფიქსირებული განწყობა სცენაზე იმპულსური ქცევის სახით კი არ იჩენს თავს, არამედ ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს. თუკი სრული გარდასახვის უნარის მქონე მსახიობის მიერ როლის შესრულებაში წამყვანია იმპულსურ-განწყობისეული ქცევა, ე. წ. „ინტელექტუალურ" მსახიობებში პრიორიტეტი აქვს ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური ცხოვრებას. სცენაზე ორივე ტიპის მსახიობის ქცევის სტრუქტურა იმპულსური და ობიექტივაციით გაშუალებულ მოქმედებათა ურთიერთობაზე აიგება, მაგრამ პირველი ტიპის მსახიობში წამყვანია იმპულსური კომპონენტი, მეორე ტიპის მსახიობში კი წინა პლანზე დგას ობიექტივაციის ნიადაგზე აღმოცენებული ქცევა.

ობიექტივაცია და მსახიობობა. თუ სტანისლავსკის შეხედულების მიხედვით ნამდვილ მსახიობს უნდა შეეძლოს სრული გარდასახვა, ე. ი. როლის იმპულსურ-განწყობისეულ დონეზე შესრულება, არის ისეთი მიმართულებაც სასცენო ხელოვნებაში, რომლის მიხედვით მსახიობმა უნდა დასძლიოს სცენაზე სრული გარდასახვის მდგომარეობა, მსახიობი უნდა ცდილობდეს როგორც თავისთავი, ისე მაყურებელი გამოიყვანოს ილუზიიდან; იგი უნდა განიცდიდეს, რომ პიესის გმირის როლს ასრულებს, ეს განაცდევინოს მაყურებელსაც. ე .წ. „ეპიკური" თეატრის თეორეტიკოსი ბერტოლდ ბრეხტი ამბობს, რომ ნამდვილ რეალისტურ ეპიკურ თეატრში „მსახიობი არ დაუშვებს გამოსახატავ პერსონაჟში სრულ გარდასახვას,

იგი არაა არც ლირი, არც გარპაგონი, არც შვეიკი, ის ამ ადამიანებს მხოლოდ ანსახიერებს. ის გადმოგვცემს მათ გამოთქმებს სრული ბუნებრივობით, გამოსახავს მათი ქცევის მანერას, რამდენადაც მას ამის შესაძლებლობას ადამიანის ბუნების ცოდნა აძლევს, მაგრამ იგი არ ცდილობს შთააგონოს თავისთავი (ამით სხვებიც), რომ იგი მთლიანად გარდასახვის მდგომარეობაშია... თუ მსახიობი უარყოფს სრულ გარდასახვას, მაშინ თავის ტექსტს იგი წარმოთქვამს არა როგორც იმპროვიზაციას, არამედ როგორც ციტატას (მსახიობი არავითარ როლს არ თამაშობს; ისედაც ხომ არავინ თვლის, რომ იგი მოგვითხრობს თავისთავის შესახებ; ცხადია, იგი ყვება სხვის შესახებ). ამ ციტატაში მან უნდა ჩააქსოვოს ყველა აუცილებელი ელფერი, კონკრეტული ადამიანის პლასტიკურობა"[1]. ბრეხტის აზრით არასრული გარდასახვით თამაში შესაძლებელია, თუ მსახიობი მოახერხებს თავისი როლის „განსხვისებას", ე. ი. ისეთი შინაგანი მდგომარეობის შემუშავებას, რომლის მიხედვით მსახიობი ყოველთვის განიცდის, რომ იგი როლშია, რომ მხოლოდ სხვის განცდებს განასახიერებს, მაყურებელს უჩვენებს სხვისი ხასიათის ბუნებას. ისე, როგორც გარდასახვის მდგომარეობაში მსახიობის გადაყვანა მოითხოვს სპეციალურ რეჟისორულ ტექნიკას, „განსხვისების" მდგომარეობაში მისი გადაყვანაც ასევე მოითხოვს სპეციალურ რეჟისორულ ტექნიკას. ბრეხტის აზრით, მსახიობი „განსხვისების ეფექტს" აღწევს იმით, რომ იგი ფართოდ იყენებს პირობითობას, ყველასათვის დასანახად უკვირდება საკუთარ მოძრაობებს, საკუთარ თამაშს. სცენაზე საკუთარი თავის დაკვირვების საგნად ქცევა („უყურო თავისთავს გარედან"), რომლის დემონსტრაციას ახდენს მსახიობი, — ეს ხელოვნური და ამავე დროს მაღალი ხელოვნებით შესრულებული „განსხვისების" აქტი, — აფერხებს მაყურებლის სრულ ემოციურ ჩართვას სპექტაკლში და ქმნის შესანიშნავ დისტანციას მაყურებელსა და იმას შორის, რაც ხდება სცენაზე, მაგრამ ძალაში რჩება მაყურებლის ემოციური ჩართვა მოქმედებაში. მაყურებელი ჩართულია მსახიობში, როგორც დამკვირვებელზე. ამრიგად, მაყურებელს სცენაზე მოქმედების მსველობის დროს უვითარდება დამთვალიერებლობისა და ჭვრეტითი დამოკიდებულების უნარი[2].

---

[1] Брехт, Б., О театре. 1960, გვ. 145.
[2] იქვე, გვ. 230—232.

ბრეხტის მოსაზრების ანალიზი ნათელს ხდის იმას, რომ სასცენო ხელოვნებაში როლის შეთვისება შეუძლებელია გარდასახვის გარეშე, ე. ი. ფსიქოლოგიის ენით რომ გამოვთქვათ, სათანადო წარმოსახულ სიტუაციაში შექმნილი განწყობის შემუშავებისა და ფიქსაციის გარეშე. მაგრამ პრინციპული მოსაზრებით იგი მოითხოვს, რომ დაძლეულ იქნეს სრული გარდასახვა „განსხვისების" გზით. სრულიად აშკარაა, „განსხვისება" ანუ საკუთარი ქცევის დაკვირვების საგნად ქცევა არის ის, რასაც დ. უზნაძემ ობიექტივაცია უწოდა, როდესაც მოქმედების განწყობა იქმნება წარმოსახულ სიტუაციაში და მოქმედება მიმდინარეობს ცნობიერების, ინტელექტუალური პროცესების ფართო მონაწილეობით. ბრეხტი მოითხოვს, რომ სცენაზე მსახიობის ქცევაში უნდა სჭარბობდეს არა იმპულსური, არამედ ობიექტივაციის დონე; სცენამ მაყურებელზე უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ემოციური, არამედ იდეური გავლენაც, ამით აამაღლოს მაყურებლის ინტელექტი და ზნეობა.

ამრიგად, სცენაზე მსახიობის ქცევის ანალიზმა გვიჩვენა განწყობის როლი ადამიანის მოქმედებაში. განწყობა არის პიროვნების მთლიანობითი სახის მობილიზებული მდგომარეობა, რომელიც განაპირობებს ქცევის აღმოცენებასა და მიმდინარეობას. განწყობა მუშავდება სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე; შემუშავებული განწყობა ფიქსირდება და შემდეგ მსგავს პირობებში ხელახლა აღმოცენდება. იგი ბიძგს აძლევს ადამიანის აქტივობას. განწყობა, პიროვნების — „ცენტრი", შეიძლება შეიქმნას როგორც აქტუალური სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე, ისე იდეური სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის საფუძველზე. ადამიანის განწყობაში წამყვანია მეორე დონეზე შექმნილი განწყობა. ადამიანს შეუძლია თავისი იმპულსური ქცევის შეფერხება და ქცევის ფსიქიკურის მეორე დონეზე წარმართვა.

ფიქსირებული განწყობა და ხასიათი. ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე უამრავი ფიქსირებული განწყობები აქვს შემუშავებული. ამ განწყობათა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც პიროვნებისათვის განსაკუთრებული წონა, განსაკუთრებული ღირებულება აქვთ. ასეთი წამყვანი განწყობები ფაქტიურად წარმოადგენენ პიროვნების აქტიური მოთხოვნილებებისა და სოციალურ გარემოში შესატყვისი სიტუაციების ურთიერთობის წარმონაქმნს. დი-

და პიროვნული წონის განწყობანი, რომელნიც დისპოზიციური განწყობის სახით არიან პიროვნებაში მოცემული, რომელთა ძირითად თვისებას, პიროვნების გარემოსთან ურთიერთობისას, ადვილი აღგზნებადობა, აღმოცენების სიადვილე წარმოადგენს, განსაზღვრავენ კონკრეტული პიროვნების რაგვარობას. პიროვნების დახასიათებისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა იზიდავს პიროვნებას ყველაზე უფრო, გარესამყაროს რა შინაარსებისადმი, რა ღირებულებებისადმი არის იგი უფრო განწყობილი და როგორი სახის მოქმედებებში იჩენს იგი თავს. ყოველ პიროვნებას აქვს ცენტრალური ხასიათის მოთხოვნილებები და დიდი წონის განწყობები, რომელნიც წარმოადგენენ ადამიანის საქციელის, მისი საზოგადოებრივი მოქმედების, ობიექტური სამყაროსადმი, საკუთარი თავისადმი, როგორც საზოგადოების წევრისადმი, მისი დამოკიდებულების საფუძველს. ეს წრე მოტივაციის საფუძვლებისა წარმოადგენს იმას, რის ნიადაგზედაც იქმნება ადამიანის ხასიათი. რის ნიადაგზედაც წარმოიქმნება ადამიანის ხასიათის ნიშნებიც — черты).

ნორმალური ადამიანის პიროვნების, მისი სოციალური დამოკიდებულებების სპეციფიკას ის გარემოება წარმოადგენს, რომ მისი მოქმედების სტრუქტურაში წამყვანი როლი ფსიქიკურის მეორე პლანს უჭირავს. ამიტომ ყოველთვის მისი სოციალური დამოკიდებულებების განმსაზღვრელი მოთხოვნილებებისა და დიდი პიროვნული წონის განწყობების რეალიზაცია ნებელობის გზით წარმოებს. მაგრამ ნებელობა ხომ წმინდა ფორმალურ ძალას არ წარმოადგენს; მისი სიმტკიცე თუ სისუსტე განსაზღვრულია იმ შინაარსით, იმ მოთხოვნილებებისა და განწყობების თავისებურებით, რომელთაც იგი ემყარება. ნებელობის სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ეხება ნებელობითი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების შესრულების პროცესი. თუ იგი ეხება პიროვნებაში განმტკიცებულ, პიროვნების არსად ქცეულ შინაარსს, თუ ეს, პიროვნების ძირითადი იმპულსები, ეთანხმება ობიექტურ გარემოს მოთხოვნებს, მაშინ ნებელობა მტკიცეა. დიდი პიროვნული წონის განწყობებზე დამყარებული ნებელობა ადვილად ახერხებს თავისი ნეგატიური და პოზიტიური ფუნქციების შესრულებას. ნებელობა პიროვნების მოთხოვნილებებსა და ფიქსირებულ მზაობებს ემყარება. ეს მოთხოვნილე-

ბები და მზაობები წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომლის ნიადაგზე ყალიბდება და იშლება მოქმედება. ამიტომ უთუოდ სწორია საბჭოთა ფსიქოლოგიაში განმტკიცებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხასიათი ნებელობის დისპოზიციას წარმოადგენს. დ. უზნაძე ხასიათს ნებელობის დისპოზიციას უწოდებს. დ. უზნაძის განმარტებით, ხასიათი არის „დისპოზიციურად მოცემულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარი"[1]. თუ დისპოზიციის ცნების ქვეშ ვიგულისხმებთ არა მხოლოდ თანდაყოლილ, ჩანერგილ შესაძლებლობას, არამედ მოთხოვნილებებისა და გარემოს ერთიანობის ნიადაგზე შემუშავებულ დიდი პიროვნული წონის განწყობებსაც, ამ განწყობების შესაფერის სიტუაციაში აქტუალიზაციის, ე. ი. ხელახლად ადვილად წარმოქმნის უნარს, — მაშინ ცხადია, რომ ხასიათი პიროვნების ის მხარეა, რომელიც დიდი პიროვნული წონის, განსაკუთრებით სოციალური მოთხოვნილებებისა და განწყობების სახითაა მოცემული, რაც უმთავრესად ნებელობითი საქციელის სახით ხორციელდება.

ხასიათის ცნების ასეთი გაგების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ ხასიათი აღიარებულია არა პიროვნების სინონიმად, არამედ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტად.

ამავე დროს ხასიათის ასეთი განსაზღვრება იმ გარემოებაზედაც მიუთითებს, რომ ხასიათი, როგორც დიდი პიროვნული წონის მოთხვნილებებსა და განწყობებზე დამყარებული თვისება, უთუოდ სხვა პიროვნულ თვისებებთან შედარებით ზოგადი ხასიათისაა. პიროვნების საქციელი, რომელიც საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, საერთოდ, გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს, თვალსაჩინო კავშირშია ადამიანის სხვა მხარეებთან, მოტივაციის სხვა სფეროებთან; იგი მჭირდო კავშირშია გონიერებასთან, ტემპერამენტთან. ხასიათი, ერთი მხრით, ზეგავლენას ახდენს მათზე. ამავე დროს პიროვნების ამ მხარეებს ხასიათის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის, ზნეობრივ და უზნეო საქციელს, მის პრინციპულ და უპრინციპო მოქმედებას თავის დაღს ასვამს როგორც მისი ინტელექტის დონე, ასევე ტემპერამენტის თავისებურებაც. რა თქმა უნდა, როდესაც კარგი და ცუდი ხასიათის შესახებ ლაპარაკობენ, გუ-

[1] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 194.

ლისხმობენ პიროვნების იმ თავისებურებას, რომელიც მის ქცევაში, მის სხვებთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს. გულისხმობენ მის საქციელის ლოგიკას, თუ რა სახის საქციელია ასეთი ადამიანისაგან მოსალოდნელი, და არასოდეს არ გულისხმობენ იმას, თუ რა გონების ან ემოციის პატრონია იგი. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ პიროვნების ხასიათი, პიროვნების სოციალური საქციელის ეს შინაგანი ლოგიკა უთუოდ მეტად მაღალ კორელაციაშია ყველა იმ პიროვნულ თვისებებთან, მოტივაციის სფეროებთან, რომლებსაც ადამიანის საქციელის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ხასიათის კვლევის პროცესში ყოველთვის უნდა დაისვას საკითხი პიროვნების ხასიათის ტემპერამენტთან, გონიერებასთან ურთიერთობის შესახებ.

აქ წარმოდგენილი გაგების მიხედვით, პიროვნების სტრუქტურის თავისებურება მთლიანად არ ემთხვევა ხასიათის სტრუქტურას. მაგრამ პიროვნების სტრუქტურა თავს იჩენს პიროვნების ყველა სახის გამოვლინებაში. პიროვნების ორი დონის ურთიერთობა განსაკუთრებული სიმძლავრით იჩენს თავს ხასიათში, როგორც ადამიანის ნებელობითი საქციელის საფუძველში, პიროვნების, როგორც სოციალური არსების, ამ ცენტრალური მნიშვნელობის სფეროში. პიროვნების ხასიათი პიროვნების მოქმედების სტრუქტურის თავისებურების დაღითაა აღბეჭდილი. ამიტომ ხასიათის ბუნების კვლევისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი ხდება თვით ხასიათის მატარებელი პიროვნების სტრუქტურის თავისებურების ცოდნა. პიროვნების სტრუქტურა — მისი ფსიქიკური ცხოვრების ორი დონის მიმართების თავისებურება — ეს პიროვნების ზოგადი დახასიათებაა, რომელიც ყველა ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, იგი წარმოებასთან უშუალოდაა დაკავშირებული. ეს ზოგადი კანონზომიერება სხვადასხვა ადამიანში განსხვავებულად იჩენს თავს, ე. ი. ადგილი აქვს ადამიანთა შორის ტიპოლოგიურ განსხვავებას. პიროვნების სტრუქტურის თავისებურება თავს იჩენს მისი მოქმედების ყველა სფეროში, კერძოდ, იგი მკვეთრად მჟღავნდება პიროვნების ხასიათში. ხასიათი აღბეჭდილია პიროვნების სტრუქტურის თავისებურებით. ეს კანონზომიერება სპეციფიკურად მჟღავნდება ხასიათში, როგორც დიდი პიროვნული წონის მოთხოვნილებებისა და განწყო-

ბათა ნებისმიერ საქციელში გამოვლენა, როგორც ასეთი საქციელის საფუძველი.

განწყობის ცნების ნიადაგზე შესაძლებელია დადგენა არა მხოლოდ ხასიათის ზოგადი კანონებისა, რომლებიც უშუალოდ არიან წარმოებასთან დაკავშირებული, არამედ ისეთი თვისებებისაც, რომელნიც ეპოქის სულის, კლასობრივი და წოდებრივი გავლენების ნიადაგზე აღმოცენდებიან. როდესაც ხასიათის ნიშანზე ლაპარაკობენ, ყოველთვის გულისხმობენ ადამიანის მოქმედების შედარებით მყარ ფორმას, მოქმედების ტიპს, რომელიც სპეციფიკურია გარკვეული ინდივიდისათვის ან ინდივიდთა ჯგუფისათვის. ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენლების მიხედვით, ხასიათი წარმოადგენს პიროვნების სიღრმეში დამკვიდრებული ნიშნების ერთობლიობას. ეს ნიშნები „პიროვნების ღრმა ფენებიდან მომდინარე მუდმივი წარმმართველი ფსიქიკური ძალებია, რომელნიც განსაზღვრავენ პიროვნების ქცევას“ (ბაუმგარტენი).

განწყობის ცნება გვათავისუფლებს ხასიათის ნიშნების ბიოლოგიურ-ფატალისტური გაგებიდან—იგი ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ხასიათის ნიშანი ყალიბდება, იქმნება. ხასიათის ნიშანი გამოხატავს ადამიანის მზაობას, მის განწყობისეულ დამოკიდებულებას ცხოვრების კონკრეტული მოვლენისადმი, ამასთანავე გამოხატავს ობიექტური სამყაროს საგნებისა და მოვლენებისადმი განწყობისეული დამოკიდებულების ფორმას, ასეთი დამოკიდებულების ტიპს. ის უამრავი ნიშნები ხასიათისა, რომელთა აღრიცხვაც კი ძნელდება, ჩამოყალიბდნენ ადამიანის ცხოვრების მანძილზე ფიქსირებული განწყობების საფუძველზე. ხასიათის ნიშნები — სიძუნწე, შური, გმირობა და სხვ. — პირველ რიგში გულისხმობენ გარკვეული ფსიქიკური ძალების კომპლექსს .მაგ., შური უთუოდ ამბივალენტური გრძნობაა; გმირობა, როგორც პიროვნული ძლიერების გამოხატულება, რთული ფსიქიკური ძალების მონაწილეობას გულისხმობს. შეიძლება ხასიათის თითოეული ნიშნის ფსიქოლოგიური ანალიზი მასში შემავალი ფსიქიკური ძალების მიხედვით. ფენომენოლოგიურად ხასიათის ნიშანი კონკრეტული ფსიქიკური პროცესების სახით იჩენს თავს; ამავე დროს ხასიათის ნიშანი გამოხატავს მოვლენისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას. მაგ., სიძუნწე გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი, ქონებისადმი.

სულხან-საბა ორბელიანის კლასიკური განმარტების მიხედვით, „შუ-რი არის მწუხარებაჲ სხვსა კეთილსა ზედა"[1].

კონკრეტული მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის ხშირი შეხვედრის ნიადაგზე პიროვნებაში ფიქსირდება საგნებისადმი, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების განწყობა, ფიქსირდება საკუთარ თავთან, ნივთებთან, ფულთან, ქონებასთან, მეგობართან და სხვა მრავალ ღირებულებასთან დამოკიდებულების გარკვეული მზაობა. ეს მზაობა მტკიცდება სიტუაციის ხშირი გამეორების ნიადაგზე. ამრიგად, ფიქსირებული განწყობა ადვილად აღმოცენდება შესაფერის სიტუაციაში და საფუძვლად დაედება იმ ფსიქიკური ძალის აღმოცენებას, რომელიც გარკვეული ხასიათის ნიშნების სახით იჩენს თავს. მაგ., ადამიანში, გამდიდრებისადმი მძლავრი მოთხოვნილებისა და ასეთი მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე, მუშავდება სრულიად გარკვეული მზაობა ქონებისადმი, ფულისადმი. ეს მზაობა ფიქსირდება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავს იჩენს ფულის შენახვის უსაზღვრო წყურვილის ან სიძუნწის სახით.

მაშ, ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს იმ ფსიქიკური ძალების აქტუალიზაციის საფუძველს, რომელნიც მოქმედებაში მონაწილეობენ, როგორც ხასიათის ნიშნები. განწყობის ცნების ნიადაგზე ხასიათის ნიშნების გაგება წარმოადგენს ფატალისტური თეორიის სრულ ანტიპოდს. ეს ცნება შესაძლებლობას იძლევა, ამ ნიშნების ჩამოყალიბებას მივუდგეთ ისტორიული თვალსაზრისით, გავიგოთ და ავხსნათ, თუ ხასიათის რომელი ნიშანია წამყვანი პიროვნებისათვის კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს განწყობის ცნებას პიროვნების ფსიქოლოგიური ტიპოლოგიისათვის. თუკი განწყობა პიროვნების ის მოდუსია, რომლითაც იგი გარე სამყაროსთან ურთიერთობას ამყარებს, მაშინ, უეჭველია, — ეს ურთიერთობა, რომელიც ქცევისა და განცდების სახით მჟღავნდება, ამ განწყობის თავისებურების დაღით იქნება აღბეჭდილი. როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ხასიათის ცნების ქვეშ ყოველთვის იგულისხმებოდა პიროვნების თავისებურებით აღბეჭდილი ქცევა.

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 406.

მთლიანი, კონკრეტული პიროვნების წვდომის შეუძლებლობის გამო, ცნობილი მკლევარების მიერ დადგენილი ხასიათის ტიპები ფაქტიურად წარმოადგენენ ამ მთლიანიდან გათიშულ ფსიქიკური ფენომენების ან ინსტინქტების ტიპებს. ხასიათი გაიგივებული იყო პიროვნების ნებელობის, გრძნობის, ინსტინქტის, მიდრეკილების, მიზნისა და სხვა ამგვარი მოვლენების თავისებურებასთან. განწყობის ცნების ბუნების მიხედვით, ხასიათის შესწავლისას არც ერთ ფსიქიკურ ფენომენს ან პიროვნების სიღრმეში მოთავსებულ ძალებს ცალ-ცალკე არ შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული უპირატესობა. ადამიანის ქცევა და განცდა მხოლოდ განწყობის ნიადაგზე იღებს გარკვეულ სახეს.

ხასიათის კვლევის ფსიქოლოგიური მეთოდები. ქარაქტეროლოგიას გააჩნია ხასიათის კვლევის სპეციალური მეთოდები. ეს მეთოდები მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი. წიგნის მოცულობის განსაზღვრულობის გამო, ჩვენ აქ მათზე ვერ შევჩერდებით[1]. ყველა მეთოდის დანიშნულებას შეადგენს ადამიანის ხასიათის არსის, იმ ძირითადი „ცენტრის" დადგენა, რომელიც განაპირობებს ხასიათის ცალკეული ნიშნების წარმოშობას, ადამიანის დამოკიდებულებათა თავისებურებას. განწყობის ფსიქოლოგიას მიაჩნია, რომ ასეთი ცენტრი პიროვნებაში არის განწყობა. ამიტომ ხასიათის თავისებურება დამოკიდებულია განწყობის ბუნების, მისი სტრუქტურის თავისებურებაზე. ადამიანის განწყობის დამახასიათებელი ნიშნების შესასწავლად არსებობს სპეციალური ექსპერიმენტული მეთოდი, რომელსაც მისმა ავტორმა — დ. უზნაძემ ფიქსირებული განწყობის მეთოდი უწოდა. ლაბორატორიულ პირობებში შესაძლებელია ადამიანს შევუქმნათ განწყობა და დავაკვირდეთ მის მიმდინარეობას. ეს მეთოდი მარტივია, მაგრამ იმდენად თვალსაჩინოდ

---

[1] ხასიათის კვლევის მეთოდების შესახებ. იხ.
Лазурский. Очерк науки о характере. 1922 г.
Roback, The Psychology of Charakter. 1931.
Allportt, Personlity; a Psychological Interpretation. 1937.
ვლ. ნორაკიძე, ხასიათის ცვლილებების დინამიკა ნორმალურსა და პათოლოგიურ შემთხვევაში, 1961 წ. საქ. მეც. აკად. გამოც.
ი. ბეალავა, სულით დაავადებულთა კვლევის მეთოდები. 1960 წ. საქ. მეცაკად. გამოც.

ამჟღავნებს განწყობის თავისებურებას, რომ მას განწყობის კვლევის კლასიკურ მეთოდს უწოდებენ.

განწყობისა და ობიექტივაციის კვლევის მეთოდები. აქ შეიძლება აღვწეროთ ასეთი მეთოდის ერთი ვარიანტი: ადამიანს შესადარებლად ეძლევა ორი განსხვავებული სიდიდე (მოცულობა, სიმძიმე, წრე). ამ განსხვავებული სიდიდეების თანმიმდევრული შედარების შედეგად ადამიანში ფიქსირდება განსხვავებული ობიექტების აღქმის მზაობა — განწყობა. ასეთი განწყობის შემუშავების შემდეგ ცდის პირს კრიტიკულ ცდებში მივაწვდით ტოლ სიდიდეებს, ისინი მას შემუშავებული უტოლობის აღქმის განწყობის ზეგავლენით არატოლად ეჩვენება, ე. ი. ჩნდება განწყობის ილუზია. ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ილუზიის მიმდინარეობაში ნათლად მჟღავნდება განწყობის კანონზომიერება. განწყობა ხასიათდება აგზნებადობით, რომელიც მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ადვილად უმუშავდება სუბიექტს მოქმედების განწყობა. დადასტურებულია, რომ განწყობის შესამუშავებლად ზოგისთვის საკმარისია სიდიდეების 1—2-ჯერ მიწოდება, ზოგისთვის კი 15—20 მიწოდება არაა საკმარისი. დადგენილია ამასთანავე, რომ ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობა შეიძლება შემდეგი ნიშნებით ხასიათდებოდეს: ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადანაცვლების სიადვილით (პლასტიკურობით, დინამიკურობით). გადანაცვლების სიძნელით (სიტლანქით), გადანაცვლების შეუძლებლობით (სტატიკურობით), შემუშავებული განწყობის გავრცელებულობით (ირადიაცია და გენერალიზაცია), სტაბილობით — ერთხელ შემუშავებული განწყობის დროში გამძლეობით, აგრეთვე კონსტანტობით, სიმტკიცით. განწყობის მიმდინარეობა სხვადასხვა ადამიანში შეიძლება ტიპოლოგიურადაც იყოს განსხვავებული. რადგან განწყობა მოქმედების მზაობაა, ამიტომ განწყობის ყველა ნიშანი ამ მოქმედების ნიშნებიცაა. ყოველი მოქმედება შეიძლება იყოს ადვილად და ძნელად გადანაცვლებადი. ერთხელ წამოჭრილი იმპულსური ქცევა შეიძლება მთლიანად მოიცავდეს, იპყრობდეს პიროვნებას, უჭირდეს ქცევის კრიტიკული შეფასება. ერთსა და იმავე სიტუაციაში ადამიანი შეიძლება ყოველთვის ერთგვარ ან განსხვავებულ მოქმედებას ამჟღავნებდეს (კონსტანტობა, ვარიაბილობა), რომელიმე კონკრეტული პირობების მიმართ შემუშავებული

დამოკიდებულება შეიძლება დროში გამძლეობით ხასიათდებოდეს (განწყობის სტაბილობა). ადამიანები შეიძლება ურთიერთისაგან განსხვავდებოდნენ მოქმედების როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი მხარის მიხედვით, ე. ი. შეიძლება არსებობდეს მოქმედების განსხვავებული ტიპები.

ამ მეთოდის საშუალებით ჩვენ ვწვდებით, თუ როგორია ადამიანის განწყობის თავისებურება, მისი მოქმედების პირველი დონე. ასეთ პირობებში განწყობის გამოვლენა ყოველგვარი შემაფერხებელი წინააღმდეგობების გარეშე მიმდინარეობს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თუ ადამიანის განწყობა წინააღმდეგობას გადაეღობა, მას შეუძლია მოახდინოს თავისი მოქმედების ობიექტივაცია, შექმნას წარმოსახვის ნიადაგზე ახალი განწყობა და თავისი ქცევა წარმართოს უფრო მაღალი ობიექტივაციით გაშუალებული განწყობის დონეზე. განწყობის ამ მხარეს ექსპერიმენტულად შემდეგი ხერხებით იკვლევენ. ადამიანზე ატარებენ ზემოთ აღწერილ ცდებს, მაგრამ არა აღქმაში, არამედ წარმოდგენის დახმარებით. ადამიანს სთხოვენ წარმოიდგინოს ორი განსხვავებული სიდიდე, ე. ი. ცდილობენ სიდიდეების წარმოსახვით შეუქმნან მას განწყობა. იმის გასაგებად, შეექმნა თუ არა ადამიანს განწყობა და რა ბუნებისაა იგი, მას აძლევენ შესადარებლად ტოლ სიდიდეებს, წარმოსახულ სიტუაციაში შექმნილი უტოლობის განწყობის ნიადაგზე აღქმაშიც ტოლი ობიექტები უტოლო ეჩვენება, ე. ი. აქაც ჩნდება განწყობის ილუზია[1]. ამ ცდების შემთხვევაში განწყობა იქმნება არა რეალურად მოცემული სინამდვილის, არამედ სიტყვაში გამოთქმულ, წარმოდგენილ სიტუაციაში. ან კიდევ ცდისპირს აძლევენ საკითხავად 20 გერმანულ სიტყვას ლათინური ტრანსკრიპციით; ამ სიტყვების კითხვის შედეგად მას უმუშავდება ლათინური შრიფტით გერმანულად კითხვის განწყობა; ამის შემდეგ ერთბაშად ხელოვნურად ქმნიან შეფერხებას: ცდისპირს ეძლევა რუსული სიტყვები. შემდეგ ისევ გერმანული სიტყვა, ისევ რუსული და ა. შ. ცდები ეჩვენებს, რომ გერმანულად კითხვის განწყობის ნიადაგზე რუსული სიტყვებიც ცდისპირს გერმანულად ეკითხება ან კითხვა ფერხდება. ცდის პირი თავისუფლდება გერმანულად კითხვის გან-

---

1 რ. ნათაძე წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საკითხისათვის, ფსიქოლოგია, ტ. I, 1942 წ.

წყობისაგან და რუსულსაც შესატყვისად კითხულობს[1]. ცდის კიდევ ერთი ვარიანტის მიხედვით, ადამიანს სთხოვენ დასწეროს 20 სიტყვა რუსულად, შემდეგ ერთბაშად სთხოვენ წეროს ქართულად. დადასტურდა, რომ ასეთ შემთხვევაში რუსული წერის განწყობის ზეგავლენით ქართულიც მას რუსულად ეწერება[2].

ამ ცდებშიც ადგილი აქვს ადამიანთა შორის მკვეთრ ინდივიდუალურ განსხვავებას. ზოგი დიდხანს ვერ ახერხებს თავისი ქცევის ობიექტივაციას, დიდხანს კითხულობს ან წერს ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე, ე. ი. ქცევა იმპულსურია; ზოგი კი უფრო ადვილად ახერხებს თავისი იმპულსური ქცევის ობიექტივაციას და ილუზიიდან თავის დაღწევას. ამ ცდებში ნათლად მეღავნდება ის გარემოება, აქვს თუ არა ადამიანს თავისი იმპულსური ქცევის შეფერხების უნარი, შეუძლია თუ არა მას ამაღლდეს ფსიქიკური მოქმედების მეორე დონეზე, სადაც წამყვანია შემეცნების პროცესები და ნებელობა. ეს ცდები ემყარება პრინციპს: მიკროკოსმოსში შეიძლება ამოვიკითხოთ მაკროკოსმოსი. ადამიანს ხელოვნურად უქმნიან სიდიდეთა განსხვავების, წერის, კითხვის განწყობას, სათანადო გამეორებით ახდენენ მათ ფიქსაციას. ფიქსირებული განწყობის მოქმედება იწვევს შეცდომებს აღქმაში (ილუზიას). ამ ილუზიის მიმდინარეობაზე დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს ვწვდეთ ადამიანის „ცენტრს", — განწყობის ბუნებას. რა თქმა უნდა, ილუზია ადამიანის მდიდარი ფსიქიკური ცხოვრების მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ასპექტია, მაგრამ ამ ექსპერიმენტის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ ამ მცირეში შეიძლება ამოვიკითხოთ ადამიანის სულიერი ცხოვრების ძირითადი ფაქტორის . კანონზომიერება. როგორც აკად. ი. პავლოვმა ცხოველთა სამყაროს ნერვული სისტემის მოქმედების საიდუმლოება ცხოველის ნერწყვის რეფლექსის მოქმედებაში ამოიკითხა, ისე აკად. დ. უზნაძემ ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის ილუზიის მიმდინარეობაში, როგორც სარკეში, დაინახა ადამიანის სულიერი ცხოვრების ცენტრალური მოვლენის — განწყობის ბუნება.

კლინიკური საუბრისა და ბიოგრაფიული (ცხოვრების გზის)

---

1 ხოჯავა ზ., განწყობა და ვარჯიში. ფსიქოლოგია, ტ. I, 1942 წ.
2 მოსიავა ალ., ექსპერიმენტული მასალები ობიექტივაციის პრობლემისათვის. ფსიქოლოგია, ტ. III, 1945 წ.

მეთოდი. მაგრამ ადამიანის განწყობისა და მასთან დაკავშირებული ხასიათის შესასწავლად არაა საკმარისი მხოლოდ ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტული კვლევა-ძიება. ეს ექსპერიმენტები იკვლევენ ადამიანის ქცევის ფორმალურ მხარეს; მაგრამ ხასიათს აქვს თავისი შინაარსი. ამიტომ ხასიათის ყველა ასპექტის შესასწავლად ვიყენებდით ე. წ. კლინიკური საუბრისა და ბიოგრაფიულ მეთოდს. ამ მეთოდებით ვიკვლევდით ხასიათის როგორც შინაარსობრივ, ისე ფორმალურ მხარეს — მოთხოვნილებებთან, განწყობებთან ხასიათის ნიშნების დამოკიდებულებას. კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით ხასიათის კვლევა მეტად რთულია; იგი მოითხოვს დიდ გამოცდილებასა და დახელოვნებას[1].

* * *

ხასიათი პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების გამომხატველია. ყოველ პიროვნებას თავისებური ხასიათი აქვს. ჩვენი კვლევა, პირველ რიგში, სწორედ ინდივიდუალური ხასიათის დადგენის მიმართულებით წარმოებდა. დადასტურებული ინდივიდუალური ხასიათის ნიშნებისა და შესატყვისი ფიქსირებული განწყობის ფსიქოლოგიური ანალიზის ნიადაგზე ვაწარმოებდით ხასიათის ტიპოლოგიის დადგენას.

ფ. ენგელსის თქმით, „ყოველი პიროვნება ტიპია, ამავე დროს სრულიად გარკვეული ინდივიდუალობა[2]. პირველ რიგში, ჩვენ დავადგინეთ ცალკე პიროვნებათა ქარაქტეროლოგიური ნიშნები. ე. ი. დავადგინეთ, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანი თავისთავთან, სხვა ადამიანებთან და, საერთოდ, გარე სამყაროსთან; როგორია ადამიანის ნებელობა, თავისთავს დაუფლებულია პიროვნება, თუ იმპულსურია იგი; როგორია ემოციური სფეროს საფუძველი — ტემპერამენტი, რომლის ფონზე იშლება ადამიანის დამოკიდებულებები; დასასრულს, როგორია ადამიანის ყველა ამ ცალკეულ ნაწილთა შორის მიმართება — მისი სტრუქტურულობა. საბოლოოდ გამოვყავით ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული პიროვნებისათვის; შემდეგ ამისა, ერთნაირი ქარაქტერო-

---

1 ვლ. ნორაკიძე. ხასიათის ცვლილების დინამიკა ნორმალურსა და პათოლოგიურ შემთხვევებში. 1961 წ.

2 Маркс и Энгельс, О литературе, 1933, გვ. 130.

ლოგიური თვისებების მატარებელი ადამიანები ერთ ჯგუფში მოვაქციეთ და ამ ჯგუფის ადამიანთა განზოგადებული თავისებურება აღვწერეთ ტიპიური ქარაქტეროლოგიური პორტრეტის სახით, ისე რომ ინდივიდუალურ-ტიპიური განსაკუთრებული სიმკვეთრით და კონცენტრირებულად ყოფილიყო ასახული ტიპის განზოგადებულ პორტრეტში.

მიღებული მასალის ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად დადასტურდა ხასიათის **სამი ძირითადი ტიპი:** 1) დინამიკური განწყობის მთლიანი ჰარმონიული, 2) სტატიკური განწყობის კონფლიქტური და 3) ვარიაბილური განწყობის იმპულსური ადამიანების ტიპები სათანადო ქვეტიპებით[1]. ჩვენ ვეცდებით ვრცლად აღვწეროთ აღნიშნული ხასიათის ტიპების პორტრეტები. რადგან წიგნი განკუთვნილი არაა სპეციალისტ. ფსიქოლოგებისათვის, ამიტომ ჩვენ თავს ვარიდებთ ამ ტიპების ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას და ვიძლევით მხოლოდ ამ ექსპერიმენტების შედეგად დადასტურებული ადამიანის ხასიათის ძირეულ ასპექტებს.

---

1 სპეციალური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა დიდი უმრავლესობა დინამიკური განწყობის ადამიანთა ტიპს მიეკუთვნება.

IV. ხასიათის ტიპები

1. მთლიანი-ჰარმონიული პიროვნების ხასიათი

ფსიქოლოგიური მეთოდებით წარმოებული კვლევის შედეგად გამოვყავით ადამიანთა ერთი დიდი ჯგუფი, რომელთა პიროვნების „ცენტრი" — განწყობა დინამიკურობით ხასიათდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანში ერთხელ ფიქსირებული განწყობა მის ქცევას წარმართავს გარემოს მოთხოვნების, რეალური პირობების შესაბამისად. დინამიკური განწყობა ხელს უწყობს რთულ, ცვალებად გარემოსთან ადამიანის შეგუებას; ასეთი ფიქსირებული განწყობა არ უწევს ძლიერ და ხანგრძლივ წინააღმდეგობას მასზე ზემოქმედ გარემოს, არ განაგრძნობს მასში ხანგრძლივად ბატონობას; ფიქსაციის ფაქტორი გარემოს შესაფერისად უკანა პლანზე დგება და სიტუაციის შესაფერის განწყობას შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს პიროვნების მოქმედების წარმართვა გარემოს რთულ პირობებთან ნორმალურად შეგუების ვითარებაში, მძიმე კონფლიქტების გარეშე. დინამიკური განწყობა აადვილებს გარემოსა და საკუთარი იმპულსების ობიექტივაციის პროცესს. ყველგან, სადაც ეს აუცილებელია, პიროვნება ახერხებს დიდი დაძაბვის გარეშე თავისი იმპულსური მოქმედების შეფერხებას, მოქმედების ნებელობის დონეზე წარმართვას და, ამრიგად, თავისი ქცევისათვის შედარებით მიზანშეწონილი გზების მონახვას. ამიტომაც ასეთ სუბიექტში ფსიქიკურის ორივე დონის ხასიათისეულ მოქმედებაში გამოვლენა ჰარმონიულობისა და მთლიანობის დაღითაა აღბეჭდილი. დინამიკური განწყობის ადამიანების დამოკიდებულება საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, ობიექტურ ღირებულებებთან, მთელი მისი

პიროვნების სტრუქტურა დინამიკური განწყობის ბუნებითაა აღბეჭდილი.

მაგრამ დინამიკური განწყობა შეიძლება იყოს პლასტიკური ან ტლანქი. პირველ შემთხვევაში სუბიექტი ობიექტური ვითარების შესატყვის პოზიციას ბუნებრივი რიტმით, ჰარმონიულად ეუფლება, სინამდვილის შესატყვისი პოზიციის დაკავებას ახერხებს სწრაფად და უმტკივნეულოდ. როდესაც განწყობის სიტლანქის შემთხვევაში კი ეს შეგუება უფრო გაძნელებულია, ადამიანი შინაგან მთლიანობას აღწევს ნებელობის აქტიური ჩარევით. ამრიგად, კვლევის შედეგად დადასტურდა დინამიკური განწყობის ადამიანების ხასიათის ორი ტიპი: ა) ჰარმონიული ხასიათი (პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანი), .ბ) მთლიანი — მტკიცე ხასიათი (ტლანქი-დინამიკური განწყობის ადამიანი).

ა. ჰარმონიული ხასიათი
(პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანი)

ჰარმონიული ხასიათის ადამიანისათვის დამახასიათებელი პლასტიკურ-დინამიკური განწყობის შესაბამისად, ნიშნეულია რთულ პირობებშიც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გარემოს ადვილად მიგნების უნარი, კონფლიქტების გარეშე, ახალ, მისი პიროვნების არსთან შეთანხმებული, მიზანთა სფეროში ადვილად გადანაცვლება. მისი ქცევა ძირითადში გარემოს შესატყვისია. გარემოს მოთხოვნებსა და მის პიროვნულ მიზნებს შორის წონასწორობა იშვიათად ირღვევა. მას არ სჭირდება თავისი ფიქსირებული განწყობების შეფერხება, რადგან ეს უკანასკნელი სრულ ჰარმონიაშია გარემოსთან. მას ყოველთვის შეუძლია თავისი იმპულსური ქცევის ობიექტივაცია, განწყობის იმპულსიდან თავის დაღწევა, თავისი ქცევისა და განცდების რეფლექსია, თავისი იმპულსების დაუფლება, მაგრამ მისი ნებელობითი საქციელი ყოველთვის შეთანხმებულია, ჰარმონიაშია, მის ინტიმურ განწყობებთან და მოთხოვნილებებთან. ასეთ პიროვნებაში იმპულსურად მოქმედ განწყობის დონეზე მიმდინარე ქცევა სრულ ჰარმონიაშია უფრო მაღალ, ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ნებელობით საქციელთან. პიროვნების სიცოცხლის ორივე დონე (იმ-

პულსური და ობიექტივაციის დონე) ჰარმონიულად შეწყობილია ერთმანეთთან. ამ ორ სფეროთა ჰარმონიული ერთიანობის გამო ასეთი ადამიანების სუბიექტური მდგომარეობა ძირითადში სიამოვნებითაა აღბეჭდილი. სიამოვნება, მხიარულება, ბედნიერება, სიმშვიდე, კმაყოფილება, დარწმუნებულობა მათი პიროვნების მარად თანმხლები თვისებებია; ასეთი სუბიექტური მდგომარეობის დარღვევა ძლიერ ძნელდება, ბუნებრივი მდგომარეობა სიამოვნების განცდაა. განსაკუთრებული პირობებია საჭირო, რომ პიროვნება უსიამოვნო განცდებმა შეიპყროს. უსიამოვნო განცდა ზერელეა, სუსტი ინტენსივობისაა, აკლია ექსტენსივობა და სიღრმე, იგი ვერ იმორჩილებს ცნობიერების სხვა შინაარსებს. ასეთი ადამიანები ცხოვრების კრიტიკულ მომენტშიც არ კარგავენ შინაგან წონასწორობას. საყვარელი ადამიანის უბედურება ან უეცარი დაღუპვა, საკუთარი მძიმე ავადმყოფობა, მძიმე ოპერაციის შემთხვევები, ფრონტის მძიმე სიტუაციაში ყოფნა, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, შიმშილით სიკვდილის მოლოდინი და სხვ. ვერ აღძრავს ასეთ პირებში უიმედობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი გულგრილი ადამიანია; პირიქით, გულგრილობა სავსებით უცხოა მისთვის; იგი თბილი, მოსიყვარულე, ნაზი გრძნობების, სიმპათიით აღსავსეა. ტირის, წუხს, შფოთავს, ჯავრობს, მოწყენილიცაა, აქვს უსიამოვნო განცდები, რაც დამახასიათებელია სიტუაციის მიმართ ადეკვატურად განწყობილ ადამიანისათვის. მაშინაც კი, როცა იგი ცრემლიანი თვალებით უმწეო დგას ერთადერთი შვილის კუბოსთან, მისი სულის სიღრმეში სუფევს ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარულის განცდა. პიროვნების სიღრმეში ყოველთვის ანთია იმედის ლამპარი, ყოველგვარი საშინელების წუთებშიც მას სწამს ცხოვრების მშვენიერება, ცხოვრების აზრი. სწორედ ამიტომ მისი მწუხარება, სევდა, ტირილი, თანაგრძნობა ყოველთვის გულწრფელია, ნამდვილი. მწუხარებასა და სიხარულში იგი ყოველთვის მართალია, სიყალბე არაა მისთვის დამახასიათებელი. მის მიერ გამოვლენილი თანაგრძნობის განცდა, სხვისი თუ თავისი უბედურებით გამოწვეული უსიამოვნო გრძნობა არ მომდინარეობს ეგოცენტრულ ბუნებიდან. მისი ალტრუისტული ბუნებისათვის ძნელია ეგოისტური ფესვების პოვნა. მას თითქოს განცდილი აქვს როგორც საკუთარი, ისე სხვისი სიცოცხლის მაღალი ღირებულება. მისი ემოცია ყოველ-

თვის ობიექტს უსწორებს თვალს, მის ასახვას წარმოადგენს. ყოველივე ამის გამო მას მთლიანად ვერ იპყრობს უსიამოვნო გრძნობა. ამის საშუალებას მას არ აძლევს, ერთი მხრით, პიროვნების სიღრმეში შეჭრილი ოპტიმისტური ტენდენცია, რომელიც მის განუყრელ თვისებად ქცეულა, და, მეორე მხრით, რეალობის განცდა. რეალობის ძლიერი განცდის გამო იგი არასოდეს არ კარგავს წონასწორობას, ემოციურ მთლიანობას. როგორც სიხარულში, ისე მწუხარებაში მას ახასიათებს ზომიერების გრძნობა. მისთვის ობიექტური სამყარო, კერძოდ, თავისი და სხვა ადამიანთა სიცოცხლე რეალურად, ობიექტურად არსებული ქვეყანაა. იგი განიცდის, რომ ყველაფერი არსებული გარკვეული ღირებულების მატარებელია. ღირებულებათა სამყაროში ფართო ასპარეზია გაშლილი თვითეული ადამიანის მოქმედებისათვის. მოქმედებით, მოღვაწეობით, ბრძოლით შეიძლება ყველგან და ყოველთვის იპოვო შესაფერისი სიტუაცია საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ მრავალფეროვან ქვეყნის ხვეულებში მოქცეული ადამიანი არასოდეს არ უნდა კარგავდეს საყვარელი მიზნების მიღწევის იმედს. თუ მიზნებისათვის მებრძოლი ადამიანი დაიბნევა ამ ხვეულებში, მას თავს დაატყდება უბედურება, მისთვის დახშული აღმოჩნდება ხვეულებიდან გასავალი კარები, ასეთ შემთხვევაში პიროვნების სიღრმეში ურყევად დაბუდებული სიცოცხლის ოპტიმისტური განცდა განამხნევებს მას და გზას უჩვენებს უკეთესი მომავლისაკენ. ჩვენი ცდისპირები გვიამბობენ, რომ სიცოცხლის საფრთხის წინაშეც (მძიმე ოპერაციის მომენტი, აუტანელი ტკივილები, ფრონტზე მძიმე ჭრილობა და სხვ.) მათ არსებას არ მოსცილებია სიმშვიდე, იმედი და სიცოცხლის წყურვილი. სიცოცხლის სიხარული ათბობდა მათ ტანჯვისა და აუტანელი ტკივილების მდგომარეობაში, მაშინ როდესაც სხვა ტიპის ადამიანები სხვა სიტუაციაში მთელი არსებით, გულწრფელად სიკვდილს ნატრობდნენ.

ცხოვრება მათ მიერ განცდილია, როგორც უმაღლესი, ცალკე ინდივიდებისათვის განუმეორებელი ღირებულება, რომელიც მთელი სიღრმით უნდა განიცადო. უბედურება და ბედნიერება განუყრელი ნიშნებია ნამდვილი ცხოვრებისა. ცხოვრების ყოველ პირობებს უნდა შეეგუო, უბედურებაშიც უნდა ნახო აზრი; არ არსებობს ისეთი უბედურება, რომლიდანაც ვერ ჰპოვებ გამოსავალს,

თვით სიკვდილის სარეცელზედაც შეიძლება განცდა იმედისა და სიხარულისა.

ასეთ ადამიანს სჯერა საკუთარი ძალებისა. უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის ფართო სოციალურ ასპარეზზე მას სჯერა, რომ გაიმარჯვებს, დაიკავებს იმ ადგილს საზოგადოებაში, რომლისათვისაც იგი მოწოდებულია. დამარცხების შემთხვევაში მას არ ახასიათებს სინანულის, დამცირებულობის, ბრალიანობის განცდა. მისთვის უცხოა თავისთავის მიმართ უსიამოვნო ემოციები. ჩვენი ცდისპირები, რომლებიც საკუთარი უნარით თუ შემთხვევით მაღალი თანამდებობის პირნი გამხდარან, საზოგადოებაში მოუპოვებიათ უფლებრივი და მორალური უპირატესობა, არ ხასიათდებიან სიამაყით, თავმომწონეობით. შინაგანი ძალის განცდა, სიმშვიდე, რომელიც მათ ქცევაშიც მეღავნდება, კარგი გონიერების შემთხვევაში მომჯადოებელ გავლენას ახდენს გარეშეზე. ისინი საერთო სიმპათიით სარგებლობენ და ამიტომაც საკუთარ მიზნებს შედარებით ადვილად აღწევენ. უფლების დაკარგვის შემთხვევაში ისინი თავისთავის მიმართ უცვლელნი რჩებიან. მათი შინაგანი აქტივობა, რომელიც საკუთარი ძალის რეალურ განცდაში მეღავნდება, ყოველთვის მოუწოდებს მათ შინაგან სიმშვიდისაკენ.

ასეთ პიროვნებათა თავისებურება მკვეთრად მეღავნდება სხვებთან დამოკიდებულებაში. მათში მოცემულია მზაობა გარემოში არსებულ მოვლენებთან, კერძოდ ადამიანთან კონტაქტის დამყარებისა. ადამიანებს იგი ეპყრობა ნდობით, თანაგრძნობით, ყველას მიმართ კეთილგანწყობილია. ადამიანების, კერძოდ, ახლობელის, ნათესავის, მეგობრის ცხოვრების ბედისადმი იგი იჩენს ინტერესს, მზრუნველობას, გულწრფელად იზიარებს მათ ჭირ-ვარამს, თუმცა ასეთი განცდა იშვიათად აღწევს თავდავიწყებამდე მისულ მზრუნველობას. ეს განცდები ვერ იპრებიან პიროვნების სიღრმეში ისე, რომ შესცვალონ პიროვნების ემოციური ორიენტაცია, როგორიცაა, სიამოვნებისაკენ სწრაფვა. იგი ადვილად ერკვევა ახალ სიტუაციაში, ახალ წრეში, მალე პოულობს მეგობრებს, უახლოვდება მათ ინტიმურად. ეს მეგობრობა გულწრფელია, უანგარო, მაგრამ განშორება ვერ იწვევს ღრმა ტკივილებს, დარდს, სევდას; კონფლიქტები, დარდიანობა არ ეგუება მის ბუნებას. ამიტომაც ჩვენი ცდისპირებისათვის სრულიად უცხოა შემაწუხებელი სხვისი მიმართი

უსიამოვნო ემოციები: სიძულვილი, ზიზღი, უნდობლობა, მტრობა, გესლიანი დაცინვა, გადაჭარბებული აღშფოთება და სხვ. მათს ცხოვრებაზე დაკვირვებამ და მათმა პირადმა განცხადებებმა დაგვარწმუნეს, რომ თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში, მიუხედავად ამისათვის არსებულ სათანადო პირობებისა, მათ ადამიანის მიმართ ზიზღის, დაუძინებელი მტრობის გრძნობა არ განუცდიათ. ასეთი პირები როგორც საგნების, ისე ადამიანების მიმართ მთლიანად ექსტრავერტულად არიან განწყობილი. საგნებსა და მოვლენებთან თანაარსებობა, მათი სიცოცხლით სუნთქვა, მათი მდგომარეობის შთაგრძნობა, მათი სიმპათიისა და ანტიპათიის სფეროში ტრიალი, ყოველ რთულ და მარტივ გარემოში საკუთარი მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაციის ადვილად პოვნის უნარი, განწყობის, სიტუაციის შესატყვისად, სწრაფად გადანაცვლების უნარი, რაც გაპირობებულია მათთვის დამახასიათებელი პლასტიკური განწყობით, განსაზღვრავს მათში ღრმა ემოციების ხანგრძლივად ფიქსირების შეუძლებლობას. ასეთი პირების ექსტრავერტობა არასოდეს არაა გადაჭარბებული, ისინი არ ითქვიფებიან მოვლენებში, ადამიანებში. ობიექტი მთლიანად ვერ იმორჩილებს პიროვნებას, იგი არასოდეს არაა მონა სიტუაციისა, როგორც ეს ზოგიერთი ექტრავერტული სახის ქარაქტეროლოგიური ტიპის შემთხვევაში გვაქვს. ამიტომაა, რომ ასეთი პიროვნებისათვის არასოდეს არაა დამახასიათებელი გადაჭარბებული თაყვანისცემა, აღფრთოვანება, აღშფოთება და უკმაყოფილება. საგანი, ადამიანის ურთიერთობა, საერთოდ ობიექტური დირებულება მისთვის, პირველ რიგში, დამოუკიდებელი ღირებულების მატარებელია. ამ რეალისტურად განცდილ სამყაროში იგი მოქმედებს როგორც ავტონომიური ადამიანი, საკუთარი მოთხოვნილების შესაფერისად ამყარებს მასთან მჭიდრო კონტაქტს.

ჩვენ განსაკუთრებული გულისყურით შევისწავლეთ ასეთი პირების სიყვარულის გრძნობა, როგორც სხვისი მიმართი გრძნობის ყველაზე ნათელი გამოხატულება. დავრწმუნდით, რომ ასეთ ადამიანებს არ ახასიათებთ კონფლიქტური სიყვარული. საერთოდ, ასეთ განცდას არასოდეს არ დაუპყრია მთლიანად მათი პიროვნება, ოღონდ შესატყვისი პირობები ხშირად ჰქონიათ. ჰარმონიულ სუბიექტურ მდგომარეობას ძნელად ერღვევა მასში რომელიმე ემოციის

ჭარბი მოქმედება. სიყვარულის განცდა, კერძოდ, სქესობრივი სიყვარული ვერ იჭრება მასში ისე ღრმად, რომ იგი წონასწორობიდან გამოიყვანოს. ჰარმონიული სიყვარულიც აქ თავისებურადაა მოცემული. სიყვარულის ემოციის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები, როგორიცაა, უნარი ეგოისტური ტენდენციების დაძლევისა, პირადულის დათრგუნვის, საჭიროების დროს საკუთარი პიროვნული უძვირფასეს ღირებულებათა დათმობის, მსხვერპლად შეწირვისა, განცდათა მთელი კომპლექსის ერთი მიმართულებით ხანგრძლივად ფიქსაციისა, გაღმერთების, აღფრთოვანების, ნაწილობრივი ექსტაზის, განცდა საყვარელი ობიექტის დაუფლების შეუძლებლობის ან უკვე დაუფლებულის დაკარგვის შემთხვევაში დარდი, სასოწარკვეთილება, უთუოდ მოითხოვს უფრო სხვაგვარ განწყობას, ვიდრე პლასტიკურ-დინამიკური განწყობაა. ამგვარი თვისებებით აღბეჭდილი სიყვარული ასეთ პირებს არ ახასიათებთ. მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ ამას ხელს უშლის ეგოისტური ტენდენცია. ჰარმონიისაკენ სწრაფვისა, ცხოვრებისა და, კერძოდ, ადამიანების რეალური განცდის უნარის გამო ეს პირები ადვილად პოულობენ შესაფერისს, ადვილად ამყარებენ სიყვარულით მეგობრობას; ეს სიყვარული ხანგრძლივიცაა, მყარიც. პიროვნება სავსეა საყვარელი ობიექტისადმი უაღრესი სიმპათიით. ეთიკური კატეგორიების ზეგავლენით მან შეიძლება თავიც გასწიროს საყვარელი ადამიანისათვის. იგი სხვის ტკივილებს ისევე გაურბის, როგორც საკუთარს, მაგრამ სხვისი დათმობაც ადვილად შეუძლია. ურთიერთობაში კონფლიქტის დროს, იგი არ კარგავს წონასწორობას, მისი დარდი ხანმოკლეა, ზერელე, ღრმა მწუხარება ვერ იჭრება პიროვნების სიღრმეში. ჩვენი ცდისპირები აცხადებენ, რომ ძლიერი სიყვარული მათ არასოდეს არ ჰქონიათ, სიყვარულს ისინი არასოდეს არ შეუწუხებია, განსაკუთრებული წრეგადასული აღფრთოვანება მათ არ განუცდიათ. სიყვარულის დროს მათში სუფევდა დამამშვიდებელი სიხარული, რომელიც უკეთესი მომავლის რწმენას აძლიერებდა და მომავალი ცხოვრების პრაქტიკულ პერსპექტივებს სახავდა. მათ არ სჯერათ, რომ შეიძლება არსებობდეს სიყვარულის ემოცია, რომელიც მთლიანად დაიპყრობს პიროვნებას, დაიმონებს ადამიანს, თუ ძლიერ ხანგრძლივად არა, დღეების განმავლობაში მაინც, გამოთიშავს პიროვნებას ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობიდან და აღავ-

ხებს მას უჩვეულო აღმაფრთოვანებელი თუ სასოწარკვეთილების გრძნობებით. ამიტომ ასეთ პიროვნებათა შორის უფრო ხშირად ვხვდებით ქორწინებას, რომელიც გამოწვეულია პრაქტიკული მოსაზრებებით.

როგორც ჩანს, ასეთი პიროვნების ემოციური განცდების ძირითადი ტენდენცია სიამოვნებაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უსიამოვნო განცდები არ ახასიათებს. რა თქმა უნდა, ასეთიც ბლომადაა მასში მოცემული. ადამიანის აქტივობა ყოველთვის წარმატებით არ მიმდინარეობს, ეს აქტივობა ხშირად შეფერხებებს, მარცხსაც განიცდის; ამის გამო უსიამოვნო განცდები მასშიც აუცილებელია, მაგრამ იგი ხანმოკლეა, ზერელე, იგი პიროვნების ძირითადი თვისება არაა; ასეთ ადამიანებში ძალიან მცირეა არარეალიზებული განცდები, განცდათა კომპლექსები. ამიტომაც მათ იშვიათად ახასიათებს ნევროზისადმი მიდრეკილება. მათი სურვილები, მოთხოვნილებები პიროვნების პლასტიკური, შემგუებელი განწყობის, სიტუაციაში მოქნილად ორიენტაციის განსაკუთრებული უნარის გამო, შედარებით ადვილად პოულობენ შესაბამ პირობებს დაკმაყოფილებისათვის. ამიტომაც მათი განცდათა სამყარო იშვიათად ცილდება რეალურ მოვლენებს. ისინი საგნებთან, ადამიანებთან, საერთოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში არიან ჩართულნი. ოცნებებში ბორიალი, კერძოდ, ფუჭი ოცნებები მათთვის უჩვეულოა.

ადამიანის შემთხვევაში მოთხოვნილებები გარკვეულ გაცნობიერებულ მიზნებს ემთხვევა. ადამიანის თავისებურების დასახასიათებლად სწორედ საინტერესოა გაირკვეს, რომელი მიზნების მიმართაა ადამიანი უფრო განწყობილი. პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანების მიზნები შეიძლება საკუთარ „მე“-ს ფარგლებს სცილდებოდეს და ობიექტურ ღირებულებისაკენ იყოს მიმართული. განსაკუთრებით დამახასიათებელია ალტრუისტული ტენდენციები. გარეშე ადამიანების თანაგრძნობა, სხვათა მიზნების გაზიარება, მათთვის ბრძოლა ყოველთვის ემთხვევა მის პირად მოთხოვნილებას. ასეთი ღირებულებისათვის შრომა, ბრძოლა შეიძლება მისი სიცოცხლის მიზანი გახდეს. ასეთ შემთხვევაში მისი პირადი და სხვისი მიმართი მოთხოვნილება თითქოს ერთმანეთს ემთხვევა. საკუთარი ინდივიდუალობა ასეთი მიზნების სამსახურში სრულ გაშლას პოულობს. ჩვენი ცდისპირების უმრავლესობა განუ-

წყვეტლივ ეწევა საქველმოქმედო საქმეებს — ზრდის სხვის შვილებს, თავის ნათესავების ობლებს, ეხმარება ახლობლებს. ამას აკეთებენ ისინი არა გარეგანი იძულებით, არც მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით, არამედ თითქოს თვითონ ეძებენ ასეთ საქმეებს, თითქოს ამით საკუთარ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ. შესაძლოა მათ საზოგადოებრივი, ზოგადი იდეების სამსახურიც გაიხადონ ცხოვრების მიზნად, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, ამგვარი მიზნები არაა ძირითადი დამახასიათებელი თვისება ასეთი განწყობის ადამიანებისათვის. კოლექტივის, სამშობლოს, კაცობრიობის ინტერესებისათვის, სამართლიანობის, თავისუფლების იდეალებისათვის საფუძვლიანი ბრძოლა მოითხოვს განწყობის გარკვეულ სიტლანქეს: არჩეული მიზნით მთელი პიროვნების შეპყრობას, გარკვეულ ფარგლებში მიზნების ფიქსირებულ იდეად ქცევას, ხშირად ზოგადისათვის კერძოს უგულებელყოფას, საჭიროების დროს გარკვეულ ფანატიზმს. მაგალითად, ადამიანი, რომელიც თავს სწირავს თავისუფლების იდეას, თითოეული მოქალაქის მიმართ შეიძლება შეუბრალებელიც იყოს; ვინც თავს სწირავს სამშობლოს, კერძო პირების მიმართ საჭიროების დროს, შეიძლება სიმკაცრე და დაუნდობლობა გამოიჩინოს. ინდიფერენტობა, სიძულვილი, სიმკაცრე დაუნდობლობა, ულმობელობა, როგორც შემდგომი ანალიზის შედეგად დავინახავთ, სხვაგვარ განწყობას მოითხოვს, ვიდრე ამ ადამიანებისათვის დამახასიათებელი. განწყობაა. სიამოვნებისაკენ მიდრეკილება, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლის ღირებულების ობიექტივირებულად განცდა, თანაგრძნობისა და სიმპათიის მაღალი განვითარება, ძლიერი ალტრუისტული ტენდენცია ასეთ პიროვნებას არ აძლევს საშუალებას, რომ მისი ძირითადი მიზანდასახულობა პრაქტიკის სფეროში ტიპური ჰიპერტელისტური იყოს. ამის დაშვება შეიძლება ოცნების სფეროში და ტალანტის შემთხვევაში მხატვრულ შემოქმედებაში, აგრეთვე სხვა აზრითი ღირებულებების სფეროში.

საერთო სიტუაციის ზემოქმედების შედეგად შეიძლება ასეთ პირებში დაიბადოს ძლიერი იდეოტელისტური მიზნები. ამ მიზნების მიუღწევლობის გამო წარმოშობილ განცდების რეალიზაცია შეიძლება გამოიხატოს მხატვრულ შემოქმედებაში; ასეთი ტიპის შემოქმედი ამეტყველდეს ეროვნული, საკაცობრიო მოტივებით; ეს ძოტი-

ვები მაღალი მხატვრული გაფორმების გამო შეიძლება ამაღლებდეს მკითხველს, მაგრამ ამ მოტივებს ყოველთვის დააკლდება სიმძაფრე: ერთხელ ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე განუხრელი მოქმედება, რაც საჭიროა ზოგადი იდეით მოქმედი ადამიანისათვის. ჩვენს მწერლობაში ზემოთქმულის ილუსტრაციას წარმოადგენენ ჰიპერტელისტურ და იდეოტელისტურ მიზნისათვის მებრძოლი აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები. აკაკი წერეთლის პოეტური შემოქმედების ყოველი მონაკვეთი, თვით საშინელი ბრძოლის სურათიც, მიზნისათვის თავგანწირულთა ქცევა, სიკვდილის სურათები სავსეა სიყვარულით, შინაგანი სინათლით, მოქნილობით, პლასტიკურობით, გარკვეული ექსტრავერტობით, გულღიაობით. აქ მტერიცა და მოყვარეც განცდილია ადამიანური შინაგანი სითბოთი, სიმპათიით. თვით უკიდურეს პესიმისტურ ამღერებაშიც სჩქეფს სიცოცხლისა და კერძო ადამიანის უსაზღვრო სიყვარული, ოპტიმიზმი .ამ მხრივ განსხვავებულია ვაჟას შემოქმედება. ვაჟას მხატვრული სახეები, პერსონაჟები მუქი ფერებითაა მოხაზული, მისი გმირებიც მიზნისათვის ბრძოლისას საკუთარი თავისა და სხვების მიმართ შეუბრალებელნი, გულჩახვეულნი, ინტროვერტულნი მტკიცე განწყობით მოქმედი ადამიანებია; ყოველი პერსონაჟის ძირითადი მიზანი, თვით მეტად რბილი, სათნო ტიპების შემთხვევაში განუხრელი ფანატიზმითა და სიმკაცრით ბოლომდეა მიყვანილი; ძაღალი იდეა იდეა-ფიქსადაა ქცეული, რომლისთვისაც თავდადება, სიკვდილი გარდაუვალი აუცილებლობაა. მათთვის უცხოა გადანაცელება, პლასტიკურობა. კიდევაც ვაჟას პერსონაჟების უმრავლესობა მტკიცე ხასიათის (ტლანქი დინამიკური განწყობის) ტიპებს შეეკუთვნება და არა ჰარმონიულ ხასიათებს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჰარმონიული ადამიანები უმთავრესად ალტრუისტული მიზნების მიმართ არიან. განწყობილი. ასეთი მიზანდასახულობა ძირითადი ღერძია მათი აქტივობისა. ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ადამიანთა ფართო თუ ვიწრო წრე, საზოგადოება, დაწესებულება აი სად ტრიალებს ასეთი ადამიანების აზრი და ფიქრი. საკუთარი პიროვნება საზოგადოების გარეშე მას ოცნებაშიც ვერ წარმოუდგენია. განმარტოება მისთვის ტანჯვაა. მართლაც, ჩვენი ცდისპირების დასვენებაც არ მიმდინარეობს მარტოობაში. ისინი მას მოქმედებაში, აქტიურ გართობაში ატარებენ.

მიუხედავად ასეთი მიზნობრივი სწრაფვისა, ამ ადამიანებზე დაკვირ-ვების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ეს მიზნები ღრმად ვერ იჭრებიან პიროვნებაში, ამ მიზნების დამარცხების გამო ისინი არ ვარდებიან სასოწარკვეთილებაში. აი, მამა თუ დედა, რო-მელსაც ცხოვრების იდეალად გაუხდია ოჯახი, ბავშვები, ბავშვების აღზარდა და მათი ბედნიერება. იგი ამით სუნთქავს, თითქოს მას ამის გარეშე არსებობა არ წარმოუდგენია, მაგრამ იგი ყველაფერს ჰკარ-გავს. ყოველივე ამის გამო მას აქვს უბედურების მწარე განცდა, მაგ-რამ ეს ვერ აღწევს პიროვნების ღრმა ფენამდე, ვერ სცვლის პიროვ-ნებას. იგი ახერხებს სხვა მსგავს მიზანთა სფეროში გადანაცვლებას და ცხოვრება ისევ ჩვეული გზით მიმდინარეობს. პიროვნებაში თითქოს არც ჩასახულია ჰარმონიის დამრღვევი კონფლიქტების ტენდენცია. თუ მიზნებისათვის ბრძოლა მეტად მძიმეა და უპერსპექტივო, ასეთ ტიპს შეუძლია იგი ადვილად დასტოვოს და ახალ მიზნებზე გადაი-ნაცვლოს. მაგრამ ამ თვისებებს იგი იშვიათად ამჟღავნებს, რადგან მისი ცხოვრება, მიზნებისთვის ბრძოლა სიძნელეების გარეშე მიმ-დინარეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ადვილად პოულობს შესატყვის სიტუაციას თავის მიზნების რეალიზაციისათვის. იქ, სადაც სხვა ხასიათის ტიპს გამოუვალ კრიტიკულ მდგომარეობას ჰვრეტს და სიტუაციასთან კონფლიქტში იმყოფება, აღნიშნული ტიპი ახერ-ხებს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის პოვ-ნას.

ასეთი ადამიანი ენერგიულია, პრაქტიკული, მოქმედი, ცხოვრე-ბის მოყვარული. იგი ცხოვრების ყველა სფეროში ახერხებს აქტივო-ბის გამომჟღავნებას. ამ ადამიანებში შეხვდებით თეორიულ, ესთე-ტიკურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ღირებულებებისადმი განწყობილ პირებს, მიხედვით იმ სიტუაციისა, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება. სი-ტუაციის მიმართ ადეკვატური განწყობის გამო ისინი ადვილად ეგუებიან საზოგადოებაში განმტკიცებულ მოთხოვნილებებს, მაგრამ ძირითადში ყველგან , და ყოველთვის მათთვის წამყვანია სოციალურ ღირებულებათა სფერო. აქ ისინი განსაკუთრებული სიყვარულით, სიხარულით მოქმედებენ. მათ არ აინტერესებთ ძალა-უფლება, ყურადღების ცენტრში ყოფ-ნა, პირიქით, ისინი თანამშრომლობისაკენ, თანხმობისა და სოლიდა-რობისაკენ ისწრაფვიან. რადგან ამგვარი ტენდენციები კეთილმოწ-

ბილ საზოგადოებაში ყოველთვის განსაკუთრებულად დაფასებულია, ამიტომ მათ ყოველთვის დიდი სიმპათიით ეკიდებიან, ისინი ყველგან საყვარელ ადამიანებად ითვლებიან, ამიტომაც მათი ცხოვრება მიმდინარეობს ადვილად, კონფლიქტისა და ტრაგედიის გარეშე.

მოთხოვნილების განხორციელებისათვის, რაც სოციალურ პიროვნებაში გარკვეულ მიზანთა სისტემის სახითაა მოცემული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ნებელობას. ნებელობა მთლიანად მოტივს ეყრდნობა. მოტივი პიროვნების მოთხოვნილებათა, ამ შემთხვევაში მიზანთა სისტემასთანაა არსებითად დაკავშირებული. პიროვნების მოთხოვნილებების, საერთოდ, ცხოვრების განმავლობაში ფიქსირებულ განწყობათა თავისებურებანი სპეციფიკურად აყალიბებს ნებელობის დინამიკასაც.

ასეთი ადამიანის მოტივები იშვიათად თუ იმყოფება კონფლიქტში საზოგადოების მორალთან. იშვიათია არსებითი სახის წინააღმდეგობა მის იმპულსურ მისწრაფებებსა და ნებელობის მიზნებს შორის. მისი მაღალი იდეალები, სოციალური ტენდენციები და ყოველდღიური საცხოვრებო მოთხოვნილებები ურთიერთთან ჰარმონიაში იმყოფებიან. მისი მაღალი თუ დაბალი მოთხოვნილება ბუნებრივ მოთხოვნილებად ქცეულა. ამის გამო პიროვნება ადვილად ახერხებს ისეთი ქცევის პოვნას, რომელიც მიზანშეწონილია ამ მიზნების განხორციელების თვალსაზრისით.

თუ განვიხილავთ ამ პირების ნებელობის აქტის ძირითად მომენტებს, პირველ რიგში, გადაწყვეტილების აქტს, ვნახავთ შემდეგს: გადაწყვეტილების პროცესი არ მიმდინარეობს კონფლიქტურად, მისთვის არაა დამახასიათებელი ბრძოლა „კონფლიქტურ მოტივთა" შორის. მას არ უჭირს გადაწყვეტილების გამოტანა, თუმცა ცდისპირის უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ სერიოზულ საკითხებზე ერთბაშად, მოუფიქრებლად არ გამოაქვთ გადაწყვეტილება; ადგილი აქვს ერთგვარ ყოყმანსაც, ჩვეულებრივ ისეთ განცდას, რომელიც დამახასიათებელია ნებელობის აქტის ბუნებრივი მიმდინარეობისათვის. გადაწყვეტილების პროცესში შეფერხება უფრო მომავალი ქცევის ობიექტივაციას, მის აგებგმვას უნდა შეეხებოდეს, ვიდრე თვით გადაწყვეტილების აქტის მიმართ პიროვნების სისუსტეს. გადაწყვეტილების შემდეგ ამ პირებს აქვთ მტკიცე განცდა, რომ მათ შესწევთ სრული ძალა, რათა გადაწყვეტილება შეასრულონ. მომა-

ვალი მოქმედების ობიექტივაცია მათთვის უთუოდ დამახასიათებელია. ცდისპირები აღნიშნავენ, რომ ისინი, ასე თუ ისე, ყოველთვის ადგენენ ერთგვარ სამოქმედო გეგმას. ეს გეგმა შეიძლება არ იყოს დეტალური, ყოველმხრივ გააზრებული, ზუსტი; იგი შეიძლება უფრო ხშირად სქემატური ხასიათისა იყოს, ეხებოდეს მოქმედების დასაწყის მომენტს; შინაგანი ძლიერი დარწმუნებულობა ხშირად ზერელობის, ბოლომდე მოუფიქრებლობის შთაბეჭდილებას სტოვებდეს, მიუხედავად ამისა, შესრულება ყოველთვის მიმდინარეობს კონფლიქტების, უსიამოვნო განცდების გარეშე. ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების, ერთხელ ჩასახული განწყობის ნიადაგზე პიროვნების მოქმედება მტკიცეა. ის დაბრკოლებებს არ უშინდება, პირიქით, დაბრკოლებები მეტ ენერგიას მატებს მას. დაბრკოლების გადასახალავად, ძირითადი გადაწყვეტილებების ნიადაგზე, საჭიროების დროს სცვლის გეგმას, უმტკივნეულოდ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, ე. ი. ახალი სიტუაციის წინაშე იგი არასოდეს არ გრძნობს თავს უხერხულ, გამოუვალ მდგომარეობაში. თუ დარწმუნდება, რომ გადაწყვეტილება შეუსაბამოა, იგი მას ადვილად ცვლის. მისი გადარწმუნება ასეთ შემთხვევაში ადვილია. ამით იგი არ იგრძნობს პატივმოყვარეობის შელახვას. როცა მისი გადაწყვეტილებანი ობიექტური ვითარების გამო მიუღწეველი რჩება, იგი ამას დიდად არ დარდობს. ჯავრი, გადაბრალება, იქვიანობა უჩვეულოა მისთვის.

ამ პირებისათვის მოქმედების პროცესში დამახასიათებელია ადვილი გადანაცვლება; ასეთი პიროვნება იძულებით თუ სპონტანურად ადვილად სწყვეტს მუშაობას და ასევე ადვილად გადაინაცვლებს სხვა სამუშაოზე; ამ ახალ სიტუაციაში მისი მოქმედება შეუფერხებლად და ადეკვატურად მიმდინარეობს. ცდისპირები ერთსა და იმავე დროს წარმატებით აკეთებენ მრავალ საქმეს; ერთიდან მეორეზე გადანაცვლება თავის ძირითად მიზანთა წრეში მათთვის, თითქოს, ჩვეულებრივი პროცესია. ხშირად ცხოვრების აუცილებლობისა თუ შინაგანი მოთხოვნილების გამო ისინი ადვილად იცვლიან პროფესიას, ესწრაფვიან ცხოვრების ახალ ღირებულებებს. ამ გარემოებას პიროვნება ვერ მიყავს კონფლიქტამდე, ასეთი ადვილ გადაწყვეტილების უნარი მას არ აქცევს სიტუაციის მონად. როგორც ამას შემდეგშიც დავინახავთ, ნებელობის სიმტკიცე დამახა-

სიათებელია ადამიანთა სხვა ტიპებისათვისაც. მაგრამ აქ თავისებურია პიროვნების მოთხოვნილებათა, მიზანთა სისტემასთან, ემოციურ ცხოვრებასთან, ძირითადში განწყობებთან მჭიდრო კავშირში ნებელობის მიმდინარეობის პროცესი. ასეთ ადამიანში ყველა ეს ნაწილობრივი, ცალკეული მომენტი თითქოს ერთმანეთს ეთანხმება და ჰქმნის ჰარმონიულ სტრუქტურას.. პიროვნების სტრუქტურის ჰარმონიულობის გამო ნებელობაც, როგორც ამ ჰარმონიული პიროვნების შინაარსის, მიზნების განმახორციელებელი აგენტი, ყოველთვის შეუფერხებლად ემსახურება მას. ამ საერთო შინაგანი თანხმობის მეოხებით ნებელობას არ სჭირია იმპულსების შეფერხებისათვის ენერგიის დაძაბვა და ზედმეტად მისი ხარჯვა. მას არ სჭირია პიროვნების რომელიმე ნაწილის დეფექტის კომპენსაცია, რადგან ასეთი დეფექტი მასში ძნელად იპოვება. ყოველივე ამის გამო, ამ ტიპის ადამიანთა ცხოვრება მიმდინარეობს შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების გარეშე.

სხვადასხვა ფაქტორების, კერძოდ, ცხოვრების პირობების გამო, აღწერილი ძირითადი ტიპიდან გადახრებსაც აქვს ადგილი. ასეთი გადახრის I ვარიანტია, როდესაც ადამიანს ახასიათებს ემოციების ადვილი აგზნებადობა, უსიამოვნო განცდების ხანგრძლივად შემონახვა, მსუბუქი დეპრესია და შინაგანი კონფლიქტები. II ვარიანტის შემთხვევაში დამახასიათებელია გრძნობის ზერელობა, ლაბილობა, უდარდელობა, იმპულსურობა, ნებელობის სისუსტე; მაგრამ ყველა ეს ნიშანი კომპენსირებულია პლასტიკურ-დინამიკური განწყობის საფუძველზე აღმოცენებული პიროვნული მთლიანობით.

* * *

პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ჰარმონიული ადამიანი, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებით გარემოსთან აქტიური შეგუების სიადვილე, ყოველგვარ რთულსა და მძიმე პირობებში შინაგანი წონასწორობა, ოპტიმისტური ემოციები, გულღიაობა, ექსტრავერტობა, ინტიმურ მისწრაფებებსა და ნებელობის მიზნებს შორის ჰარმონია, დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ასახულია მსოფლიო მნიშვნელობის

მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში. მათ შორის ყველაზე ტიპიურია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ავთანდილი, შექსპირის პიესის „ვენეციელი ვაჭარი“-ს გმირი პორცია, შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელი, რომენ როლანის კოლა ბრუნიონი, პოლევოის რომანის „ამბავი ნამდვილი ადამიანის შესახებ“ გმირი კომისარი ვორობიოვი. სახვითს ხელოვნებაში ჰარმონიული ადამიანი მიუწვდომელი ოსტატობით გამოკვეთილია კორეჯოს, რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის ტილოებში (მათ შორის შინაგანი სინათლით, ოპტიმიზმით, წონასწორობით უფრო ტიპურია კორეჯოს სურათები), ანტიკური გენიის წარმომადგენლების ფიდეასისა და პრაქსიტელის ქანდაკებებში.

ყველა ეპოქაში დიდი ხელოვნების იდეალი ჰარმონიული ადამიანი იყო. ადამიანის სულის მშვენიერება ყოველთვის გაიგივებული იყო შინაგნად წონასწორი, გულღია, ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში მთლიანი ადამიანის იდეალთან. ყოველთვის ადამიანის ტრაგედიის მიზეზად მიჩნეული იყო თანდაყოლილი ან გარემო პირობების ნიადაგზე წარმოშობილი შინაგანი კონფლიქტები, ნებელობის ძალებით ამ კონფლიქტების მოწესრიგების შეუძლებლობა. დიდ მხატვრულ ნაწარმოებებში მთლიანი ჰარმონიული ადამიანების ცხოვრების გზა, ცხოვრების ტრაგიკული ფინალი სინათლით, გარკვეულობით, სიმშვენიერისა და დიდების შარავანდედითაა შემოსილი. თვით შინაგნად გახლეჩილი, კონფლიქტური ადამიანების მხატვრულ სახეში ნაგულისხმევია რიგი ფაქტორების ზეგავლენით, დარღვეული ჰარმონიის აღდგენისა და ნამდვილი, სრული, ჰარმონიული ადამიანობის თავისთავში დამკვიდრებისაკენ შეუდრეკელი სწრაფვა. კონფლიქტური გმირების ცხოვრების ტრაგიკული ფინალიც განხილულია როგორც შინაგანი, ისე გარემოს მიმართ წონასწორობის აღდგენის მიღწევის შეუძლებლობის შედეგი. დიდი ხელოვანი თავის ეპოქის მისწრაფებების, იდეალების გავლენით ჰქმნიდა იდეალურ თუ რეალურ ჰარმონიულ ტიპებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ხელოვანის ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი კოდი. ამ გმირების მისწრაფებების შინაარსი, ცხოვრების სტილი აღბეჭდილია ეპოქის, სოციალური კლასის, წოდებრივი თავისებურების დაღით. მაგალითად, შექსპირის პორციასა და პოლევოის კომისარ ვორობიოვის ცხოვრების გზა, მიზნები, მისწრაფებები მკვეთრად

განსხვავებულია. პორციაში ჰარმონიული სულიერი სამყარო მოქცეულია ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიულ-მესაკუთრულ გარემოში; იგი ამ გარემოს შვილია, მაშინ როცა ვორობიოვი არის კომუნიზმის იდეებისათვის იარაღით ხელში მებრძოლი მხედარი, ჰარმონიული ადამიანი. მაგრამ ადამიანთა ხასიათის ერთ ტიპში მათ აერთიანებს ერთი საერთო თვისება: განწყობის პლასტიკურობა, დინამიკურობა, რაც განსაზღვრავს მათი ქცევის, სულიერი სამყაროს პლასტიკურობას, ბუნებრივი რიტმით მიმდინარეობას, ყველა პირობაში სულიერი სიმშვიდისა და წონასწორობის დაცვას, გულღიაობას, ცხოვრების მაღალი ღირებულებისათვის შეუდრეკელ ბრძოლას.

ჰარმონიული ადამიანების ტიპების შეუდარებელი შედევრები მოგვცა კლასიკურმა ხელოვნებამ. როგორც ამას ჰეგელი აღნიშნავს, ბერძნული ღმერთები წარმოადგენდნენ არა შიშველ აბსტრაქციას, არამედ კონკრეტულ, დამოუკიდებელ ინდივიდუალობებს. ამიტომ თითოეულ ღმერთს გააჩნია ხასიათი. ინდივიდუალობა ხასიათის გარეშე ფიქციაა, ბერძნების წარმოდგენაში ღმერთის სული და სხეული ერთი გაუნაწევრებელი მთლიანია, ამ მთლიანობიდან გამოკრთის სულის საკვირველი სიმშვიდე და შინაგანი დარწმუნებულობა. ეს მკაცრი (და არა უძრავი, ცივი, უსიცოცხლო), აზრიანი, წონასწორი სიმშვიდე არის ყველაზე მაღალი და ადეკვატური ფორმა კლასიკური ღმერთების გამოსახვისა. ასეთ მთლიანობასა და ჰარმონიას ბერძნულ ხელოვნებაში ყველაზე უკეთ ასახავდა ბერძნული სკულპტურა.[1] მართლაც, ბერძნული ხელოვნების შედევრების განმასხვავებელ თვისებას შეადგენდა „კეთილშობილი სიმარტივე და მშვიდი სიდიადე“ როგორც პოზაში, ისე გამომეტყველებაში. ისე, ვით ზღვის სიღრმე მარად მშვიდია, როგორც არ უნდა ღელავდეს მისი ზედაპირი, ასევე ბერძნული ფიგურების გამომეტყველება გამოხატავს, მათში დაბუდებულ ვნებების მიუხედავად, დიდსა და წონასწორ სულიერ მდგომარეობას. ბერძნული ქანდაკებების კეთილშობილი სიმარტივე და მშვიდი სიდიადე არის ასევე ბერძნული ლიტერატურული ნაწარმოებების დამახასიათებელი ნიშანი, ამ უკანასკნელის განვითარების საუკეთესო პერიოდში. ეს ნიშნები აძლევენ რაფაელის ნაწარმოებებს განუსაზღვრელ სიდიადეს, რომელსაც მან

[1] Гегель, Эстетика, т. XIII, გვ. 50—59.

მიაღწია კლასიკური ხელოვნებისადმი მიბაძვით.[1] იტალიური რენესანსის მხატვრობაში განსაკუთრებით გამოირჩევა კორეჯო, რომლის ყველა ნაწარმოები აღსავსეა სიცოცხლის სიყვარულით, ამაღლებული სულით და თანაც განუსაზღვრელი შინაგანი ნეტარებით, (მაგალითად, დრეზდენის „წმინდა ღამე"), მისი სურათები გვიხატავენ მაღალი ბუნების ჰარმონიულ ადამიანებს, რომლებშიც შერწყმულია კეთილშობილური სიმარტივე და უბრალოება.

მხატვრულ ლიტერატურაში სამაგალითოა რუსთაველის ავთანდილი — ქართული რენესანსის ჰუმანიური მისწრაფებების, ამაღლებული სიყვარულით და მეგობრობის პათოსით ანთებული ადამიანი. იგი თავისი მიზნის დაგვირგვინებისათვის იბრძვის აუღელვებელი ბუნებრიობით, სიმტკიცით; მისი მიზნები მრწამსად, ბუნებრივ მისწრაფებებად არის ქცეული; ღრმა და კონფლიქტური ემოციები, რომლებიც თავს იჩენს თავის მიჯნურის ან მეგობრის გაურისას, ვერ არღვევენ მისი პიროვნების მთლიანობას. ყველა რთულ, თითქოს გამოუვალ პირობებში იგი პოულობს გამოსავალს, ეგუება ყველა, თითქოს მისთვის შეუფერებელ, სიტუაციას (ვაჭრის როლში ყოფნა, ფატმანთან ტრფიალება და სხვ.); ამავე დროს იგი ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას და რჩება თავისი ძირითადი იდეის ერთგული. მისი პიროვნების „ცენტრი" — განწყობა ყოველთვის უბიძგებს მას იყოს ყველა პირობაში გარემოსადმი ადეკვატური, დაუძაბავი, გულითადი, მოქნილი, აქტიურად შემგუებელი, ბუნებრივი, ამავე დროს საკუთარი ქცევის ობიექტივაციის, კრიტიკული ანალიზის მაღალი უნარით აღჭურვილი. ადამიანი. მისი შინაგანი მისწრაფებების და ცხოვრების აუცილებლობით ნაკარნახევი ნებელობის მიზნების შეთანხმება ხდება უმტკივნეულოდ, მძიმე კონფლიქტების გარეშე. ავთანდილის მრავალმხრივი და რთული ქცევის ანალიზი ნათელს ხდის, რომ მისი პიროვნების „ცენტრის" — განწყობის ბუნება პლასტიკურია და დინამიკური, რაც განაპირობებს ამგვარი ტიპის ადამიანის ქცევისა და განცდების აღმოცენებისა და მიმდინარეობის თავისებურებას.

იდეალური ჰარმონიული ადამიანის სრულყოფილ ნიმუშს წარმოადგენს შექსპირის პიესის „ვენეციელი ვაჭარის" გმირი პორცია. ბრანდესის დახასიათებით, პორცია სუნთქავს სიჯანსაღით, მისი გა-

[1] Винкельман, Избранные произведения, 1935, გვ. 107—110.

მომეტყველება ყოველთვის აღსავსეა სიხარულით, ნათელი ბედნიერება მისი სტიქიაა. იგი დაიბადა ბედნიერებაში, გაიზარდა ბედნიერებაში, გარემოცულია ბედნიერების ყველა პირობით და ატრიბუტით და თვითონაც გაშლილი ხელებით ავრცელებს თავის ირგვლივ ბედნიერებას. იგი აღსავსეა კეთილშობილებით. იგი არაა გედი, რომელიც დაიბადა იხვებს შორის. იგი სრულ ჰარმონიაშია გარე სამყაროსა და თავისთავთან... ყოველთვის პოულობს დასაყრდენს თავის ჯანსაღ ნატურაში, რომელიც აღსავსეა სიცოცხლის ბუნებრივი სიყვარულით, რაც არასოდეს არ ღალატობს მას. ცხოვრების მწვავე წუთებში, რომელიც გარკვეულობით ხასიათდება, მას შეუძლია იყოს მხიარული, მღელვარე სიხარულის დროს კი თავშეკავებული, უბედურების მოლოდინში ენერგიულად მოქმედი. იგი თავის სულში ინახავს სხვებისთვის დახმარების ამოუწურავ წყაროს... აქედანაა მისი წონასწორობა და მეფური სიმშვიდე. პორციისავსეა თანდაყოლილი ჰარმონიით, და ეს ჰარმონია სრული და მდიდარია, თუმცა იგი თავისთავში აერთებს მძლავრ წინააღმდეგობებსაც; ამიტომ საჭიროა გარკვეული ფანტაზია, რომ იგი ნათლად წარმოვიდგინოთ. „ამ რთულ ჰარმონიულ პიროვნებაში არის რაღაც, რომელიც გვაგონებს ლეონარდოს ქალების სახეს: ღირსება და სინაზე, უპირატესობის გრძნობა და მორჩილება, სიბრძნე და გულუბრყვილო ქალურობა, სერიოზულობა და ცელქი დამცინაობა, იდუმალად შერეულია და გამთლიანებულია მასში".[1] თვით შექსპირიც აღტაცებულია ასეთი ჰარმონიული ადამიანის ბუნებით, რასაც იგი თავის პიესის გმირი ქალის ჯესიკას სიტყვებით ასე გამოთქვამს:

„ორი ღმერთი რომ შეეჯიბროს ზეცაში ერთურთს,
სანაძლეოდ კი მათ ორივემ ორი მოკვდავი
ქალი დასახოს და ერთ-ერთი პორცია იყოს,
მაშინ მეორის ფასი უნდა რითმე გაზარდო,
რადგან ამ უხეშ და უბადრუკ დედამიწაზე
ვერსად ვერავინ ვერ იპოვნის ბადალს იმისას".[2]

ჰარმონიული ადამიანის ქცევის პლასტიკურობა, ბუნებრიობა, მოქნილობა რთულსა და მწვავე კოლიზიებში საკუთარი ღირსების დაცვით, აქტიური შეგუება, სიცოცხლის განუზომელი სიყვარული,

---

[1] Брандес, Литературные характеристики, т. XVI. 1909, გვ. 286—289.
[2] შექსპირი, ვენეციელი ვაჭარი. ვ. ჰელიძის თარგმანი, 1955, გვ. 305.

ოპტიმიზმი ჩაქსოვილია შარლ დე კოსტერის ნაწარმოების „ლეგენდა ულენშპიგელზე“ გმირის ულენშპიგელის ხასიათში. ულენშპიგელი წარმოადგენს ხალხისათვის მებრძოლი გმირის იდეალიზაციას, მაგრამ ამ იდეალურ ტიპში მთელი სისრულით განსახიერებულია დაუდეგარი, სიცოცხლით სავსე, სულით მდიდარი კონკრეტული ადამიანი, რომელიც ყოველ მძიმე გასაჭირში რჩება გამარჯვებული, სულით ჯანსაღი და ხალისით სავსე.

რომენ როლანის კოლა ბრუნიონიც წარმოადგენს იმის ნათელ ილუსტრაციას, თუ რა დიდი ამტანობა აქვს ჰარმონიული ადამიანის ხასიათს მძიმე ტრავმული ფაქტორების მიმართ. კოლა ბრუნიონი, რომელიც უფრო მეტად ჰარმონიული ადამიანის სიმბოლოს, ერთგვარ ქარაქტეროლოგიურ ჰიპერბოლას წარმოადგენს, მთავარ ხაზებში მაღალი მისწრაფებებით, კეთილშობილური მიზნებით, იდეალური თვისებებით აღჭურვილი ჰარმონიული ხასიათის ადამიანის ცოცხალი, ინდივიდუალიზებული ფიგურაა. იგი გაივლის სამოქალაქო ომის ქარცეცხლს, მას თავს დაატყდება უამრავი უბედურება, ავადდება ჭირით, ხანძარი იმსხვერპლებს მის სახლ-კარს, მისი შემოქმედების ნაყოფსაც, მაგრამ ადვილად უძლებს ყველა საშინელებას და ყველა პირობაში რჩება წონასწორი, ოპტიმიზმით, სიცოცხლის სიყვარულით, სიხარულით და იუმორით აღსავსე. პირადი უბედურების წუთებში, როდესაც იგი გაიგებს, რომ მას სახლი დაუწვეს, ხანძარმა იმსხვერპლა მისი ნაწარმოებები, იგი აღტაცებით და სიყვარულით გამთბარი სიტყვებით მიმართავს თავის მეგობარ რაბინეს, როგორც ყველა მისი მეგობრის წარმომადგენელს, რომელმაც გამოიჩინა თავდადება ხანძართან ბრძოლასა და ბრუნიონის საყვარელი ქანდაკების „მაგდალინელის“ გადარჩენაში: „შეეხედე რა რაბინეს, რომელიც თავისი დაჭრილი ხელებით ქანდაკებას იხუტებდა, მე მივმართე ცათამპყრობელს. — აი, ესაა ჩემი ნამუშევრებიდან ყველაზე საუკეთესო, სულები, გამოძერწილნი ჩემს მიერ. მათ მე ვერავინ წამართმევს. დასწვი, ნაცრად აქციე ყოველივე, სული მთელია“.[1]

ჰარმონიული ადამიანების გამოკვეთილი ტიპები დაგვიხატა ტოლსტოიმ თავის რომანში „ომი და მშვიდობა“. ტოლსტოიმ ჰარმონიული ადამიანის ფსიქოლოგიური ტიპი გამოიყენა თავისი იდე-

[1] Ромен Ролан, Кола Бруньон, 1956, გვ. 139.

ის (ტოლსტიანელობის) გამოსახატავად. ამ მხრივ საგულისხმოა პლატონ კარატაევი, რომელიც, მიუხედავად რუსული პატრიარქალური გლეხობისათვის დამახასიათებელი იდეური ჩამორჩენილობისა და მორჩილების სულისა, ქარაქტეროლოგიურად წარმოადგენს ჰარმონიული ადამიანის ტიპს. საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ჰარმონიული ადამიანის ტიპის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს პოლევოის რომანის („ამბავი ნამდვილი ადამიანის") გმირი კომისარი ვორობიოვი. ეს უკანასკნელი გართულებულ ფიზიკურ მდგომარეობაში, მძიმედ კონტუზებული, აუტანელი ტკივილების დროსაც კი არ ჰკარგავს სიცოცხლის სიმშვენიერის რწმენას, სიხალისეს; იგი მძიმე ფიზიკური ტანჯვის დროსაც აღვსილია მაღალი იდეებით, იმედებით, ოპტიმიზმით, სიკედილის წუთებშიც კი უნერგავს სხვებს ცხოვრების მაღალ ღირებულებებს, მაღალ იდეებისათვის ბრძოლის წყურვილს. ყოველი მძიმე სიტუაციიდან იგი გამარჯვებული ახერხებს გამოსვლას; სხვის მიმართ იგი მეტად გულთბილი და თანამგრძნობია, ყოველი ადამიანისათვის მას გააჩნია შესატყვისი თბილი სიტყვა, იგი ახერხებს ყველას შესაფერისი „გულის გასაღების" პოვნას.

ბ. მთლიანი, მტკიცე ხასიათი
(ტლანქი დინამიკური განწყობის ადამიანი)

მთლიანი, მტკიცე ხასიათის ადამიანებს უმუშავდებათ ტლანქი დინამიკური განწყობა. სიტლანქე განწყობის ინერტობაზე, უძრაობაზე მიუთითებს. ასეთი ფიქსირებული განწყობა ხანგრძლივად იპყრობს პიროვნებას, ადამიანს უჭირს წარსულ გამოცდილებასთან. წარსულში განმტკიცებულ განწყობასთან კავშირის გაწყვეტა, აწმყოს მოთხოვნილების შესაბამისი განწყობის შემუშავება; იგი ძნელად სთმობს ჩვევად ქცეულ მისწრაფებებს, ავლენს მიდრეკილებას დარჩეს ძველ პოზიციებზე, ობიექტური სინამდვილის შესატყვისი პოზიციის დაკავებას იგი ახერხებს არა სწრაფად და თანდათანობით. არამედ დაგვიანებით. მაგრამ, როცა ამას აღწევს, ის ხდება ერთბაშად და ნახტომისებურად, ე. ი. ერთი განწყობიდან მეორეზე გადანაცვლება მიმდინარეობს არა პლასტიკურად, ბუნებრივი რიტმით, არამედ ტლანქად — ერთბაშად. ასეთი ადამიანის განწყობა თავისი

ბუნებით ტლანქია. ამიტომაც ტლანქი განწყობით განსაზღვრული სოციალური ქცევაც „სიტლანქით“ ხასიათდება.

თუ წინათ აღწერილი პლასტიკური განწყობის ადამიანში იმპულსურად მოქმედ განწყობის დონეზე მიმდინარე ხასიათისეული ქცევა (თავისთავთან, სხვა ადამიანებთან, ობიექტურ ღირებულებებთან დამოკიდებულება) ბუნებრივად ჰარმონიაშია უფრო მაღალ, ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ნებელობით საქციელთან, ტლანქი განწყობის ადამიანში ეს „ჰარმონია“ მყარდება მთელი პიროვნების დაძაბული ავქტივობით. მას ხშირად უხდება თავისი იმპულსების შეკავება, ქცევის ობიექტივაცია, ქცევის მსვლელობაში ნებელობის ჩართვა; მისი პიროვნების ცალკეული მხარეები — წარსულში შემუშავებული მისწრაფებები, მიზნები ხშირად ეწინააღმდეგება ახალ გარემოში შეგუებისათვის აუცილებელ ნებელობის საქციელს; მაგრამ საბოლოოდ შინაგანი უთანხმოება დაძლეულია და გამთლიანებულია ისევ მტკიცე ნებელობით. ამიტომაც ამ ტიპის პიროვნების სტრუქტურა მთლიანობით ხასიათდება.

ამ ტიპის ადამიანი მძლავრი და ღრმა სოციალური იმპულსებით და მიზნებითაა აღჭურვილი. მისი არსებითი თვისებაა — პიროვნებასთან შეზრდილი მიზნებისათვის ბრძოლაში დაუშრეტელი ენერგიის გამომჟღავნება. იგი, როგორც მიზნებისათვის მებრძოლი ადამიანი, ძირითადად ოპტიმისტურადაა განწყობილი. მას ახასიათებს: სიხარული, სიამოვნება, მხიარულება, საერთოდ, ისეთი ემოციური განცდები, რომლებიც სუბიექტის სასიამოვნო მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. როგორც წამყვანი ტენდენცია, გამორიცხულია უსიამოვნო განცდები: სევდა, დარდი, შიში, უხალისობა, ნაღვლიანობა, სასოწარკვეთილება, მოწყენა და სხვა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სუბიექტური მდგომარეობა არსებითად განსხვავდება პლასტიკური განწყობის ადამიანების სუბიექტური მდგომარეობის გამომხატველ გრძნობებისაგან. ასეთი ადამიანის ემოციური მდგომარეობა, სხვა ტერმინის უქონლობის გამო, შეიძლება ასე აღინიშნოს: იგი სერიოზული, დინჯი, დარბაისელია. ეს თვისებები დამახასიათებელია როგორც მისი საერთო სუბიექტური მდგომარეობისათვის, ისე ხილული ქცევისათვის. ამ მხრივ მისი ქცევა და განცდები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. პიროვნების სიღრმიდან მომდინარე განცდები ყოველთვის მოქმედების ადეკვატურია. ადა-

მიანის ყოველი აქტიური მოქმედება რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის არის მოწოდებული. მოთხოვნილების დაკმაყოფილების წარმატებით მიმდინარეობა სასიამოვნო მდგომარეობას ქმნის, წარუმატებლობა — უსიამოვნოს. რადგან ყოველთვის წარმატება და წარუმატებლობა შესაძლებელია ერთმანეთს სცვლიდეს, მიზნებისათვის მებრძოლი, მოქმედი ადამიანის ემოციური მდგომარეობა შეიძლება ქანაობდეს ამ ორ პოლუსს შორის. ამ ადამიანის ემოციები მჭიდროდაა დაკავშირებული მიზნისათვის ბრძოლის პროცესთან, მის აქტივობასთან. იგი მთლიანად მიზნებით აღჭურვილი ადამიანია.

ამ მიზნებს იგი არასოდეს არ ეკიდება ზერელედ, უდარდელად: ისინი მისი სიცოცხლის არსია, იგი ამით სუნთქავს, ცოცხლობს. მისი მიზნები ყოველთვის გარკვეულია და გაცნობიერებული, ამ მიზანთა სფეროში მას არ ახასიათებს პესიმიზმი, ნიჰილიზმი და დამარცხების პერსპექტივის უდარდელად განცდა. იგი ყოველთვის სერიოზულად ეკიდება მას და გარკვეულ მომენტში მისი ემოციური სფერო აქტივობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. სერიოზული სიამოვნებით განიცდის წარმატებას, სერიოზული უსიამოვნებით — წარუმატებლობას; ღრმად, საფუძვლიანად ხარობს და ასევე საფუძვლიანად სწუხს; არაა მოკლებული ადამიანის ემოციური განცდების არც ერთ მნიშვნელოვან თვისებას. შეუძლია განიცადოს მზრუნველობა, მწუხარება, რისხვა, ზიზღი და სხვა. მაგრამ, პიროვნების საერთო ოპტიმისტური ტენდენციის გამო, მას იშვიათად ახასიათებს სასოწარკვეთილება, ნაღვლიანობა, შიში, ძრწოლა, მოწყენა, სიცარიელე, ე. ი. პესიმისტურ განწყობილებიდან მომდინარე გრძნობები. მოქმედების, პრაქტიკის, მიზნებისათვის ბრძოლის მოყვარული მისი ბუნება შეუძლებელია პესიმისტურმა ფიქრებმა დაიუფლოს. სასიამოვნო გრძნობა მასში იძენს ექსტენსიობის თვისებასაც, იგი ხშირად მის გუნებასაც განსაზღვრავს. ბრძოლის პროცესში ხშირადაა ცუდ გუნებაზე, მაგრამ გუნება რაღაცნაირად ყოველთვის მიმართულია ობიექტისაკენ, თითქოს გასაგნებულია; ასეთი გუნება ობიექტის დაუფლების ან მიზნის მიუღწეველობითაა გამოწვეული, ამიტომ იგი გაცნობიერებულია, არაა გაურკვეველი ემოციური კომპლექსიდან მომდინარე. პიროვნებამ ყოველთვის იცის, თუ რატომაა თვითონ კარგ თუ ცუდ გუნებაზე. მისი გუნება

ყოველთვის საქმიანია, სერიოზული და მიზნისათვის ბრძოლაში ენერგიის მომცემი. ამრიგად, იგი არასოდეს არაა მხოლოდ დეპრესიული, მხოლოდ იპოქონდრიული, მელანქოლიური და არც მანიაკალური თვისების მატარებელი. გუნების, საერთო სუბიექტური მდგომარეობის ასეთი თავისებურებების გამო, შესაძლოა მასში სწრაფად ხდებოდეს განტვირთვა უსიამოვნებისაგან და სასიამოვნო გრძნობებისაკენ გადასვლა. ასეთი ადამიანის არსებაში მუდამ ლივლივებენ პიროვნების სიღრმიდან მომდინარე ემოციათა ტალღები, მაგრამ ისინი იშვიათად იქცევიან ისეთ ღელვად, რომ დაარღვიონ პიროვნების წონასწორობა; ემოციური გრძნობის ასეთი ვარიაბილობა სრულიადაც არ ადასტურებს იმას, რომ ასეთი პიროვნება სიტუაციით იყოს განსაზღვრული, მისი განცდების მიმდინარეობა მთლიანად სიტუაციის ცვლილებებზე იყოს დამოკიდებული, თითქოს, იგი სიტუაციის მონა იყოს. ეს გარემოება არ მიუთითებს მის სენსიტივობაზე, გუნების პათოლოგიურ მერყეობაზე. ასეთი მერყეობა პიროვნების ჭარბი აქტივობიდან მომდინარეობს. ქცევის წარუმატებლობა, განწყობის რეალიზაციის შეუძლებლობა, პიროვნების ჭარბი აქტივობის ტენდენციის გამო, ხშირად წარმოშობს ისეთ უსიამოვნო მშფოთვარე განცდებს, რომლებიც პიროვნებას იწვევენ ახალი აქტივობისაკენ.

ტლანქი დინამიკური განწყობის ადამიანი თავისთავში გრძნობს ძლიერ ძალას. შინაგანი ძლიერების განცდა მომდინარეობს საკუთარი ძალების უპირატესობაში დარწმუნებულობიდან. ეს განცდა ყოველთვის დაკავშირებულია განსაზღვრულ მიზანთან, გარკვეულ აქტივობასთან. იგი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ ამ მიზანს მიაღწევს, ამიტომ თავგამოდებით იბრძვის ამისათვის. ამ პროცესთან სდევს შინაგანი რწმენა, მას სწამს, რომ რასაც აკეთებს, მნიშვნელოვანია და ღირებული; დარწმუნებულია, რომ უკეთ მიაღწევს მიზანს, ვიდრე სხვები. მიზნის მიღწევა, აქტივობის დადებითი შედეგი, თავისთავში რწმენის სიმტკიცე ქმნიან სასიამოვნო გუნებას. აქტივობის ჭარბი ტენდენცია შეუძლებელს ჰყოფს, რომ მასში დაისადგუროს დაურწმუნებლობამ, მერყეობამ, პესიმიზმმა. უკიდურესი დამარცხების წუთშიც, როდესაც ცხოვრების უკუღმა ტრიალი თითქოს გასთელავს მის სანუკვარ იდეებს, იარაღაყრილს, თითქოს ბრძოლის უნარიც წაერთვა, როცა გარეშეს თვალში იგი სავსებით

განწირულია, უბედური, მტვერწაყრილი ადამიანია, ასეთ შემთხვევაშიც კი მასში არაა დაკარგული საკუთარი თავისადმი რწმენა. მასში ყოველთვის რჩება უნარი, მოხერხება და დარწმუნებულობა. რომ შესძლებს საკუთარ საყვარელ მიზნებისათვის ბრძოლას. იგი ღრმა ტკივილებით განიცდის დამარცხებას, ბედის უკუღმა ტრიალს, საკუთარ შეცდომებს, მაგრამ დამცირებულობის, უიმედობის განცდა მისთვის არაა დამახასიათებელი. იგი გრძნობს საკუთარ ღირსებას, უპირატესობას, შინაგან სიამაყეს: ეს უკანასკნელი არასოდეს არა გამომხატველი ჭარბი პატივმოყვარეობის, ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციის, ჯიუტური შეურიგებლობისა, არამედ მომდინარეობს შინაგანი ოპტიმიზმიდან, ცხოვრების ოპტიმისტური განცდიდან; ცხოვრება მისთვის ბრძოლის სერიოზული ასპარეზია. მან იცის, რომ ცხოვრებაში წარმატებას შეიძლება სცვლიდეს წარუმატებლობა; ამიტომ მას არ აშინებს ეს უკანასკნელი, არ კრთის დამარცხების წინაშე. მიზნებისათვის ბრძოლის ასპარეზზე. გამარჯვებებისა და დამარცხებების პერიპეტიებში, მღელვარე გახცდებით იგი ყოველთვის წინ მიაბიჯებს. შინაგანი რწმენა, საკუთარი ღირსების ცნობიერება და შინაგანი სიამაყე ყოველთვის ანელებს მძლავრ ემოციებს და ცნობიერებას დაბინდვის საშუალებას არ აძლევს.

ამ ტიპის ადამიანის სხვისი მიმართი განცდები ყოველთვის გაჯასაზღვრულია საკუთარი აქტივობით. მას შეიძლება ჰქონდეს მძლავრი სიმპათიის, სიყვარულის, საერთოდ, სასიამოვნო გრძნობები, მაგრამ ამავე დროს იგი არაა მოკლებული სხვის მიმართ ბლიერ უსიამოვნო განცდებსაც. წამყვანი ტენდენცია ყოველთვის კეთილგანწყობილების განცდაა. ამ ადამიანისათვის თითქოს არაა დამახასიათებელი სიმპათიის ისეთი მძლავრი განცდა, რომელიც სიბრალულამდე, შებრალებამდე, გულშემატკივრობამდე მიდის: თითქოს მას ამის საშუალებას არ აძლევდეს მისი ემოციების ევკოლიური ტენდენცია. სიბრალული გულისხმობს სხვისი უბედურების მძლავრად შთაგრძნობას, სხვის განცდებში ჩაძირვას, სხვისი განცდების საკუთარ განცდად ქცევას, აგრეთვე სხვისი უბედურების შემსუბუქების მოთხოვნილებას. ასეთი ადამიანები თითქოს მოკლებულნი არ არიან სიმპათიის ამ კომპონენტებს, მაგრამ ისინი როგორც სხვებში,

ისე თავის თავში ერთგვარი შინაგანი ათვალწუნებით უცქერიან ამ-ის გამომჟღავნებას. შთაბეჭდილებაა, თითქოს მათ სჯეროდეთ სია-მოვნებისა და უსიამოვნების თანაბარი აუცილებლობა და ღირებუ-ლება. მათი აზრით, ცხოვრების აუცილებელ მიზანს არ შეადგენს სიამოვნება. ისინი არასოდეს არ გაიზიარებდნენ შოპენჰაუერის მო-რალს, რომლის მიხედვით ნებელობის მიზანი სიამოვნებაა, სურვი-ლების დაკმაყოფილებისაკენ ლტოლვა, ხოლო რადგან ეს შეუძლუ-ბელია, სურვილების დაკმაყოფილება მოჩვენებითია, ამის გამო ცხოვრება ტანჯვაა, ადამიანი ტანჯული არსებაა; ალტრუისტული მორალის მქონე ადამიანმა უნდა შეიბრალოს ტანჯული, გულის-ტკივილით, სიბრალულით მოექცეს თანამოძმეს.

მისთვის უცხოა ევდემონისტური ეთიკა; ცხოვრების აზრი გან-ცდილია, როგორც აქტივობა თანმხლები სიამოვნებით და უსიამოვ-ნებით. როგორც ყოველი ნამდვილი ადამიანი, იგი ისწრაფვის სია-მოვნებისაკენ, მაგრამ თავის თუ სხვის ცხოვრებაში უსიამოვნების რაოდენობრივ სიჭარბის შემთხვევებს ვერ მიყავს იგი იმ რწმენამ-დე, რომ ცხოვრების აზრი სიამოვნებაა და, თუ ამის მიღწევა შეუძ-ლებელია, მაშინ სიცოცხლე ტანჯვაა, რომ პესიმისტური განცდა ბუ-ნებრივი განცდაა ყოველი ადამიანისათვის; პესიმისტურად განწყო-ბილი, ტანჯული ადამიანი უნდა შეიბრალო. იგი ოპტიმისტურად შესცქერის საკუთარი მოძმის ტანჯვას. მას განიცდის კიდეც, მაგრამ ამ ტანჯულ ადამიანში არასოდეს არ ჰვრეტს განწირულს, უბედურს. ამ ადამიანში ყოველთვის ხედავს ძალას, მასში ყოველთვის ნახუ-ლობს აქტიურ, მოქმედ ინდივიდს, რომელსაც შეიძლება სჭიროდეს დახმარება, ყურადღება, მაგრამ არასოდეს შებრალება; სხვა ადა-მიანის ძალას, ღირებულებას იგი არასოდეს იჭვით არ უცქერის. მისთვის უცხოა ემოციურად ნეიტრალური მდგომარეობა. მას ყო-ველთვის აქვს განცდა ინტერესის, პატივისცემის, მადლობის, მოწო-ნების, ზომიერი აღფრთოვანებისა, სიმპათიის, მაგრამ ეს განცდები არასოდეს არაა აკვიატებული, გადაჭარბებული. სხვის სიხარულში. აღტაცებაში, მწუხარებაში, უბედურებაში შთაგრძნობა ვერასოდეს ვერ დაიუფლებს მთლიანად მის პიროვნებას, ვერასოდეს წაართმევს მას სინამდვილის განცდის უნარს. მას არ ახასიათებს ერთის გალ-მერთება, დანარჩენების გმობა: ერთში აღმაფრთოვანებელი თვისებ-ების პოვნა, მის განცდებში განსაკუთრებული შთაგრძნობა. ერთის

შიმართ განსაკუთრებული სიმპათია, დანარჩენების მიმართ ინდიფერენტობა ან აძულება. იგი ყველას მიმართ გულწრფელად კეთილგანწყობილია. ყოველთვის მზადაა ალტრუისტული გრძნობის გამომჟღავნებისათვის, თუმცა ამავე დროს გაურბის ფილანტროპიას; ისწრაფვის დაეხმაროს ადამიანს, რომ აღუდგინოს მას აქტივობის ძალა, შემოქმედებითი უნარი, რომ ისევ მიეცეს შესაძლებლობა ადამიანური მიზნებისათვის ბრძოლისა. ამ ადამიანის აქტივობის პროცესები შეუძლებელია ყოველთვის შეუფერხებლად მიმდინარეობდეს, შეიძლება მას აფერხებდეს სხვა ადამიანი, მიზნებს ეღობებდეს სხვა ადამიანთა მიზნები, მაგრამ იგი არ გაურბის მათთან ბრძოლას. არასოდეს არ დასთმობს საკუთარ მიზნებს, იმისათვის, რომ ამით სხვას ასიამოვნოს. ასეთი მდგომარეობის მიმართ იგი მეტად ტლანქადაა განწყობილი. არ დაიშურებს მთელ თავის ენერგიას და არც დაზოგავს მოპირდაპირეს; აქ სირბილე, უნიათობა, უცხოა მისთვის. მოპირდაპირის მიმართ იგი მტკიცეა, პირდაპირი. შეუდრეკელი და გამძლე. ამგვარი აქტივობის პროცესში, სიტუაციის ადეკვატურად, მას აქვს ძლიერი განცდა სიძულვილისა, ზიზღის, მტრობის, უნდობლობის, უკმაყოფილების, მაგრამ ეს არასოდეს არაა მოპირდაპირის დამამცირებელი, დამცინავი. პიროვნებისათვის უცხოა უმოტივაციო ათვალწუნება, აძულება: ამათ ყოველთვის გაცნობიერებული მოტივები განსაზღვრავენ, აქტივობის პროცესებთან არიან დაკავშირებული, აქტივობის დასრულების შემდეგ ისინი კარგავენ ინტენსივობას და ხშირად სრულებით ქრებიან. სხვისი შეფასების ასეთი უარყოფითი განცდები არასოდეს არაა ძლიერ აფექტად ქცეული; ყოველთვის ბატონობს რეალობის მართებული განცდა, სხვისი ინტერესების გაგებისა. ამ ინტერესებთან წეგუებისა და ანგარიშის გაწევის ტენდენცია.

სიყვარული, რომელიც მისთვის ძლიერ, მოუშორებელ ემოციურ განცდად იქცევა, არასოდეს არ აღწევს აფექტამდე. მოპირდაპირე სქესისადმი მისი სიყვარული სავსეა ჰარმონიით, აღტაცებით, სიხარულით, თუმცა უცხო არაა მისთვის ამ გრძნობისათვის დამახასიათებელი ამბივალენტური მდგომარეობა, სიამოვნებისა და უსიამოვნების ურთიერთში შეჭრილად განცდა. ცდისპირები იგონებენ და აგვიწერენ ასეთ განცდებს დიდი სიმპათიითა და პატივისცემით. ისიწი იგონებენ იმ სიხარულს, ბედნიერებას, აღფრთოვანებას და სი-

ცოცხლისადმი უაღრესი რწმენის განცდას, რომელსაც მათ უნერგავდა საყვარელ ობიექტთან შეწყობა, და იმ დარდს, სევდას, მწუხარებას, რომელიც გამოუწვევია მის დაკარგვას ან დაუფლების შეუძლებლობას. სიყვარული მათთვის აქტივობის ენერგიის წყარო გამხდარა. ეს გრძნობა თითქმის ყოველთვის ამაღლებს, ძალაა მატებს მათ; იგი არასოდეს არ ართმევს მათ მოქმედების უნარს. როცა სიყვარული იქცევა შინაგანი ტენდენციების გაშლის, აქტივობის შემაფერხებელ წყაროდ, პიროვნება მას დიდის წუხილით შორდება. ეს დათმობა მომდინარეობს ძლიერი და უსიამოვნო განცდების თანხლებით. შეიძლება სიყვარული დარჩეს მასში მრავალ წელს სასიხარულო თუ სამწუხარო მოგონებად, მაგრამ, თუ, აუცილებელია მას იგი სთმობს. მისი პიროვნება ვერ ურიგდება თავისუფლების დაკარგვას, სიყვარულის პროცესში აღმოცენებულ ისეთ მომენტებს, სადაც აუცილებელია თავის განწირვა, საკუთარი ინდივიდუალობის შელახვა და მთელი არსებობის დათმობა; იგი ამას ერთგვარი თაკილით ეგუება. მას ვერ იმორჩილებს ვნება, ყველაფერს ასწონ-დასწონის გაცნობიერებულ მოტივების სასწორზე და შემდეგ მიმართავს შესაფერ ქცევას. ვნება, რომელიც, როგორც მძლავრი განცდა, უთუოდ ხანგრძლივად ბატონობს მასში, ყოველთვის ცნობიერებას აქვს დაქვემდებარებული. მისი სიყვარული შეიძლება იყოს ვნებიანი, მღელვარე, რისხვით, იმედების გაცრუებით აღსავსე, მაგრამ იგი სავსებით ვერასოდეს ვერ იპყრობს პიროვნებას, ვერ არღვევს მის მთლიანობას. მისთვის უცხოა კონფლიქტური სიყვარული, რომელიც აღსავსეა სასოწარკვეთილებით, მისტიკით, ტრაგედიებით და კონფლიქტებით. მისი სიყვარული ჰარმონიულია.

ასეთი პიროვნება მტკიცედ და დაჯერებით მიაბიჯებს ცხოვრების ასპარეზზე; იგი მთლიანად რეალური მიზნებითაა აღჭურვილი. მას სინამდვილის ძლიერი ალღო აქვს; ახერხებს საკუთარ განწყობათა რეალიზაციას, რის გამო პიროვნების ფიქრები არასოდეს არ უნდა გასცილდეს ნორმალური ფანტაზიის ფარგლებს. მაგრამ ჩვენი დაკვირვებები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ასეთ პიროვნებას იშვიათად აქვს მთლიანად მშვიდი, დასვენებული სუბიექტური მდგომარეობა. მასში ყოველთვის სადგურობენ მოუსვენარი ფიქრები, რომელნიც ფუჭ ოცნებასაც ენათესავებიან. საყვარელ მიზნებისათვის ბრძოლის პროცესს თან სდევს ოცნებები, რომ-

ლებიც ხშირად სცილდება სინამდვილეს. არის მომენტი, როცა ოცნება მთლიანად დაიპყრობს მას. ზოგიერთი ცდისპირი გვიამბობს, რომ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა საქმესთან დაკავშირებულ ოცნებას ისე გაუტაცნია იგი, რომ საკუთარ ბინის კარებს გასცილებია და სულ სხვაგან გამორკვეულა. მათი ოცნებები ყოველთვის კონკრეტულია, რეალური სინამდვილიდან მომდინარე, აქტივობის ხელის შემწყობი, მომავალი ქცევის ობიექტივაციისა და იდეალიზაციის პროცესის თანმხლები ან მისი შედეგი. ამ პიროვნებებში ყოველთვის სუფევს ინტიმური ყოფნა, რომელიც მთლიანად არასოდეს არაა გარეთ გამომზეურებული; ისინი მიზნებისათვის ბრძოლის პროცესში წარმოშობილი, მდიდარი და მრავალფეროვანი ოცნებებია, რომლებიც თან დაჰყვება პიროვნებას. ასეთი ინტიმური ყოფნა არაა გაუგებარი, აუტისტური, ეგოცენტრული, იგი ყოველთვის გარკვეულია, ნათელი. მის სერიოზულ, საქმიან გამომეტყველებაში, ქცევაში, რომელიც ხშირად მიუკარებლობის, სიამაყის გადაჭარბებული საქმიანობის, პედანტობის შთაბეჭდილებას სტოვებს, დაკვირვებული ადამიანი ყოველთვის შეამჩნევს შინაგან სითბოს, სიმპათიას და, საერთოდ, ცხოვრების ყოველ ღირებულებათა მიმართ უღრმეს სიყვარულსა და პატივისცემას, ხოლო კერძო დამოკიდებულებებში სიმარტივეს. ასეთი ტიპის ადამიანები მრავალი გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი გვხვდება გენიალურ ადამიანთა შორისაც.

მაღალი მიზნებისა და ღირებულებებისაკენ მიდრეკილების მქონე ასეთი ტიპის ადამიანების შესახებ აქ შეიძლება გავიმეოროთ ის სიტყვები, რაც გამოსთქვა შარლ ბოდლერმა მერიმესა და დელაკრუას შედარების დროს: „ორივეს ახასიათებდა გარეგნული სიცივე, უინულოვანი საფარი, რომლისაგანაც გამოსჭვივის უმანკო გრძნობიერება და დიდი აღტყინება მშვენიერებისა და სიკეთის მიმართ. ორივეს თვალთმაქცური ეგოიზმიდან მოსჩანდა თავგანწირვაფარული მეგობრობისა და საყვარელი ადამიანებისათვის“.

შარლ ბიგო საფრანგეთის გენიალური მხატვრის დელაკრუას შესახებ ამბობს: „ის არასოდეს არ ჰგავდა ოლიმპიდან მომავალ გმირს, გამოსულს ღმერთების საზოგადოებიდან, რომელმაც ინება საუბარი მოკვდავებთან. ის ძველ მეგობრებს ისე ეპყრობოდა, როგორც თანასწორი თანასწორს. მიუხედავად იმ მანძილისა, რომელიც

შექმნილი იყო მათ შორის ბუნებრივი ნიჭის, მუშაობისა და ცხოვრებაში წარმატების წყალობით, ის მიდიოდა მათთან, როგორც წინათ, გულგაშლილი და ხელგაშლილი, მას არ ემჩნეოდა არავითარი ნატამალი მფარველობისა და უპირატესობისა, არავითარი სურვილი ამაღლებისა ჩვეულებრივი დონიდან". „არასოდეს ის ბრალს არ სდებდა ბედს ან ადამიანთ უსამართლობას, არ სთვლიდა თავისთავს გენიოსად, რომელიც არ იქნა ცნობილი და გაგებული".[1]

ჩვენ ეს მაგალითი მოვიტანეთ მხოლოდ საილუსტრაციოდ. ჩვენ ვიცით, რომ აქ გამოთქმული აზრი დელაკრუას შესახებ მხოლოდ იდეალიზაციაა დიდი პიროვნების ზოგიერთი არსებითი თვისებისა. ცნობილია, რომ დელაკრუას საკუთარი მიზნებისათვის მძიმე ბრძოლისა და კოლოსალური შემოქმედებითი შრომის გზაზე ჰყავდა უამრავი მტერი და თვითონაც მას ახასიათებდა სიძულვილისა და მტრობის ძლიერი განცდა. ამასთანავე იგი ისწრაფვოდა ძალაუფლებისაკენ, სურდა გობელენის ქარხნის მმართველი გამხდარიყო. 20 წელი იგი შეუდრეკლად ოცნებობდა და იბრძოდა გამხდარიყო მუზეუმის დირექტორი და, როცა დიდიხნის შემდეგ შესცვალა ამ თანამდებობაზე თავისი აშკარა მტერთაგანი, დიდი სიხარული იგრძნო. იგი მრავალი წელი არ იყო დაფასებული, განიცდიდა სასტიკ სილარიბეს, დევნილიც იყო, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს საკუთარ ძალებში რწმენა და არ შეუწყვეტია მძიმე შემოქმედებითი შრომა, ასევე არ დაუკარგავს შინაგანი სიმშვიდე. ასეთ პირობებში მან, როგორც არც ერთმა მხატვარმა მსოფლიოში, შესძლო შეექმნა მრავალრიცხოვანი, დიდი ღირებულების მხატვრული პროდუქცია, გამომხატველი იდეალური მიზნებისათვის მებრძოლი ადამიანების ტრაგედიისა. ამ გამარჯვებებსა და დამარცხებებში იგი ყოველთვის იყო ადამიანისადმი სიმპათიით, სიყვარულით, უბრალოებით გამსჭვალული; როგორც საყვარელი მიზნებისათვის მებრძოლი ყოველ ადამიანისათვის, ასევე მისთვისაც არ იყო უცხო მტრობა, შური, ძალაუფლებისადმი მისწრაფება და სხვა ადამიანური განცდები, მაგრამ ასეთ განცდებს არასოდეს დაუბნელებია ცნობიერება, ეს განცდები არასოდეს ქცეულა ძლიერ ვნებად, პიროვნების ქცევის წამყვან ტენდენციად.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ადამიანების განსაკუთრებულ ფეი-

---

[1] მორის ტურნე, დელაკრუა. თარგმანი ნ. გუდიაშვილისა.

სებას შეადგენს პიროვნებასთან შეზრდილი მიზნებისათვის ბრძოლაში დაუშრეტელი ენერგიის გამომჟღავნების უნარი. ახლა ვიკითხოთ: რომელი მიზნების მიმართ არიან ასეთი პირები უფრო განწყობილი? მიზანთა რომელ სფეროში ახერხებენ საკუთარი ინდივიდუალობის გაშლას? ამ მხრივ ისინი გარკვეულ ტიპებში ძნელად თავსდებიან. მათ აქვთ შესაძლებლობა შექმნან მზაობა ცხოვრების ყველა ღირებულების მიმართ სამსახურისათვის; ამ ადამიანთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ თეორიულ სფეროს, ისეთებიც, რომელთაც იტაცებს ესთეტიკური, ეკონომიური, პოლიტიკური, თუ სოციალურ ღირებულებათა სფეროები. ამ სფეროებში მათ შეუძლიათ დიდი წარმატებით ბრძოლა; მაგრამ ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია ის, რომ ამ ობიექტურ ღირებულებათა მიმართ სამსახურს ისეთი მიზანდასახულებანი განსაზღვრავენ, რომლებშიც ინდივიდუალისტური მომენტებიცაა ყოველთვის თვალსაჩინოდ ჩართული. აქ ყოველთვის ამ ორი მომენტის შეწყობასთან, ერთგვარ „ინტროცეპციულ" მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. საერთოდ, ჩვეულებრივი მოქალაქისათვის პირადი უნარისა, წრისა და განათლების თავისებურებების გამო შეიძლება ყოველთვის არ იყოს დამახასიათებელი შორსმწვდომი იდეალურ მიზნებისადმი სამსახურის განწყობა, მაგრამ ცხოვრების ვიწროდ შემოფარგლულ წრეში იგი ახერხებს მიზნისადმი სამსახურს. ყოველ მათგანს აქვს შესაძლებლობა ალტრუისტული ტენდენციის გამომჟღავნებისა, მაგრამ მათი ალტრუიზმი არ იმყოფება კონფლიქტში ეგოიზმთან. მათში ძლიერია ორივე ტენდენცია, ისინი ურთიერთთან შეწყობილნი არიან. მათ შეუძლიათ სხვა ინდივიდთა მიზნების გაზიარება, გულწრფელი თანაგრძნობა, სხვისი მიზნების საკუთარ მიზნებად განცდა, მაგრამ ეს მანამ, ვიდრე ისინი არ ეწინააღმდეგება პირად ინდივიდუალისტურ მოთხოვნილებას. მოძმისათვის, საყვარელ არსებისათვის თავის განწირვას, პირადი ძვირფასი მიზნების დათმობას ისინი ახერხებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ქცევა მოწონებული იქნება პიროვნების ძირითად მოტივთა მიერ. საკუთარი სიცოცხლის მაღალ ღირებულებაში, შრომის საფუძვლიანობასა და სარგებლიანობაში დიდი რწმენა იძულებელ ყოფს მათ იქვით შეხედონ ისეთი მიზნების გაზიარებას, რომლებიც ვნებს, მათი აზრით, უფრო მეტად ღირებულ საკუთარ მიზნებს.

ცდისპირები, რომლებიც მთელი არსებით უთუოდ ალტრუისტები არიან, ხშირად უარს ამბობენ მთელ რიგ ფილანტროპულ, თუ ალტრუისტულ საქციელზე. მაგალითად, პიროვნება უარს ამბობს გაზარდოს თავისი ახლო ნათესავის შვილი, დაუთმოს ბინის ნაწილი მოძმეს, გაუწიოს სამსახური სხვას, დაკარგოს რამდენიმე შრომადღე იმისათვის, რომ შეუმსუბუქოს ტვირთი ვინმე ახლობელს. ჩვენი ცდისპირები სავსებით გულწრფელად განიცდიან ასეთი ალტრუისტული ნაბიჯის აუცილებლობას, მაგრამ სათანადო ნაბიჯს გადადგამენ მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ აფერხებს საკუთარ აქტივობას, საკუთარი მიზნებისადმი სამსახურს, რაც მთვარია, თუ არ ეწინააღმდეგება საკუთარ პრინციპებს. ადამიანთან დამოკიდებულებაში ისინი ყოველთვის პრინციპულნი არიან.

პლასტიკური განწყობის ადამიანები, ჩვენი მასალების მიხედვით, პირადს სთმობენ სხვისთვის და ამაში სიამოვნებასაც პოულობენ მაშინაც კი, როცა ეს ეწინააღმდეგება საკუთარ უახლოეს მიზანთა სფეროს. ტლანქი განწყობის ადამიანებში კი ყოველთვისაა მზაობა პირადის დათმობის, მაგრამ სინამდვილეში მას ისინი თმობენ მხოლოდ მაშინ, როცა იგი არ შელახავს საკუთარ საყვარელ, განსაკუთრებით ზოგად მიზნებს. როგორც აღვნიშნეთ, მათი ალტრუიზმი არასოდეს არ გამოიხატება ფილანტროპიაში ქველმოქმედების თვალსაზრისით. მათი ალტრუიზმი ყოველთვის მიმართულია მოქმედი, აქტიურ მიზნებით აღჭურვილი ადამიანის დახმარებისა და მათი აქტივობის ტენდენციის გაძლიერებისაკენ.

სხვა ტიპებთან შედარებით ასეთი ადამიანების თავისებურებას შეადგენს განსაკუთრებით „ჰიპერტელისტური“ და „იდეოტელისტური“ მიზნებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა; კოლექტივის, კლასის, ერის, სახელმწიფოს, კაცობრიობის ინტერესების, სამართლიანობის, ძმობის, თავისუფლების იდეალების საკუთარ მიზნებად მიღების მზაობა, ადამიანთა სხვა ტიპებთან შედარებით, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, ამ ტიპისთვისაა დამახასიათებელი.

ამ პირებისათვის დამახასიათებელი პრინციპულობა, ერთხელ არჩეული მიზნისათვის განუხრელი ბრძოლის უნარი, შინაგანი კონფლიქტების გარეშე მიზნის მიღწევისათვის ძლიერი ენერგიის გამომჟღავნება, ძლიერი დარწმუნებულობის, უპირატესობის განცდა, მტკიცე ნებელობა, იმპულსების დათრგუნვის უნარი, რეალო-

ბის ადეკვატური განცდა, გარეგანი და შინაგანი თავდაჭერილობა. სერიოზულობა, აგრეთვე აქტიური, მოქმედი ადამიანის გაგება, ადამიანთა ღირებულების რეალური შეფასება, მათს განცდებში შთაგრძნობის, ამავე დროს უმაღლესი ღირებულებისათვის თვით საყვარელი ადამიანის განწირვის უნარი, თავისებური ფანატიზმი, საერთოდ, აჩემებული მიზნისათვის ტლანქი და მტკიცე განწყობის ნიადაგზე მოქმედება და მთელი რიგი სხვა თვისებებისა მიუთითებენ. რომ ამ ადამიანებს აქვთ ზემოთ ჩამოთვლილი ჰეტერისტული მიზნებისათვის ბრძოლის განწყობის შემუშავების შესაძლებლობა. მათ აქვთ უნარი ზოგადში განვრიტონ კერძო, სამშობლოში, კაცობრიობაში დაინახონ კერძო ადამიანიც და დაიკისრონ კერძოსადმი სამსახურიც. ამ მხრივ ასეთი განწყობის ადამიანი ზოგადის, მაღალი ალტრუისტული იდეის სამსახურში უთუოდ ჰპოვებს საკუთარი მიზნების განხორციელების გზას. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ცდისპირები ყველა ასეთია, ე. ი. რომ მათ ყველას აქვთ მეტად გაცნობიერებული ამგვარი ჰეტერისტული კონცეფციები და ამისათვის იბრძვიან ისინი ამჟამადაც. ჩვენ აქ მივუთითებთ, რომ იმ თვისებების ნიადაგზე, რომლებიც ამ პირებში ვნახეთ, აგრეთვე იმ სურვილებისა და ჯერ კიდევ განუხორციელებელი მისწრაფების საფუძველზე, რაც მათთვის არის დამახასიათებელი, ჩვენ ვახდენთ ასეთ განზოგადებას. ეს განზოგადება, ერთი მხრით, შედეგია გარკვეული დისპოზიციების ანალიზისა და, მეორე მხრით, სავსებით გარკვეული მასალის ნიადაგზეა ნაწარმოები. ჩვენს ცდისპირებში გვხვდება მტკიცე მიზნების ადამიანები, რომელთაც სამშობლოს, თავისი ხალხის ბედ-იღბალი სავსებით გულწრფელად საკუთარი სიცოცხლის მიზნად გაუხდიათ, მათ სამსახურში იმყოფებიან და მზად არიან საჭიროების დროს მათთვის თავდადებისათვის. ყველაფერი ეს განცდილია ყოველგვარი შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციის, პატივმოყვარეობის. ჯიუტური პრინციპულობის ან მხოლოდ სიტუაციის, საზოგადოებრივი აზრის შთაგონების, იძულების და პირადი ინტერესების გარეშე. ასეთი პიროვნება იბრძვის ჭეშმარიტად კეთილშობილი გმირის და ძლიერი ნებისყოფის ადამიანის უბრალოებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიზანდასახულობანი პიროვნებაში იშვიათადაა ქცეული გაუცნობიერებელ იმპულსად, ისეთად, რომ მოთხოვნილე-

ბის იმპულსსა და ნებელობის მიზანს შორის სადავო არაფერი იყოს, ისე როგორც ეს ზოგიერთი ტიპის შემთხვევაში გვხვდება. აქ ამ ორ პროცესთა შორის ჰარმონია მყარდება ნებელობის მომწესრიგებელი აქტივობის გზით. როცა მოთხოვნილების იმპულსები არ ემთხვევა ნებელობის მიზანს, გადაწყვეტილების პროცესი. მიმდინარეობს საკმაოდ დაძაბულად. საკუთარ მიზანდასახულობებთან მტკიცე და პრინციპული დამოკიდებულება, ერთხელ არჩეული მიზნისათვის ბრძოლის ძლიერი ტენდენცია, შეურიგებლობა შეუძლებელია ყოველთვის სავსებით ეთანხმებოდეს, ემთხვეოდეს როგორც საკუთარ იმპულსებს, ისე იმ სოციალურ ურთიერთობაში არსებულ მორალს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. მაგალითად, იმპულსად ქცეული ალტრუისტული ტენდენცია შეუძლებელია ეთანხმებოდეს ისეთ საწინააღმდეგო მოქმედებებს, რომელიც პიროვნების ძირითადი მიზნის თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია. მოძმის განწირვა მიუღებელი და მტკივნეულია მისი ბუნებისათვის, მაგრამ, თუ ეს საჭიროა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მაშინ ნებელობის მიზანმა უნდა შეაფერხოს და დაიუფლოს საწინააღმდეგო ალტრუისტული იმპულსი. განუხრელი პრინციპულობა ხშირად იწვევს გარემოსთან კონფლიქტებს, რისთვისაც ამ ადამიანების შემოქმედებითს ცხოვრებას ხშირად ეღობება წინ შემფერხებელი პირობები; ხშირად ძძიმე ბრძოლებით იკვლევენ ისინი გზას საკუთარი მიზნის მიღწევისათვის. სწორედ ამიტომ მათ სჭირიათ ნებელობის მთავარი ეტაპის, გადაწყვეტილების აქტის განსაკუთრებული ფუნქციობა. როგორც რეალობის ძლიერი განცდის მქონე ადამიანმა, მან თავისი მიზნის დაკმაყოფილებისათვის უნდა აირჩიოს ისეთი ქცევა, რომელიც, ერთი მხრით, შეთანხმებულია საკუთარ იმპულსებთან, პიროვნების ძირითად მოტივებთან და, მეორე მხრით, ისეთი, რომელიც ნებელობის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით უფრო ეფექტური და პოზიტიურია; იგულისხმება ისეთიც, რომელიც გარემოსთან მინიმალური კონფლიქტით, ნაკლები ენერგიის ხარჯვით განავითარებს საჭირო ქცევას.

ყოველივე ეს მოითხოვს საკმაოდ დაძაბულ აქტივობას. ასეთი პიროვნება ყოველთვის განიცდის, რომ იგი ნებისყოფის პიროვნებაა, განიცდის, რომ მისი ქცევა საკუთარი ნებელობის აქტია, რომ ეს ქცევა საკუთარი პიროვნების აქტივობიდან მომდინარე სპონტანუ-

რი პროცესია. ასეთი პიროვნების ხასიათი ნებელობის დინამიკის მხრით მტკიცეა და დაუფლებული.

განწყობის სიტლანქის გამო ასეთ პიროვნებას ძლიერ უჭირს ერთხელ არჩეული გზიდან გადახვევა. მოქმედების პროცესში გადანაცვლება არ ხდება ერთბაშად და სიამოვნებით. იგი საკმაოდ უხერხული პროცესია. პიროვნების ეს ძირითადი ტენდენცია ყოველთვის მოუწოდებს ერთხელ არჩეული ქცევის დასრულებისაკენ, თუ გნებავთ, ასეთი ქცევა სიტუაციის შესატყვისიც არ იყოს. მას ახასიათებს ერთხელ აღმოცენებულ იმპულსისადმი მიჯაჭვა, განუხრელი ბრძოლა ერთხელ არჩეული მიზნისათვის, ჰარბი პრინციპულობა, ნაწილობრივ პედანტობა. მის მიერ არჩეული მიზნები და გარემოს მოთხოვნა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგან, თუ იგი იბრძვის მასთან შეზრდილ მიზნისათვის, რომელიც მასში იმპულსად ქცეულა, ცხოვრების მიერ ახლად წამოჭრილი მოთხოვნილების საკუთარ მიზნად მიღება მასში დიდ სიძნელეს ეღობება. იგი პრინციპულია და შეურიგებელი. მაგრამ განწყობის.დინამიკურობის გამო საბოლოოდ იგი ახერხებს განწყობის შეცვლას, რაც მასში შინაგან კონფლიქტებს იწვევს. თუ განწყობის სიტლანქე მის ნებელობას არჩეულ მიზნისათვის განუხრელ ბრძოლის უნარს, ამ მიზნის საწინააღმდეგო ძალების მიმართ შეურიგებლობას ანიჭებს, განწყობის დინამიკურობა ამ თვისებებს არბილებს. აუცილებელ შემთხვევაში იგი შესაძლებელს ხდის გარემოს მოთხოვნისადმი შეგუებას, გარემოს შესატყვისი ადეკვატური ქცევის გაშლას, გარემოს მოთხოვნასა და პიროვნულ იმპულსებს შორის ჰარმონიის დამკვიდრებას. განწყობის სიტლანქის გამო პიროვნებაში იჭრება კონფლიქტების ტენდენცია, მაგრამ ამავე განწყობის დინამიკურობის თვისება ხელს უწყობს ამ კონფლიქტების აღკვეთას. ამავე დროს იგი განსაზღვრავს განცდების ინტენსიურ მიმდინარეობას, შინაგან დაძაბვას. ამ პიროვნების განწყობა ბოლომდე ტლანქი რომ დარჩენილიყო, იგი გახდებოდა იმპულსური ქცევის, უსასრულო შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების, გარემოსთან შეუგუებლობის წყაროდ, როგორც ეს ტლანქი სტატიკური განწყობის ტიპის ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. ამ უკანასკნელზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. აღწერილი ტიპის ადამიანში ცალკეულ პროცესთა შორის არსებული უთანხმოება წარმოშობილია

მ-ზნის მისაღწევად საჭირო ყველა ძალის განსაკუთრებული აქტი-ვობის გამო და ეს უთანხმოება წესრიგდება მტკიცე ნებელობის მეშვეობით. საბოლოოდ იგი თავის იმპულსებს დაუფლებული, მოწესრიგებული, მთლიანი, მტკიცე ხასიათის ადამიანია.

მთლიანი ხასიათის ადამიანის ტიპი გულისხმობს ქვეტიპებსაც. მაგრამ მათ დახასიათებაზე აქ ვერ შევჩერდებით.

* * *

ამრიგად, თუ იდეალური ჰარმონიული ადამიანის „ბუნებას" შეადგენს ნებელობის განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე შინაგანი და გარეგანი ჰარმონია, ტემპერამენტი, იმპულსები, ნებელობის მიზნები ყოველგვარ მძიმე პირობებში ჰარმონიულ მთლიანს წარმოადგენენ, მთლიანი ჰარმონიული ადამიანის (ტლანქი-დინამიკური განწყობის ადამიანები) შემთხვევაში შინაგან ძალას მტკიცე ნებელობა წარმოადგენს. მძლავრი ნებელობის მიზნები შეიძლება კონფლიქტში იყვნენ ბუნებრივ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებთან, მაგრამ ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობა მოწესრიგებულია ნებელობით და პიროვნება ყოველთვის რჩება მთლიანი, დიდი მიზნებით აღფურვილი. ასეთი მთლიანი, მძლავრი ნებისყოფის ადამიანები ასახულია სხვადასხვა ეპოქისა და მიმართულების ხელოვნებაში.

აუტანელი ფიზიკური და სულიერი ტკივილების ნებისყოფით დაუფლების გენიალური მხატვრული სახე გამოაქანდაკა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში პრაქსიტელმა (ნიობის ქანდაკება) და განსაკუთრებით მოქანდაკეთა ჯგუფმა — პოლიდორმა, აგეზანდრმა და აფენოდორმა (ლაოკონი). „ლაოკონი" აღსავსეა მძლავრი შემაძრწუნებელი პათოსით. ქანდაკების სიუჟეტს წარმოადგენს განრისხებული აპოლონის მიერ წმინდა ადგილის შემბილწველის ქურუმ ლაოკონის დასჯა. აპოლონის მიერ მისეული გველები ახრჩობენ ლაოკონს მის უკანონო შვილებთან ერთად. მიუხედავად განუზომელი წვალებისა და ტანჯვისა, რაზედაც ლაოკონის ყოველი კუნთი მეტყველებს, ამ ტანჯვაშიც იგი ინარჩუნებს კეთილშობილ სიმშვენიერეს. მისი სხეული არ ამჟღავნებს ტკივილების მახინჯ კლაკვნას, არც სულითაა იგი დაკნინებული. ვინკელმანის თქმით, აუტანელი ტკივი-

ლები არაა გამოხატული მის სახეზე, მის პოზაში როგორც განწირულება და გააფთრება. იგი არ მიმართავს საშინელ ყვირილს, მისი ტუჩების მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა; აქ უფრო აღბეჭდილია ნინაგანი განგაში და შეკავებული ოხვრა. სხეულის ტანჯვა და სულიერი სიდიადე თანაბარი ძალით განაწილებულია ფიგურის მთელს აგებულებაზე, თითქოს გაწონასწორებულია. ლაოკონი იტანჯება. მაგრამ მისი ტანჯვა ჰგავს სოფოკლეს ფილოკტეტის ტანჯვას: მისი ტანჯვა გვწვდება სულის სიღრმემდე. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვინატრებდით შეგვძლებოდა ასეთი სატანჯველის ატანა, როგორც ეს შესძლო ამ დიდმა ადამიანმა[1].

ძლიერი, მტკიცე ხასიათის ადამიანების გალერეა შექმნილია ანტიკური, რენესანსისა და ახალი ეპოქის სახვითი ხელოვნებაში მიქელ-ანჯელოს, დელაკრუას, როდენს, მუხინას და სხვათა მიერ.

უძველეს დროში მოლიანი, მტკიცე ნებელობის ადამიანის ტიპი, პრომეთეოსის და ამირანის სახით. მოგვცა ბერძნულმა და ქართულმა მითოლოგიამ. ესქილემ თავის ტრაგედიაში „პრომეთე" გამოიყენა ეს მითი და შექმნა მაღალი იდეისათვის შეუდრეკელი ნებისყოფითა და პრინციპულობით მებრძოლი ადამიანის — პრომეთეს ზოგადსაკაცობრიო ხატი. პრომეთე აუჯანყდება ზევსის უსამართლობას ადამიანების მიმართ. გამოსტაცებს უზენაეს ღვთაებას ცეცხლს და გადასცემს ადამიანებს, ასწავლის ხალხს ყოველგვარ ხელოვნებას. განრისხებული ზევსის ბრძანებით პრომეთეს კლდეზე მიაჯაჭვავენ. იგი კედელზე მიჯაჭვული განიცდის საშინელ ტანჯვას, მაგრამ არ უარყოფს თავის იდეებს, ბოლომდე რჩება შეუდრეკელი. პრინციპული, ქედს არ იხრის მოძალადის წინაშე და ზეადამიანური ნებისყოფით ახერხებს თავისი თავის დაუფლებას. ტკივილების ატანას.[2] ღმერთების მსახურ ჰერმესისაღმი პრომეთეს მიმართვა, რომ „მე არ გავცვლიდი ამ ჩემს ტანჯვას შენს მონობაზე; უმჯობესია მე ტყვე ვიყო ამ შავი კლდისა, ვიდრე ზევსის ყურმოჭრილი მონა, შიკრიკი", კაცობრიობის ისტორიის მანძილზე დევიზი იყო უსამართლო-

---

[1] Винкельман, Избранные произведения, 1935 г., стр. 103.
[2] ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, 1953 წ. გვ. 177.

ბის წინააღმდეგ მებრძოლი მტკიცე ხასიათის ადამიანისათვის. პრომეთეოსის დეეგმირული სახე ბევრმა დიდმა ხელოვანმა დაამუშავა. ახალგაზრდა გოეთეს „აჯანყებული პრომეთე“, შელლის დრამა „განთავისუფლებული პრომეთე“, ბაირონის რევოლუციური ოპტიმიზმით გამსჭვალული ნაწარმოები „პრომეთე“ ასახავენ დიდი მიზნებისა და შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიანის იდეალურ სახეს. მტკიცე ხასიათის ადამიანები, რომელნიც ახერხებენ ბუნებრივი იმპულსების დაძლევას, შინაგანი მძიმე განცდების ფონზე დიდი მიზნებისათვის შეუდრეკელ ბრძოლას, შეიძლება ითქვას, შეადგენს უძველეს დროიდან დღემდე დიდი ხელოვნების უმრავლესი ნაწარმოებების ძირითად თემას. ასეთი ადამიანების მრავალი გამოკვეთილი სახე მოგვცა შექსპირმა. მათში განსაკუთრებით გამოირჩევა ბრუტოსი, რომელიც აწყობს თავისი უახლოესი მეგობრის იულიუს კეისრის მკვლელობას. სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე ბრუტოსი განიცდის მძიმე შინაგან ქეჯნას, მაგრამ როდესაც დარწმუნდება, რომ კეისარი მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეა, რომ ის დემოკრატიულ წყობილებას დამხობას უქადის, იგი იღებს მტკიცე გადაწყვეტილებას და იწყებს მოქმედებას ისე, როგორც ამას მოვალეობა უკარნახებს. ბურჟუაზიულ ხელოვნებაში იდეალისტური იდეოლოგიით გამსჭვალული მთლიანი ადამიანის ხასიათის ტიპების მკვეთრი ფიგურები მოგვცა იბსენმა (ბრანდი, შტოკმანი).

ღრმა განცდების, ძლიერი ხასიათის ადამიანები დიდი მხატვრული ძალით ასახულია ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლების მიერ. მაქსიმ გორკის რომანის „დედა“-ს გმირი ნილოვნა, ლეო ქიაჩელის ტარიელ გოლუა, ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“-ს გმირი კორჩაგინი, კორნეიჩუკის პლატონ კრეჩეტი, პოლევოის რომანის გმირი მერესეევი და სხვები წარმოადგენენ რეალური ადამიანების მხატვრულ პორტრეტებს. საბჭოთა სახვითი ხელოვნების მთავარ თემას შეადგენს ასეთი ძლიერი ადამიანების ასახვა. ამ მხრივ საყურადღებოა მუხინას შემოქმედება.

ქართულ მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიამ ისტორიულ რომანში „დავით აღმაშენებელი“ განასახიერა დავით მეფე, როგორც ღრმა განცდების, მაღალი ბუნების, ძლიერი, შეუდრეკელი ხასიათის ადამიანის მონუმენტური სახე. დავით მეფე თავის სამშობ-

ლოს ინტერესებისათვის სთრგუნავს თავის სიყვარულს, ღრმა ინ-ტიმურ მისწრაფებებს, რკინის ნებისყოფით ახერხებს შინაგანი მღელვარების დაუფლებას და თავისი ტიტანური ენერგიის მთლიანად სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეწირვას. როგორც მთლიანი ხასიათი ფრიად მიმზიდველია ლევან გოთუას დიდი ისტორიული რომანის „გმირთა ვარამის“ გმირებიდან ბერი ზოსიმე და ალექსანდრე მეფე, რომელთა ბუნება გაშლილია მაშინდელი საქართველოს მღელვარე და რთულ გარემოში. მაგრამ ქართულ ხელოვნებაში ძლიერი ხასიათის ადამიანის მხატვრული სახის გამოკვეთის ზენიტს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“. ოთარაანთ ქვრივი ადამიანში დამკვიდრებულ, დაუშრეტელი სასიცოცხლო ენერგიის, შეუდრეკელი ნებელობის სიმბოლოა. ოთარაანთ ქვრივის შინაგანი სამყარო გამთბარია ადამიანებისადმი უდიდესი სიმპათიით, სიყვარულით, მისი სული მაღალი გრძნობების მღელვარე ოკეანეა; მაგრამ მტკიცე ნებისყოფით ეს მღელვარე შინაგანი ცხოვრება იმდენად დაუფლებულია, რომ იგი სხვებთან ურთიერთობაში ცივი, უკმეხი, შეუპოვარი, პირადი ღირსების მაღალი გრძნობით აღვსილი ფოლადის ადამიანის სახით გვევლინება. მძლავრი პიროვნების ნიშნები განსაკუთრებული ძალით ჩანს მოთხრობის ფინალში, როდესაც ოთარაანთ ქვრივი დასცქერის მომაკვდავ შვილს: „როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას... გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავე ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლმოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულ სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა“.[1] დიდმა ილიამ ამ ეპიზოდში დაგვიხატა ძლიერი, მაღალი ბუნების ადამიანის ხასიათის არსი; მოგვცა სიცოცხლის უკიდურესად ტრაგიკულ მომენტში შინაგანი წონასწორობის, თავისი თავის დაუფლების. შეკავებული უღრმესი მწუხარების მონუმენტური სურათი; დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით დაგვიხატა პორტრეტი ადამიანისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღფურვილია როგორც მძლავრი შინაგანი იმპულსებით, მოქმედების განუხრელი, ტლანქი განწყო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ტ. I. 1937 წ. გვ. 461.

ბით, ასევე ამ იმპულსების ობიექტივაციის, შეკავების ძლიერი უნარით; მასში მარად მიმდინარეობს ჯანსაღი, მღელვარე ემოციური ცხოვრება, მაგრამ გარემოსამყაროსთან ამ ადამიანის დამოკიდებულება განსაზღვრულია არა ემოციებით, არამედ ფსიქიკურის მეორე დონით — ნებელობის მიზნებით, მოვალეობით.

2. კონფლიქტური ხასიათი (სტატიკური განწყობის პიროვნება)

თუ დავაკვირდებით კონფლიქტური ხასიათის ადამიანის ქცევას ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის პირობებში, ვნახავთ ისეთ თავისებურებას, რომელიც სრულიად არაა დამახასიათებელი სხვა ტიპის ადამიანებისათვის. მაგ., თუ ასეთ ადამიანს განწყობის ცდებში შესადარებლად მივცემთ განსხვავებული მოცულობის ხის ორ ბურთს ან ორ განსხვავებულ წრეს, საკმარისია შესადარებლად მათი ორჯერ მიწოდება, რომ შემდეგ ცდისპირს ტოლი ბურთებიც, წრეებიც უსასრულოდ მოეჩვენოს არატოლად, ე. ი. გაუჩნდეს უსასრულო ილუზია. ამ ილუზიაში იგი შეიძლება დარჩეს თვეების განმავლობაში. მისი განწყობა უძრავია — სტატიკური. ამ სახის განწყობის დაღით აღბეჭდილია მისი სასიათიც. ასეთ ადამიანს ადვილად უჩნდება განწყობა, მაგრამ იგი იმდენად ღრმად ფიქსირდება მასში, რომ მოუშორებელ იმპულსად იქცევა. ერთხელ შემუშავებული განწყობა მთლიანად იპყრობს პიროვნებას, ძნელად ხერხდება მისგან თავის დაღწევა მაშინაც კი, როდესაც სიტუაციაში მომხდარი ცვლილება განსხვავებულ ქცევას. და კვლავ ახალი განწყობის შემუშავებას მოითხოვს. პიროვნებას სჭირია განსაკუთრებული ძალისხმევა, რომ მოახერხოს ახალ გარემოსთან შეგუებისათვის აუცილებელი ახალი განწყობის შემუშავება. განწყობის სტატიკურობის გამო პიროვნებას ძლიერი მიდრეკილება აქვს იმპულსური ქცევისაკენ. ასეთი ქცევის შეკავება, მისი დაუფლება ძნელდება. იგი იძულებულია თავის ბუნებრივ მოთხოვნილებებსა და განწყობებს დაუპირისპიროს ობიექტივაციის აქტი და სოციალური ქცევა წარმართოს შინაგან მისწრაფებებთან შეუთანხმებელი ნებელობის მიზნების საფუძველზე. მისი ბუნებრივი მისწრაფებები ხშირად მკვეთრ წინააღმდეგობაშია მის სოციალურ ქცევასთან, ამიტომ მასში ჩნდე-

ბა მძლავრი შინაგანი კონფლიქტები. იმპულსურსა და ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევათა შორის წინააღმდეგობა შინაგან დისჰარმონიას, კონფლიქტურ განცდებს იწვევს. ამგვარი ადამიანის განცდათა სამყარო ღრმად კონფლიქტურია, მისი ქცევა კი ნებელობის მძლავრი აქტივობის ნიადაგზე, მეტწილად გარემოსთან შეწყობილია.

აღნიშნული ტიპის ადამიანში სოციალური მოტივების, მაღალი იდეების გვერდით მრავლადაა მოცემული ინდივიდუალისტური, სუბიექტივისტური (განკერძოების) ქცევის განწყობები. ამიტომ პიროვნების ქცევა რომ გარემოსთან შესატყვისად წარიმართოს, აუცილებელი ხდება ცხოვრების წვრილმან საკითხებზედაც კი ნებელობის ამოქმედება, ყოველი ქცევის ობიექტივაცია. მისი სოციალურ-მორალური ქცევა, თითქოს არაა დაკავშირებული საკუთარ „ბუნებრივ" მისწრაფებებთან; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ეს ქცევა ხელოვნურია, გარემოსთან შეგუების აუცილებლობის, „ცივი" გონების. განსჯის შედეგია.

ასეთ პიროვნებას მიდრეკილება აქვს უსიამოვნო განცდებისაკენ, დამახასიათებელია ზოგიერთი ემოციური განცდის პიროვნების ღრმა ფენებში შეჭრა, მთელ პიროვნებაზე გავრცელება, რაც ხშირად პიროვნებაში ვლინდება განცდათა „კომპლექსების" სახით. ეს უკანასკნელი კი დროთა ვითარებაში იქცევა გაღიზიანებული გუნების, შინაგანი შფოთისა და აფექტის წყაროდ. ზოგიერთი ემოციური განცდა ისე ძლიერად იკრება სუბიექტში, მთლიანად იპყრობს მის პიროვნებას, რომ მას სჭირია ძლიერი ძალისხმევა. რომ იგი აფექტური რეაქციის სახით არ გამოვლინდეს. მიდრეკილებისა და ემოციების დაძლევის პროცესში პიროვნებას ეტყობა დაძაბულობა. მის სახეზე იხატება ჭარბი სერიოზულობა და შეკავებული სასოწარკვეთილების განცდა, მისი მოძრაობები ნაკლებად კოორდინირებულია, ყურადღება გაფანტულია და შიგნით არის ფიქსირებული. საერთოდ, ასეთი მწვავე ემოციები განსაზღვრავენ მთელი მისი ცხოვრების სტილს. გარემოსთან მის დამოკიდებულებას.

ასეთ პიროვნებაში მრავლადაა ფიქსირებული ძლიერ განცდებს გამომწვევი განწყობები, რომელთა რეალიზაცია შეუძლებელია როგორც იმპულსური, ისე ნებელობითი ქცევის პროცესში. სუბიექტი

ნშვიათად პოულობს არარეალიზებული განწყობის განხორციელებისათვის საჭირო სიტუაციას. მისი ფიქსირებული განწყობებიდან მომდინარე განცდები კონფლიქტშია სიტუაციასთან. ამიტომაა, რომ გამღიზიანებლები მასში უფრო ხშირად უსიამოვნო განცდებს იწვევენ. ასეთი მყარი უსიამოვნო გუნების დარღვევა, გუნებ-განწყობილების სასიამოვნო მდგომარეობად შეცვლა ძნელად ხდება. ასეთი პიროვნებები ვერ ასახელებენ თავიანთი ცხოვრებიდან ისეთ მომენტებს, რომ მათ სრული მყუდროება, სიმშვიდე, კმაყოფილება, მთლიანად მხიარულება ჰქონდეთ. ასეთ პიროვნებას რომ ვკითხოთ, თუ რა მიაჩნია მას საკუთარი ხასიათის უარყოფით თვისებად, გეტყვის: „ჩემი უბედურებაა დაურწმუნებლობა, სუსტი ხასიათი, გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში იჭანეულობა, გადაწყვეტის შემდეგაც იჭვები, დაურწმუნებლობა". ასეთი პიროვნების ყოველ განცდას, მოქმედებას თან ახლავს დაურწმუნებლობის იჭვები. მას საკუთარ განცდებშიც შეაქვს იჭვი. ისინი განიცდიან თითქოს არა ისეროგორც ეს საჭიროა; თითქოს მოქმედებენ შეუსაბამოდ მაშინაც კი, როდესაც მათი მოქმედება ენერგიულია და პროდუქტიული. ენერგიული მოქმედებით გატაცების მომენტშიც ნიღილიზმი, დაურწმუნებლობა, უკმაყოფილება თან სდევს ასეთ პიროვნებას; აქედან მათში ჩნდება ორი უკიდურესობა: ერთი მხრით, პედანტობა და. მეორე მხრით, მოუწესრიგებლობა, ქაოსი ქცევაში. პედანტური ქცევა ვითარდება მაშინ, როდესაც ყოველი მოქმედება სუბიექტში იჭვებს იწვევა. ყოველივეს უყურებს კრიტიკული თვალით, როცა ყოველი პროცესი და შედეგი მას მიაჩნია მიზნისათვის არაშესატყვისად. ასეთ პიროვნებაში თითქოს არის მოქმედების პოტენცია, მაგრამ განუწყვეტელ იჭვებსა და უკმაყოფილებას მიჰყავს იგი რუტინამდე, პრაქტიკულ რეზონერობამდე. მეორე მხრით, ნიღილიზმი იწვევს უმოქმედობას, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის შეუძლებლობას, საიდანაც ვიღებთ მოუწესრიგებელი ქცევის ადამიანს. ჩვენი ცდისპირებს დროგამოშვებით ორივე ეს თვისება ახასიათებს, მაგრამ ორივეს წარმართავს ერთნაირი განწყობა.

მაღალი მიზნებისაკენ მიდრეკილების მქონე ადამიანების შემთხვევაში ვხვდებით ტკივილებით აღსავსე შემოქმედებითს პროდუქტებს, მტკივნეულ უკმაყოფილებას საკუთარი განცდების გამოთქმის შეუძლებლობის გამო; მოქმედებისა და პრაქტიკის სფეროში ენერ-

გულ, თავდადებულ ნიღილისტებს. შეუბრალებელ გამტარებლებს საკუთარი მოფიქრებისა და მიზნებისა მაშინაც კი, როდესაც ისინი მასში არ არიან დარწმუნებული ან, პირიქით, ფანტაზიორს, მრავალი შეუსრულებელი სურვილების მქონე ადამიანებს, რომელნიც საერთო ნიღილიზმის გამო ფუჭი ოცნების სამყაროში სცურავენ. ზოგჯერ გარე სინამდვილესთან შინაგანი სამყაროს ინდივიდუალური დამოკიდებულება აქცევს მათ სავსებით მოუწესრიგებელ „ზედმეტ ადამიანებად".

დაურწმუნებლობის განცდა და კონფლიქტები არ მომდინარეობს ძლიერების, უფლების, ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნილებიდან. არა ჩანს ტენდენცია ამ უკმარისობის განსაკუთრებული კომპენსაციისა, როგორც ეს სხვა ადამიანთა ტიპების შემთხვევაში გვხვდება. აქ საქმე არა გვაქვს სუბიექტურსა და ობიექტურს შორის მთლიანობის აღდგენის სწრაფვასთან, არამედ, პირიქით, მოქმედებს მათ შორის კონფლიქტის გაღრმავების ტენდენცია. სწორედ ეს მომენტია სპეციფიკური ასეთი სუბიექტისათვის. სოციალურად აქტუალური სიტუაცია, როგორც ცხოვრების აუცილებლობა, მოქმედებს სუბიექტზე, მაგრამ რადგან შესატყვისი მოთხოვნილება სუბიექტში არაა, ამიტომ აუცილებელი ხდება სიტუაციისადმი დამორჩილება, „არანებისმიერი" (იძულებითი) მიზანშეწონილი რეაქციების გამომჟღავნება ან, პირიქით, საკუთარ ეგოზე ამ სიტუაციიდან. ორივე იწვევს ტკივილებს, უსიამოვნო განცდებს, საერთო უსიამოვნო მდგომარეობას. აქედან მომდინარეობს მუდმივი უგუნებობა, შიშები, გადაჭარბებული მზრუნველობა, უძლურების განცდა, განცალკევება, სასოწარკვეთილება, განგაში, ჯავრი და, თითქოს, უმოტივაციო ძლიერი აფექტები. ამ მდგომარეობისათვის სპეციფიკურია ის, რომ ყველა ასეთი უსიამოვნო მდგომარეობის მიმართ პიროვნების „გული" ინდიფერენტულია. მაგ.. სუბიექტი განიცდის სასოწარკვეთილებას, განგაშს, ზრუნვას, შიშს, ყოველივე ეს თითქოს მძლავრად მოქმედებს სუბიექტზე, თითქოს ღრმადაც იკრება მასში, მაგრამ სუბიექტში ყოველთვის რჩება თავისებური განცდა, რომელიც თითქოს უკარებელი რჩება, რომელსაც თითქოს სხვა განცდების მიმართ აქვს „რეფლექსიის" შესაძლებლობა. სუბიექტს ღრმად იპყრობს ტანჯვა, მწუხარება, მაგრამ პიროვნების „გული" მას ყოველთვის ეუბნება: „არ ღირს ტანჯვად.

ჭეშმარიტებად, ყოველივე ამაოა". თვით ვნებათა ღელვის დროსაც ჩვენი ცდისპირები განიცდიან შინაგან წინააღმდეგობას, ვნების. პირდაპირ განცდის მოქმედებას. ეს არაა მხოლოდ დროებითი ამბივალენტური განცდა, არამედ ეს სუბიექტის გარკვეულად მყარი მდგომარეობაა, მისი თავისებურებაა, მტკივნეულ და უსიამოვნო თუ სასიამოვნო განცდების მიმართ შინაგანი სიცივის დაპირისპირებაა. პიროვნებაში ყოველთვის რჩება ერთი ყინულოვანი ბორცვი, საიდანაც ყოველთვის ჰქრის ყველა სახის ემოციებისა და მოქმედების მიმართ გრილი სიო და ზოგჯერ სუსხიანი ზამთრის ქარიც.

ამ განცდის ფსიქოლოგიური მექანიზმი ჩვენ ასე გვესმის: ასეთი განცდა პიროვნების განწყობის შექმნისათვის სუბიექტური ფაქტორის — მოთხოვნილების ან უკვე შექმნილი ფიქსირებული განწყობის რეალიზაციის შეუძლებლობის შედეგია. პიროვნების „გული" — ეს ის სპეციფიკური განწყობებია, რომლებიც დამახასიათებელია ასეთი სუბიექტისათვის. ეს — მზაობაა გარკვეული ქცევისათვის; მაგრამ პიროვნების ქცევა მიმდინარეობს არა მოთხოვნილების ან წარსულში ფიქსირებული განწყობის მიხედვით, არამედ სოციალური გარემოსადმი შეგუების აუცილებლობით შექმნილი განწყობების საფუძველზე. ასეთი განწყობები კი ყოველთვის ცნობიერებით გაშუალებული არიან. ამ უკანასკნელთ უპირისპირდება პიროვნების ქრონიკულ თვისებად ქცეული ფიქსირებული განწყობები. სიტუაციის შესატყვისად მოქმედ განწყობის სუბიექტი უპირისპირებს განუხორციელებელი განწყობებიდან მომდინარე ნიღილისტურ განცდას, რომელიც ასე მეტყველებს: „შენ განიცდი, მოქმედებ, აკეთებ. მაგრამ ეს ჩემი პიროვნებიდან არ გამომდინარეობს; მე სხვა ვარ და საქმე, რომელიც კეთდება ჩემს მიერ, ნამდვილად ჩემი არაა". განწყობათა შორის ასეთი მიმართება იწვევს არა მარტო კონფლიქტებს, არამედ მთლიანად ინდიფერენტულ მდგომარეობასაც, — მოწყენას ან მის უკიდურეს ფორმას — გრინდებას — სიცარიელის განცდას.

უსიამოვნო მდგომარეობა თან სდევს განსაკუთრებით სხვისი შეფასების გრძნობასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი პიროვნების სიმპათიის გრძნობის თავისებურება. სიმპათია ნიშნავს სხვათა გრძნობების გაგებას, სხვების განცდების შთაგრძნო-

ბას, სხვისი სუბიექტური მდგომარეობის საკუთარ მდგომარეობად განცდას. ასეთ სუბიექტებთან კლინიკური საუბარი და მათი ცხოვრების მაგალითები ნათლად ადასტურებს, რომ მათი სიმპათიის განცდა ემოციათა სფეროს სიღრმისა და მრავალფეროვანი შინაარსის გამო უთუოდ მძლავრადაა განვითარებული. მაგრამ ამ შესაძლებლობის მოქმედების სფერო მეტად შეზღუდულია. იგი გამომჟღავნდება მაშინ, როდესაც სიტუაცია სავსებით შესატყვისი იქნება ასეთი მოთხოვნილებისათვის. მის ირგვლივ მყოფი ადამიანები მას იშვიათად მიაჩნია სიმპათიის ღირსად. ადამიანთა ფართო წრიდან მას სიმპათიას აღუძრავს ისეთი ქცევა, რომელიც მის ინტერესებში მოქცეულ მორალურ, სოციალურ სფეროს შეეხება. მაგ., სამშობლოსათვის თავდადება, გმირობის გამოჩენა და სხვა მაღალ მიზნებისაკენ მიმართული ქცევა. ისეთი ადამიანი, რომლის უბედურება თუ ბედნიერება მას აქამდე არაფრად მიაჩნდა, ერთბაშად იქცევა მისთვის უახლოეს სუბიექტად და მთელი მისი სიმპათიის შესაძლებლობა მისი მისამართით ამოქმედდება. საერთოდ კი, იგი გაურბის სიმპათიის გრძნობით წარმოშობილ კონფლიქტებს. თუ სხვაგვარი ხასიათის ადამიანებში სიმპათიის განცდა სიამოვნების გამომწვევია, აქ ეს ხდება პირიქით: როგორც სხვის განცდებში შთაგრძნობა, ისე საკუთარი განცდების სხვისთვის გაზიარება მისთვის ტკივილმომგვრელია. სიმპათიის გრძნობას ყოველთვის თან ხდევს უკმაყოფილების, შთაგრძნობის უსრულობის, უკმარობის განცდა. დამახასიათებელია მეგობრის, ახლობელის მიმართ გადაჭარბებული მზრუნველობა; სიმპათიის ობიექტის მიმართ გადაჭარბებული მოთხოვნილებების წაყენება, მისი გულშემატკივრობა, სიბრალული გადაჭარბებულია. უთუოდ ღრმაც, მაგრამ — უსიამოვნო და კონფლიქტებით სავსე. იგი განიცდის, რომ მისი სიბრალული არაა სრული, არ ებრალება ისე, როგორც საჭიროა, თანაც ფიქრობს ამ სიბრალულს მაინც ვერავინ გაიგებს, ვერავინ მიმიხვდებაო.

სხვისი შეფასების მტკიცებითი გრძნობა განსაკუთრებით კარგად მჟღავნდება ასეთი პირების სიყვარულის ემოციებში. ჩვენი ცდისპირებიდან თითქმის ყველას ჰქონდა ძლიერი სიყვარულის განცდა. ეს სიყვარული ყველა შემთხვევაში ხასიათდება ერთი ძირითადი თავისებურებით: იგი უსიამოვნო გრძნობებით, ტკივილებით, კონფლიქტებითაა აღსავსე. მაშინაც კი, როცა ობიექტურად ყველ-

პირობაა ჰარმონიული სიყვარულისათვის, შინაგანი კონფლიქტები მაინც მეღავნდება. ჩვენი ცდისპირების სიყვარული ყველა შემთხვევაში დასრულდა ტრაგიკულად. ამჟამად ისინი დაქორწინებულნი არიან, მაგრამ ყველამ იშოვა ისეთი მეგობარი, რომელიც მათ სურვილს არ შეეფერებოდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოუმეღავნებლად უკმაყოფილონი არიან საკუთარი ბედისა, ამავე დროს ოჯახის ერთგულ მეგობრებად რჩებიან.

სიყვარულისთვის ტანჯვა თითქოს ასეთი ადამიანების მიერაა ბოგონილი. კონფლიქტები იბადება იქ, სადაც სხვა ხასიათის ადამიანებისათვის იგი სრულებით გაუგებარია; მაგრამ ეს კონფლიქტები გამოუმეღავნებლად მიმდინარეობს.

ასეთი კონფლიქტების ძირითადი თავისებურებაა: უკმაყოფილება — სიყვარულის გამოსახვის შეუძლებლობისა, იქვები და დაურწმუნებლობა სიმპათიის ობიექტის გულწრფელობაში, გადაჭარბებული სურვილი, როგორც ამას ხალხური გამოთქმა ამბობს, „საყვარლის სულში ჩაძრომისა"; მის განცდაში მოცემულია ყველა თვისება „ანდროგინური" სიყვარულისა.

მას არასოდეს არ მიაჩნია თავისი ნამდვილი სიყვარულის ობიექტად ის, რომელიც ამჟამად უყვარს. კიდევ უნდა, რომ მოვიდეს ვიღაც, რომელიც მას ნამდვილად შეუყვარდება. იგი თავის შეყვარებულს მიაწერს იდეალურ თვისებებს; მაგრამ როგორც კი ამ იდეალურს სინამდვილე შეეხება, იგი განიცდის ტკივილებს: თავისი იდეალის განხორციელებას იგი თითქოს პოულობს სიყვარულის ობიექტში. მაგრამ, როცა ფუჭ ოცნებას სინამდვილე წინ აღუდგება, იბადება კონფლიქტები, იქვები, უკმაყოფილება; ასეთი განცდები მიმდინარეობს სუბიექტის შიგნით, ქცევაში მეღავნდება მხოლოდ ამ შინაგანი კონფლიქტების სუსტი ექვივალენტი: სევდა, მოუსვენრობა, უმიზეზო ანთება, პათეთიკურ, ატაცებულ, გადაჭარბებულად ექსტაზულ მდგომარეობათა შორის რხევა.

როგორც ჩვენი ცდისპირების გამოკვლევების მასალები ადასტურებენ, ხანგრძლივი თვითანალიზის შედეგად სუბიექტში თავს იჩენს საკუთარი თავის მიმართ პროტესტის განცდა. „ვიღაცას", თითქოს, მასში მეორე პიროვნებას, არ სურს ასეთი ემოციური მდგომარეობის გაგრძელება: მას უყვარს, „უმისოდ" სიცოცხლე არ შეუძლია, მაგრამ ამავე დროს არ უნდა რომ უყვარდეს; ეს გრძნო-

ბრ თანდათანობით ძლიერდება და შემდეგ მცირეოდენი მიზეზის გამო იბადება კონფლიქტები, რასაც მოსდევს შეყვარებულთა შორის ურთიერთობის საბოლოო შეწყვეტა: ამის შემდეგ იწყება ნამდვილი ტრაგედია: უყვარს. ახლაც უყვარს და არ შეუძლია კი მის გვერდით იყოს. იტანჯება ხანგრძლივად, მაგრამ მას არ შეუძლია შესცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება, არ შეუძლია დაებრუნდეს თავის სიყვარულის ობიექტს, რაღაც უშლის. დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ უმისოდ ყოფნა კი სიკვდილია. შეყვარებულის თხოვნა, მუდარა: „რისთვის!?“ რა მიზეზით!? რა დაგიშავე!?“ სრულებით უშედეგოა. შეუძლებელია დაბრუნება. მისთვის თავიდანვე გაუგებარი იყო სიყვარულის დასაწყისი. სიყვარულის პროცესიც გაუცნობიერებელი, ოცნებებით, კონფლიქტებით აღსავსე იყო და დასასრულიც უცნაურია, გაუგებარი, როგორც მისთვის, ისე სხვებისათვისაც.

იმ შემთხვევაში, როცა გაყრის ინიციატივა მისგან არ მომდინარეობს, შინაგანი კონფლიქტების ინტენსივობა ზენიტამდე აღწევს. სიყვარულის ობიექტის ღალატი მისთვის უდიდესი ტრაგედიაა. ჩვენი ცდისპირებიდან ოთხმა განიცადა ასეთი მდგომარეობა. ისინი მთლიანად დაიპყრო განშორების უბედურების განცდამ. მათ დაჰკარგეს მუშაობის უნარი, დაჰკარგეს ფიქრის, ოცნების უნარიც: მათი არსება შეპყრობილი ჰქონდა რაღაც მათთვის გაუგებარ წამებას. გულს სტკიოდა, როგორც „დაჭრილ სხეულს“. სასოწარკვეთილება თვითმკვლელობის სურვილამდე მიდიოდა. შრომის უნარის აღდგენა, როგორც თვითონ ისინი აღნიშნავენ, მათ მოახერხეს ხანგრძლივი წამების შემდეგ. ორივე შემთხვევაში, რომელი მხარეც არ უნდა იყოს კონფლიქტის მიზეზი, სიყვარულის განცდა ხანგრძლივია. კონფლიქტის შემდეგაც იგი მრავალი წლის განმავლობაში რჩება სუბიექტში. წარსულის გრძნობებიდან ეს განცდა ყველაზე ღრმად არის მასში შეჭრილი. ჩვენი ცდისპირები თავისი რომანის ათი წლის შემდეგაც განიცდიან პირველი ტრფიალების ობიექტებს, ამჟამადაც მათთან შემთხვევითი შეხვედრა იწვევს წლობით მიძინებული გრძნობის მოულოდნელ ანთებას.

ასეთ პიროვნებებს აქვთ ძლიერი სიძულვილის უნარიც. ხშირად ასეთი სიძულვილი უმოტივოა. აძულება, ათვალწუნება დამახასიათებელია მათთვის, მაგრამ სიძულვილის განცდა სუბიექტში

ღრმად ვერ იჭრება. იგი იშვიათად ხდება მოწინააღმდეგის მიმართ ქმედების საფუძველი. სიძულვილის გამოხატვა გარკვეულ ქცევაში, როგორიცაა მტრობა, შურისძიება — იშვიათია. შური, მტრობა შეიძლება მძლავრად გამოვლინდეს აფექტის შემთხვევაში, მაგრამ იგი საქმედ არ იქცევა.

მაღალი მიზნებისაკენ მიდრეკილების მქონე ადამიანების შემთხვევაში გვხვდება შურისძიების ერთგვარი სიხარული. როდესაც ეს შურისძიება ეყრდნობა საერთო კლასობრივ, ეროვნულ, საკაცობრიო მოტივებს, მაგ., ტირანის დამარცხება, მჩაგვრელების განადგურება და სხვ. გრძნობა „კეთილშობილი" შურისძიებისა მოცემულია მათში, მაგრამ სხვა თვისებათა შორის ესეც სუსტია. სიძულვილს, ანტიპათიას თან სდევს პიროვნების „გულიდან" მომდინარე ინდიფერენტულობის განცდა; ეს განცდა მას ეუბნება — „არ ღირს. ბოლოს და ბოლოს სულ ერთია, უჩემოდაც კუთვნილს შეეყრება, ჩემს პიროვნებას მაინც ვერ შეეხება, ჩემს მე-ს მაინც ვერ მიწვდება. მე მაინც მაღლა უნდა ვიდგე ასეთი რუტინისაგან". იგი ბოლოდ ყოველგვარ ურთიერთობას სწყვეტს თავისი ანტიპათიის საგანთან. „არაფერი საერთო არ მინდა მასთან, მე ჩემთვის და ის ჭისთვის". შესაძლოა იგი მთელი სიცოცხლე ატარებდეს ანტიპათიის გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა რჩება უმოქმედოდ. განცალკევების ტენდენცია აქაც მძლავრად იჩენს თავს.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სუბიექტის ქცევას, კერძოდ, მის ემოციურ ცხოვრებას განსაზღვრავს ქრონიკული განწყობიდან მომდინარე განცდები, რომლებიც კონფლიქტშია ობიექტურ სინამდვილესთან. ასეთი განწყობის ამოქმედებისათვის მეტად ძნელია, ხშირად შეუძლებელიცაა გარემოში აქტუალური სიტუაციის შერჩევა. ეს არარეალიზებული განწყობები წამყვანია ასეთი პიროვნების განცდებისა. ცხოვრების მიმდინარეობაში იგი ჩართულია არა თავისი „ნამდვილი" მთლიანი პიროვნებით, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის მიერვე შექმნილი მეორე „ხელოვნური" პიროვნებით. ამ მეორე, ხელოვნური პიროვნებისაგან (აზრითი სიტუაციის ნიადაგზე შექმნილი განწყობა) თავის დაღწევა და საკუთარ ინტიმურ სამყაროში დარჩენა ასეთი სუბიექტისათვის თითქოს ნორმალური მდგომარეობაა. მაგრამ სანამ პიროვნება ცოცხალია, იგი ისწრაფვის თავისი განწყობის რეალიზაციისათვის. ჩვენი სუბიექტის განწყობაც

ასეთი მიდრეკილების მქონეა. ეს სწრაფვა მეღავნდება ფანტაზიის, ოცნების სამყაროში.

პიროვნება კონფლიქტშია საცხოვრებო პრაქტიკასთან. ეს კონფლიქტი ძირითადში მეღავნდება არა პიროვნების ხილულ ქცევაში, — პიროვნების ქცევა შესაძლებელია ნებელობის წყალობით სრულიად ნორმალურად მიმდინარეობდეს, — არამედ თვით სუბიექტის შიგნით. ეს კონფლიქტები მას აქცევს მრავალ მოწინააღმდეგე ემოციათა, აზრთა, ოცნებათა ბრძოლის სარბიელად. პიროვნების თავდაცვის ტენდენცია მოითხოვს წონასწორობის აღდგენას ბრძოლებაში ჰარმონიის დამყარებას. აქ ეს ჰარმონია შეუძლებელი მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე. სუბიექტისათვის რჩება მეორე სამყარო, სადაც მისი განწყობა სრულ რეალიზაციას პოულობს, ესაა ოცნების სამყარო. ნებელობით შეუფერხებელი ფანტაზიის მოქმედება დამახასიათებელი ყველა ამ ტიპის სუბიექტისათვის. მათ ახასიათებთ არა მარტო ოცნების სამყაროში ჩაძირვა და ამით ობიექტური სინამდვილიდან სრულებით მოწყვეტა, არამედ ყოველ აღქმას, წარმოდგენას, განსაკუთრებით აზროვნებისა და შრომის პროცესებს თან მიჰყვება ოცნება. ოცნება თანამგზავრია მათი ყოველი მოქმედებისა. მოქმედების დაძაბულ, უსიამოვნო, კონფლიქტურ პროცესზე ასეთი ოცნებები დამამშვიდებლად მოქმედებენ. მაგრამ ამავე დროს იგი იწვევს მუშაობის შეფერხებასაც. ხშირია მუშაობის უეცრივ შეწყვეტა და გარინდება, მოულოდნელად აზროვნების მიმდინარეობის საზროვნო ობიექტიდან აცილება და ოცნების სამყაროში შეჭრა.

აქ აღვნიშნავთ მათი ოცნების ზოგიერთ დამახასიათებელ მომენტს, რომელიც ჩვენ ამოვკრიფეთ რამდენიმე ასეთი სუბიექტის დღიურიდან. ერთ შემთხვევაში სუბიექტის წამყვან ოცნებას წარმოადგენს მოგზაურობა მსოფლიოში: იგი ხან ინდოეთშია, ხან კონგოში, ხან ამაზონკაზე ბანაობს, ნილოსის ნაპირას ცხელ სილაზე განისვენებს, ან პირამიდებთან ესწრება დაისს; იმყოფება უმშვენიერესი პეიზაჟებით, ლანდშაფტებით, ფიორდებით მოცულ უცხო მხარეში. მარტოა ან გულის სატრფოსთან ერთად დგას მწვანე ფიორდთან და შესცქერის, თუ როგორ იძირება მზე წყალთა სამეფოში. იგი გარინდულია, თითქოს შეუერთდა ბუნების სიმშვენიერეს.

მას თითქოს ებადება სურვილი ბუნებასთან შერწყმისა, მასში გაქრობისა.

სდგას, როგორც ქანდაკება, სადღაც მთის მწვერვალზე, ძლიერი გრიგალი ეხეთქება მის სხეულს, თმას უწეწავს, სიცივე ტანს უსერავს, მაგრამ იგი უძრავია, მაღალ და ღრმა ფიქრებშია ჩაძირული. ეკამათება ვილაცას, რომ იგი, როგორც პიროვნება, ძლიერია ქმნადობაში მყოფ სამყაროსთან შედარებით. იგი ოცნებაში ებრძვის სამყაროს პირველ საწყისს, რომლისათვის ის კონკრეტული სახეებსაც ძებნის. ასეთი აზრებით იგი ხშირად ესაუბრება მთელს მსოფლიოს. აგერ, საყვარელ შვილებთან ერთად სადღაც მიყრუებულ ადგილსაა; შორს, ქვეყნის დასასრულს აშენებს მშვენიერ ვილას, ბაღს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქ მიეცეს საშუალება ოცნებისა და ტკბილი, დამოუკიდებელი შრომისა. მის ოცნებაში ხშირად ჩნდება უნივერსალური სოციალური წყობილების სახეებიც, სადაც ყოველი ადამიანი ბედნიერია, სადაც ადგილი არა აქვს მწუხარებას. მას უოცნებია ისეთ სამყაროზე, რომელიც მსგავსია ლეგენდარული ედემისა, მაგრამ მას სამოთხეშიც ყოველთვის მარტო უნდა იყოს, სამოთხეშიც მას ეშინია გაითქვიფოს სხვებში. ის ამ ედემშიც პოულობს მიუვალ კუთხეს, რასაკვირველია, ყველაზე ულამაზესს.

ჩვენი ცდისპირებიდან გვხვდება ისეთი ადამიანებიც, რომელთა ოცნების სამყარო უტილიტარულია. რუტინით სავსე, თავს იჩენს ვიტალური მოთხოვნილების ნიადაგზე წარმოშობილი ოცნებები. ხშირად პორნოგრაფიულიც. მაგრამ ყველას ამ შინაარსეულად განსხვავებულ ოცნებებში ერთი საერთო დამახასიათებელი არსებითი თვისება იჩენს თავს: არსად პიროვნებას საკუთარი „მე“ არ ჰყავს სხვისი შეფასების საგნად, არსად იგი არაა სხვისი ყურადღების ცენტრში. პიროვნება ოცნებაში იმიტომ კი არ იჭრება, რომ სოციალური უკმარობის წყურვილი დაიკმაყოფილოს და ამით უკმარობის კომპენსაცია სუბიექტურად მაინც მოახდინოს; პირიქით, იგი კიდევ უფრო გაურბის სოციალურს, მისი ფიქრები მეტად ფრენს შეუძლებლობის სამყაროში; ამ სამყაროში იგი არასოდეს არ ისმენს ოვაციებს, დიდებას, ქებას, იგი არასოდეს არაა მპყრობელი ადამიანთა მასისა; მას თითქოს არც აინტერესებს ადამიანთა ყურადღება, იგი გულგრილია იმის მიმართ, თუ რას იტყვიან მას-

ზე. ოცნებაში ყოველთვის მარტოა, იშვიათად კი ვინმე ახლობელთან, მაგრამ მარტო უკეთ იგრძნობდა თავს. ოცნებაში იგი ყოველთვის აშენებს იდეალურ თუ ვიტალურ მიზნებზე დამყარებულ ჰაერის კოშკებს: მაგრამ ამ ბრწყინვალე კოშკის — ბედნიერი მპყრობელი მხოლოდ და მხოლოდ თვითონაა. ან მის განცდასთან უშუალოდ დაკავშირებული პიროვნება. მას სურვილიც არა აქვს სხვამ იცოდეს მისი უბედურებისა და ნეტარების შესახებ. სუბიექტს ოცნებაში აუდიტორია არა ჰყავს.

ასეთი პიროვნების სიღრმეში შეჭრა, მისი, თითქოს, მიუვალი სუბიექტური სამყაროს მრავალ წინააღმდეგობით აღსავსე განცდების შესწავლა დიდ სიძნელეს შეიცავს. ამას განსაკუთრებით ართულებს პიროვნების ქცევაზე ობიექტური დაკვირვების მონაცემების შეუსაბამობა იმასთან, რაც პიროვნების შიგნით ხდება. თუ ჩვენ დავაკვირდებით ასეთი პიროვნების ქცევას, დავაკვირდებით მისი შრომის, დასვენების, გართობის პროცესს და შევადარებთ ქცევას იმ განცდებს, იმ სულიერ მდგომარეობას, რითაც იგი შეპყრობილია, მის ქცევასა და განცდას შორის ვნახავთ დიდ შეუსაბამობას. ჩვენს მიერ დადასტურებულ ადამიანის ტიპთა უმრავლესობაში ხომ ყოველი განცდა, კერძოდ, ემოცია ადვილად აღიბეჭდება მის გამოსახულებით მოძრაობებში. აქ კი სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ის დიდი კონფლიქტები, ის უსასრულო თვითანალიზი, რომელიც მას შინაგანი ქენჯნის სარბიელად აქცევს, არა თუ ჩვეულებრივი დამკვირებლისათვის, არამედ მკვლევარისათვისაც ძნელი მისაწვდომია, თუ თვითონ ცდისპირი არ გვეტყვის საკუთარი განცდების შესახებ. ჩვენ, წინასწარი განზრახვით, დღეების განმავლობაში, სპეციალურად ვაკვირდებოდით ასეთი კონფლიქტური სუბიექტის ქცევას (ექიმი ქალი, ღრმად განათლებული პიროვნება), მის დამოკიდებულებას თანამშრომლებთან, მის საუბარს, შრომას, კერძოდ, სამსახურებრივ საქმიანობას, მის ინტერესებს გარემოში მიმდინარე ფაქტების მიმართ და სხვ. ჩვენთვის ძნელი გახდა დაგვენახა ამ სუბიექტში ის შინაგანი მოუსვენრობა, მღელვარება, თვითანალიზი, საკუთარ თავთან განუწყვეტელი დუელი, ოცნების საოცარ სამყაროში ბორიალი, არა თუ ეს გამოვლენები, არამედ მოწყენა და გარინდებაც, რომელიც ქცევას განსაკუთრებულ დაღს ასვამს, მასში ძნელად შესამჩნევი იყო. პიროვ-

ნება იქცეოდა ჩვეულებრივად. ის არაფრით არ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. იგი ჩვეულებრივად ესაუბრებოდა თანამშრომლებს, მის საუბარში იყო სითბოც და მეგობრული ტონი. დაწესებულების ყოველდღიური ცხოვრება მას ისევე აინტერესებდა, როგორც სხვას. დაწესებულების საჭირბოროტო საქმეებში, იგი მუდმივად ჩართული იყო, როგორც სხვები; ზოგჯერ სხვებზე უფრო ხშირად ლაპარაკობდა, მაგრამ იშვიათად საკუთარი განცდების შესახებ. ხუმრობდა კიდევაც ბევრს. მოჰყვებოდა სასაცილო ანეკდოტებს, ისეთ ანეკდოტებსაც, რომლის მოსმენა შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი სქესის საზოგადოებაში. განსაკუთრებით ბევრს საუბრობდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე, მსოფლიოს ამბებზე, ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ. შრომაში იყო ენერგიული, კეთილსინდისიერი, საქმეს ასრულებდა ზუსტად და პირნათლად. ხშირად შეიძლებოდა შემჩნევა რაღაც მოწყენის, უგულობის, რომელსაც ჩვეულებრივი დამკვირვებელი სიზარმაცედ თუ მონათლავდა; მაგრამ ეს არაფრით არ განასხვავებდა მას სხვა ადამიანებისაგან. ამრიგად, მისი ქცევა იყო მთლიანად სოციალური, მთლიანად ნორმალური და ზოგჯერ სიტუაციასთან უფრო მეტად შეგუებული, ვიდრე ისეთი პირებისა, რომელთა განცდები და მოქმედება სავსებით ადეკვატურია ამ სიტუაციისა. ჩვენ იქვიც შეგვეპარება ამ პიროვნების ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის სისწორეში, მისი აღსარების გულწრფელობაშიც.

ამ პიროვნების ცხოვრების მიმდინარეობისა და განცდების შესწავლა ჩვენ გვაძლევდა სრულ საბუთს იმისა, რომ იგი ღრმა შინაგანი კონფლიქტების პიროვნება იყო.

ერთხელ, როცა იგი „აღტაცებით“ ჰყვებოდა რაღაც საინტერესო ამბავს, მე ვთხოვე მას მოსულიყო ცდაზე. ცდის შედეგი: ტლანქი ირადირებული (უსასრულო) განწყობა. მე მას შევეკითხე: მაშინ, როცა იგი ჰყვება საინტერესო ამბავს, როცა მის სახეზე იხატება ღიმილი, ეს ღიმილი ხომ არის ნამდვილი, მთლიანი სიამოვნების გამომხატველი?!. მე დავუსვი მას სხვა კითხვებიც მისი ქცევის სხვადასხვა ფაქტებსა და მისი განცდების შესატყვისობის შესახებ. გამოირკვა, რომ მაშინაც კი, როცა სუბიექტი გარეგნულად სასიამოვნო განცდის შესატყვისად იქცევა, სინამდვილეში მის „სულში“ რაღაც სიმძიმეა, გულზე რაღაც ლოდი აწვება, რაღაც

ქენჯნის; სასიამოვნო აბმავის მოთხრობის სურვილი სრულებით არ გამომდინარეობდა მისგან, მისი აუცილებელი მოთხოვნილებიდან. მდგომარეობა იყო ასეთი და უნდა ეთქვა. მხიარული იყო იმისათვის, რომ თვითონ მოთხრობის შინაარსი მოითხოვდა ასეთ გამოსახულებით მოძრაობებს. „თქვენ ხომ იცით — ცხოვრება, ადამიანები, პირობები, ხარკს მოითხოვენ: უნდა აკეთო ის, რაც არ გსურს; იცინო მაშინ, როცა გეტირება; იყბედო მაშინ, როცა დუმილი უდიდესი ბედნიერებაა; საკუთარი სულის იდუმალ ხმას ხომ ვერ გაჰყვები“ — ხუმრობით დააბოლოვა მან. მე განზრახ გავიკვირვე ყოველივე ეს და ვუთხარი: ასე შეიძლება გააკეთო ერთხელ. მაგრამ მთელი სიცოცხლის განმავლობაში საკუთარ თავთან ბრძოლა როგორ აიტანება, ან ასეთ ვითარებაში ყოფნა ბოლოს და ბოლოს დამამცირებელიცაა. საბოლოოდ ხომ უნდა ისწრაფვოდეთ იქითკენ, რასაც ხმა იდუმალი გიკარნახებს?. მან სრულებით გულწრფელად მიპასუხა: „ჩემი ცხოვრების ტრაგედია სწორედ ამაშია. შენ ფსიქოლოგი ხარ და უნდა მიხვდე ამ ტრაგედიის აზრს“. შემდეგ უსიამოვნოთ და თან ხუმრობით მითხრა: „მე ძვირი დამიჯდა, ერთხელ რომ გაგიმხილე ჩემი სულის საიდუმლოება; რამდენიმე ღამე არ მიძინია, რომ ჩემი სულიერი ცხოვრების ინტიმური ამბები მოგახსენე. დამასვენე, მეტი აღარ შემიძლია“.

ჩვენ ვაწარმოეთ ანალოგიური დაკვირვებები ასეთი ტიპის სხვა ცდისპირზედაც. ყველგან მივიღეთ ერთგვარი შედეგი. ყველანი უჩივიან მხიარულობის, თვით მოლხენის დროსაც გულის არეში რაღაც სიმძიმეს, ტკივილს, მოუსვენრობას. ეს განცდა ძლიერია განსაკუთრებით დილას, გამოღვიძების შემდეგ, თუმცა შესაძლებელია სუბიუქტს სრულებით მშვიდი ძილი ჰქონოდა. ისინი აცხადებენ: „შიგნით რაღაც გვტკივა, ისე გვაწუხებს, რომ ცხოვრება აღარ ღირს, მაგრამ მაინც უნდა ვიცხოვრო“. ერთმა მათგანმა ნათლად გამოხატა საკუთარი ცხოვრების, საკუთარი არსებობის გამართლების აზრი ბარათაშვილის სიტყვებით: „რადგანაკაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა, კიდევაც უნდა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

მართლაც, ამ ადამიანების პიროვნების კვლევისას უნებლიედ გვაგონდება ჩვენი დიდი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნ. ბარათაშვილში ხომ ქცევისა და განცდების არაშესატყვისობა გამოკვე-

თილადაა მოცემული. ცხოვრებაში მხიარული, აშიყი, დარდიმანდი, მაშინდელი ქართული სალონების დენდი, შიგნით მძიმე ტრაგედიას განიცდიდა; მის გაოგნებულ პიროვნებაში ჩამჯდარი „ბოროტი სული“ მტანჯველი კონფლიქტების სარბიელად აქცევდა მას[1].

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ასეთი ადამიანის ქცევა არ განსხვავდება სხვა ადამიანის ქცევისაგან, რომ მის ქცევას არ ახასიათებს თავისებურება. არა თუ ქარაქტეროლოგიურად განსხვავებულ ადამიანებს შორის, არამედ ერთგვარი ხასიათის ადამიანების ქცევაშიც აა განსხვავება. ამას მტკიცებაც არა სჭირია. ჩვენ მხოლოდ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ასეთი სუბიექტის განცდათა სამყაროსა, მისი პიროვნების ყველაზე ინტიმურ მხარესა და მოქმედებას შორის დიდი უფსკრულია. მისი განცდა ასოციალურია. ხოლო მოქმედება — ქცევა მთლიანად სოციალურია. ჩვენ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მისი სუბიექტური სამყარო მის ქცევაში არ მეღავნდებოდეს. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელიცაა. თუ დავაკვირდებით მისი ცხოვრების სტილს, მისი ცხოვრების მთელ ისტორიას, დავინახავთ ისეთ თავისებურებებს, რომელიც მხოლოდ ასეთი ადამიანისათვის იყო დამახასიათებელი. ის, რაც მკრთალად მეღავნდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, უფრო მოჩანს მისი ცხოვრების სტილში და, კერძოდ, მისი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში. ასეთი სუბიექტის მეგობრობა, სიყვარული, სიძულვილი, სიმპათია, შრომა, აფექტები, სოციალობის ტენდენციების თავისებურება და სხვა მრავალი თვისება, რომლებიც თავისებურად არის მასში მოცემული, გარკვეულად სპეციფიკურ სახეს აძლევს ამ ადამიანს. მის ბიოგრაფიაში ვნახავთ უცნაურ მოქმედებებს, გაუგებარ გამოსვლებს, უმოტივაციო აფექტებს, მაღალი მიზნებისათვის თავდავიწყებულ ბრძოლებს და ცხოველური მოთხოვნილებებით განსაზღვრულ ქცევებს და სხვა მრავალ თავისებურ მომენტებს. აქ ჩვენ მხოლოდ გვინდა ხაზი გავუსვათ შინაგანისა და გარეგანის არაშესატყვისობას, მათ შორის კონფლიქტებს, რაც ნაკლებად ან სულ არაა დამახასიათებელი სხვა ტიპის ადამიანისათვის. ერთ წუთს რომ წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ასეთი სუბიექტი ყველა საკუთარ განცდას აძლევს ობიექტურ გამოხატულებას გამომეტყვე-

---

[1] ეს ანალოგია მიუთითებს ბარათაშვილის პიროვნების მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს.

ლებაში, შესაფერის მოტორულ აქტებში, ან კიდევ მისი განუხორციელებელი განწყობანი ქცევაში იქნებიან რეალიზებული, მივიღებთ რაღაც კოშმარულ სურათს, ე. ი. თუ ხილულ ქცევაში იქნება გამომზეურებული ის კოშუმარული სურათი, რომელიც ამ ადამიანის შინაგანშია ასახული, ჩვენ საქმე გვექნება ანორმალურ სუბიექტთან; მაგრამ სუბიექტი ქცევის მიხედვით საკუთარი ნორმალურია. გარემოსთან შეგუების თვალსაზრისით მისი ქცევა საკუთარი მიზანშეწონილია. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? უთუოდ ფსიქიკურის მეორე დონეზე მოქმედ ნებელობის მიმდინარეობის იმ თავისებურებაში, რომელიც პიროვნების ხასიათის ძირითადი საფუძველია.

ძლიერი აუტისტური ტენდენციის გამო სუბიექტი ძნელად პოულობს გარემოში თავისი მოთხოვნილების გამოვლინებისათვის შესატყვის სიტუაციას. მოთხოვნილებები კონფლიქტშია გარემოსთან. ქრონიკული განწყობა, რომელიც სუბიექტში გამომქლავნებული განცდებისა და გარკვეული ქცევისათვის მზაობის სახითაა მოცემული. სრულიად შეუთავსებელია გარემოსთან. პიროვნების ქცევა რომ ნორმალურად მიმდინარეობდეს, აუცილებელი ხდება ცხოვრების წვრილმან საკითხებზედაც ნებელობის აქტის ამოქმედება.

ნებელობის აქტივობის ნიადაგზე წარმოშობილი ქცევა თითქოს სუბიექტის ბუნებრივი ტენდენციებიდან თავისუფლად მიმდინარე არ არის. ნებელობითი ქცევის პროცესში ჩნდება გაორება, ძლიერი კონფლიქტების, ტკივილების განცდა, მელანქოლია, განუწყვეტელ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნა, გადაჭარბებული სერიოზულობა და სხვა. მაშინ, როდესაც პიროვნება ვერ ახერხებს ნებელობის საშუალებით ბუნებრივი ტენდენციების შეკავებას, ჩნდება იმპულსური ქცევა და ხშირად ისეთი, რომელიც სრულებით შეუთავსებელია სიტუაციასთან; ჩნდება უცნაური მოქმედებანი, რომლებიც თავისებურ იერს აძლევენ პიროვნების ცხოვრების მიმდინარეობას. სუბიექტისთვის აუცილებელი ხდება ქცევის გააზრება, წვრილმანებშიც აზროვნების ჩარევა, ნებელობის მოსამზადებელი პერიოდის — არჩევანის, მოტივაციის — განსაკუთრებული ამოქმედება. მას ხშირად უხდება გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების პროცესი მტკივნეულია, ხანგრძლივი და

მერყეევი. გადაწყვეტილების გამოტანის დროს მისი განცდა ლაბილურია, იქვებით, მოუსვენრობით სავსე. მას არ სჯერა საკუთარი გადაწყვეტილების მიზანშეწონილება. ეს გადაწყვეტილება მისგან თითქოს არ მომდინარეობს, იგი თითქოს ნაძალადევია. გადაწყვეტილების განცდა მეტად სუსტია; სუბიექტს არა აქვს რწმენა, შეასრულებს თუ არა იმ საქციელს, რომელიც მას მისაღებად მიაჩნია. ხშირად გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელია სიტუაციის. ძლიერი აქტუალობა, იძულება. გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის თან სდევს ინტენსიური უსიამოვნო განცდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც გადაწყვეტილება გამოტანილია, სუბიექტი მოქმედებს ენერგიულად. მხოლოდ ეს ენერგიული მოქმედება გადაჭარბებულად აგზნებულია, მტკივნეული; ქცევის პროცესი უსიამოვნოა. სუბიექტი ფიქრობს, რომ არ აკეთებს ყველაფერს კარგად, იქვი ეპარება საკუთარ მოქმედებაში; ქცევის პროცესი აღსავსეა ამბივალენტური ემოციებით. სუბიექტი გატაცებულია საქმით: „ამ დროს მას არ უყვარს არავინ, ქვეყანა მისთვის არ არსებობს, მხოლოდ საქმე და საქმე, ყველაფერი საქმისათვის". საკუთარი თავიც ეზარება; მუშაობის პროცესში ხელის შეშლა დიდი უსიამოვნების მომგვრელია; დაბრკოლება ადვილად შეაწყვეტინებს მოქმედებას. განსაკუთრებით დიდ სიძნელეს იწვევს გადანაცვლება, ახალ სიტუაციისადმი შეგუება. განწყობის გადანაცვლება დიდი ტკივილების მომგვრელია, ხშირად შეუძლებელიც. უფრო ხშირად, თუ ერთხელ დაწყებული საქმე შეაწყვეტინეს, მას იშვიათად უბრუნდება. საქმის ბოლოც არაა დიდი სიამოვნების მომგვრელი, რადგან იგი თავიდანვე ნიღილისტურად იყო განწყობილი. საქმის პროცესიც უსიამოვნო იყო მისთვის და დასასრულიც არ აძლევს მას სრულ სიმშვიდეს. ნებელობის მთელი პროცესი, როგორც გადაწყვეტილების, ისე შესრულების აქტი, ძირითადში პიროვნების „ბუნებასთან" შეუთავსებელი იყო, ამიტომ მისი ნებელობითი ქცევა მიმდინარეობდა უსიამოვნო განცდების ნიშნის ქვეშ. შედეგიც არაა ის, რაც მის ქრონიკულ განწყობასთან არის შესატყვისი. სწორედ ამიტომ შეუძლებელია შედეგმა მას მისცეს სიმშვიდე, სიამოვნება. ის ბოლომდე რჩება ნიღილისტი საკუთარი ქცევის შედეგების, საკუთარი შემოქმედების პროდუქტების მიმართ. მისი

ნებელობა ყოველთვის კონფლიქტშია იმასთან, რაც პიროვნებას სურს, სწადია.

ასეთი პიროვნება კონფლიქტისაგან მაშინ არის თავისუფალი, როდესაც მისი ქრონიკული განწყობა მოქმედების თავისუფლებას პოულობს, როდესაც სიტუაცია შესატყვისია ამ არარეალიზებულ განწყობისა, როდესაც ბუნებრივი ტენდენციის საფუძველზე მიმდინარე მოქმედება არაა კონფლიქტში გარემოსთან, როგორც საკუთარ, ისე საზოგადოებრივ, მორალურ მოტივებთან. კერძოდ, ტალანტის შემთხვევაში იგი შესატყვის სიტუაციას ჰპოვებს მხატვრულ შემოქმედებაში, მაღალი ესთეტიკური გემოვნების მქონე ადამიანის შემთხვევაში მხატვრული სურათების ქვრეტაში, ბუნების სიმშვენიერეთა ტკბობაში. ასეთ ადამიანს შეუძლია მთლიანად შერწყმა ბუნების მშვენიერებასთან.

ამ ტიპის ხასიათის ადამიანს ძლიერი მიდრეკილება აქვს იმპულსური ქცევისადმი. ეს იმპულსური ქცევაც კონფლიქტის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. ეს მოქმედებები ენერგიულია და მტკიცე. ეს ისეთი ადამიანია, რომელიც სურვილების, შინაგანი მოწოდების დაკმაყოფილებისათვის ძლიერ ძალასაც ამჟღავნებს, მხოლოდ საკუთარი ბუნებრივი მიდრეკილებების შეკავება ძლიერ კონფლიქტებს იწვევს.

მაგრამ როგორი მწვავეც არ უნდა იყოს პიროვნებაში მიმდინარე კონფლიქტები, ქცევის რეგულატორი ყოველთვის ნებელობაა; ძირითადში მხოლოდ ნებელობა შესაძლებელს ხდის ნორმალურ ქცევას; გაორებულ პიროვნებაში ორი მოწინააღმდეგე ქცევის სტიმულებს შორის ხშირად იმარჯვებს სოციალობის ტენდენცია.

კონფლიქტური პიროვნება ხშირად შეუდრეკელად იბრძვის ისეთი მიზნებისათვის, რაც სრულებით არ გამომდინარეობს მისი საკუთარი, ნამდვილი მოთხოვნილებებიდან. იგი ხშირად ემსახურება თეორიულ, ესთეტიკურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ და სხვა მაღალ ღირებულებებს. ამ ღირებულებებს იგი ხშირად ემსახურება სხვებზე უკეთესად, ამიტომ შეიძლება მას ვუწოდოთ თეორიული, ესთეტიკური, პოლიტიკური და სხვა ამგვარი მიზნებისკენ მიდრეკილების მქონე ადამიანი, მაგრამ არსებითად ამ ტიპის ხასიათის ადამიანი, საკუთარი განცდის მიხედვით, არცერთისთვის არაა მოწოდებული, მისი სუ-

რეილები და მოწოდებები თითქოს სულ სხვაა და აკეთებს კი სულ სხვას. მას ყოველთვის აქვს მტკივნეული განცდა, რომ იგი ცუდად ემსახურება მიზანს, ამავე დროს ეს მიზანი მას არარაობად ეჩვენება. მიზნის მიმართ იგი პესიმისტურადაა განწყობილი.

ასეთი პიროვნებისთვის არაა დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი იმ გაგებით, რომ იგი გარემოსთან დამოკიდებულების პროცესში საკუთარ პიროვნულ თავისებურებებს წინა პლანზე, ყურადღების ცენტრში აყენებდეს. იგი არც სუბიექტივისტია იმრიგად, რომ ყველაფერს იმის მიხედვით ეპყრობოდეს, თუ რა მნიშვნელობა ექნება მას მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ მისი პიროვნებისათვის; არც ეგოისტია. რადგან იგი საგნებს, მოვლენებს არ ეპყრობა ისე, რომ ისინი საკუთარი პირადი მიზნებისათვის გამოიყენოს. მასში შეიძლება ყველა ეს თვისება ზოგჯერ ჭარბადაც იყოს მოცემული, მაგრამ ისინი არ ჩაითვლება წამყვან და არსებით თვისებებად. თუ გავიხსენებთ იმას, რაც ვთქვით ამ პირების სიმპათიის გრძნობაზე, სიძულვილსა, ოცნებასა და სხვა მხარეებზე, შეუძლებელია ეს პირები მიეკუთვნონ ინდივიდუალისტს. ეგოისტს. ან სუბიექტივისტს ცალ-ცალკე.

ამ ადამიანებში თითქოს მძლავრად არის მოცემული ალტრუისტული და მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისათვის, ბრძოლის ტენდენციები: შეიძლება აგრეთვე ვიპოვოთ მათში პირადულისა და საზოგადოებრივი მისწრაფებების შეთანხმებების მომენტებიც. ეს მაშინ, როდესაც ასეთი სუბიექტი თავდადებულია საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ან, კიდევ, როდესაც საერთოდ პიროვნების ბუნებრივი ტენდენცია და აქტუალური სიტუაცია ერთმანეთს ემთხვევა. ეს გარემოება თავს იჩენს განსაკუთრებით შემოქმედების პროცესში, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მათში არაა მოცემული განცდა იმისა, რომ მიზანი, რომელსაც ისინი ემსახურებიან მათი საკუთარი მიზანია; მიზნისთვის ბრძოლა მათ სიმშვიდეს, სიხარულს, კმაყოფილებას არასოდეს არ გვრის. ამ პიროვნებისათვის სპეციფიკური და არსებითია შინაგანი დისჰარმონია, პიროვნული მთლიანობის დარღვევა, კერძოდ, ემოციურ ცხოვრებასა, მიდრეკილებებსა და ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე

ქცევას შორის შეუთანხმებლობა, რაც გარემოში შეგუების თვალსაზრისით ნებელობით არის მოწესრიგებული. ამის გამო პიროვნებისათვის დამახასიათებელია სრული კონტრასტი განცდებსა და ქცევას შორის, — განცდები ღრმად კონფლიქტურია, ხოლო ქცევა გარემოსთან შეწყობილი. ასეთი პიროვნების სოციალური ქცევა მთლიანად გაშლილია ობიექტივაციის დონეზე. პიროვნების ეს სტრუქტურული თავისებურება განსაზღვრავს როგორც ხასიათის დინამიკას, ისე პიროვნების მიზანსწრაფვას.

სტატიკური განწყობის ადამიანთა შორის გვხვდება ისეთი ტიპებიც, რომლებიც ხასიათის ზოგიერთი თვისებებით განსხვავდებიან ზემოთ აღწერილი ტიპისაგან. აქ ჩვენ მოკლედ გავარჩევთ ორ ქვეტიპს — კონფლიქტურ გულცივსა და აფექტურ ადამიანებს.

კონფლიქტური გულცივი ხასიათის ადამიანი. ასეთი პიროვნება ხშირად გულგრილია მის ირგვლივ მიმდინარე ცხოვრებისადმი, იგი გულგრილი, ინდიფერენტული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. ძნელია წონასწორობიდან მისი გამოყვანა. მისი შინასამყარო — მიზანთა ინტიმური სფერო თითქოს შეუვალია და ერთგვარი სიმყარით ხასიათდება. იგი ჩაძირულია თავის ინტიმურ განცდათა სამყაროში. მისი განცდების ძნელად აგზნებადობის გამო ასეთი პიროვნება ხასიათდება „შინაგანი დამოუკიდებლობით". ჩვენი ცდისპირები „ფილოსოფიურად", მაღლიდან დასცქერიან ცხოვრების „წვრილმანებს"; ყოველდღიური საქმიანობა, თავისი დაწესებულების საჭირბოროტო საკითხები, ახლობელის ჭირვარამი ძნელად აღძრავს მათში გულმხურვალე გამოძახილს. თუმცა ისინი ენერგიულად ჩართულნი არიან მიმდინარე ცხოვრების დინებაში, ხშირად პრაქტიკულ ცხოვრებაში, დაკისრებულ მოვალეობისათვის ბრძოლაში გასაოცარ სიმტკიცეს იჩენენ, ამავე დროს ირონიით, ხშირად სარკაზმით მაღლიდან დასცქერიან როგორც საკუთარ, ისე სხვის პრაქტიკულ მოღვაწეობას. პესიმიზმი, რომელიც ღრღნის მათ არსებას, ამავე დროს გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, რომელიც ხშირად ძლიერ ეგოიზმად იქცევა, საშუალებას არ აძლევს მათ იყოს ადამიანებისადმი გულწრფელი სიმპათიით აღსავსე. ასეთი პიროვნება იჭვით შესცქერის ადამიანის საზოგადოებრივ ღირსებას, ცხოვრების მაღალ ღირებულებას და ამის

გამო სულის სიღრმეში უარყოფითი დამოკიდებულებაშია მაღალი მორალისათვის მებრძოლი ადამიანის მოღვაწეობისადმი. შური, მტრობა, ღვარძლიანობა, სხვისი შეფასების უარყოფითი ემოციები მისთვის დამახასიათებელია. ასეთ პიროვნებაში ძლიერ შინაგან ტკივილებს, მწვავე განცდებს აღძრავს გარემოს ისეთი ზემოქმედება, რომელიც უშუალოდ ეხება მის ინტიმურ, ეგოისტურ „მე"-ს.

ერთი ცდისპირი ასე აგვიწერს თავის განცდებს: „კარგ გუნებაზე რომ ვიყო და ერთბაშად შემხვდეს ისეთი ადამიანი, რომელიც მე არ მიყვარს, საშინელ ცუდ გუნებაზე დამაყენებს. ჩემთვის არასასიამოვნო ადამიანის სახელის, გვარის, თუ გნებავთ, მისი მოგვარის გახსენებაც ცუდ გუნებაზე მაყენებს, მძულს იგი, ვინც ერთხელაც მაწყენინა. საკმარისია ვინმემ მითხრას ჩემი შეურაცხმყოფელი ერთი სიტყვა, რომ ამის მთქმელი საბოლოოდ მოკვდეს ჩემთვის და სამუდამოდაც. დიდად მომთმენი ვარ, მაგრამ თუ ვინმემ მაინც მაწყენინა, არ დავინდობ, მისი სიკვდილიც გამეხარდება. სამაგიეროს გადახდის დიდი სურვილი მაქვს. მეგობრობა არ არსებობს. მე ვერ ვხედავ ისეთ ადამიანს, რომელიც მეგობრობის ღირსი იყოს; მეგობრობა — ეს ლიტონი სიტყვაა. მე ნდობა არა მაქვს ადამიანის, თუმცა ჩემს განცდებს არ ვამჟღავნებ".

აღსანიშნავია, რომ ეს ცდისპირი გარეგნულად არ სტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას. მისი ახლობლები, კერძოდ, მისი სკოლისა და უნივერსიტეტის ახლო ამხანაგები, რომლებსაც მასთან ხანგრძლივად, ერთ ბინაზედაც კი უცხოვრიათ, აცხადებენ, რომ იგი ყოველთვის იზიარებდა სხვის ჭირვარამსა და სიხარულს. მას არასოდეს არ გამოუჩენია ანტისოციალური ქცევა. ამავე დროს ვარეშეთათვის იგი ძნელად შესაცნობი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ხშირად ოხრავდა, ღრმად ჩაფიქრებული იყო. იგი არასოდეს არ ლაპარაკობდა საკუთარ განცდებზე, იყო ენერგიული. საქმიანი. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭით არ იყო დაჯილდოებული მაინც მოახერხა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება. იგი ჭაბუკობაში ხელოსანი იყო. მან მიზნად დაისახა სწავლა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, მიზანს მიაღწია. ამჟამად იგი მასწავლებელია და ენერგიულად მუშაობს. დაუღალავი შრომითა და გასაოცარი მომჭირნეობით მან მოახერხა საკუთრად ოთხოთახიანი ბინის აგება. იგი ოთხი წლის განმავლობაში ფრონტზე იყო. მიიღო

რამდენიმე ჭრილობა, ერთი კომოციოც. მიუხედავად ომში გადატანილი მძიმე გასაჭირისა, იგი ხასიათის მცირეოდენი ცვლილებებით ისევ დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას.

ჩვენ შევეცადეთ კლინიკური საუბრისა და ქცევაზე ხანგრძლივი დაკვირვების გზით შეგვესწავლა ამ ადამიანის ინტიმური განცდები. დავრწმუნდით, რომ მისი განცდების მიმდინარეობასა და ქცევას შორის ნამდვილი უფსკრულია. ადამიანებთან მისი დამოკიდებულების ხასიათი ცხოვრების აუცილებლობითაა გამოწვეული. მისი სიმპათია თუ ანტიპათია განსაზღვრულია არა პიროვნების სიღრმიდან მომდინარე მოთხოვნილებით, არამედ გარემოსთან შეგუების აუცილებლობით. სულის სიღრმეში იგი ეგოისტია, მის განცდებს გადაკრავს მიზანტროპიის ელფერი. იგი შიგნით მარად გაღიზიანებულია, აღრენილი, უკმაყოფილო. თავისი პირადი ცხოვრება მას მიაჩნია „ჯოჯოხეთად", „უმსგავსოებად" (ცდისპირის სიტუაცია), ნამდვილად იგი სხვებთან შედარებით კარგადაა მოწყობილი, აქვს კარგი ბინა, ხელფასი საკმარისი ეძლევა. თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის დიდ ენერგიას იჩენს. როგორც მისი ახლო ნაცნობები აღნიშნავენ, როცა იგი სახლს აგებდა, სამი წლის განმავლობაში „ხმელა პურზე" გადიოდა: ისე გახდა, რომ გეგონებოდათ სიკვდილის პირად იყო, მაგრამ საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანა.

ჩვენი დაკვირვებით, ასეთი პიროვნების ენერგიულ ქცევას ბტკიცე ნებელობა არ განსაზღვრავს. ნებელობის კლინიკურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მძლავრად გამოხატული „მე მინდას" განცდა მისთვის არაა დამახასიათებელი. გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის ახლავს დაურწმუნებლობის, უიმედობის განცდა. როცა საკითხი დგება პირადი, ეგოცენტრული იმპულსების დაკმაყოფილებისა და საზოგადოებასთან შეგუებისათვის აუცილებელ მომავალი ქცევის არჩევანის შესახებ, იგი ახერხებს მორალური ქცევის არჩევას, მაგრამ ასეთ ქცევას არ ახლავს შინაგანი სითბო და დარწმუნებულობა. იგი ახერხებს თავისი იმპულსების ალაგმვასაც, მაგრამ მისთვის მაინც დამახასიათებელია იმპულსური ქცევისაკენ მიდრეკილება. ხშირად იგი ნებელობითი გადაწყვეტილების გარეშე, ყოველგვარი შინაგანი ძალისხმევის, განზრახვის გარე-

შეც მთელ თავის შესაძლებლობას საკუთარი ეგოცენტრული მისწრაფების განხორციელების სამსახურში აყენებს. გადაწყვეტილების ნიადაგზე მიმდინარე ქცევაც ასეთ პიროვნებასთან ვერ ჩაითვლება წმინდა ნებელობით ქცევად, რადგან იგი რჩება თავისი გადაწყვეტილების მონად, ვერ ახერხებს გადანაცვლებას, ჯიუტია.

კონფლიქტურ-აფექტური ხასიათი. ამ ქვეტიპის ადამიანებისათვის ძირითადში დამახასიათებელია აფექტურობა, აგზნებული, გაღიზიანებული გუნება. ეს აფექტები, ფეთქადი რეაქციები, საერთოდ, ეპილეპტოიდური თვისებები ნევროზის შედეგი როდია, ისინი უფრო ქარაქტეროლოგიური თვისებებია. ასეთი პიროვნების ნებელობის მიზანს უფრო ხშირად საკუთარი თავი შეადგენს. იგი ყველას და ყველაფერს ეპყრობა, როგორც საკუთარი მიზნების განხორციელების საშუალებას: ამის გამო კონფლიქტი გარემოსთან მისთვის აუცილებელია: მისი იმპულსები ყველგან და ყოველთვის ჯიუტად მოითხოვენ საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებას; მაგრამ რადგან ხშირად ამისი რეალიზაცია შეუძლებელია, იგი ხდება გაღიზიანებული, გულცივი, ინდიფერენტული, სთენიურ-პათოლოგიური აფექტების მატარებელი და ხშირად ამყღავნებს კიდეც ასეთ აფექტებს. იგი ხშირად არის კონფლიქტში გარემოსთან.. კონფლიქტი არ მიმდინარეობს ისე მტკივნეულად, როგორც ეს სენსიტიური ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. იგი უფრო აგრესიულ დამოკიდებულებაშია გარემოსთან. მას არა აქვს ისეთი მტკიცე ნებელობა, რომ ებრძოლოს ამ იმპულსებს. ბუნებით იგი სუსტი ნებელობის ადამიანია; მაგრამ ეს იმპულსურობა, ჯიუტობა ხშირად სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი თითქოს მტკიცე ნებელობის ადამიანი იყოს. აფექტურობის, იმპულსურობის რეგულაცია ან შეფერხება მოწესრიგებული გარემოს ზემოქმედებით, კარეგანი იძულების მეოხებით ხდება: მისი მოწესრიგებული ქცევა უფრო ხშირად სიტუაციის ზემოქმედების შედეგია. სიტუაციის ზემოქმედებით იგი იძულებულია შეაკავოს საკუთარი იმპულსები, ეგოისტური მიზნები, შეაფერხოს ჯიუტობა, კაპრიზები, იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას; ამას მისგან მოითხოვს თავდაცვის მოთხოვნილებაც. იგი, როგორც გონიერი არსება, აფექტების ამ გზით შეკავებას ახერხებს. მაგრამ სწორედ ამიტომ იგი საკუთარ არსებაში ატარებს სიძულვილს, გაბოროტებას, შურის-

ძიებას, მტრობას და სხვა მრავალ ამგვარ თვისებებს; იგი ხშირად ბოღმითაა აღვსილი და საკმარისია ამისათვის საბაბი, რომ ეს ბოღმა აფექტის სახით გადმოიღვაროს

* *

კონფლიქტური ხასიათის ადამიანის ფსიქოლოგიური ტიპი, თავისი ესთეტიკური იდეალის მხატვრულ სახეში განსაჯიერების მიზნით, გამოიყენა ბევრმა დიდმა ხელოვანმა. როგორც ვნახეთ, კონფლიქტური ადამიანი, როგორც ფსიქოლოგიური ტიპი, ყოველთვის როდი გულისხმობს ანტისოციალური ქცევის ადამიანს; პირიქით, ასეთი ადამიანის ქცევა შეიძლება უფრო სოციალური, ჰუმანური, გარემოსადმი ადეკვატური იყოს, ვიდრე ჰარმონიული, მთლიანი ადამიანისა. მაგრამ მისთვის დამახასიათებელი განწყობის მაღალი აგზნებადობის, სტატიკურობის, ვანუხორციელებელი განწყობებით გადატვირთვის, მელანქოლიკური ტემპერამენტის, ჭარბი გრძნობიერების გამო, მისი სულიერი სამყარო ხშირად ჩაძირულია ღრმა მტკივნეულ განცდებში; გარესამყაროს ყოველ უხეშ შეხებას, საკუთარი აქტიურობის შეფერხებას იგი ღრმა ტრაგიზმით განიცდის. ასეთი ადამიანები მწვავედ განიცდიან თავისი ეპოქის სოციალურ ქარტეხილებს, თუ პირად უბედურებას. მათი ბრძოლა მაღალ იდეებისათვის პესიმისტური ემოციების ფონზე მიმდინარეობს. ხშირად მათი ფაქიზი, მგრძნობიარე ბუნება ვერ უძლებს მათზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობას; მაღალი იდეების განუხორციელებლობა ბოროტებით მოცულ გარემოში მძიმე მელანქოლიით, კონფლიქტებით ავსებს მათ (ჰამლეტი, ალბრეხტ დიურერის „მელანქოლია"), ან კიდევ პიროვნებას სტანჯავს კონფლიქტი ინდივიდუალისტური, ეგოისტური მისწრაფებათა განხორციელების სიძნელისა თუ ჩადენილი ბოროტების გამო (შექსპირის გლოსტერი, ლედი მაკბეტი, დუნკანი და სხვ.), ან გარკვეული იდეებისათვის მებრძოლი პიროვნება თავისი შინაგანი უწონასწორობით ფსიქოპატურ მდგომარეობაში იმყოფება (დოსტოევსკის გმირები). ამ ტიპის ადამიანები განსხვავებული სახით გამოიყენებიან სხვადასხვა იდეოლოგიური მრწამსის, ესთეტიკური იდეალისა და მიმართულების ხელოვანთა ნაწარმოებებში. მაგალითად,

გოეთეს ვერტერი. ბაირონის მანფრედი, შატობრიანის რენე, შექსპირის ჰამლეტი და გლოსტერი, დოსტოევსკის რასკოლნიკოვი, ალიოშა და ივანე კარამაზოვები, სიმბოლისტების, დეკადენტების ბოგემა, ნიცშეანური დოქტრინით მოქმედი პშიბიშევსკის ფალკი, ოქტავ მირბოს ნახევრად პათოლოგიური ტიპები და მრავალი სხვა თავიანთი მსოფლმხედველობით, ინტერესებით, შინაგანი მამოძრავებელი პათოსით სრულიად განსხვავებული პერსონაჟებია; მათი თავისებურება აღბეჭდილია ეპოქის, კლასის, იდეოლოგიის დაღით, მაგრამ ყველა მათ ანათესავებს ერთი არსებითი ნიშანი: — ესაა როგორც ღრმა შინაგანი, ასევე გარემოსთან კონფლიქტები. როგორც ამას დოსტოევსკი თავისი გმირების შესახებ ამბობდა, ეს ისეთი ადამიანებია, რომელნიც „ცხოვრობენ არა საკუთარ გარემოში“, მარად დატვირთულნი არიან დაუკმაყოფილებელი მაღალზნეობრივი თუ ამორალური მისწრაფებებით, განუწყვეტლივ იმყოფებიან საკუთარი ინდივიდუალისტურ მისწრაფებათა შესატყვის გარემოს ძიებაში. ამავე დროს მძლავრი ობიექტივაციის, თავისთავის დაუფლების უნარის გამო, ისინი ახერხებენ საკუთარი ქცევის იმდენად მოწესრიგებას, რომ გარეშე პირთათვის დიდხანს შეუმჩნეველია მათთვის დამახასიათებელი შინაგანი პიროვნული დრამა. ადამიანში მიმდინარე მწვავე შინაგანი კონფლიქტები, ჭიდილი ურთიერთის საწინააღმდეგო მისწრაფებათა შორის, ამავე დროს შინაგანი მღელვარე მდგომარეობის ობიექტივაცია, მძლავრი იმპულსურობის შეკავება, საკუთარ განცდათა ჭიდილზე ცნობიერების კონცენტრაცია, რაც მტანჯველ თვითანალიზში გადადის, მსოფლიო ხელოვნებაში გენიალური მხატვრული სიღრმით განასახიერეს დიდმა რეალისტებმა შექსპირმა და დოსტოევსკიმ; ანალოგიური ცდა მოცემულია ექსპრესიონიზმშიც.

დოსტოევსკის გმირები განუწყვეტელი ობიექტივაციის დონეზე ცხოვრობენ. ამიტომაა, რომ რომანში მოქმედებების განვითარება ძირითადში მიმდინარეობს მონოლოგურ მეტყველებასთან განუყრელ კავშირში. დოსტოევსკი თავის რომანებისათვის ეძებდა ისეთ პერსონაჟებს, რომელთაც ჰქონდათ უნარი საკუთარი სულიერი სამყაროს ანალიზისა, გაცნობიერებისა, სულიერი მდგომარეობისაკენ ცნობიერების მთლიანად მიპყრობისა. ამ გმირებს როგორც საკუთარი ცხოვრების გზა, ისე მომენტალური განცდე-

ბიც რეფლექსიის საგნად გაუხდიათ; ისინი არსებობენ არა როგორც „ცხოვრების ადამიანები", არამედ როგორც საკუთარი „ოცნებისა და ცნობიერების სუბიექტები" (ბახტინი). ქცევისა და განცდების განუწყვეტელი რეფლექსია აფერხებს ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობაში ბუნებრივი რიტმით მათს ჩართვას, აძლიერებს შინაგან კონფლიქტებს. რასკოლნიკოვის, კარამაზოვის სულიერ სამყაროს ვეცნობით მათ მონოლოგებში, რაც საკუთარი განცდების ობიექტივაციის შედეგია. დოსტოევსკის „მკაცრი ტალანტი" თავის გმირების ირგვლივ ქმნის ისეთ სოციალურ ატმოსფეროს, რომელიც შეუბრალებელი აუცილებლობით აიძულებს მათ მოახდინონ საკუთარი ქცევის, სულიერი მღელვარების, კოლიზიების, ექსცენტრული ქცევის ობიექტივაცია, ანალიზი და გადაგვიშლონ თავიანთი შინაგანი კონფლიქტების მიზეზები. ექსპრესიონისტი ვერფელიც თავის პიესაში „Spiegelmench" ქმნის სიმბოლურ სიტუაციას, სადაც გმირი იძულებულია მოახდინოს საკუთარი ქცევისა და განცდების ობიექტივაცია, შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების ანალიზი; იგი თვითონ ასამართლებს თავის თავს და როგორც მოსამართლე, ადგენს ოქმს და იხმობს მოწმეებს.

ღრმა სოციალური წინააღმდეგობის შემცველი კაპიტალისტური საზოგადოება შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების წყაროს წარმოადგენს. ამიტომ პესიმისტური, ნიჰილისტური, შინაგანად გახლეჩილი ადამიანის ბედი, მისი სულიერი სამყარო თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების ძირითად თემას წარმოადგენს. მაგრამ გარემოსთან კონფლიქტის გამომწვევი სოციალური პირობების აღკვეთა სრულიად არ ნიშნავს როგორც შინაგანი ადამიანური კონფლიქტების, ისე კონფლიქტური ადამიანის ტიპის მოსპობას. უთუოდ სიმართლის შემცველია მასეევის აზრი, რომ ყოველი კონფლიქტის სოციალური წინააღმდეგობებით ახსნა ნიშნავს ვულგარულად გავიგოთ ადამიანის ცხოვრების ისეთი რთული მხარეები, როგორიცაა: ბედნიერებისათვის ბრძოლა, შრომის, შემოქმედების პროცესი, სიყვარული, ავადმყოფობის დაძლევა, მოახლოებული სიბერე და სხვა. მწერლებსა და კრიტიკოსებს, მისი აზრით, რომელთაც ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი კონფლიქტი კაპიტალიზმის გადმონაშთამდე დაჰყავთ, ალბათ, სერიოზულად სჯერათ, რომ კომუნიზმის დროს ბურჟუაზიული გადმონაშთების გაქრობასთან

ერთად გაქრება ყველა სიძნელე ადამიანის შემოქმედებაში, უხეში მიუტევებელი შეცდომები საქციელში, სინიდისის ქენჯნა, ოჯახური კონფლიქტები, სულიერი ტკივილები გაუზიარებელი სიყვარულის გამო[1]. ამ საკითხთან დაკავშირებით უთუოდ საგულისხმოა მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე ა. დოვჟენკოს მიერ წარმოთქმული სიტყვა: „ვხელმძღვანელობდით რა ყალბი წაქეზებით, ჩვენ ამოვიღეთ ჩვენი შემოქმედებითი პალიტრიდან ტანჯვა: დავივიწყდა, რომ იგი არის ყოფიერების უდიდესი სინამდვილე, ისე როგორც ბედნიერება და სიხარული. ჩვენ იგი შევცვალეთ სიძნელეების გადალახვის მსგავსი რაღაცათი... ჩვენ იმდენად გვწყურია მშვენიერი ნათელი ცხოვრება, ისეთი მგზნებარებით გვსურს იგი, რომ მოსალოდნელს ჩვენ ვეჭვრეტთ როგორც განხორციელებულს; გავიწყდება, რომ ტანჯვა ჩვენთან იქნება მარადის, სანამ ცოცხალია ადამიანი დედამიწაზე, სანამ უყვარს, უხარია, სანამ იგი შემოქმედია. გაქრება მხოლოდ ტანჯვის სოციალური მიზეზები: ტანჯვის ძალა განსაზღვრული იქნება არა იმდენად რაიმე გარეგანი მიზეზების დაწოლით, რამდენადაც უფრო სულიერი ძვრების სიღრმით"[2]. ღრმა სულიერი ძვრები, რომლებიც შინაგანი კეთილშობილური ტანჯვის, კონფლიქტის სახით მეღავნდება, და რაც ბედნიერების, ცხოვრების არსის ძიების, სიყვარულისა და შემოქმედების პროცესში იჩენს თავს, ყოველთვის დამახასიათებელია ყველა ტიპის ადამიანისათვის. მაგრამ ეს თვისება განსაკუთრებული სიმწვავით თავს იჩენს და კვლავაც გამომჟღავნდება მელანქოლიკური ტემპერამენტის, ღრმად მგრძნობიარე, ნატიფი გრძნობების, შინაგანი კონფლიქტებისადმი მიდრეკილებების ადამიანებში, რომელთა სულიერ სტრუქტურაში მოცემულია სიცოცხლის ორ დონეს — ობიექტივაციასა და იმპულსურ-ემოციურ ცხოვრებას შორის კონფლიქტის ტენდენცია. ადამიანის შინაგანი ძვრების, სულიერი მოძრაობის უღრმესი საიდუმლოების მხატვრული წვდომა, გარკვეული ესთეტიკური იდეალის საფუძველზე, უთუოდ ხელსაყრელია კონფლიქტური სტრუქტურის ფსიქოლოგიური ტიპის, როგორც განზოგადებული პროტოტიპის, გათვალისწინების ნიადაგზე.

---

[1] И. А. Масеев, Сущность и роль ковфликтов в искусстве. Сб. Проблемы эстетики, АН СССР, 1958 г., стр. 134—135.

[2] იქვე, გვ. 135.

3. იმპულსური ხასიათი

ქარაქტეროლოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა ხასიათის ტიპები, რომელნიც მკვეთრად განსხვავდებიან ჰარმონიული, მთლიანი და კონფლიქტური ხასიათებისაგან. ამ უკანასკნელთა ძირითადი ნიშანია: საკუთარ მოთხოვნილებათა იმპულსების დაუფლება, ნებელობის აქტივობით შინაგანი კონფლიქტების მოწესრიგება და სოციალური ქცევის წარმართვა გარემოს მოთხოვნების საფუძველზე. თვით კონფლიქტური პიროვნებაც, ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონის მძლავრი აქტივობის ნიადაგზე, თავისთავს დაუფლებულ, მოწესრიგებულ, სოციალურ არსებად რჩება. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა არსებითი თვისებაა ნებელობის სისუსტე, მძლავრი იმპულსურობა, ამის შედეგად შეუკავებელი შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები. ასეთი ადამიანები შეიძლება მივაკუთნოთ **იმპულსური ხასიათის ტიპს.** იმპულსური ხასიათის ადამიანთა შორის გვხვდება ორი მკვეთრად განსხვავებული ტიპი:

1) ძლიერი მოთხოვნილებების იმპულსურ-ექსპანსიური და 2) სუსტი მოთხოვნილებების იმპულსურ-ლაბილური ადამიანები.

იმპულსურ-ექსპანსიური ადამიანის განწყობა ვარიაბილურ-სტაბილურია, ე. ი. ასეთ პიროვნებას არ ახასიათებს ერთი რომელიმე ტიპის განწყობა, მას სხვადასხვა დროს განსხვავებული ტიპის განწყობა უჩნდება (მაგ., პლასტიკურ-დინამიკური, ტლანქი-დინამიკური, სტატიკური და სხვ.), მაგრამ ერთხელ ფიქსირებული განწყობა დროში გამძლეა — სტაბილურია. ამ ტიპის ადამიანში **განწყობის შემუშავებისათვის აუცილებელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიდან (მოთხოვნილება და სიტუაცია) უპირატესობა** ენიჭება სუბიექტურ ფაქტორს — მოთხოვნილებას. მისი ქცევის მამოძრავებელს ყოველთვის ისეთი განწყობა წარმოადგენს, რომელიც მძლავრი მოთხოვნილების პრიორიტეტითაა შექმნილი. საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე იმპულსურ-ლაბილური ადამიანების შემთხვევაში. აქაც პიროვნების განწყობა ვარიაბილურია, მაგრამ იგი დროში არ არის გამძლე, მალე ქრება, ე. ი. ლაბილურია. მისი ქცევა მიმდინარეობს გარემო პირობების, სიტუაციის უპირატესობით ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე.

ამიტომ იგი სიტუაციით განსაზღვრული, შინაგან წარმმართველ ძალას მოკლებული ადამიანია. განწყობის ეს თავისებურებანი განაპირობებენ მისი ხასიათის თავისებურებასაც.

ა. იმპულსურ-ექსპანსიური ხასიათი

(ვარიაბილურ-სტაბილური განწყობის პიროვნება)

ყოველი ქარაქტეროლოგიური ტიპი ცნებითი აზროვნების წარმონაქმნია და, სანამ მეცნიერული აზროვნების სფეროში ვრჩებით, არ გვაქვს ხასიათის ტიპის ხატოვნად წარმოდგენის ტენდენცია. ეს ტენდენცია თავს იჩენს მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში, სადაც ყოველი ზოგადი კერძოში, ინდივიდუალურში უნდა განხორციელდეს.

ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობას წავაწყდით იმპულსურ-ექსპანსიურ ადამიანთა შემთხვევაში. იმდენად თავისებური, მრავალფეროვანი და განსხვავებული შთაბეჭდილებების აღმძვრელია ამ ტიპში შემავალი თითოეული ადამიანის ქცევა და განცდათა შინაარსი, რომ ძნელდება მათი ერთ ცნებაში მოთავსება. თითოეული პიროვნება ამ შემთხვევაში იმდენად თავისებურია, რომ მართლაც მეტად ზუსტი ფსიქოლოგიური ანალიზია საჭირო, ხშირად თითქოს მახვილი ინტუიციაც არის აუცილებელი, რომ ასეთი ადამიანების ტიპოლოგია მოვახერხოთ.

როდესაც ვიწყებთ ვარიაბილური განწყობის ადამიანის ტიპის დახასიათებას, როგორც კალეიდოსკოპში, თვალწინ გაივლის ამ ტიპში შემავალი თითოეული პიროვნების თავისებური ხატი. თითოეული მათგანი თითქოს სავსებით თავისებურია, სავსებით განკერძოებული ინდივიდუალობისაა და ასეთი ადამიანისაგან მიღებული მასალის ნიადაგზე ეჭვი გეპარებათ ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის შესაძლებლობაში. მაგრამ, როგორც კი ზუსტი ანალიზის თვალით გახედავთ ამ ადამიანებს, მკვეთრ განსხვავებულობაში დაინახავთ მკაფიო მსგავსებასაც. ყოველი მათგანის ქცევაში, მოქმედებაში, შინაგანი ცხოვრების გამომჟღავნებაში ამოიკითხავთ ექსცენტრულობას, შინაგან კონფლიქტებს, რაც ხშირად კომპენსი-

რებულია ნათელი, მაღალი მიზნებისათვის ბრძოლის ტენდენციით.

ამ პიროვნების შინაგანი სამყარო ნათლად ჩანს მის გამოსახულებითს მოძრაობაში. მთელი შინაგანი ინტიმური განცდები ასახულია არა მარტო ქცევაში, ცხოვრების სტილში, არამედ მის მიმიკაზე, მოძრაობის ყოველ ნიუანსზე; იგი ნებელობით ვერ აკავებს, ვერ ფარავს შინაგან ჭიდილს; პიროვნება ისეა აწყობილი, რომ ისწრაფვის მოახდინოს მასში ფიქსირებული ყოველი განცდის რეალიზაცია; ყოველი იმპულსი, სურვილი, ოცნება ისწრაფვის იქცეს რეალობად, ჰპოვოს გამოსავალი რეალურ სამყაროში, იქცეს ხილულ ქცევად. ამ პიროვნებაში ფიქსირებულია მრავალი სხვადასხვა სახის განწყობანი, რომელთა უმრავლესობა, მთელი რიგი სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებისა გამო, არარეალიზებულ ფიქსირებულ განწყობებად ქცეულან. ეს განწყობანი მეტად აქტიური და მოუსვენარი ბუნებისა არიან და ეძებენ შესაფერის პირობებს რეალიზაციისათვის. ამგვარი პიროვნების ძირითად თვისებას წარმოადგენს მოთხოვნილებებისა და ფიქსირებული განწყობის იმპულსების შეკავების შეუძლებლობა, თავისთავის დაუფლების სიძნელე. პიროვნების ნებელობა სუსტია, რომ შეაფერხოს იმპულსების მოქმედება; იგი არც ებრძვის ამ იმპულსებს, არც განიცდის საკუთარ თავს ნებისყოფის ადამიანად, იგი მიჰყვება თავის შინაგან ლტოლვებს. ნებელობის მიზანი, თუ ასეთი რამ არის ასეთ პიროვნებაში, შეიძლება ხშირად ემთხვეოდეს მის იმპულსებს. ასეთ შემთხვევაში იგი ენერგიულია, დაბრკოლებების გადამლახველი. მაგრამ ასეთი დამთხვევის გარეშეც, იგი იმპულსების ამარაც ძლიერია, ჯიუტი, მისწრაფებების განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი ქცევა უმრავლეს შემთხვევაში მიზანშეწონილია და მაღალი მორალურ-ეთიკური კატეგორიებით განსაზღვრული.

ეს უკანასკნელი ქარაქტეროლოგიური ნიშანი მეტად დამახასიათებელია ამგვარი პიროვნებისათვის. იგი მოქმედებს ძირითადში მოთხოვნილების იმპულსით; ნებელობის მიზანი არ განსაზღვრავს მის განცდებს, კერძოდ, მორალურ-ეთიკურ ქცევას. მის სუსტ ნებელობას არ შესწევს ძალა პიროვნების მძლავრი მისწრაფებების შესაფერხებლად. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილებებისა და

მისი შესატყვისი აქტუალური სიტუაციის შეხვედრის შედეგად ხშირად ჩნდება ისეთი განწყობა, რომელიც განსაზღვრავს სოციალურად მთლიანად მისაღებ ქცევის მიმდინარეობას. მაგრამ მას, როგროც იმპულსურ ადამიანს, ხშირად ისეთი ძლიერი სურვილებიც უჩნდება, რომლებიც ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელია; ყველა ეს მისწრაფება, თუკი ისინი დიდი პიროვნული წონისა არიან, პასში არარეალიზებული განწყობის სახით არსებობს. ხშირად სოციალურად დადებითი განწყობების განხორციელებაც ძნელდება, რადგან მისი ქცევის იმპულსურ მიმდინარეობას სოციალური გარემო აბრკოლებს. ეს უკანასკნელი ვერ ითმენს მოუწესრიგებელ იმპულსურ ქცევას და ასეთ ადამიანს გარკვეულ კალაპოტში აყენებს. ამ პიროვნების ფიქსირებული არარეალიზებული განწყობები ისწრაფვიან განაღდებისაკენ. მაშასადამე, პიროვნების ცხოვრებას, მისი ქცევისა და განცდის სამყაროს განაგებს მოთხოვნილების ძლიერი აქტივობის ნიადაგზე წარმონაქმნი განწყობათა განხორციელებისაკენ მისწრაფება. მოქმედების ტენდენცია შეუკავებლად ეძებს გამოსავალს. ამის შეუძლებლობა პიროვნებას კონფლიქტების სარბიელად აქცევს. მაგრამ საბოლოოდ პიროვნების განწყობა მაინც ახერხებს რეალიზაციას, რომელიმე ექსცენტრულ ქცევაში განხორციელებას.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ ასეთი პიროვნების ხილული ქცევისა და განცდების სამყაროს, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება როგორც ხასიათის ცალკეული ნიშნების, ისე მთლიანი პიროვნების ტიპიური თავისებურება. პირველ რიგში, შევჩერდეთ ემოციური სფეროს იმ მხარეების დახასიათებაზე, რომლებიც არსებითია ქარაქტეროლოგიური თვალსაზრისით. ჩვენი ცდისპირების ემოციის დისპოზიციის კვლევა ადასტურებს, რომ ისინი მეტად გრძნობიერი, შთაბეჭდილებიანი ბუნების ადამიანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ ახასიათებთ გარეშე ქვეყნიდან მოწყვეტის ძლიერი ტენდენცია, ისინი მაინც არსებითად მჭიდროდ არიან მიჯაჭვული გარემოსთან. მათთვის დამახასიათებელია გადაჭარბებული მზრუნველობა, განგაში, ჯავრი, წყენა, საშინელების განცდა და აქტიური ბუნების მთელი რიგი უსიამოვნო სუბიექტური მდგომარეობის განმსაზღვრელი ემოციები. მაგრამ სასიამოვნო ემოციებიც ხშირად იპყრობს მას, მაგ., როდესაც პიროვნება თავისი მიზნების გან-

ხორციელების პროცესშია, როდესაც იგი მოთხოვნილების, სურვილების განხორციელების გარკვეულ ეტაპზე იმყოფება, — მაშინ იგი აღფრთოვანებულია, მაგრამ ეს სიამოვნება მეტად აგზნებულია, აფორიაქებულია, შინაგან სიმყუდროვეს მოკლებულია და ამიტომ იგი უსიამოვნების საზღვარზე იმყოფება. ასეთი აგზნებული სიამოვნება შესაძლოა ადვილად გადავიდეს უსიამოვნო განცდაში, აქტივობის პროცესში წარმოიშვას ამბივალენტური განცდა, სადაც ურთიერთში შეჭრილია ძლიერი სიამოვნება და უსიამოვნება, მიზნებისათვის ბრძოლაში აღფრთოვანებული, ოცნებით გაზვიადებული იმედი, ამავე დროს მისი შესრულებისათვის საკუთარ ძალებში შეეჭვება, ობიექტური დამაბრკოლებელი პირობების გადალახვის შესაძლებლობაში დაურწმუნებლობა. ყოველივე ეს ასეთ პიროვნებას ხდის დამტანჯველი ამბივალენტური განცდების სარბიელად. ამ შემთხვევაში ოპტიმისტური და პესიმისტური ემოციები ერთმანეთშია შეჭრილი.

ძლიერი ნებელობის ადამიანისათვის სიამოვნებით თუ მტანჯველი უსიამოვნებით აღვსილი საკუთარი სუბიექტური მდგომარეობა საკვლევით გაცნობიერებულია; მას შეუძლია საკუთარი განცდები დაკვირვების ობიექტადაც აქციოს და მათი მიმდინარეობა ნებელობის მიზანს დაუმორჩილოს. განსაკუთრებით ეს ითქმის ძლიერი ნების კონფლიქტური ადამიანების შესახებ, რომლებშიც შინაგანი კონფლიქტები დაძლეულია, მოთხოვნილების ძლიერი იმპულსების ქცევაში გამომჟღავნება შეფერხებულია. პიროვნება ფლობს საკუთარ მიდრეკილებათა იმპულსებს და მასთან დაკავშირებულ სუბიექტურ მდგომარეობას. პიროვნებამ იცის თავისი სუბიექტური მდგომარეობის როგორც პიროვნული, ისე სოციალური ღირებულება. იგი არასოდეს არ ისწრაფვის თავისი სუბიექტური განცდების ნიადაგზე ობიექტურის შეფასებისაკენ.

ვარიაბილური ტიპის პიროვნება მოკლებულია ამ უნარს. მას აქვს ძლიერი ტენდენცია, რათა როგორც საკუთარი, ისე სხვისი ყოფნა დაუმორჩილოს თავის სუბიექტურ მისწრაფებებს. რასაკვირველია, მას ახასიათებს მტანჯველი თვითანალიზი, განცდათა შორის ჯახი, ამის გამო შინაგანი შფოთი, მაგრამ ეს თვითანალიზი არ მიმდინარეობს თვითკრიტიკის, თვითშეფასების ჭარბი ნიშნის ქვეშ; აქ ადგილი არა აქვს ნებელობით გაცნობიერებულ მიზნებს;

და იმპულსებს შორის ბრძოლას, არამედ თვითანალიზის პროცესი, პიროვნების სუბიექტური მიზნების განხორციელების შეუძლებლობის გამო, ძირითადში ხასიათდება ჭარბი მზრუნველობით, საშინელების გრძნობით, გულისწყრომით, შემცდარი ნაბიჯების გამო ჯავრით, ნაღვლიანობით და ზოგჯერ სასოწარკვეთილებითაც.

მიზნებისათვის ბრძოლაში დამარცხების წუთებში იგი ამ ქვეყანას განიცდის, როგორც ტანჯულ არსებათა სამყოფელს; ამ ქვეყნად არ არსებობს არც ერთი საგანი, რომელიც ტანჯვის გარეშე იმყოფებოდეს, თვითონ კი—ერთი ამ ტანჯულთაგანია. იმ შავი განცდების ფონზე მის წინაშე ხშირად შეიძლება დადგეს პესიმისტების მიერ მრავალჯერ დასმული კითხვები: „რისთვის არის შექმნილი ადამიანი. რატომაა იგი დარდითა და უბედურებით დამძიმებული? რა არის მისი არსებობის საბოლოო მიზანი? ვის აკმაყოფილებს მისი ტანჯვა? როგორ? რისთვის? ან რა კანონების მიხედვით წარმოებს მსოფლიოს ბრუნვა? (ლეოპარდი). დამარცხების წუთებში ასეთი ფიქრები მეტად მწვავედ შეიპყრობს ასეთ პიროვნებას. იგი ამ დროს მელანქოლიურად არის განწყობილი, მაგრამ ასეთ დისკოლიურ განცდებში შეპრილია ოპტიმისტური ტენდენცია. მთლიანი უიმედობა, მთლიანი სასოწარკვეთილება მას არასოდეს არ შეიპყრობს. იგი ტანჯვის წუთებში ისწრაფვის განშორდეს ტანჯულ ქვეყანას, ნახოს სიმშვიდე მსოფლიოს რომელიმე მიყრუებულ კუთხეში; ამავე დროს ცხოვრების სიყვარულისა და საკუთარ მიდრეკილებათა სოციალური ბუნების გამო. იგი იმედებითაა აღვსილი; ასეთ პიროვნებას შეეძლო ეპასუხნა საკუთარი პესიმისტური „ლეოპარდისეული“ ორეულისათვის პოეტის სიტყვებით: „ადამიანი სისხლის ბორკილებითაა დაკავშირებული მიწასთან, იგი ცხოვრობს მსოფლიოსთან ერთად საერთო ცხოვრებით, ყოველი ცდა მიწისაგან გაქცევისა, მიწის მიღმა გასვლისა იწვევს უაზრო ტანჯვას და კატასტროფას“ (ბაირონი).

ასეთ ადამიანს სურს იცხოვროს ამ ქვეყანაზე სრული ცხოვრებით, განიცადოს ეს ქვეყანა მთლიანად, წვდეს ცხოვრების ყველა ხვეულებს, ცხოვრების მღელვარე დინებაში გაშალოს თავისი მოუსვენარი სწრაფვანი, დააკმაყოფილოს სიყვარულის, ძლიერების ზნეობრივი იმპულსები, დააკმაყოფილოს იმპულსად ქცეული ერავალი მაღალი მოთხოვნილება. ამავე დროს იგი ისწრაფვის შეინარჩუ-

ნოს თავისი ინდივიდუალობა; დარჩეს სხვა არსებიდან გამოყოფილი, განკერძოებული; მაგრამ იგი უძლურია. მოთხოვნილებათა ასეთი იმპულსები განუხორციელებელია. ასეთ მოთხოვნილებათა იმპულსების ნიადაგზე შექმნილი განწყობა რეალიზაციას მოკლებულია. იგი ამ განუხორციელებელი განწყობებიდან მომდინარე შფოთის, მოუსვენრობის, რისხვის, ზიზღის და განცალკევების ემოციების საასპარეზო გამხდარა. ზოგჯერ ამგვარი ემოციების განმსაზღვრელი განწყობის სტატიკური ბუნების გამო, ეს ემოციები იპყრობს მთელ პიროვნებას და ხანგრძლივად განსაზღვრავს უსიამოვნო სუბიექტურ მდგომარეობას.

სუბიექტური მდგომარეობის ასეთ საერთო ფონზე ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უნდა იყოს ამგვარი ადამიანის თავისი თავის მიმართი გრძნობები. იგი საკუთარ თავში შეეჭვებულია, გრძნობს უძლურებას, შინაგან სისუსტეს, თავის ძალაში დაურწმუნებლობას.

საკუთარ ძალაში დარწმუნებულობის გრძნობა დამახასიათებელია მხოლოდ ჰარმონიული, მტკიცე ნებისყოფის ადამიანებისათვის. ისეთ ადამიანს, რომელშიც ბატონობენ მოთხოვნილებათა იმპულსები, შეუძლებელია შინაგანი დარწმუნებულობა ახასიათებდეს. ხშირად იმპულსების ნიადაგზე მიმდინარე ქცევა გარეგნულად მეტად მტკიცეა, მაგრამ არსებითად ასეთი უდრეკი ქცევა იჭვებისა და დაურწმუნებლობის ნიშნის ქვეშ წარმოებს. საერთოდ, ნორმალური ადამიანის ყოველი სერიოზული ქცევა ცნობიერების ფონზე მიმდინარეობს. ქცევის ცალკეული მომენტები შეიძლება ავტომატურიც იყოს, მაგრამ მთლიანში ყოველი ქცევა გაცნობიერებული პროცესია; თვით კაპრიზისა და ჯიუტობის ნიადაგზე წარმართული ქცევაც არსებითად ცნობიერია; სუბიექტმა იცის, რომ მისი ქცევა ჯიუტურია და ამიტომ მიზანშეუწონელიც, მაგრამ იგი მაინც მიჰყვება ერთხელ არჩეულ გზას. ცნობილია მთელი რიგი ფსიქიკური დაავადებანი (მაგალითად, ფსიქასტენია), როცა პიროვნება მთლიანად დამორჩილებული ჰყავს მოთხოვნილების იმპულსებს. პიროვნებამ იცის, რომ იგი მონაა საკუთარი იმპულსებისა; მისი მიზანშეუწონელი ქცევის მთლიანი პროცესი ხშირად ცნობიერების ფონზეც მიმდინარეობს, მაგრამ ნებელობა უძლურია ალაგმოს ეს იმპულსები.

იმპულსების ნიადაგზე მოქმედი ადამიანი, როგორი მაღალი და კეთილშობილიც არ უნდა იყოს ეს იმპულსები, საკუთარ თავს გრძნობს შებორკილად, უცხო ძალაზე დამოკიდებულად. მისი შინაგანი თავისუფლების, დამოუკიდებლობის გრძნობა შელახულია. მთელი მისი ძალების ძლიერი აქტივაციის შემთხვევაშიც თავისუფალი „მე"-ს განცდა არ განსაზღვრავს ქცევას. მნებელი პიროვნებისათვის დამახასიათებელი განცდა „მე მინდა" არ წარმართავს პიროვნების ქცევას. დამოკიდებულების განცდასთან დაკავშირებულია დაურწმუნებლობა. შინაგანი კონფლიქტები, შიში და, საერთოდ, რეალობის გრძნობის შესუსტება.

ასეთი პიროვნება ძლიერი იმპულსების ადამიანია, მასში მორეალურ-ეთიკური კატეგორიებიც მოთხოვნილების იმპულსადაა ქცეული. იგი სწორედ ასეთი იმპულსებით მოქმედებს. ქცევისათვის სათანადო განწყობის შექმნაში უპირატესობა ასეთ იმპულსებს ეკუთვნის. არარეალიზებული განწყობები და ინტენსიური მოთხოვნილებები ბატონობენ ასეთ პიროვნებაში. ამასთანავე ნებელობის სისუსტის გამო ხშირად „მე მინდა" განცდას უპირისპირდება განცდა „მე მსურს", სადაც ყოველთვის ეს უკანასკნელი გამოდის გამარჯვებული. იგი სურვილების მონაა, ამიტომ მეტად ძლიერია დამოკიდებულების განცდა, დაურწმუნებლობა, ეჭვები, სუსტი თავისებური კონფლიქტები გაცნობიერებულ მნებელ, „მესა" და „მსურველ მეს" შორის. ეს კონფლიქტები არაა გამომხატველი მწვავე ბრძოლისა ნებელობის მიზნებსა და იმპულსებს შორის. აქ ადგილი არა აქვს პიროვნების ავადმყოფურ გაორებას, სადაც პიროვნების ავტონომიური პრიმიტიული მექანიზმი უპირისპირდება ნებელობის მიზნებს და მათ შორის წარმოებს მძიმე ბრძოლა. აქ ნებელობის აქტივობა იმდენად სუსტია, რომ მოქმედი მოთხოვნილების იმპულსები არც გრძნობენ წინააღმდეგობას; მაგრამ ამავე დროს მასში სწორედ ძლიერია დამოკიდებულების, ნებელობის სისუსტის განცდა; იმპულსების მიერ ადვილად ძლეულ ნებელობას დაჰყვება აფექტური რეზონანსი, რომელიც ვრცელდება მთელ პიროვნებაზე; აძლიერებს დაურწმუნებლობას და წარმოშობს აფექტური ხასიათის ამბივალენტურ ემოციებს. (ურთიერთში შეჭრილ კონტრასტულ ემოციებს) როგორიცაა, ძლიერი პატივმოყვარეობა. სიამაყე. უპირატესობის გრძნობა. საკუთარი ღირსების გა-

დაჭარბებით შეცნობა, ჯიუტობა, რომლებშიც შეჭრილია დამ-ცირებულობის, თავმდაბლობისა და განსაკუთრებით ბრალია-ნობის და სინანულის გრძნობები. მას ყოველთვის თან დაჰყვება უკმარობის განცდა. იგი მარად ფიქრობს „ასე არ უნდა მექნა“ „სხვაგვარად უნდა გამეკეთებინა“; მთელი თავისი ცხოვრების მიმ-დინარეობას იგი შემდეგი სიტყვებით აჯამებს: „მე რომ ძლიერი ნებელობა მქონოდა, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა“. ამავე დროს მთელი მისი ცხოვრება სავსეა ისეთი მწვავე ხასიათის კონფლიქტებით, რომლებიც ჭარბი თვითშეფასების გრძნობებიდან მომდინარეობს.

სხვისი მიმართი გრძნობებიც ასეთ პიროვნებაში ხასიათდება განსაკუთრებული ინტენსივობითა და თავისებური სიღრმით. მას სრულიად გულწრფელად უყვარს ადამიანი, იგი აღვსილია მრავალ-ადამიანის მიმართ სრული სიმპათიით, მისი სიმპათიის განცდა მა-ჩვენებელია სხვის პიროვნებაში გულწრფელი მთაგრძნობის, სხვათა ჭირ-ვარამისა თუ ბედნიერების თავისად განცდისა: გულშემატკივ-რობა, სიბრალული მისი ემოციების ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. მაგრამ იგი ასეთ სიმპათიას ვერ აჩენავნებს ყველა ახლობელი ადა-მიანის მიმართ. თუმცა მისი სიმპათიის ობიექტების წრე მეტად ვრცელია, მაგრამ არის ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც მას შეუძ-ლია აითვალწუნოს, შეიძულოს, სრული უნდობლობით მოექცეს. მას შეუძლია სიძულვილის, ზიზღის, მტრობის გამომჟღავნება, მოწინააღმდეგისათვის. შეურაცხდოფა მას არ ავიწყდება. იგი ყოველთვის მზადაა გესლიანი სარკაზმისათვის. დაცინვა, გამანად-გურებელი გესლიანი სიტყვა ყოველთვის მზად აქვს მას თავისი მოწინააღმდეგისათვის. შეურაცხყოფა მას არ ავიწყდება. იგი წლობით ეძებს შემთხვევას სამაგიეროს მიზღვევისათვის. მისი თანდასწრებით ერთხელ მოუფიქრებლად წამოცდენილი მისი და-მამცირებელი სიტყვა დაუვიწყარი რჩება მისთვის; იგი არ მოის-ვენებს, სანამ შეურაცხყოფელს სამაგიეროს არ გადაუხდის. სხვე-ბის მიმართ ასეთი დამოკიდებულება სავსებით გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ. ასეთი პიროვნების არსებით ნიშნებს: იგი ხომ ჭარბად გამოხატული „სუბიექტივისტია“. ყოველივეს ისე აფასებს, როგორც ეს თავის ეთიკურ მოთხოვნილებებს შეეფარდება. ჭარბად დაგროვილი, განუხორციელებელი მოთხოვ-

ნილებები და არარეალიზებული განწყობანი ჭარბი აქტივობით ხასიათდება. მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური პირობების გამო არარეალიზებული განწყობანი რეალიზაციისაკენ ისწრაფვიან, გარეთ გამოვლენას ესწრაფვიან, ამისათვის ეძებენ შესაფერ სიტუაციებს. ამ მხრივ პიროვნება მეტად ექსტრავერტულია. იგი მზადაა მთელი თავისი სუბიექტური სამყარო გასცეს, გაფლანგოს, აქციოს ობიექტურისათვის სასარგებლო ნივთად; მაგრამ შინაბუნების ასეთი გამომჟღავნება მეტად სუბიექტურია; იგი მხოლოდ მაშინ უწევს ანგარიშს ობიექტურს, თუ ეს უკანასკნელი მის ინტერესებს შეესატყვისება; სხვაგვარად ობიექტის თვალსაზრისზე კრიტიკული დადგომაც მისთვის ძლიერ უსიამოვნო პროცესია. გარემოსთან შეგუება შინაგან კონფლიქტებს იწვევს. იგი აღვსილია გადაჭარბებული სიმპათიით, ნდობით. პატივისცემით ისეთი ადამიანის მიმართ, რომელიც მისი ეთიკური თუ ვიტალური მოთხოვნილებების თვალსაზრისით მისაღებია. მის მიმართ იგი განიცდის გადაჭარბებულ აღტაცებას, აღფრთოვანებასა და გაღმერთებასაც. მაგრამ ვინც გადაეღობება მის მისწრაფებებს, კრიტიკულად მოეპყრობა მის აქტიურ იმპულსურ ქცევას, ასეთის მიმართ იგი სიძულვილს განიცდის, ადამიანს, ობიექტს თავისთავადი ღირებულება ეკარგება. ეს სამყარო მისთვის მთლიანად სუბიექტივაციაქმნილია. ამიტომ იგი ხშირად კონფლიქტშია სხვებთან.

განსხვავებულია ასეთი განწყობის პიროვნების შეფასებაც გარეშე ადამიანების მიერ. მას მრავალი მაქებარი და მაძაგებელი ჰყავს. ზოგისთვის იგი პირდაპირი, მართალი, უანგარო, პირში მთქმელი, ძლიერი ნებისა და სიმპათიური ადამიანია; ზოგისათვის კი — მოურიდებელი, მეტიჩარა, შურიანი, ღვარძლიანი და პოზორია. იგი „ღვთისწყრომაა“ შინაგანად სუსტი, სენსიტივური, კონფლიქტური და ამის გამო პატივმოყვარე და ამაყი ადამიანის თვალსაზრისით. სიმპათიურია და ნუგეშისმცემელი, თავმდაბალი, მოკრძალებული, მგრძნობიარე და სანტიმენტალური ადამიანისათვის; ექსცენტრულია და საინტერესო, ჰარმონიული ძლიერი ნებელობის ადამიანის თვალსაზრისით.

სხვა ადამიანის მიმართ ემოცია საინტერესოდ მჟღავნდება მოპირდაპირე სქესის ადამიანისადმი სიყვარულში. სიყვარულის განცდაში ნათლად ვლინდება პიროვნების ზნეობრივი დონე, ემო-

ცხების ინტენსივობა, სიღრმე და ნებელობის სიმტკიცე. ამიტომ ეს განცდა, სხვებთან შედარებით, ყველაზე პერსონალური ხასიათის, მთლიანი პიროვნული წონის განცდაა.

აღნიშნული ტიპის პიროვნებაში ადვილად ჩნდება სიყვარულის განცდა. ამისათვის ყოველთვის საჭირო არაა საყვარელ ადამიანთან დაახლოება. ხშირად საკმარისია — დაიჯეროს, რომ ადამიანთან მას აკავშირებს უტყუარი სულიერი ნათესაობა, რომ მასში დამკვიდრდეს დაუძლეველი სწრაფვა მისდამი. იმდენად ჭარბადაა ასეთ სუბიექტში დაგროვილი დაუკმაყოფილებელი მისწრაფებანი, არარეალიზებული განწყობები, რომ ქცევაში მათი გამოსავლენად საკმარისია წარმოსახული სიტუაციაც. ასეთი ადამიანი მთლიანად იძირება თავისი სიყვარულის ობიექტში; ეს ობიექტი იქცევა ოცნების ფანტომად — კარგავს რეალურ თვისებებს; მრავალი წლის განმავლობაში იგი შეპყრობილია მის მიერვე შექმნილი იდეალური ადამიანის სიყვარულით. ის, რაც ყოველი ადამიანის სიყვარულის განცდისთვისაა დამახასიათებელი, ამ შემთხვევაში გადაჭარბებულად გამოხატულია და განსაკუთრებულად მწვავედაა განცდილი. ადგილი აქვს მრავალ თავისებურ შემთხვევებს. ერთ ახალგაზრდა, ლამაზ ქალს უყვარს საკმაოდ მახინჯი ინვალიდი მამაკაცი. მას იგი აღმერთებს, მრავალი წლის განმავლობაში, შეპყრობილია სიყვარულით. მამაკაცი თანახმა არაა ქორწინებაზე, რადგან მას ეს სიყვარული უცნაურობად მიაჩნია. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ უყვარს, ან რა უყვარს მას ამ ვაჟში, ქალმა სიხარულით ანთებული თვალებით გვიპასუხა: „თქვენ არ იცით, ის რა ადამიანია“?! მეორე ადამიანი თავის პირველ ქორწინებას შემთხვევითად სთვლის: მას უყვარს თავის ცოლზე ბევრად მახინჯი ქალი, აღმერთებს მას და მასში ნახულობს ისეთ უცნაურ იდეალურ თვისებებს, რაც სრულებით არ ახასიათებს ამ ქალს. ერთი ასეთი ტიპის ადამიანს უყვარს ხანგრძლივი სიყვარულით მეტად საპატიო, ხანშიშესული მეცნიერი. წლების განმავლობაში საიდუმლოდ ელოლიავება მას. მან იცის, რომ ეს სიყვარული უაზროა, უნიადაგო, მაგრამ გრძნობა არ ეშვება მას. თავისი სიყვარულის საგანი — მეცნიერი შემოსა საოცარი იდეალური თვისებებით და ჩაიძირა თავის ფანტაზიის ფანტომში.

სიყვარულის ასეთი უცნაურობა ბრწყინვალედ დაახასიათა

შექსპირმა თავის ერთ-ერთ კომედიაში: ამურები შეაყვარებენ ვაჟს ისეთ ქალს, რომელიც ძლიერ მახინჯია, მაგალითად, სახე ვირის თავს უგავს; მაგრამ სიყვარულმა ვირის თავი აქცია აფროდიტედ, ვენერა მილოსელად და ასეთი ფანტაზიით შექმნილ ობიექტის სიყვარულში ჩაძირული პირი ხანგრძლივად განიცდის უდიდეს ბედნიერებას. სიყვარულის განცდა მეტად ღრმაა და ხანგრძლივი. პიროვნებას შეუძლია მთლიანად დასთმოს საკუთარი ბედნიერება, მთლიანად შეეწიროს საყვარელ ადამიანს. ასეთ შემთხვევაში იგი მთლიანად მიჰყვება თავის მისწრაფებას და ხანგრძლივად აღფრთოვანებულია საკუთარი ბედნიერებით.

ასეთი ადამიანის გული თითქოს „მარად ღიაა" სიყვარულისათვის. ცხოვრების მანძილზე თავდავიწყებამდე მისული სიყვარული ზოგიერთ მათგანს რამდენიმეჯერ ჰქონია. ასეთი სიყვარული უმრავლეს შემთხვევაში ტრაგიკულად მთავრდება; მაგრამ მარად დაუკმაყოფილებელი მისწრაფებანი მასში ქმნიან სიყვარულისათვის მუდმივ მზაობას. ისინი მარად მოელიან ისეთ საყვარელ ადამიანს, რომელთანაც კავშირში გაიშლება მათი გატანჯული, „საიდუმლოებით დატვირთული" შინაგანი სამყარო. მომავლის გრძნობების კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ჩვენი ცდისპირებისათვის ერთ-ერთი სანუკვარი განცდაა: მომავალი სიყვარულის იმედი, მომავალში საყვარელ ადამიანთან ინტიმური, ურთიერთის მშთანთქმელი სიყვარული.

რომანტიკოსების, მისტიკოსებისა და დეკადენტების მხატვრული პერსონაჟები უმთავრესად წარმოადგენენ ვარიაბილური განწყობის ადამიანთა გალერეას. ამ ადამიანთა ქცევის მრავალფეროვნება, რომანტიული სულისკვეთება. თითქოს გამოუცნობი საიდუმლოებით აღსავსე უცნაური ქცევა, გაცნობიერებულ და გაუცნობიერება მისწრაფებების მიღწევისათვის მოუსვენარი, ექსცენტრულად ბრძოლა. მიზნისაკენ სწრაფვისას ხშირად ტრაგიზმით აღსავსე ფინალი იზიდავდა რომანტიკოსებს — ინდივიდუალიზმისა და სუბიექტივიზმის მებაირახტრეთ მწერლობაში. რომანტიკოსებს მხატვრული პერსონაჟების შესაქმნელად უხვად აქვთ გამოყენებული, როგორც მასალა, ექსპანსიურ პიროვნებათა ტიპები.

დიდი რეალისტები, მაგალითად, შექსპირი, ფლობერი, ტოლსტოი, თავისი ესთეტიკური იდეალის მხატვრულ პერსონაჟებში

განსახიერების მიზნით იყენებდნენ ასეთ ფსიქოლოგიურ ტიპს, როგორც პროტოტიპს. იმისათვის, რომ ეჩვენებინა განუზომელი ვნებებით და სხეულის სიმშვენიერით დაჯილდოებული ქალის ძალა მამაკაცზე, ძალა ქალისა, რომელიც ერთდროულად „ევასა და გველის ნიშანს" აერთიანებს და რომელსაც შეუძლია დიდ, ძლიერ ადამიანსაც დაუბინდოს ცნობიერება და უფსკრულში გადაჩეხოს იგი. შექსპირმა გამოიყენა მშვენიერი, დაუოკებელი ვნებების, კაპრიზული, ექსცენტრული, ენერგიული, მოუსვენარი სულის, ექსპანსიური, შინაგანი კონფლიქტებით აღსავსე. ურთიერთობაში მერყეევი, ვარიაბილური კლეოპატარა, როგორც პროტოტიპი.

თუ კლეოპატრა ჭირვეული ექსპანსიურობის დასაკმაყოფილებლად ფლობს განუსაზღვრელ საშუალებებს, ფლობერის მიერ განსახიერებულ ბოვარს, რომელიც ბურჟუაზიულ-მეშჩანურ საზოგადოებაშია აღზრდილი, თავის მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ოცნება და მალული დამამცირებელი სიყვარული აქვს. ბოვარის სიცოცხლის დრამა მისი მისწრაფებების, ოცნებებისა და იმ სინამდვილის სრულ შეუსატყვისობაში მდგომარეობს, რომელშიც იგი ცხოვრობს. ასეთი შინაგანი წინააღმდეგობების შემცველი ადამიანის ტრაგედიის გამოსახატავად ფლობერმა გამოიყენა შთაბეჭდილებიანი, მგრძნობიერი, მძლავრი ვნებების, მაგრამ სუსტი ნებელობის, თანაც იმპულსური და ექსპანსიური ადამიანის ფსიქოლოგიური ტიპი. ლევ ტოლსტოის პერსონაჟი ანა კარენინაც ქარაქტეროლოგიურად ამავე პლანში დგას. თუმცა იგი სულ სხვა მორალურ იდეას გამოხატავს, ვიდრე შექსპირის კლეოპატარა და ფლობერის ბოვარი. ანა კარენინა მძლავრი ვნებების, დაუკმაყოფილებელი მისწრაფებების, ექსპანსიური, იმპულსური ქალი, — გადალახავს ტრადიციულ ზნეობრივ ნორმებს. მაგრამ ვერ პოულობს თავისი მისწრაფების შესატყვის გარემოს და, საკუთარი მოუსვენარი, მღელვარე იმპულსური ბუნების შესაფერისად, ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს.

ასეთი ტიპის პიროვნების განცდები მთლიანად დაკავშირებულია მის აქტივობასთან, განსაკუთრებით მისწრაფებათა და მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლასთან.

როგორია ასეთი პიროვნება მიზნის თვალსაზრისით? ჩვენი დაკვირვებით, ამ ტიპის ადამიანში ჭარბადაა მოცემული როგორც

ინდივიდუალისტური, ისე ჰეტერისტული (ზოგადი მისწრაფების) ტენდენციები. ფაქტიურად მისი ცხოვრება წარმოადგენს ბრძოლას ამ ორი ტენდენციის შერიგებისათვის, მაგრამ პირადისა და ზოგადის სრული შერიგება, მათ შორის სრული ჰარმონიის დამკვიდრება ვერ ხერხდება.

აღნიშნული ტიპის ადამიანი მეტად ინტენსიური და მრავალფეროვან მოთხოვნილებათა მქონე პიროვნებაა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ალტრუისტულ მოთხოვნილებებს უჭირავს. ამ შემთხვევაში პიროვნება კერძო ადამიანის დახმარებაში სჭვრეტს თავის მიზანს. მისთვის დამახასიათებელია ცალკე პირდა მიზნების გაზიარება, თანაგრძნობა. ამ პიროვნებისათვის ჰიპერტელისტური ტენდენციებიცაა დამახასიათებელი, მას შეუძლია მთელი შესაძლებლობით ემსახუროს საზოგადოებას, სამშობლოს, თავდაუზოგავად იბრძოლოს კოლექტივის კეთილდღეობისათვის; იდეოტელისტური ტენდენციებიც უცხო არაა მისთვის; პირიქით, ასეთი მისწრაფებანი სწორედ მასში დამკვიდრებულ, მაღალ ეთიკურ მისწრაფებებთანაა დაკავშირებული. მაღალი ეთიკისათვის ბრძოლა მისი განუხრელი მოთხოვნილებაა.

როგორც ჩანს, ასეთი პიროვნება ჰეტერისტული მიზნებითაა აღჭურვილი; ამავე დროს, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ პიროვნების მიზნებისა და მოთხოვნილებების სფეროს, დავინახავთ გარკვეულ თავისებურებას, რომელიც არაა დამახასიათებელი ჰეტერისტული მიზნების ჰარმონიული ტიპის ადამიანისათვის. ეს მიზნები პიროვნების სასიცოცხლო იმპულსად ქცეულან. მაგრამ ამ მიზნებისათვის ბრძოლა იმპულსური ხასიათისაა, ვიდრე ნებელობითი მოქმედება. მაგალითად, როდესაც ასეთი პიროვნების წინაშე საკითხი დგება ადამიანის დახმარების, სამშობლოსათვის თავგანწირვის და სხვ. შესახებ, ამ შემთხვევაში სათანადო ნაბიჯის გადადგმას წინ არ უსწრებს შესატყვისი არჩევანი, მოტივაცია, გადაწყვეტილების აქტი და მომავალი მოქმედების აგეგმვა; აქ პიროვნება ნებელობის აღნიშნული ეტაპების გარეშე იწყებს სათანადო ქცევას. მისი მორალურ-ეთიკური ქცევა მოგვაგონებს დედის კეთილშობილური „ინსტინქტით" განპირობებულ საქციელს. დედა, რომელიც ხედავს ალმოდებულ ოთახში დარჩენილ თავის შვილს, დაუფიქრებლად ვარდება ცეცხლის ალში შვილის დასახსნელად; აქ

მის მოქმედებას განსაზღვრავს არა ნებელობა, არამედ მოთხოვნილების იმპულსი.

რთულ სოციალურ სიტუაციაში ასეთი ქცევა ყოველთვის როდია მიზანშეწონილი. საზოგადოებას, ადამიანთა ცხოვრების ყოველ სფეროს თავისი ობიექტური მიზნები აქვს. მაღალი მიზნებისათვის მზაობის მქონე ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მასზე შემდგომი მიზნების სამსახურის. მან სრული ანგარიში უნდა გაუწიოს სწორედ ობიექტურად არსებულ მიზნებს. ეს კი მხოლოდ გაცნობიერებული ნებელობის აქტივაციის ნიადაგზეა შესაძლებელი. აქ კი პიროვნება ანგარიშს ვერ უწევს ობიექტურ მიზნებს; მას სუსტად აქვს განვითარებული რეალობის გრძნობა და ვერ მოქმედებს ობიექტური მიზნების შესატყვისად. მოთხოვნილების იმპულსის სიძლიერე ასეთ ადამიანს აიძულებს ერთბაშად დაიწყოს ობიექტური მიზნების შესატყვისი ქცევა. ეს ქცევა ხშირად მეტად მიზანშეწონილად მიმდინარეობს და დიდ ეფექტსაც აღწევს. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი მარცხდება; მისთვის დამახასიათებელ ჯიუტობას, გადანაცვლების სიძნელეს მიჰყავს იგი მიზანშეუწონელ ქცევისაკენ, რასაც შემდეგ თვითონაც ნანობს. ამრიგად, ობიექტური მიზნისა და პიროვნების მისწრაფებათა სრული ერთიანობის ნაცვლად, პიროვნებაში იბადება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი კონფლიქტები. მისი მისწრაფებანი, რომლებიც ხშირად მოწოდებულია ეთიკურად მაღალ-ღირებული ობიექტური მიზნის სამსახურისათვის, მასში შეჭრილი სუბიექტივისტური ტენდენციებისა და სუსტი ნებელობის გამო, ხშირად ვერ ხორციელდება. ამის გამო პიროვნებაში იჭრება დაურწმუნებლობა საკუთარი ძალებისადმი, ეჭვები, შური, გაბოროტება, ზიზღი და მთელი რიგი აფექტურ-აგრესული ტენდენციები, რომლებიც მიმართულია მისი აკვიატებულ მისწრაფებათა ბრძოლის გზაზე მდგარ მეტოქის წინააღმდეგ.

ისეთ შემთხვევაში, როცა პიროვნების იმპულსები და სუბიექტივისტური ტენდენციები მთლიანად ემთხვევა ობიექტურ მიზანს, იგი ამქლავნებს გასაოცარ ენერგიას, ზრუნვისა და შრომის დაუშრეტელ უნარს. ასეთ ადამიანს შეუძლია განსაცვიფრებელი სიმამაცის, უკეთილშობილესი თავგანწირულების ერთბაშად გამო-

მეღავნება. მას შეუძლია ერთბაშად, დაუფიქრებლად. მოყვასის ხსნისათვის ცეცხლის ალში შევარდნა. შეუძლია სასწორზე დასდოს მთელი თავისი ცხოვრების მომავალი კარიერა შეურაცხყოფილი, დაჩაგრული ადამიანის რეაბილიტაციისათვის და სხვ.

ასეთი იმპულსებითა და არარეალიზებული განწყობებით დატვირთულ ადამიანს საზოგადოება სავსებით გარკვეულ ჩარჩოში ათავსებს. მასაც, როგორც გონიერ ცოცხალ არსებას, აქვს ადამიანური შეგუების უნარი. იგი ეგუება საზოგადოებას, საზოგადოების კონტროლის დახმარებით. მისივე სუსტი ნებელობა ბოჭავს მას და იგი რჩება მარად დაუკმაყოფილებელი მისწრაფებებით და დაგროვილი გაუნაღდებელი ძალებით.

მან იცის საკუთარი სისუსტე და იგი ეძებს ძლიერი, ჰარმონიული ადამიანის მფარველობას; ძლიერი და გონიერი ავტორიტეტის ხელმძღვნელობით, რომელიც გაუგებს მას და შესძლებს მისი ძალებისა და დადებითი მისწრაფების სათანადოთ წარმართვას, ასეთ ადამიანს შეუძლია აუნაზღაურებელი სამსახურის გაწევა და მაღალღირებული პროდუქტების შექმნა, თუმცა მისი შემოქმედების პროცესს ყოველთვის თან დაყვება შინაგანი მოუსვენრობა და გარესინამდვილესთან, ხშირი კონფლიქტები.

ამრიგად, ასეთი პიროვნების სტრუქტურა კონფლიქტურია; მხოლოდ ამ შემთხვევაში კონფლიქტებს არსებითად არ განსაზღვრავს ბუნებრივი მიდრეკილებებიდან მომდინარე მისწრაფებათა და ნებელობის მიზანთა შორის მკვეთრი წინააღმდეგობა, არამედ მის ძლიერ და მრავალფეროვან მისწრაფებათა და არარეალიზებულ ფიქსირებულ განწყობათა განხორციელების შეუძლებლობა მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით. კონფლიქტი აქ არ გამოხატავს პიროვნების მთლიანობის დაშლის ტენდენციას, პირიქით, კონფლიქტი ჰარმონიის დამკვიდრების ძლიერი ტენდენციის შედეგია.

ეთიკურად მაღალ მიდრეკილებათა, საერთოდ, დადებითი სოციალური ძალების მატარებელ პიროვნებაში მოზღვავებულია ამ ძალების განაღდების მისწრაფება, თუმც საკუთარი პიროვნული თავისებურებების არსებულ გარემოსთან შეუთავსებლობისა და ზოგიერთი პიროვნული ძალის სისუსტის გამო, ხშირად მისი მისწრაფებანი განუხორციელებელი რჩება. მაგრამ ეს მდგომარეობა არასო-

დეს არ იწვევს მისი აქტივობის შესუსტებას, ძალების მოდუნებას. სწორედ ამგვარი ტენდენციით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ტიპის პიროვნებები. მიუხედავად შინაგანი და გაოგანი ხშირი, ძლიერი კონფლიქტებისა, განუხორციელებელი მისწრაფებებით და არარეალიზებული ფიქსირებული განწყობებით გადატვირთვისა, იშვიათად ვარდებიან პათოლოგიურ მდგომარეობაში და ზოგიერთი მათგანი, ხანდაზმულობის მიუხედავად, აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით.

ბ. იმპულსურ-ლაბილური ხასიათი (ლაბილური განწყობის პიროვნება)

როდესაც ვაკვირდებით განსხვავებულ სიტუაციაში ასეთი ადამიანის ქცევას, ცხოვრების სტილს, განცდათა ღელვის გამოსახვას, აღვილად წარმოგვიდგება ადამიანის თავისებური ტიპი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ჩვენ მიერ აქამდე აღწერილ ტიპებისაგან. ასეთ ადამიანთან დაახლოებისთანავე შეამჩნევთ შემდეგ თავისებურებებს: განუწყვეტელ მოუსვენრობას, შფოთს, წრეგადასულ აღტაცებას და მწუხარებას, რაც ნაკლებად დამაჯერებელია და მართალი; არაფერი მოსწონს. გამკილავია, ხშირად ღვარძლიანია, რასაც სულ მალე საწინააღმდეგო განცდები სცვლის. ასეთ ადამიანში თითქოს არაფერია მყარი, ყოველი პიროვნული თვისება მერყეევია, ღენადი. ხასიათის თვისებები თითქოს პიროვნების სიღრმიდან არ მომდინარეობენ; ეს მოუსვენარი განცდები: აღტაცება, სიხარული, მოწყენა, სევდა, მწუხარება, ადამიანის გაღმერთების განცდა და ზიზღი ზერელეა, ხანმოკლე. ამ პიროვნების ყველაზე მყარი მისწრაფებები, მაღალი თუ დაბალი მიზნები არ არიან პრინციპული ხასიათისა. ხშირად იდეისათვის ბრძოლაც მიმდინარეობს უსიყვარულოდ, ამ იდეისადმი ნამდვილი რწმენით გამსჭვალვის გარეშე; თანაც რწმუნდებით, რომ ასეთი ადამიანი ისწრაფვის მოგაჩვენოს თავი ისე, თითქოს მისი ყოველი განცდა თუ ქცევა ბუნებრივია, დამაჯერებელი, მართალი. ქცევას, ამ ქცევაში ხასიათის

---

[1] ამ ტიპის ადამიანის ხასიათის სრული პორტრეტი იხ. ელ. ნორაკიძე, „ვარიაბილურ — ლაბილური განწყობის პიროვნება", ფსიქოლოგია ტ. IV. საქ. მეც. აკად. გამოც. 1946.

გამომეღვიძებას ყოველთვის ატყვია ხელოვნურობის ბეჭედი; თითქოს მისივე პიროვნების ბუნება მოუწოდებდეს მას იყოს არაბუნებრივი; თითქოს „ხელოვნური" ქცევა მომდინარეობდეს პიროვნების არსიდან; თანაც შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქცევა აი, ამ სიტუაციისათვისაა მოფიქრებული და გათამაშებული. გიმტკიცდებათ რწმენა, რომ იგი შინაგანი პიროვნული ძალების მიხედვით სუსტია, ზერელე; ამავე დროს ცდილობს მოგაჩვენოს თავი, რომ იგი მტკიცე ნებელობის, ინტენსიური მოთხოვნილებების, ღრმა ემოციების ადამიანია. იგი თითქოს ცვილსაგანაა აგებული, მაგრამ ისწრაფის მოგაჩვენოს თავი, რომ ფოლადივით მაგარი და მტკიცეა. საბოლოოდ რწმუნდებით, რომ ეს ისეთი ადამიანია, რომელსაც ურთიერთობაში, კრიტიკულ მომენტებში ვერ დაემყარებით.

ლაბილური განწყობის იმპულსური ადამიანისათვის რომელიმე ჭარბი, გამოკვეთილი მოთხოვნილება დამახასიათებელი არ არის. ჩვენ ვერ ვნახეთ მათში ისეთი ღრმა და ინტენსიური მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილების საჭიროებას ისინი ხანგრძლივად განიცდიდნენ და რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ დიდი ხნის განმავლობაში. მათი არც ერთი მოთხოვნილება არ ხასიათდება სიღრმითა და ძლიერი ინტენსივობით. განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნილება მთლიანად ვერ იპყრობს პიროვნებას. ეს მოთხოვნილებები იშვიათად იქცევიან ნებელობის მიზნად. შეუფერებელ სიტუაციაში ისინი მალე კარგავენ მოქმედებისათვის წამქეზებელ იმპულსის ძალას.

ასეთი პიროვნების მოთხოვნილებათა სფეროსათვის დამახასიათებელია ინტენსივობის დაბალი დონე, ერთგვარი ამორფულობა, ძლიერი მოთხოვნილება ან მოთხოვნილებები, შინაგანი იმპულსი იშვიათად წარმართავს პიროვნების აქტივობას. გარეშე პირობები, სიტუაცია განმსაზღვრელია ასეთი პიროვნების საზოგადოებრივი საქციელის, მორალური თუ ამორალური ქცევისა. მძლავრ და გამოკვეთილ მოთხოვნილებათა უქონლობის გამო, პიროვნებაში სათანადო ხასიათისეული ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორად რჩება ობიექტური ფაქტორი — სიტუაცია. განწყობის ფიქსაციისათვის პრიორიტეტი ამ ფაქტორს ეკუთვნის. ამის გამო, თუ ის გარემო, სადაც სუბიექტი ცხოვრობს, გამსჭვალულია მაღალ-ეთიკური მიზნებით, პიროვნება უკრიტიკოდ მოექცევა ასეთი გარემოს გავლენის

ქვეშ; იგი მაღალ-ეთიკური მიზნებით განიმსჭვალება. ამორალურ გარემოში მოქცეული ასეთი სუბიექტის წამყვანი იმპულსი ამორალურ-ვიტალური სწრაფვებით განისაზღვრება.

ამ მხრივ სანიმუშოა ამ ტიპის ქალების ცხოვრების განხილვა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: აღიზარდა საზოგადო მოღვაწის ოჯახში, ოჯახური პირობები უნერგავდა მას იდეალურისადმი სამსახურს, მას ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ მასში მტკიცედ ფიქსირებული ყოფილიყო ასეთი მიზანდასახულობანი. კიდეეაც იგი, პირველ ხანებში, ამჟღავნებდა კეთილშობილ მისწრაფებებს. სწავლობდა კარგად. უყვარდა იდეალური მიზნებისათვის მებრძოლი ადამიანების ამსახველი მხატვრული ლიტერატურა. ჰკიცხავდა ყოველ დაბალ, ვიტალურ მისწრაფებით გატაცებულ ადამიანებს. მან თავიდანვე საკუთარ ხასიათში შეამჩნია ერთი თვისება — იგი ადვილად ამყოლი იყო; ადვილად მოექცეოდა სხვისი გავლენის ქვეშ; არ გააჩნდა მტკიცე ნებელობა ამ ზეგავლენისაგან თავის დასაღწევად. იგი ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა მოექცა ერთი მოარშიყე კაცის გავლენის ქვეშ. მას დაემორჩილა. რამდენიმე წელს იგი გატაცებული იყო ამ ადამიანით. მამაკაცმა დასტოვა იგი. უხეშად უარყო მისი სიყვარული. სიყვარულის პერიოდში მთელი მისი სწრაფვა, მიზნები ვიტალური იმპულსის პრიორიტეტის ნიშნით მიმდინარეობდა. განხეთქილების შემდეგ ის ისევ დაუბრუნდა პატიოსან ცხოვრებას. ამ გატაცებას მასში არ დაუტოვებია ღრმა კვალი. იგი გათხოვდა, შექმნა ოჯახი, ჰყავდა შვილები, ითვლებოდა პატიოსან და იდეალურ დედად, მაგრამ ამხანაგების ზეგავლენით მას ერთბაშად გაიტაცებს მისთვის და მისი ოჯახის სახელისთვის სავსებით შეუფერებელი დონჟუანი. ამ უკანასკნელის მისწრაფებები, სულიერი მრწამსი და მორალი თითქოს დიამეტრალურად საწინააღმდეგო იყო აღნიშნული ცდისპირის იდეალებისა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალი ვერ შეაკავა ვერც ქმრის, მამის, ბავშვების და მთელი ოჯახის პატივისცემის გრძნობამ, ვერავითარმა მორალმა. იგი მთლიანად გახდა მსხვერპლი ამ სიტუაციისა. თვითონ აზრით, გონებით წინააღმდეგი იყო ასეთი საქციელისა, მაგრამ

არ შეეძლო ამ იმპულსის შეკავება. იგი არ იყო მძლავრი სექსუალური მოთხოვნილების პიროვნება. პირიქით, ამ იმპულსის გაუნაღდებლობას იგი არასოდეს არ შეუწუხებია. ამავე დროს მისი სიყვარული არ იყო ღრმა. ეს გამოჩნდა მაშინ, როცა იგი იძულებული შეიქმნა ამ სიტუაციისათვის თავი დაეღწია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პირი თავისი ცხოვრების მიზნად სთვლიდა „საყვარელ" ადამიანთან მარადიულად თანაარსებობას. იგი მთლიანად ჩაეფლო ამ სიტუაციაში, სავსებით დაჰკარგა პატივისცემა ოჯახურ და საზოგადოებრივ ეთიკისადმი. იგი სრულიად გულგრილად და აგდებულად ეპყრობოდა საზოგადოების აზრს. ასეთი საქციელის გამო მისი ოჯახი დაირღვა. ქმარს გაეყარა. ოჯახის შერცხვენასაც არ გამოუწვევია მასში ღრმა შინაგანი კონფლიქტები. შემთხვევით მისი სიყვარულის ობიექტი შორს გადაიკარგა. იგი აღიარებს, რომ მას ეს ამბავი მძიმედ არ განუცდია. ისევ დაუბრუნდა ოჯახურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მიზნები ისევ შეეცვალა. მის წინაშე სხვა მიზანთა სამყარო გადაიშალა. ასეთი მაგალითები ჩვენ უხვად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამგვარი ტიპის ადამიანების დასახასიათებლად.

ლაბილური განწყობის პიროვნების შემთხვევაში სწორედ გამორიცხულია ცხოვრების დიდ მანძილზე გამძლე, წამყვანი მაგისტრალური მიზნები. ყოველი ახალი სიტუაციის მორალური თუ ამორალური მიზანდასახულება იწვევს ასეთი პიროვნების აქტივობას. რა თქმა უნდა, როგორც გონიერ ადამიანს, მას მიზნები გაცნობიერებული აქვს. მან იცის რას აკეთებს, რა მიზანს ემსახურება, მიზანთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობს, იბრძვის, განიცდის სიხარულსა და მწუხარებას მიზნის მიღწევისა თუ მიუღწევლობის შემთხვევაში. მაგრამ ეს მიზანი, რადგანაც იგი არ ემყარება პიროვნების ინტენსიურ მოთხოვნილებას, პირველ შემთხვევისთანავე ღალატობს მას და ახალი მიმართულებით გადაინაცვლებს. ამ ტიპის ადამიანთა ქცევის წარმმართველია არა პიროვნებისაგან გამომდინარე აქტივობა — ნებელობა, არამედ სიტუაცია — სიტუაციის მაიძულებელი მოქმედება.

ამ მხრივ საინტერესოა ადამიანი, რომელსაც საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს. იგი სულის სიღრმეში უხერხულობას და მოუსვენრობას განიცდის. მან იცის თავისი ხასიათის სისუსტე, რომ

მას არ გააჩნია სხვისი შთაგონების ზეგავლენიდან თავის დაღწევის უნარი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა მას დაეტოვებია სამუშაო, რომელიც ხშირად მოითხოვს მტკიცე გადაწყვეტილების გამოტანას, ამის ნიადაგზე ენერგიულ მოქმედებას, სიტუაციის შესაბამისად გადაწყვეტილების შეცვლას, ახალ საჭირო გადაწყვეტილების მიღებას; მაგრამ ამას ის ვერ ახერხებს, იგი შებორკილია გარემოთი, ჩართულია სიტუაციაში.

ასეთი პიროვნება დაწესებულებაში აუცილებლად ეყრდნობა ვინმე სანდო პირს, რომლის რჩევა მისთვის კანონია. მის მაგივრად სხვას გამოაქვს გადაწყვეტილება. იგი დაწესებულებას სხვისი ხელით მართავს. ამგვარი მრჩეველის უყოლობის შემთხვევაში იგი ხდება სათამაშო მითქმა-მოთქმისა, გარეშე მოსაზრებისა. ერთი საკითხის ირგვლივ ხშირად იცვლის აზრს, „გადაწყვეტილებას"; სანამ ბედნიერი შემთხვევა არ გაათავისუფლებს მას ამ მდგომარეობიდან იგი უსასრულოდ ასეთ კორიანტელში იმყოფება. საინტერესოა, რომ პიროვნების ასეთი მდგომარეობა ძნელად შესამჩნევია გარეშე პირებისათვის. იგი ახარეხებს თავისი უკმარობის კომპენსაციას. ეს კომპენსაცია გამოიხატება დაბაბულ, სერიოზულ გამომეტყველებაში, თავისი სიმტკიცის, პრინციპულობისა და საქმის ერთგულებისადმი ხაზის გასმაში. პოზიორობა, ფუსფუსი, თანამშრომლებისადმი მკაცრი და უხეში მოპყრობა, განუწყვეტელი ლაპარაკი, ხშირი გულის მოსვლა, მოულოდნელი აფეთქება ბადებს შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს ძლიერი იმპულსების, პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის ინდივიდუალობასთან. მაგრამ ცხოვრების კრიტიკულ მომენტში პოზა სავსებით ჰქრება და გაშიშვლდება უნებისყოფო, უმწეო ადამიანი.

დაკვირვებული ადამიანი მაშინვე შეამჩნევს ასეთ პირებში სწრაფვას „მოაჩვენონ სხვებს საკუთარი თავი სხვაგვარად, ვიდრე ისინი ნამდვილად არიან". მაგ., პიროვნება აკეთებს ისეთ საქმეს, რომელიც არ მომდინარეობს მისგან. იდეა, საქმე არაა მისი მრწამსი, არ ემყარება ნებელობითი ხასიათის გადაწყვეტილებას; მიუხედავად ამისა, პიროვნება ისწრაფვის მოგვაჩვენოს თავი, თითქოს იგი იბრძვის მისთვის ძვირფასი იდეებისათვის. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, ქცევაში გამოხატული დაურწმუნებლობა, შინაგანი სისუსტე, ემოციური მერყეობა იდეისათვის მებრძოლი

ადამიანის თანმხლები, ბუნებრივი განცდები იყოს. გარეშე პირზე შთაბეჭდილების მოსახდენად იგი აკეთებს და ამბობს იმას, რაც დიამეტრულად ეწინააღმდეგება გარემოში არსებულ მორალსა და წესებს. თავგამოდებით იცავს თავის აზრებს და ყალბ მისწრაფებებს. ამ დროს მას აქვს ამაყი ადამიანის პოზა, ცდილობს გაგრძნობინოს თაყისი უპირატესობა, თავისი ღირსება. იგი თავმომწონეა და ხშირად ამპარტავანი, ისწრაფვის იყოს ყურადღების ცენტრში. საქმიანი, იდეისათვის მებრძოლი ადამიანის პოზა მისი არსებითი ნიშანია. მაგრამ ნებელობის სისუსტის გამო, იგი ბოლომდე ვერ ინარჩუნებს ამ პოზას და მაშინ, როდესაც გარემოება მისგან მოითხოვს სრულიად დამოუკიდებელ გადაწყვეტილებასა და მოქმედებას, ერთბაშად იგი იქცევა უმწეო, უხასიათო ადამიანად. დამარცხებასაც იგი თავის სასარგებლოდ იყენებს: წამებულის პოზას იღებს, ბორიტ ადამიანებსა და გარემოებას აბრალებს თავის წარუმატებლობას, ჰკიცხავს და ჰკილავს მათ. მთელი ეს პროცესი საკუთარი უკმარობის დაფარვისა ასეთ პირებში ჩვეულებადაა ქცეული, რაც ზედნაშენია თვითშენახვის, საკუთარი პიროვნების განმტკიცების ბუნებრივი ტენდენციისა. მისი ქცევა მიმდინარეობს შინაგანი დაურწმუნებლობის. შიშისა და შინაგანი გულგრილობის ფონზე. მის სიამაყეში, თავმომწონეობასა და ქედმაღლობაში თვალსაჩინოდ შეჭრილია უმწეობის განცდა და ეს უკანასკნელი ცხოვრების კრიტიკულ მომენტში უპირატეს მდგომარეობაშია.

მათი მეგობრობა, სიმპათია ზერელეა, სწრაფწარმავალი. არც ერთი ასეთი განცდა მთლიანად არ შეიპყრობს ასეთ პიროვნებას. იგი სხვა ადამიანის ადვილად გამკილავია, მაძაგებელი ან, პირიქით, წრეგადასულად მაღმერთებელი.

ძიუხდევად ასეთი მოუწესრიგებელი ხასიათისა, აღნიშნული პირები მაღალი მორალით და გარკვეული სოციალური მიზნებით მოწესრიგებულ გარემოში სავსებით სრულღირებულ ადამიანებად რჩებიან. ისინი ჩართული არიან ოჯახურ და ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხშირად დიდი მიღწევებიც აქვთ. ადამიანის სოციალური თვისებების აქტივაციისათვის ხელსაყრელი საზოგადოება აწესრიგებს ასეთი ადამიანის ხასიათს. ისინი მშფოთვარე ლაბილური ემოციების, ეგოცენტრული, უცნაური ქცევის, შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების თანხლებით იბრძვიან და იღვწიან საზოგა-

დოებაში განმტკიცებული იდეებისათვის; ამავე დროს სხვებზე ადრე მოექცევიან ამორალური გარემოს ზეგავლენის ქვეშ.

როგორც ვხედავთ; ასეთი ადამიანის ხასიათის სტრუქტურა კონფლიქტურია. ამ შემთხვევაში კონფლიქტს არ განსაზღვრავს ბუნებრივ იმპულსებსა და ნებელობის მიზნებს შორის მკვეთრი წინააღმდეგობა, არც ძლიერი იმპულსურობა, რაც გარემოსთან შეუგუებელ, მოუწესრიგებელ არსებად აქცევს პიროვნებას. აქ კონფლიქტურობის მიზეზია, მოთხოვნილებების ინტენსივობისა და ნებელობის აქტივობის დაქვეითების გამო, პიროვნების ქცევისა და განცდების მიმდინარეობის სიტუაციით განსაზღვრულობა. პიროვნებას არ შესწევს დენადი აქტუალური სიტუაციის პრიორიტეტით ფიქსირებული განწყობის ხანგრძლივად შენარჩუნების ძალა იმგვარად, რომ ასეთ განწყობათა ნიადაგზე შეიძლებოდეს თანამიმდევარი ქცევის გაშლა. ნებელობა მოკლებულია აქტივობისათვის მყარ სტიმულს, რაც წარმოშობს შინაგანი უძლურების, დამოკიდებულების განცდას. პიროვნების თვითაქტიეობის სისუსტის გამო, იგი მარად დატვირთულია სიტუაციის პრიორიტეტით ფიქსირებული განუხორციელებელი განწყობებით. ეს კი ხდება შინაგანი მოუსვენრობისა და გარეგანი კონფლიქტების წყაროდ.

* * *

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენ მიერ დადგენილი ტიპები ხასიათისა გარკვეულ მიმართებაშია სხვა ავტორების მიერ დადგენილ ტიპებთან. მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, განწყობის თეორიის თვალსაზრისით ჩატარებული ქარაქტეროლოგიური კვლევა-ძიების შედეგები უფრო სრულია და მკვიდრ ნიადაგს ემყარება, ვიდრე სხვა ცნობილი ტიპოლოგიური სისტემები. ჩვეულებრივ, ქარაქტეროლოგიაში ხასიათის ტიპების გაძოყოფა ძირითადად ერთი რომელიმე ან რამდენიმე კერძოული ნიშნის მიხედვით მთლიანი პიროვნების მთელი სტრუქტურის გაგების ცდას ემყარება. მაგალითად, კრეჩმერისათვის პიროვნების ხასიათის ძირითადი თვისებაა ემოციის ამბივალენტობა (დიათეტური და ფსიქესთეტური პროპორცია), რომლის თავისებური გამოვლენა ქმნის ადამიანთა ორ განსხვავებულ ტიპს — ციკლოთიმიკურსა და შიზოთიმიკურს. ამბივალენტუ-

რი ემოცია, რომელიც პიროვნების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს, კრეჩმერის მიერ იმდენად განზოგადებულია, რომ მას ჭარაქტეროლოგიისათვის უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება. სინამდვილეში კი ეს ნიშანი ადამიანის ერთ-ერთი თვისებაა, უთუოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ მთლიანი პიროვნების სტრუქტურას და პიროვნების შინაარსს იგი ვერ ამოწურავს. ემოცია, ტემპერამენტი იმპულსური ბუნებისაა, პიროვნების ხასიათის არსი კი იმპულსების შეკავებაში, მის რეგულაციაში მდგომარეობს.

ფსიქოლოგიაში დადგენილი სხვა ტიპები, მაგალითად ინტროვერტული და ექსტრავერტული (იუნგი), ეკონომიური და თეორიული (შპარანგერი) და სხვ., ასახავენ არა პიროვნების ხასიათის სტრუქტურას მთლიანად, არამედ მის ერთ-ერთ მხარეს და ამიტომ პიროვნების სხვა მხარეები რჩება დახასიათების გარეშე. განწყობის ცნების ნიადაგზე აგებული ტიპოლოგიური სისტემის მიმართ კი ასეთი საყვედური საფუძველს მოკლებულია. განწყობის ფსიქოლოგია განიხილავს პიროვნების მთელი ფსიქიკური ცხოვრების თავისებურებას განწყობის კანონზომიერებების საფუძველზე. ამიტომ როგორც პიროვნების მთლიანი სტრუქტურა, ისე ამ სტრუქტურაში შემავალი ყველა კომპონენტი, კერძოდ, ხასიათის ტიპოლოგიური თავისებურება შეიძლება გაგებულ იქნას ცენტრალური ფაქტორის — განწყობის ცნების საფუძველზე. ამ ცნების გამოყენებით შესაძლებელია დავძლიოთ პიროვნების ფსიქოლოგიაში დღემდე არსებული ტიპოლოგიური სისტემებისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა.

ჩვენ მიერ დადგენილი ხასიათის ტიპები მოიცავენ სხვა ავტორების მიერ აღნიშნულ ხასიათისეულ ნიშნებსაც; მაგრამ თუ მათ მიერ რომელიმე ცალკეული ნიშანი ხასიათის ტიპის აგების უნივერსალურ პრინციპად არის მიჩნეული, ჩვენს ტიპოლოგიაში ეს ნიშანი ხასიათის სტრუქტურის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. მაგალითად, ჩვენ მიერ აღწერილი ჰარმონიული და კონფლიქტური ტიპების დამახასიათებელ ნიშნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ციკლოთიმიკურსა და შიზოთიმიკურ ნიშნებს, პიროვნების ინტერესების ინტროვერტულსა და ექსტრავერტულ მიმართულებას, პიროვნების მისწრაფებას გარკვეულ ღირებულებებისადმი (ესთეტიკური, ეკონომიური, თეორიული და სხვ.),

მაგრამ ამ ნიშნების თავისებურება განსაზღვრულია პიროვნების განწყობის სტრუქტურით.

ზემოთ აღწერილი ჰარმონიული, კონფლიქტური და ვარიაბილური ტიპები ემყარება მთლიანი ადამიანის, როგორც სოციალური კატეგორიის ცნებას. ამ მთლიანი ადამიანის წამყვანი ბირთვი გარემოსა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე შექმნილი განწყობაა. განწყობის შექმნის ორივე ფიქტორი (როგორც გარემო, ისე მოთხოვნილება) ისტორიული კატეგორიაა. ამიტომ, განწყობის შინაარსი, რომელიც პიროვნებაშია ფიქსირებული და განსაზღვრავს ხასიათის ნიშნების აღმოცენებას, ფართო გაგებით ისტორიულ-სოციალური გარემოს პროდუქტს წარმოადგენს. ეს გარემოება საშუალებას იძლევა ვწვდეთ, თუ ხასიათის რა ნიშნების ფიქსაციას უწყობს ხელს გარკვეული სოციალური გარემო. ამაქვე დროს, რადგან ხასიათი ერთიანობაშია განწყობის ზოგად კანონზომიერებასთან, რაც უშუალოდ წარმოებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ხასიათში შეიძლება ვნახოთ ისტორიულად შედარებით მყარი სტრუქტურული ნიშნებიც (კონფლიქტურობა. ჰარმონიულობა, ვარიაბილობა).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტიპოლოგია ხასიათისა ემყარება პიროვნების ყველაზე ღრმა მნიშვნელობის მქონე, მთლიანობითი ბუნების „ცენტრს“ — განწყობას, საიდანაც შეიძლება აღმოცენდეს ადამიანის მრავალფეროვანი ხასიათისეული ნიშნები. ხასიათის ნიშანთა ეს მრავალფეროვნება, მრავალმხრივობა დამოკიდებულია ადამიანის მოთხოვნილების სიღრმეზე, სიმდიდრესა და გარემოს · თავისებურებაზე. სწორედ ხასიათის ტიპოლოგიის ეს პრინციპი აახლოვებს განწყობის ტიპებს ხელოვნებაში მოცემულ ტიპებთან. ჩვენი ღრმა რწმენით, პიროვნების განწყობით განპირობებული, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი თვისებებით აღჭურვილი ფსიქოლოგიური ტიპების გაცნობა უთუოდ დაეხმარება ხელოვანს ფსიქოლოგიურად მართალი ხასიათის მხატვრული ტიპების გამოქანდაკებაში.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თავი I

ხელოვნება და ფსიქოლოგია, როგორც ხასიათის ტიპის ასახვის ორი გზა 5

თავი II

ხასიათის ტიპოლოგიის პრობლემა ფსიქოლოგიაში . 45
1. ხასიათის ტიპოლოგიის პრინციპები ანტიკურ ხანაში და მისი გავლენები 45
2. რუსთაველი 80
3. ძირითადი ტიპოლოგიური მოძღვრებანი მე-19-20 საუკუნის ფსიქოლოგიაში 94

თავი, III

განწყობის ცნება და ხასიათის კვლევის მეთოდები . 148

თავი IV

ხასიათის ტიპები 176
1. მთლიანი ჰარმონიული პიროვნების ხასიათი . 176
2. კონფლიქტური ხასიათი . 214
3. იმპულსური ხასიათი . 241

გამომც. რედაქტორი კ. გაწერელია
მხატვარი ვ. ცქიფურიშვილი
ტექრედაქტორი ლ. სიხარულიძე
კორექტორი ლ. არაბიძე

ჩაბეჭდვაზე წარმოებას 17/II-62. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-62 წ.. ანაწყობის ზომა 6X9½. ქაღალდის ზომა 60X84. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 16.75 პირობით ფორმათა რაოდენობა 13.79.

ფასი 98 კაპ.

უე 05270. შეკვ. 1431 ტირაჟი 2.000

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა „ზარია ვოსტოკა“. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42.

Типография «Заря Востока» им. А. Ф. Мясникова издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, пр. Руставели № 42.